ცოდნა

1 2019

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 61-ე წელი | იანვარი-თებერვალი | №1 | 2019 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
გუნა სამნიძე
რამაზ სურმანიძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2019

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „კოლორ პრესში“.
თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №20

ISSN 0134-3459

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პროზა, პოეზია

ანზორ კუდბა – ევლია (რომანი. დასასრული) 3
გიორგი გაბაიძე – ლექსები 40
ნათია როსტიაშვილი – სუნთქვის შემგროვებელი (მოთხრობა) 48
ვაჟა ოთარაშვილი – ლექსები 57
ეკა კვანტალიანი – ლექსები 61
ნინო ქადაგიძე – ცერცვისტოლა ამბები (მოთხრობები) 65
ლალი ფრუიძე – ლექსები 72
პაატა სურმანიძე – ლექსები 75

თარგმანი

კურტ ვონეგუტი – როცა ჩვენ ახალგაზრდები ვართ, გვგონია,
რომ წინ დიდი დრო გვაქვს... (მთარგმნელი **გურანდა ნიჟარაძე**) 78

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თამაზ ჩხენკელი – გუთნით გავლებული ურნატი (გიორგი ლეონიძე) 80
გაუტეხელი მეციხოვნე (პავლე ინგოროყვა) 83
დიდი ნაფეხურები (აკაკი ბაქრაძე) 86
პოეტი – ლექსში ჩაძირული (ლადო სეიდიშვილი) 89
როსტომ ჩხეიძე – ხანმოკლე ეფემერა 91

წერილები

შოთა ზოიძე – საინტერესო რუსთველოლოგიური ნაშრომი 102
ემიგრანტი მწერლის მოგონება 105
ქარდა ქარდუხი – „შებღალული ნაკრძალი“ 109
ცირა ბარბაქაძე – სიყვარულის მეტაფორები: მონობა 112
როგორ გავხდეთ „თავისუფლების მწერლები“? 115
თინათინ გიორგაძე – მაღალაპელაციური სარეკლამო სლოგანები 118



ᲐᲜᲖᲝᲠ ᲙᲣᲓᲯᲐ

ᲔᲕᲚᲘᲐ*

(რომანი)

* * *

ლალი-შაქირაც ცდილა, გადაკარგულიყო, მაგრამ სოფლის გარეშე ვერ გაუძლია და მობრუნებულა დამდუღრულივით. მაშინღა დაასკვნის ლალი-შაქირა თავისთვის, რომ უყვარდათ სოფელში და სიამოვნებისგან შეაჟრჟოლებს.

ეს ორი კვირა ხელი მიაკლო სოფელს ლალი-შაქირამ და აღთქმა დადო, რომ სამ დღეს იშიმშილებდა, ორი დღე წყალსაც არ მიაკარებდა პირს და მიაშურა თავის მღვიმესაც. მესამე დღეს უსიამო ფიქრმა გაჰკენწლა: „იქ ბიჭი კვდებოდეს, ლალი-შაქირაი არაფერს შვრებოდესო?!“ – ჰოდა: სოფელს მიაპყრო გრძნეული გული.

ვინ გადაარჩენს ჩემს შვილსო! – ხეობას ჩასძახებს მწვერვალზე ამოსული მამა და ხეობაც ამოსძახებს:

– ევლიაიო, ევლიაიოოოო!

და როცა ამოეფარება მწვერვალს სულმოსათქმელად გამზადებული მზე და ჩამობნელდება სოფელში, ლალი-შაქირაი ზურგზე მოიგდებს იმ თავის ჯვარს, გულზე მიიდებს ხელს და სოფლისკენ იზამს პირს.

ელოდნენ ლალი-შაქირას სოფელში. დაინახეს და ევლიაც მოგვევლინაო, აღმოხდა სოფელს.

გაიგონა ლალი-შაქირამ და ფიქრმაც წაიღო: „ევლიას მეძახიან, მაგრამ ევლია ელიაში არავის შეეშალოს! ევლია კი მადლიანს ნიშნავს არაბულად, ღვთის კაცსაც...“

– რა დროს ფიქრია, ლალი-შაქირავ, როცა... – უსაყვედურა ვიღაცამ.

– და ფიქრით გადაარჩენს გგონიათ ამ ბიჭს ლალი-შაქირაი, თუნდაც ევლია დაირქვას... სოფლის გლახა და მათხოვარი?! ხომ არ გაგიჟდით, ხალხო, რომელი წინასწარმეტყველი ნახეთ თქვენ ლალი-შაქირაი, რომელი დიდი მოძღვარი, რომ განწირული მოაბრუნოს?! – იტყვის ხოჯა – ნური ეფენდი და პირქვე ჩაემხობა.

– აცალეთ ევლიას! იფიქროს ევლიამ! – გაწყრა ოჯახის უფროსი და ლალი-შაქირაც გამოერკვევა ფიქრებიდან.

ხელებს მაღლა ასწევს და ასე ხელებაწეული შევა ავადმყოფ ბიჭთან.

ბაღვთან მარტო დამტოვეთო, ლალი-შაქირაი ხელით ანიშნებს ოჯახის უფროსს და ბიჭს მიუა-

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 4, 5, 6, 2018 წ.

ხლოვდება. დასიცხა მთელ ტანში, მერე კი ისიც დაინახა, რაც ბიჭს ტკიოდა და სწორედ სხეულის იგივე ნაწილი ატკივდა თვითონაც. „კუჭი ტკიებიაო“, თქვა გულში, – ქალაქშიც შეეძლოთ ემკურნალათ, მაგრამ... ოპერაციაც არაა აუცილებელი! მოვარჩენო, – მაღლა აიხედა უნებლიეთ და შეგვეწიეო მეცა, და ჩემს ავადმყოფს, გვედრი, უფალო!“ – პირჯვარი გადაიწერა და მარცხენა ხელი მტკივან ადგილზე დაადო ბიჭს, მარჯვენათი გულმკერდი დაუზილა და როცა ბიჭმა თვითონ ლალი-შაქირას თხოვნით სუნთქვა შეიწყვიტა და გათავისუფლებული მარჯვენა ატკივებულ კუჭზე მიიდო, დახედა ბიჭს და თვითონაც შეიკრა სუნთქვა, მაგრამ მალევე ამოისუნთქა და ამოისუნთქა ბიჭმაც.

სიხარულისგან თვალები გაბრწყინებოდა ლალი-შაქირას, კიდევ ერთი სული იხსნა და აბა, არ გაიხარებდა?!

ბიჭს ლოყები შეუწითლდა და თვალი გაახილა.

სცადა, წამომდგარიყო იდაყვებზე, მაგრამ ლალი-შაქირამ არ დაანება, ადრეა ჯერო... კარზე დააკაკუნა, ბიჭის მამა შემოვიდესო.

უნდა შემოვსულიყავიო, იტყვის ბიჭის მამა, ხომ სწორად გამიგიაო?

ლალი-შაქირამ თბილად შეხედა ოჯახის უფროსს და იმედიც ჩაუსახა გულში.

– იცოცხლებს ვითომ ჩემი ბაღვი, ლალი-შაქირავ? – ლამის ატირებულიყო კაცი.

ლალი-შაქირამაც გაუღიმა გახარებულ, მაგრამ ჯერაც გონსვერმოსულ ბიჭის მამას და მხარზე ჩამოადო ხელი, – ილოცე, ძიავ!

– მე და მერიემას, ლალი-შაქირავ, სიბერეში მოგვეცა მაი ბაღვი და... დილის მზის სხივი რომ დაეცემა ჩვენს წყაროს წყალს, ის წყალი ამევიტანონა და შევასვანა ბაღვს? აწინ აღარაფერი ჭირსო, ძიავ? არ დამავიწყდეს? უკვდავების წყალია ჩემი ბაღვისთვინა?!

ლალი-შაქირას გული მოეწურა როგორღაც, ჩაისუნთქა და პირჯვარი გადაწერა ბიჭს.

– ევლია... – ხელები მაღლა აღაპყრო ბიჭის მამამ, – ევლია! შენ, ლალი-შაქირავ, ჩემი სახლის ხატი უნდა იყონა დღეიდან! შენზე ვილოცოთნა მე და მერიემამ! – ხედავ, ლალი-შაქირავ, პირჯვარს ვიწერ... – სიხარულისგან კრიჭა შეეკრა და ერთიანად გაფითრდა: – ლალი-შაქირავ... ვერ უნდა ვიყონა კარგად... ასეც იცის სიხარულმა...

ლალი-შაქირამ მხარზე ჩამოადო ხელი და ისიც მოეშვა, – სულინა მოვითქვაო და თვალი მილულა.

ლალი-შაქირამაც ისარგებლა ამით და გაშორდა იქაურობას: ახლაც თვალწინ უდგას ბიჭის სახე და უფალ იესო ქრისტეს ევედრება: „მიეც დიდი ხნის სიცოცხლე ბიჭსო!“

* * *

დღეს ხელიც არ ჩამოურთმევია ჩემთვის. მხოლოდ ის იყო, რომ თბილი თვალები შემავლო და გაიღიმა. თუ ვის უღიმოდა ლალი-შაქირა, მე თუ მის ფიქრებში ანაზდად ამოტივტივებულ მავანს და მავანს, არავინ უწყოდა. ფიქრობდა ლალი-შაქირა და გავიფიქრე მეც: მივყოლოდი მის ფიქრთა მდინარებას, მაგრამ ვეღარ შევძელი, ჩამოვრჩი კაი მანძილზე და ლალი-შაქირასაც გაეცინა თავისთვის. მისი დამცინავი ფიქრიც წავიკითხე: „შენ ჩემი ფიქრის წაკითხვა მოიწადინე და ნაცარში ჩაგივარდა კოვზი, მაგრამ ისეც ნუ იფიქრებ: „რადგან ვერ შეძელი დღეს, ვერც ხვალ შევძლებო! შენ შეიძლება არც იცოდე, ძიავ და სხვისი ფიქრის თუ აზრის წაკითხვა ხელოვნებაა დიდი! ხელოვნებაზე მეტიცაა! დიდი შემოქმედებაა, სრულყოფილად ცოტა ვინმე თუ ფლობს ამ ხელოვნებას!“ – დაასრულა ფიქრში, მაგრამ კვლავ გაუგრძელდა ფიქრი და ღიმილიც ჩაიყენა თვალებში: „მაგრამ მე შეგასწავლი სხვისი ფიქრის წაკითხვას...“

– ნუთუ მართლა შესაძლებელია სხვისი ფიქრის წაკითხვა? – ვეღარ ვფარავ გაკვირვებას.

„შეძლებით ყველაფერია შესაძლებელი... თუკი იშვა ფიქრი, უნდა იკითხებოდეს კიდეც! ერთი კვირის მანძილზე აქ უნდა იყო დილაობით, მზის ამოსვლისას. დღის ჩაგდება დაუშვებელია! დღეს გვიანია უკვე, მაგრამ არ გაწყენდა ახსნა-განმარტება. აგერ მე და აგერ შენ. სუნთქვაც არ უნდა გვესმოდეს ერთი მეორის! არა: ვიფიქრებ მე და შენ წაიკითხავ ჩემს ფიქ-

რს. ჰოდა: ვიწყებ ფიქრს, შენ კი უნდა მოიცილო საკუთარი ფიქრი, უფიქროდ დარჩე. გაგიჭირდება, ძიავ, პირველად, მაგრამ უნდა აღიჭურვო მოთმინებით... რწმენაა, ძიავ საჭირო! რწმენის გარეშე არაფერი გამოვა! მოთმინება, რწმენა და შრომისმოყვარეობა მიგაღწევინებს მიზანს! ეს: პირველ ეტაპზე...

მეორე ეტაპი: აზრობრივი კონტაქტის დამყარებაა.

მე ვფიქრობ, შენ კი ჩემი ფიქრის წაკითხვა მოგიწადინებია. არაფერი გამოგრჩეს, ძიავ, ჩემი შეგონებიდან: ჟესტიკულაცია, მიმიკა და რაც მთავარია, სუნთქვის იმ რიტმშიც უნდა ჩაჯდე, რა რიტმშიაც სუნთქავს ჩაფიქრებული.

შემდეგი ნაბიჯი: უნდა წარმოიდგინო, რომ შენი მეექვსე ჩაკრიდან (ეს ჩაკრა ე.წ. მესამე თვალია) ჩემს მეექვსე ჩაკრაში ჩაედინები უხილავი მილაკით... ჩემს ქვეცნობიერებაში.

მერმე: იმ მილაკით, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს (ჩვენს მეექვსე ჩაკრებს ვგულისხმობ), შენს აზროვნებაში შემოდის ჩემი აზრი-ფიქრი და ამ დროს: რაც კი რამ მოგივიდეს აზრად, ჩემი ფიქრია იგი: თუკი ასე გავაგრძელეთ, მალე უსიტყვოდაც გავუგებთ ერთმანეთს.

მაგრამ როცა შორსაა შენგან ის კაცი: ვისი ფიქრის წაკითხვაც ასე აუცილებელია შენთვის?

ამ შემთხვევაში თვითონ შენზეა დამოკიდებული, ჩაწვდები თუ ვეღარ ჩაწვდები იმის ფიქრს. შენსავ წარმოსახვას უნდა მიენდო. აბა, სცადე და წარმოიდგინე: უნდა დაინახო იგი. თვალნათლივ ხედავდე, როგორ აცვია, ზის თუ დგას... მოკლედ: რას შვრება, როგორ სუნთქავს?

ასე რომ: ერთ ტალღაზე უნდა იყოთ მომართული. პოზა ვახსენე, ძიავ... დიდი ვარჯიშისა და ასევ დიდი მოწადინების, ნდობის შემდეგ ხდება... შენ, ვინაც მავან და მავანის ფიქრის წაკითხვას ცდილობ, უნდა აიძულო იგი, რომ იგივე პოზა მიიღოს, რა პოზაშიც იქნები შენ. ახლა შენი თვალებიდან იმისკენ წარმოსახვითი ბილიკი – არსიც გადე (უნდა ხედავდე ამ ბილიკ-არსს) და მისი მეშვეობით მიუშვი იმის მესამე თვალში შენი სურვილი, ძიავ. დანარჩენი ისე დაწყვება, როგორც – პირველი შემთხვევის დროს. მაგრამ, როგორ დამთავრდეს ეს უსიტყვო დიალოგი? უბრალოდ: სდექო, თქვი და ის ენერგეტიკული არსიც (ბილიკისნაირიო რომ დავაკონკრეტეთ) გადაიშლება სივრცის მეხსიერებაში...

მოეშვი უბრალოდ, შეწყვიტე აზრობრივი მდინარება და ყურადღება გადაიტანე შენსავ კეფაზე. წარმოიდგინე: ხელით გიპყრია უკვე რაღაც ენერგეტიკული გუნდა... თოვლის გუნდასავით რამ, გნებავს: დამუხტე იგი აზრ-ფორმით და გამოიტანე შენს მეექვსე ჩაკრაში, იმ ეგრეთწოდებულ მესამე თვალში. შემდეგ: უნდა წარმოქმნა (წარმოსახვა არაა საკმარისი) საჰაერო კონტაქტი (ხილული უნდა შეიქნეს ფიქრი) შენთან საჭირო პირთან, აბა?!

ამოცანის შესამსუბუქებლად უნდა მოახერხო (აქ მოთმინებაც უფრო გვმართებს), რომ კაცი, ვისთანაც გასაუბრება მოგიწადინებია, უნდა გადააქციო შენს (თუნდაც) გაგრძელებად, იგი შენი ორეულია უკვე, იგივე კლონი, ძიავ! გამოგივიდა?

გაიშალე მხრებში და ის ენერგეტიკული გუნდა, ზევით რომ მოგახსენებდი, გადაგზავნე იმის მესამე თვალში, აზრ-ფორმით დამუხტული (ამაზეც ითქვა უკვე) კითხვა, მეორე ანკესივით გადმოკიდე და პასუხიც წამოაცვი ამ ანკესზე.. სუნთქვა, სუნთქვა შეიკარი და ასე სუნთქვაშეკრულმა ამოზიდე იგი და(ფარული)დან. თითქოს წყლიდან ეზიდებოდეო, ისე; ასე გადმოიტანე იგი შენს მესამე თვალში...

შეძელი? მომილოცია, ძიავ!

შეგიძლია მიულოცო საკუთარ თავს!

ეს გამარჯვებაა!

* * *

გუშინ გრაფთან ვიყავი.

– უფრო ჩემი თინიკოს სანახავად მოსულხარ, თუ... – ფეხის წვერებზე აიწია გრაფი. ზემოდან უნდოდა დაეხედა ჩემთვის და დავეთრგუნე, მაგრამ მეც ავიწიე ფეხის წვერებზე (ჩემნაირი ამაღლება, გრაფისგან განსხვავებით, აზრადაც არ მომსვლია, ჩემდა უნებურად თუ გამომივიდა).

არაო, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვეღარ ვიცრუე და გაეღიმა. მივუხვდი: ნაძალადევი მეჩვენა მისი ღიმილიც და ორი ნაბიჯით დავიხიე უკან: – არაა შინ?! – ვკითხე თითქოს და ნაწყენმაც.

გრაფი კი მიყურებს გამომცდელად, პასუხის გაცემა ფიქრადაც არ გაუვლია გუნებაში, მაგრამ კი გაუელვა: „ამ მოკლე ხანში ნურც მოელიო“.

– ჰო, რა თქმა უნდა, არაა და ნურც მოელი! – კბილებში გამოსცრა გრაფმა, – მაგრამ შეგიძლია წერილი დამიტოვო და გადავცემ; სიტყვიერადაც შემიძლია გადავცე შენი ძვირფასი სურვილი...

დამცინოდა გრაფი. ვიცოდი, რაღაც უნდა მექთვა, დუმილს მარცხად ჩამითვლიდა და ამოვთქვი მეც: – თინიკო რა შუაშია აქ?! თინიკოს ამბავი არც მიკითხავს! მე თქვენთან მოვსულვარ, გრაფ!

– მაშინ ერთი მედიტაცია სახელდახელოდ: „უფიქროდ“ ჰქვია ამ მედიტაციას.

– უფიქროდ? ფიქრი ამოვიგდო თავიდან?

– თავიდან თინიკო უნდა ამოიგდო, მაგრამ არა მგონია შეძლო!

– რატომ გგონიათ, რომ ვერ შევძლებ?

– იმიტომ, რომ თავი თინიკოთი გაქვს ამოვსებული... ჰო, მართლა: ლალი-შაქირა როგორ გყავს? არ გეგონოს, იმასთან ურთიერთობას გიშლიდე? ისე, მინდოდა მცოდნოდა, რის შემძლე – მაქნისია? არა! დღეს არაფერიც არ გამოგვივა! გირჩევნია უკან გაბრუნდე! მართალი თუ გინდა იცოდე: არც ვარ მედიტირების ხასიათზე! მაგრამ ისეც ნუ იფიქრებ, დაიკეტაო შენთვის ჩემი სახლის კარი? ამ კვირაში ნუღარ მოხვალ!

გრაფის სახლიდან კუდამოძუებულივით გამოვდივარ.

აღარც კი ვიცი, საით წავიდე...

იქნებ: სჯობდეს, უმიზნოდ ვიხეტიალო, იქნებ უფიქროდაც! ისე ვიარო, არავისზეც არ ვიფიქრო. ღამის თორმეტამდე დარჩენილი დრო დაკარგულია ჩემთვის და ამაზეც აღარ ვიფიქრო?! არ გამაღიზიანოს ამ დანაკარგმა! კია ტრაგედია დროს დაკარგვა, მაგრამ წვრილმანებია ეს, როცა თვითონ ცხოვრებაა ტრაგიკული... ცხოვრება ტრაგედიაა და ტრაგედიაც ცხოვრებაა! სხვადასხვანაირად უნდა გვესმოდეს – მაგრამ არაფერიც! არ მინდა ჩემი ფიქრები წაიკითხოს გრაფმა. გავალ აქედან და ქუჩაში ხომ ვეღარავინ მომიშლის ფიქრს?!

– ნოე, ქუჩაში თავისუფალი ხარ მართლაც: ვერავინ დაგიშლის ფიქრს. ამაში არც არაფერი გეშლება! ქუჩაში შეგიძლია იფიქრო ვისზედაც გინდა... თუნდაც თინიკოზე! ეს შენი უფლებაა! გითხარი მაშინ ერთი კვირა თავისუფალი ხარო და გადავიფიქრე. მაშ, ხვალამდე! თუმცა ხვალ სოფელში იქნები! ლალი-შაქირასთან! ამასაც ვერ დაგიშლი... ხედავ, შენს ფიქრებს ვკითხულობ ლალი-შაქირასავით! შენ კი: არ გინდა იცოდნენ შენი ფიქრები... ორივე შემთხვევაში გულთმისანი უნდა იყო, მაგრამ რა მაინტერესებს უფრო იცი? შენ ლალი-შაქირასთან გინდოდა გელაპარაკა აქედან, თუ თინიკოა შენი ფიქრის საგანი? დაგაინტერესე, მგონია! ცნობისწადილმა გძლია? გგონია, თითქოს თინიკო ვერ უნდა იყოს ჩემი შვილი... მეც ასე მეგონა, მაგრამ შვილი აღმოჩნდა ჩემი... მიმალავდა დედამისი ყველაფერ ამას, მაგრამ სიკვდილის წინ გამომიტყდა, შენს იმედზეღა ვტოვებ გოგოსო. პირობა ჩამომართვა, რომ შვილივით მოვუვლიდი... მაგრამ მაწყენია ამით: თინიკო ისედაც შვილივით მიყვარდა. თინიკოსთვის მიუღებელიცაა ჩემი ცხოვრების ნირი, მადლობა ღმერთს, ასე რომ ფიქრობს და არა სხვანაირად! იფიქრე ნოე, იფიქრე!

„ფიქრი... – თვალები ამეწვა, – ფიქრი ყველაზე დიდი განძია, რისი ნიჭიც მოუცია ადამიანისთვის უფალს. საოცარი ნიჭია ფიქრი, თანდაყოლილი...“ – მართლა წამიღებს ფიქრი.

– იფიქრე, ნოე! – შემაწყვეტინა გრაფმა, – ახლა: შეგიძლია წახვიდე, თითქოს დამრთოო ამის ნება და ჩაიცინა თავისთვის. გამოსამშვიდობებლად მეც მზად ვიყავი, მაგრამ ხელი რომ აღარ გამომიწოდა, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. ამასაც მიმიხვდა და თავი გადააქნია: – ჰო, ელეაზარ... ელეაზარი მაინც რამ გამახსნეა ნეტა? ისე მართალი გითხრა ნოეს ელეაზარი ჯობია, მაგრამ ნოე ხარ შენ და...

– ელეაზარი რატომ?

– ერთხელ მესიზმრა, ნოე, რომ თინიკო ელეაზარზე ქორწინდებოდა, მაგრამ მართლა რა შუაშია აქ ელეაზარი? შენ ნოე ხარ! მაგრამ ჩემი კეთილგანწყობა მოსაპოვებელი გაქვს ჯერ!

უხერხულად შევიშმუშნე და გრაფმაც დაკვირვებით შემათვალიერა: – ასე ვთქვათ, გული გადაგიშალე კინაღამ და აღარ გეამა... იფიქრე, ნოე, იფიქრე!

აქ ფიქრმაც წამომიარა, რომ მე უბრალო, ერთ ჩვეულებრივ ბიჭს, გამოუსწორებელ მეოცნებეს: – რა იქნება, რომ თინიკო გადამეყრებოდეს გზაზეო, ვინატრე.

მაგრამ ოცნება ოცნებად დამრჩა: „თინიკოს შეიძლება არც არასოდეს უფიქრია ჩემზე...“ – აქ სხვა, უცაბედი ფიქრი გამკენწლავს და სინამდვილეს დამაბრუნებს.

თ ი ნ ი კ ო:

„თინიკო რომ შემხვდებოდეს გზაზეო...“ – ვინატრე.

მაგრამ გამოჩენას არც აპირებდა იგი და იმედგაცრუებულმა ხელი ჩავიქნიე, მაგრამ მეორე დღეს, სულაც, რომ არ მიფიქრია თინიკოზე, მართლა არ შემომეყარა გზაზე?!

დავიბენი. ვერც კი მოვიფიქრე მისი გამოწვდილი ხელისთვის ჩემი შემეგებებია, მაგრამ წიგნი მეჭირა მარჯვენა ხელში და მარჯვენა ხელის ფუნქციაც ვეღარ დავაკისრე მარცხენას.

– ორიგინალობ? – გაეცინა და არა უშავსო, თავი გადააქნია. – ვაიძულებ თავს, რომ ორიგინალობაში ჩაგითვალო მაგ შენი უმოქმედო ქმედება!

მადლობთო, ამოვილუღლუღე და თვალი ვეღარ გავუსწორე თინიკოს.

– საჯაროდან „ფაუსტი“ გამოგიტანია... ნაადრევი ხომ არაა შენთვის გოეთე? თუკი ვერ გაიგე, ერთ თხუთმეტ წუთს გამოვიმეტებდი შენთვის... ზღვისპირა პარკში ხომ არ გაგვევლო? ვითვალისწინებ იმასაც, რომ ჩემთან ლაპარაკიც გინდა, თუ დაკავებული არ ხარ? – ისევ დამცინოდა და შევეცადე მეც თინიკოსებური ტონით გამეგრძელებინა ჩვენი დაილოგი.

– რაო, ნოე ბატონო... მიკბინო გინდა? გული მატკინო...

– როგორ გეკადრებათ, უნებლიეთ წამომცდა.

– მეკადრება თუ არ მეკადრება, თითქოს შენი საკითხავი იყოს...

კი გამაბრაზეს მისმა სიტყვებმა, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს და არც მიფიქრია უკმეხად მეპასუხა მისთვის. ამიტომაც იყო, რომ დუმილს მოვუხმე და: კბილზე კბილის დაჭერაც დამჭირდა.

– შენ მართლა არ აპირებ ხმის ამოღებას? – შემომცინა.

– ის თხუთმეტი წუთი, შენ რომ გამოგიმეტებია შენი ძვირფასი დროიდან, აღარ მინდა გაგიუქმო და ამდენივე დროს ჩემი დროის საგანძურიდან მეც გამოვყოფ.

– ხედავთ: ...ეს ვაჟბატონი თავისი დროის საგანძურიდან გამომიყოფს თურმე ერთ თხუთმეტ წუთს არა, ნოე ბატონო! მიჯობს აქვე, ახლავე დავშორდეთ ერთმანეთს და ბასტა! ასე აჯობებს ორივესთვის: შენ – შენი გზით და მე კიდევ – ჩემი გზით! ეს რარიგ დაკავებული ვინმე ბრძანებულხართ თურმე! შევცდი, რომ წინასწარ ვერ შევაგროვე ცნობები შენი პერსონის ირგვლივ! – სიბრაზისგან თუ სიმწრისგან აღარ იცოდა სად წაეღო ხელები, მაგრამ მალევე მოეგება გონს, დაიოკებს გრძნობებს და მისთვის დამახასიათებელ ღიმილსაც მოირგებს სახეზე, – თურმე ლაპარაკიც აღარ გდომებია ჩემთან!

– ლაპარაკი არ მდომებია? არც რაიმე მიფიქრია ამის მსგავსი და არც მითქვამს! მე, მე... – თავი ვეღარ მოვაბი სათქმელს და ოფლი დამასკდა.

– თუკი არ გადაგიფიქრებია ჯერ... – უცებ მოლბა თინიკოც, – ის ჩემი თხუთმეტი წუთი ძალაში რჩება... განაგრძე, ყმაწვილო, განაგრძე! არც ისე გულუბრყვილო ყოფილხარ, მაშინ რომ მეგონე... შენ უკვე მაინტერესებ, ხომ იცი!

– და კიდევ: რა ჯანდაბა მინდა გრაფისგან, არა? ერთადაც ვერ წარმოგიდგენივართ! მერე და: იქ, იმ დიდ დარბაზში... საქორწინო კაბაში გამოწყობილი რომ გნახე, როგორ გგონია, რა უნდა მეფიქრა შენზე?

– კიდევ რას მკითხავ?

– ის თხუთმეტი წუთი ხომ გვრჩება კიდევ?

– სიტყვა სიტყვაა, – დამეთანხმება თინიკო და ბაღისკენ გავწევთ. მივდივართ გვერდიგვერდ და ვცდილობთ, მხრებით არ შევეხოთ ერთმანეთს. ზოგჯერაც ფეხი აგვერევა და უხერხულობის გრძნობაც დაგვრევს ხელს. ასე შევდივართ ზღვისპირა ბაღში, ისე, ბულვარსაც რომ ეძახიან.

მწვანედ შეღებილ ძელსკამს ჩავუარეთ და ზღვისკენ მივდივართ. უკვე ფეხშიშველები. ჭირს კენჭებზე სიარული. უცებ მკლავზე წამეტანა თინიკო და მოდი აქ ჩავჯდეთ კენჭებზეო, მთხოვა.

– მოვუსმინოთ ზღვას: იგი მე შენს ამბავს მომითხრობს, შენ კი – ჩემს ამბავს გეტყვის. მე მართლა არაფერი ვიცი შენზე.

– არც მე გიცნობ, მაგრამ ვიცი გრაფისგან, – სული მოითქვა და თვალებში ჩამხედა, – რომ მეტ-ნაკლებად შენც შეგიძლია წაიკითხო სხვისი ფიქრები და გამიკვირდა ზღვა რომ მოიშველიე ჩემი სულის გასახსნელად.

* * *

ღელავდა და არც ღელავდა ზღვა.

თინიკო წამოდგა, ხელები გაშალა და ისე წავიდა ზღვისკენ, როგორც თოკზე მოსიარულე მიისწრაფვის თოკის ბოლოსკენ. უცებ შედგა და არც მობრუნებულა ჩემკენ, ისე გამომძახა, – ალბათ არ იცი ცურვა და...

„ჰო, როგორც გინდა, ისე იფიქრე“, – ფიქრი გავუგზავნე თინიკოს და თითი ისე დამიქნია, არც მობრუნებულა ჩემკენ, – გეხუმრეო, გადაიკისკისა და რხევა-რხევით გასწია წყლისკენ. წყლისკენო, ვამბობ, რადგან ფიქრი წავიკითხე მე თინიკოსი, ჩემკენ გამოტყორცნილი: ზღვა წყალია... მე ზღვაში კი არა, წყალში შევდივარო...“

მერე, მერეო? ვეკითხები თინიკოს და ისიც გააგრძელებს ფიქრს: „ამბობენ აქაურები არც დადიან ზღვაზეო... შენ კი დადიხარ?“

„ორი წელი იქნება, არ გამომიხედავს აქეთკენ...“

„არ გიყვარს ზღვა?“

„როგორ არ მიყვარს? ეს რამ გაფიქრებინა?“

„ვიფიქრე და მიჩივლე ახლა... და მაინც რატომ არ დადიხართ ზღვაზე აქაურები?“

„სხვების არ ვიცი, მაგრამ მე მართლა არ მინდა შევაწუხო. არ მინდა შევაწუხო ჩემი ფიქრებით, იქნებ დავაჭუჭყიანო... ზღვაში გაოფლიანებული სხეულის განბანაც არ მიმაჩნია დასაშვებად...“

„ასე რომ არავინ ფიქრობს?“

„მაგრამ მე ვფიქრობ!“

„შენ რომ ფიქრობ... მოდი და დავასრულოთ დიალოგი! მე ზღვაზე ვიფიქრებ და გთხოვ, მარტო დამტოვო ჩემს ფიქრთან და ზღვასთან!“

„მეც ასე ვფიქრობო და თინიკოც მივუშვი თავის ნებაზე, მაგრამ ახლა ახალი ფიქრი გამომიჩნდა და მეც მივყევი: „ზღვა ფიქრია თვითონ, დიდი ფიქრი... ფიქრზეც მეტი... ამოუცნობი ფენომენი. ერთხელ ვცადე კიდეც, სულში ჩავწვდომოდი და... რომ ამოვყვინთე იქიდან, ნაპირი ველარ დავლანდე. აღარსად იყო. ჩემგან მარჯვნივ და მარცხვნივ, წინ და უკან უკიდეგანო სივრცე ათრთოლებულიყო. მეც ამ სივრცესავით ავთრთოლებულიყავი და რაც არ უნდა მომენდომებია, საკუთარ თავს ვერც გადავახტებოდი და ვერც გადმოვახტებოდი. სულის ძახილიც მომწვდა ამ დროს და ცივი ოფლი დამასხა, სულში ყინული ჩამომდნობოდა და მართლა შემცივდა. აწი საითკენო: დაიბადება კითხვაც: პირდაპირ წავიდოდი, მაგრამ: ვაითუ სულ სხვა მხარეს ყოფილიყო ის სასურველი ნაპირი! გადავუხვევდი მარჯვნივ მაგრამ ისევ რომ შეცდე?! და მარცხენა მხარესაც რომ არ აღმოჩნდეს ნაპირი?! მაშინ უკან გავბრუნდე? ასოთხმოცი გრადუსით შევბრუნდე და იქითკენ გავცურო, მაგრამ ისევ ის „ვაითუ“, რომ დამრჩეს მოსაშველებელი?! მაშ, საითკენ, გულო? გაიხედ-გამოიხედე ან კიდევ მიიხედ-მოიხედეო, ამომჩურჩულა იმანაც და მეც გავიხედ-გამოვიხედე., მივიხედ-მოვიხედე კიდეც. ჰოდა: გემი დავლანდე და მზერაც გავაყოლე. ჩემგან განსხვავებით გემის კაპიტანმა იცის საითკენაც მიდის. ვიცი მეც: სადაც მინდა ვიყო, მაგრამ იქითკენ მივიწევ, თუ

სადღაც სხვაგან, ეს აღარ ვიცი: შესაძლოა ჩემი სავალი კურსიც ვერ იყოს სწორად გავლებული და ამ დროს, აღარ ვუწყი როგორ და გავაცნობიერე, რომ მზეა თვალს რომ მჭრის და მაინც იმისკენ მივიწევდი.

ნეტა რა დრო იყო, ზღვაში რომ შემოვცურე? მახსოვს: მზის ჩასვლამდე საათი-საათნახევარი რჩებოდა და: ახლა კი მთლად ჩაძირულა წყალში... ისაა, წყლის ზედაპირზე რომ ტორტმანობს და ედგაფუნება ტალღებს. მზე ჩადის და ვერ შემიტყვია! მაშ რაღას ვყოყმანობ?! მეც სადღაც დასავლეთში უნდა წარმოვიდგინო თავი. და როგორ მოიქცეოდა ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი ზღვის მგელი?! მივაყურადე და პასუხიც მესმა: 180 გრადუსით შევბრუნდებოდიო...

– ზურგი უნდა შევაქცეიო მზეს?

– ჰო, სანამ არ ჩასულა. გამოჰყევ მზის ბილიკს, ნაპირისკენ რომ მიკანკალებს.

დიდი მადლობაო, ამომძახა გულმა და ამოვიწიე წყლიდან, თითქოს მზის თვალებში უნდა გადავწურულიყავიო:

– მზეო... ზურგს კი არ გაქცევ, არამედ შენი ბილიკი მინდა გავითავისო და არ გეწყინოსო, – მივმართავ მზეს და შევდგები მზის ბილიკზე. მე ნაპირი მიხმობდა: თითქოს მისი ძახილიც მესმოდა, აქეთ, ჩემკენ... არ დაგაგვიანდესო!

„ჰეი, შენ! მოუსვი ზღვაური!“ – ფიქრი გამოისროლა ნაპირმა ჩემკენ და სიხარულისგან გამაჟრიალა. ლალი-შაქირასაც ამ დროს მოვკარი თვალი: ლოტოსის პოზაში იჯდა, წყლის ზედაპირს ორი-ორნახევარი მეტრით აშორებული. პირჯვარს იწერდა.

კურსი გავლებულია, მივდივარ ნაპირისაკენ, მაგრამ ის მეორე ფიგურა, ლალი-შაქირას რომ ამოფარებია, ვისი უნდა იყოს? გრაფია? იდგა წყლის ზედაპირზე და არ იძირებოდა, მაგრამ ამოიჭრა ქარი და აქეთ რომ გადმოირწა ლალი-შაქირა, გრაფი იქით გადაირწა. ასე გრძელდებოდა კაი ხანს, მაგრამ ვერაფერი დააკლო ვერც ერთს და ჩადგა იმედგაცრუებული.

აღელვებული ზღვაც დაცხრა და ვუახლოვდები ნაპირს თითქოს და აუღელვებლად. ხელს მიქნევს თინიკო!

– ნოე, ნოე! – თინიკო მეძახის, – ვგრძნობ: ზღვის სულში გიმოგზაურია და... მზეც მოგიხილავს... მზის ბილიკით გამოსულხარ ნაპირზე... – მხარზე მირტყამს ხელს, ჩემს მობრუნებას ცდილობდა.

თინიკოსკენ მობრუნება არც მიფიქრია, მისი კითხვა-პასუხი ჩამბჟუის ყურში.

გაივლის წამი, ორი წამიც... ამოვიფშვნიტავ თვალებს და ჩამავალ მზეზე შემიჩერდება მზერა: ცხადია, ჩაიყურყუმელავებს სადაცაა, ამოევლება წყალში, ამოილუმპება და აგრილდება.

– ნოე... – ხმა ათრთოლებია თინიკოს, – თითქოს შორეული მოგზაურობიდან მობრუნებულხარო, მგონია. ნეტა სად იყავი და რომელ კითხვას გაეცი პასუხი? შენ... ნეტა რას ფირქრობ?

– რას ვფიქრობ? ჯობდა კითხვა დაგეკონკრეტებია. ან სულაც შეგეცვალა! რა გაინტერესებსო რომ გეკითხა, ხომ არ აჯობებდა? დაიხაც, რომ მაინტერესებს! შენი და გრაფის ამბავი!

– ჩემი და გრაფის ამბავიო? – გაიმეორა ჩემი კითხვა და მერედა, ამოიკითხეო? – გამისწორა თვალი.

ვერაო, გულწრფელად ვუპასუხე. იქ: გრაფს მართლა მოვკარი თვალი, მაგრამ ნაპირზეც იდგა იმავდროულად და მტკიცედაც გაედგა მიწაში ფესვები. შენ კი... ვერსად მოგკარი თვალი.

– ვერც დამინახავდი, რადგან: თითქოს მოდიოდი ჩვენკენ, მოდიოდი, მაგრამ გვშორდებოდი როგორღაც. ვინ არის გრაფი? ვინ ვარ მე და რა გვაკავშირებს? და რომ არ გიპასუხო, თუნდაც ვერ გიპასუხო, როგორ ფიქრობ, გაგვირთულდება ვითომ ცხოვრება? მერე და: ყველაფერი არც მე ვიცი... უჰ, ეს ვერმოუცილებელი, ჭირიანი და კუზიანი კითხვის ნიშნები!

* * *

– დედასთან ვიზრდებოდი... მამაზე არაფერი მსმენოდა. პირველად თორმეტი წლის ვიყავი, რომ ვნახე. დედამ მითხრა, მამაშენიაო. წავიდა და გადამავიწყდა.

დედა რომ საავადმყოფოში დააწვინეს საოპერაციოდ, მეორედ მაშინ ვნახე მამაჩემი. დანა

პირს არ უხსნიდა და მივხვდი, განწირული იყო დედაჩემი.

მარტო აღარ დამტოვა გრაფმა. მას შემდეგაა მასთან რომ ვარ. მამა არც დამიძახია მისთვის. არ შემიძლია და რა ვქნა... – სული აღსარებასავით ამოისუფთავა თინიკომ, – მაგრამ სათქმელი კიდევ დამრჩაო, ამოიხვნეშა: – თავს უხერხულად ვგრძნობ, როცა გრაფთან ვარ, ან გრაფია ჩემთან, არ გაგიკვირდეს ასე რომ ვმსჯელობ: ეს მართლაც ასეა: ზოგჯერ მართლა გრაფთან ვარ და ზოგჯერაც გრაფია ჩემთან, მაგრამ ახსნა-განმარტებების მოცემას ამაზე სულაც არ ვაპირებ. იფიქრე როგორც გინდოდეს! მთავარი ისაა, რომ... რომ არ ვთქვა, გავგიჟდები ალბათ. როგორ ვთქვა და: მომკალი და ვერ დავუძახებ მამას და სანამ ვერ დავუძახებ მამას, მამა ვერ იქნება ჩემი... ვიცი, განიცდის, მაგრამ არ მაგრძნობინებს. ტყუილად კი არ ეძახიან გრაფს?! ასე რომ, გრაფზე გვეყოფა! თუმცა არა! მახსოვს: დედა სამსახურში იყო. სახლში მარტო ვიყავი და დამიკაკუნეს.

– რომელი ბრძანდებითო? ვიკითხე.

– დედაშენის ნაცნობი ვარო, – მითხრეს ხმის კანკალით.

– უფრო რომ დამიზუსტებდეთ თქვენს ვინაობას...

– ერთხელ ნანახი გყავარ...

– მაინც ვინ ხართ?

– მამაშენი ვარ მაშინ! – ისევ უკანკალებდა ხმა. – გრაფს მეძახიან.

– მე მამა არ მყავს და ვერ შემოგიშვებთ.

– მე ხომ... – ენა დაება გრაფს.

– აღარც შემომიშვია და წავიდა. მერე, დედაჩემის ავადმყოფობამდე აღარც გამოჩენილა... დედაჩემისთვის არაფერი მითქვამს.

წავიდა და კარი გავაღე. გრაფი, ჩვენი სახლის წინ დიდი ხე რომ დგას, იმას მიყრდნობოდა ზურგით და მოთმინებით ელოდა დედაჩემის გამოჩენას. კარი მივხურე და კარადაში გამოვიკეტე.

დედაჩემის მოსვლამდე ვიყავი ასე.

კარი თვითონ დედაჩემმა გააღო და ფერდაკარგული რომ მნახა, კარადაში იქნებოდიო ჩაკეტილი, მითხრა და ზურგი შემაქცია, – რა მოხდა თინიკო?

– გრაფი იყო და არ შემოვუშვი, დედა... იმ ხის ქვეშ იდგა... ალბათ დიდხანს... აღარაა?

– არა... შენ მამაშენი არ შემოგიშვია სახლში, მაგრამ შენი გადასაწყვეტია ესეც... როგორც გულმა გითხრას, შვილო... იქნებ სწორადაც მოიქეცი... ვიცოდი, რომ უნდა მოსულიყო, მაგრამ გადამავიწყდა და... არც შენ გამიფრთხილებიხარ.

ფიქრმა წაიღო თინიკო: „გრაფი ყოველთვის შიშს მგვრიდა. ახლა, როცა მის სახლში ვცხოვრობ, ცდილობს დამიახლოვდეს, მაგრამ არ შემიძლია...

მერე შენც იცი ყველაფერი...

დედა გრაფმა დაასაფლავა.

ბინა ჩემს სახელზე გადააფორმა, მერე მთელი სახლი შეისყიდა და ახლა ჩემი და გრაფისაა ეს ყველაფერი. არის გრაფი თავისთვის, მე კიდევ – ჩემთვის და ხელს აღარ ვუშლით ერთმანეთს.

გუშინ დედაჩემის საფლავი მოვინახულე. ხელი გადავუსვი საფლავს, თითქოს ნაოჭებს ვუსწორებდი შუბლზე. მაგრამ ვიგრძენი ქვეშეცნეულად, რომ ჩემს გარდა აქ კიდევ იყო ვიღაც დედაჩემის საფლავის მოსანახულებლად.

გრაფი იყო. ნაღვლიანად დახედა საფლავს.

– იცი, რას მეუბნება დედაშენი?

მხრები აიჩეჩა თინიკომ, არაფერი გამიგონიაო.

– გრაფს მიენდეო...

– არ გამიგონია!

– ჩემი არ გჯერა? – იწყინა გრაფმა.

– ვიცი, არ მატყუებ...

– მაშ, გჯერა ჩემი?

– მჯერა, მაგრამ...

– ამითაც კმაყოფილი ვარ... ოღონდ გჯეროდეს ჩემი...

– ისე უცნაური კაცია გრაფი... – ამოთქვა თინიკომ, – ჩემი აღსარება ზღვამაც მოისმინა, ნოე...

ჰო, ისმენდა ზღვა თინიკოს ამბავს და მღელვარებასაც ვეღარ ფარავდა, ღელავდა...

* * *

გრაფმა დამიბარა.

თინიკო ამერიკაშია, იქ სწავლობსო, მომახარასავით, მაგრამ თვალებში რომ ჩავხედე, მაშინვე მივხვდი, სული უტიროდა.

იმანაც წაიკითხა ჩემი ფიქრი და ოდნავ დამშვიდდა: შენი იმედი მაქვსო, მიუკიბ-მოუკიბავად მითხრა.

ახლაო, აღმომხდა.

– თუკი საერთო მედიტაციაში შენც მიიღებ მონაწილეობას, ხვალ გელოდები, – მხარზე ჩამომადო ხელი.

„თუკი ამისთვის მიბარებდით...“ – ფიქრი აქ წამექცა და ავირიე.

„ჰო, შემეძლო დამერეკა“, – თითქოს თავს იმართლებდესო, ისე მითხრა.

აღარაფერი მითქვამს და მხარზე დამიტყაპუნა ხელი, – იქნებ შევცდი, ამერიკაში რომ გავგზავნე სასწავლებლად, მაგრამ აქაური განათლების სისტემა ვერაფერს მისცემს ახალგაზრდას... დაუსრულებელი ექსპერიმენტი გაგიგონიათ?! განათლების სისტემაში ლომივით ბრდღვიალი და ბრდღვინვა ზოგს შეიძლება საქმეც ეგონოს, მაგრამ საქმე ამ დარგში მოკვდა უკვე... მაგრამ ჩემი წუწუნი საქმეს ვერ უშველის... დღეს შენთვის ვეღარ მოვიცლი. ხვალ კი უნდა მოხვიდე! – ზედმეტად თვითდაჯერებული მეჩვენა და გაეღიმა, ასეაო, თქვა და თვალი მივადევნე მის მზერას: კარისკენ მიმანიშნებდა გრაფი.

დ ი დ ი მ ე დ ი ტ ა ც ი ა:

ის ხვალეც დადგა.

კარი თინიკომ გამიღო და სახტად დავრჩი. თვალებიც ამოვიფშვნიტე და დაჟინებული მზერაც მოვიშველიე, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს მივხვდი, – თინიკო...

– ამერიკაში გგონივარ და ვერ დაგიჯერებია, კარს თინიკო რომ გიღებს?

– ჰო, გუშინ გრაფმა...

– გრაფი იქ გელოდება, აგერ კი მე ვარ.

– ჰო, გხედავ და ვიცი, გრაფი რომ მელოდება იქ, მაგრამ...

– ამერიკაში კი მართლაც მაგზავნიდა, მაგრამ მე არ ვქენი... ახლა კი: გელოდება გრაფი და არ უყვარს, რომ ალოდინებენ! მაგრამ... შენი მასწავლებელი ვერ იქნება გრაფი! ამაზე უკვე ვიმსჯელეთ. არჩევანის გაკეთება მართლა მოგიწევს! გრაფი დონ ხუანის მიმდევარია, რომ იცოდე...

– ვიცი...

– შენი მასწავლებელი ევლიაა... გრაფი მიამბობდა ევლიაზე! ახლა კი: გრაფი გელოდება,. გრაფს კი გიმეორებ, არ უყვარს, როცა ალოდინებენ! მაგრამ სანამ გრაფს გამოეცხადებოდე... ჰო, გამოეცხადებოდე... – გაიღიმა თინიკომ, – მედიტაცია ხომ იცი რაც არის, და ამ დიდი ყოფიერების დროსაა, სიფრთხილე რომ გმართებს. გრაფი გრაფია და დიდი ექსპერიმენტატორი... აზრი ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს: გრაფს უნდა, რომ ჰყავდეს შეგირდი... რაც შეიძლება მეტი შეგირდი, მაგრამ შეგირდი-მსახური! დამოუკიდებლად მოაზროვნე შეგირდი რა ჯანდაბად უნდა?! დღეს ათამდე შეგირდი ეყოლებით და გრაფიც თავისთვის სასურველი შეგირდების შერჩევით იქნება დაკავებული. ამიტომ დიდი გარჯა მოგიწევს! შენ საუკეთესო უნდა იყო! ეს აუცილებელია! იგი შემცვლელს ეძებს. ამ ვაკანტური ადგილის დაკავება ძალიან გაგიჭირება, მაგრამ შენ ჩააბარებ ამ გამოცდას. დაგადებს ხელს თავზე და... იცოდე: შენ მისი რჩეული ხარ და მისი საქმის გამგრძელებელი! გადმოვა მთელი მისი ცოდნა და გამოცდილება შენში და... უკან, გველნაკბენივით წაიღებს ხელს, რადგან იგრძნობს, რომ მისი საქმის გაგრძელებაზე უარს იტყვი... იგი მეფისტოფელს დაეძებს შენში, შენ კი ფაუსტი ხარ – ევლიას რჩეული! გესმის, რისი თქმაც მინდა შენთვის?

– მესმის და დიდი მადლობელიც ვარ შენი... მაშ, აღარ მიდიხარ ამერიკაში?

– ძალიან მინდა, რომ შენ იყო მისი რჩეული, რადგან ვიცი, რა ნიჭის პატრონიცაა და რის შემძლე-გამკეთებელიც. და კიდევ, რომ იცოდე:

თავისი რჩეულის დაღი უნდა დაგასვას, თავზე... ხომ გაგიგონია ბავშვობაში, თმას რომ მოგვიხილავდნენ. გემახსოვრება შენც, ერთ და ორ გვირგვინს რომ აღმოგვიჩენდნენ... ორი გვირგვინი თუ გქონდა, იტყოდნენ, ორი ცოლი ეყოლებაო (ბიჭზე) და (გოგოზე) მეორედაც გათხოვდებაო... ჰოდა, გრაფის პარიკმახერიც იმ (ერთ ან ორ გვირგვინს) ადგილს აგპარსავთ... და შეგირდიც (უკვე ოსტატად ხმობილი) დადაღული ეყოლება გრაფს. ჰოდა, ამ დროს იყავი ყურადღებით. პარიკმახერი თვითონ გრაფია... დაღდასმის დროს თუკი აღიქვი ის წუთიერი სულისცვალება შენში, გადარჩენილი ხარ, ვერ აღიქვამ და გრაფის მონა ხდები სამარადჟამოდ. ჩუუ... არ მიგვიხვდეს გრაფი, თორემ აღარ დაგიშვებს გამოცდაზე...

– თვალყურგრძნობად ვიქცევი! – ამოვთქვი.

– მაშინ გზა ხსნილია შენთვის გრაფის საუფლოსკენ. გახსოვდეს: იქ გრაფია ყოვლის განმგებელი, თითქოს ღმერთი!

– თითქმის და არა მართლა ღმერთი... – ვთქვი და დარბაზისკენ გავწიე, მაგრამ სანამ შევიდოდი შიგ, სადალაქოში აღმოვჩნდი. დალაქმაც (გრაფმა) პირწმინდად ამომისუფთავა ის საგვირგვინე ადგილი და ამიწრიალდა სული, თითქოს შემკრესო და ღრმად ჩავისუნთქე, არტახებიც დამაწყდაო თითქოს და ამოვისუნთქე. შევიგრძენი ის წამი, გავაცნობიერე და თავისუფალი ვარო, ამიძგერდა გული და დარბაზშიც აღმოვჩნდი. დარბაზი ვრცელი იყო, კინაღამ უკიდეგანო. კედელი – არც-ერთი! აღარც – ჭერი და... სივრცე უსასრულო. აღარც სარკმელი(!)

ამ დარბაზში (არ ვიცი, რატომ ვუწოდებ ამ უსასრულობას დარბაზს), სადაც მისი ნებისმიერი წერტილი შეიძლება ცენტრად ჩაითვალოს, თითქოს მიწიდანო, გრაფი ამოიზარდა. შავი ფრაკი ეცვა, წელში გამოყვანილი, რაც ისედაც მაღალს კიდევ უფრო მაღალს აჩენდა. ცილინდრი ეხურა – მაღალი და კუპრივით შავი. ეცვა აზიური უძიროები, წელზე დამასკური მახვილი ერტყა.

დამინახა და მაღლა აწკიპა მარჯვენა წარბი. სავარძელზე მიმანიშნა. მეც ჩავჯექი შიგ, თითქოს ჩემი ფიქრის სავარძელი ყოფილიყოს. და ძილმაც წამომიარა ამ დროს, მაგრამ მაინც მოვასწარი, იქ მყოფთათვისაც შემევლო თვალი. ისინიც ჩემნაირ სავარძლებში თვლემდნენ. მივექანებოდით თითქოს სადღაც, კინაღამ ამერია გული და შევწუხდი. წუხდნენ დანარჩენებიც: ძილბურანიდან ნელ-ნელა გამოვდიოდით, მაგრამ ვიგრძენი უნებლიეთ, რომ ვფიქრობდი... დანარჩენებს არა მგონია, ფიქრის თავი ჰქონოდათ და ლალი-შაქირას შეგონებაც გამახსენდა: „ისეც ნუ ჩაგეძინება, ვეღარ გააცნობიერო, რომ იძინებ და ძილ-ღვიძილს შორის არსებული წამიერი ზღვარიც ვერ დალანდო... ის წამი, წამიერი გაელვება, როცა არც გღვიძავს და არც გძინავს. უნდა შედგე იმ წამ-წერტილში და კიდევ ერთხელ გაიხარო, რომ ხარ და ხარ ერთადერთი!“

დავასრულე ჩემი ფიქრ-მონოლოგი და ლალი-შაქირაც გამომეცხადა:

„გეშინია თითქოს, რომ ეს ყველაფერნი შენი ინიციატივით ხდება... შენი ფიქრიც წავიკითხე, ძიავ, ჩემკენ მომართული და კიო, მაშინვე გითხარი, რადგან ვიცი გრაფის შესაძლებლობები. გრაფთან თუ ვერ შეიძენ, არც დაგეკარგება. მთელი ამ გამოცდის დროს შენთან მიგულვე, განსაკუთრებით დაღდასმისას. ყურადღება, ნოე! გამოცდის მორიგი საფეხურები იწყება. გრაფმა ვერ უნდა იგრძნოს ჩემი აქ ყოფნა... აჰა, წრეც შემოვიწერე ირგვლივ. გრაფი ვერ დამინახავს, უხილავი ვარ მისთვის. ვერავინ მხედავს, თვითონ კი ყველაფერს ვხედავ. ხილულია ჩემთვის სამყარო! მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი დანახვა. აბა, ყურადღება: ჩაღრმავდი შენსავ თავში! გრაფი მედიტაციას იწყებს!“

სმენა და გაგონებაო, მხრებში გაიშლება გრაფი, გაირინდება და წერტილად იქცევა. უცებ, ხელს აწევს მაღლა და გაირინდება. მერე უცებ, თითქოს სადღაც მიეჩქარებოდესო, სავარძელში ჩაძინებულთ მიუბრუნდება და ბრძანებს: – თქვენ გძინავთ! შეიძლება არც გეძინოთ, მაგრამ არ უნდა გესმოდეთ... კითხვა გაგიჩნდეთ და ვერ იკითხოთ! არც გეყურებოდეთ და ხმა ვერ ამოიღოთ! მაგრამ ჩემს ყოველ მოძრაობაზე უნდა რეაგირებდეთ! იქნებ პასუხიც გქონდეთ, მაგრამ დუმხართ! მერე: რასაკვირველია, უსიტყვოდ

გასწევთ გასასვლელისკენ. ახლა კი მედიტაციის მეორე ნაწილი! – ხმა ჩაუვარდაო თითქოს, დადუმდა. ასე იყო ნახევარ წუთს და აქოშინდა, სულს ძლივს ითქვამდა, ჭაობიდან ამოდიოდესო თითქოს და ალაპარაკდება მოულოდნელად: – მზის ამოსვლის დროა... მოწანწკარებს წყარო. უბრალო წყაროც არ გეგონოთ?!

პეშვი შეუშვირეთ მოწანწკარე წყალს! წვეთიც არ უნდა დაიკარგოს! შესვით! უბრალო წყაროც არ გეგონოთო! შესვით?! ახლა კი იცოდეთ: თქვენ ცხრა წყაროს წყალსა სვამთ! წყალი-ნექტარი, ღმერთების სასმელი! ბოლომდე, ბოლომდე შესვით! რაო, ველარ მორევიხართ?! ერთი, ორი... ხუთი, ექვსი, შვიდი... ათი... თავისუფალი ხართ ყველა! გასასვლელისკენ, იარ! მშვიდობით!

დაწუნებულები ტოვებენ გრაფის უსასრულო დარბაზს.

– თორმეტიც ველარ დარჩით? სამწუხაროა... მე თორმეტი შეგირდი მჭირდება ჯერჯერობით... მჭირდებოდა კი ერთადერთი, მაგრამ გადავიფიქრე! ორი მერე შემოგიერთდებათ. თუმცა... ჰო, სათითაოდ მოდიხართ ჩემთან თვალდახუჭულები. აბა, ეს ბოლო აკორდიც და...

ჩვენც ერთიმეორის მიყოლებით ჩავუვლით გრაფს და კიდევ რამდენიმე გამოეთიშება მარათონს.

ახლა: ჩაჯექით თქვენ-თქვენს სავარძლებში და: გაძლევთ ყოველგვარი ქმედების უფლებასაც და საშუალებებსაც: – წარმოისახეთ ის, რაც მოგესურვოთ. გინდ იცეკვეთ, იმღერეთ თუ გნებავთ, იტირეთ, თუ გეტირებოდეთ... მოკლედ: რაც გინდათ, ის ქენით! როგორც საჭიროდ ჩათვალოთ. მთავარია, შეჰყვეთ თქვენ-თქვენს ფიქრებს და.. მოწყდეთ აქაურობას! მაგრამ იქაურობის მონა-მორჩილადაც არ იქცეთ. თქვენ ხომ ჩემი სკოლის შეგირდები ხართ და... მომილოცავს! მოსალოცი კი ნამდვილად გაქვთ! მაშინ რაღა საჭიროა ეს ბოლო აკორდი? მართლაც ლოგიკური კითხვაა, მაგრამ მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ლოგიკურობის ჩარჩოდან ამოგრეკოთ. ჩვენი ხელობა გამორიცხავს ყოველგვარ ლოგიკურს, მაგრამ ალოგიკურსაც გამოვრიცხავ ჩვენს პროფესიაში! – ტაში შემოჰკრა და ჩვენც წამოვიჭრებით ჩვენ-ჩვენი სავარძლებიდან. მეცადინეობა ხვალიდან დაგეწყებათ! მოხვალთ ზუსტად თორმეტ საათზე, არავითარი უზუსტობა! დაგაგვინადა? ტოვებ ჩემს სკოლას, ადრე მოგივა მოსვლა და მაინც დატოვებ აქაურობას!

ხელი დამიქნია; მივედი ახლოს და გაიცინა: თინიკოსა და შენი გეგმა, როგორც ხედავ სულაც არ ემთხვევა ჩემსას... მიიღებ ჩემს გეგმას?

– მე ვრჩები თქვენს სკოლაში, – ვუთხარი.

– საოცარია... მთელი ამ ექსპერიმენტის მსვლელობისას თვალი ერთხელაც ვერ მოვკარი ლალი-შაქირას, მაგრამ ვიცი, რომ მონაწილეობას იღებდა ჩემს ექსპერიმენტში... და ესაა, რომ მაფიქრებს. რა ვქნა, ვერ ვიტან, როცა ჩემს გარეშე ვითარდებიან მოვლენები... – ფრაკი შეისწორა, ცილინდრი მოგვიხადა, დიდი მადლობა თანამშრომლობისთვისო, დაგვიკრა თავი და გაუჩინარდა.

და არც დარბაზი იყო სადმე და აღარც – ჩემი სავარძელი.

ვიდექი ტბის პირას, ვიდექი ისე, უბრალოდ და არაფერსაც არ ველოდებოდი. ვიდექი მართლა უბრალოდ და უმიზეზოდ...

„უყურე, უყურე ტბას, თვალი არ მოაცილო!“ – მეუცნაურა ლალი-შაქირასეული ბრძანება-არბრძანება, თვალი არ დაგიხამხამდესო“.

მეც: გავყურებ ტბას თვალდაუხამხამებლად და სასწაულიც თუ გნებავთ: ისე ამიორთქლდა თვალწინ მთელი ეს ტბა, რომ იმის გააზრებაც ვერ მოვასწარი, ასე დაჟინებით რატომ ჩამჩიჩინებდნენ თვალი არ მოაცილოო ტბასო. ვერაფერი გამეგო. მაგრამ... წავიდა ერთი ფიქრი და მოვიდა მეორე: ქუჩა უკაცრიელი: მივაბიჯებ ჩაფიქრებული. ვფიქრობ... მაგრამ რაზე და როგორ, შეიძლება არც მაინტერესებდეს...

და მოულოდნელად მეცნო ქუჩაც და სახლიც.

სახლი ჩემი იყო და მელოდნენ შინ(!)

* * *

გრაფმა არდადეგები გამოგვიცხადა და სოფლისკენ გამიწია გულმაც. მაგრამ თინიკოს უნახავადაც არ მინდოდა ქალაქიდან გასვლა.

თინიკო კვირაზე მეტი იყო, არ მენახა და არც არაფერი ვიცოდი მასზე: „თუ მითხრა გრაფმა ამერიკაშია წასული, ხომ გავაფრინე მაშინ! არა და ვიცი, რომ იტყვის! იტყვის ჩემს გასაღიზიანებლად, იქნებ გამოსაცდელადაც. ამიტომ იყო: ასე დაძაბულიც ამიტომ დავდიოდი, თითქოს და: სუნთქვაშეკრულიც. აბა, ხომ ვერ ვკითხავდი გრაფს, შენი თინიკო მომენატრა და მის ადგილ-სამყოფელს ხომ ვერ მიმასწავლიო? იცოდა გრაფმა ჩემი და თინიკოს ურთიერთდამოკიდებულებაზე და ვინ იცის რას ფიქრობდა ჩემზე? ამას გამოაპარებდით გრაფს? გულში თუ ეცინებოდა ჩემზე. აქ ლალი-შაქირას სახემაც გაიელვა ჩემს თვალწინ და მოასწრო ეთქვა ჩემთვის: „ასე არაფერიც გამოგივა და გიჯობს ჭკუას მოუხმეო“.

შუბლი მიხურდა. ადგილს ვეღარ ვპოულობდი. ამ დროს ლალი-შაქირას გამქირდავი ფიქრიც მომწვდა და ლოყებიც შემიხურდა.

„შენ მართლა გყვარებია, ძიავ...“ – ფიქრიც აქ დაუმძიმდა, – ძალვან კაი! ვხედავ: სულ ტყუილად გისწავლია შენ სხვისი აზრ-ფიქრის კითხვა. ადექი ახლა, ძიავ და გაუგზავნე შენი დაკოჭლებული ფიქრი იმ შენს გოგოს. ვიცი, გერიდება, მაგრამ არც მთლად ასე მორიდებულობა ვარგა! ვინმე სხვა დაგასწრებს... დღესვე, ახლავე შეახსენე თავი, გაუგზავნე სურვილი-ფიქრი... შეატყობინე, რისი თქმაც გინდა, თხოვე, გამოვიდეს და გამოვა სახლიდან. სადარბაზოსთან დახვდი... უმჯობესია სადარბაზოს შესასვლელში, მარცხენა მხარეს. მერე თავისთავად მოხდება ის რაც საჭიროა და აუცილებელი!

– მერეო? სუნთქვა შემეკრა აღელვებისგან.

„სოფელში ჩამოხვალ, ძიავ. ჩემი დრო გადის და შენი დრო იწყება! ეს დრო არ უნდა გაუშვა ხელიდან, არ უნდა ამოვარდე სამყაროსეული რიტმიდან, თორემ... ვეღარ იპოვი ვერც შენს დროს და ვეღარც შენს ადგილს... ფეხი შეუწყვე დროს... ხომ გესმის დროის წიკწიკი?! ეს მისი რიტმია! სამყაროსეული მაჯისცემა! ააყოლე ფეხი... გულიც ისე უნდა გიცემდეს, როგორც სამყაროს... ნოე, ჩაჯექი იმ რიტმში. ჰო, ასე: ახლა შენი ფიქრის სავარძელიც მიიჩოჩე ახლოს, ჩაჯექი შიგ, მაგრამ არ ამოვარდე რიტმიდან, არც აგიჩქარდეს რიტმი და არც შეგინელდეს! მუსიკალური სმენითაც ამიტომ დავუჯილდოებივართ, ძიავ, მამაზეციერს! რიტმი, რიტმი... და: გესმის საოცარი, ჯადოსნური მელოდია, შემოდის შენში... ამ მელოდიად უნდა იქცე! გულისცემა: ეს სისხლის ჩქროლვაა: ერთი, ორი, სამი, ოთხი... ხუთი ექვსი, შვიდი, რვა!

ვზივარ ფიქრის სავარძელში და: თინიკო გამომიჩნდება ამ დროს.

თავისი მოლისფერი თვალებით შემომყურებდა და იღვრებოდა იგი ჩემს თვალწინ. აჰა, ის წამიც და მინდვრად გაიტალღა! თვალუწვდენი იყო იგი მინდორი!

და: მესმის მინდვრის სიმღერა.

შეტოკდება უეცრად ეს მინდორიც, აიკეცება და დაიგორგლება. შეიკვრება და: ენერგეტიკული გუნდაც მზადაა (ეს გუნდა ფიქრით და სურვილით თუ შეიკვრება მხოლოდ), ჩემი აზრ-ფორმა: „მე შენ მიყვარხარ, თინი და როგორღა შევძლო მე უშენობა?!“

ამოვცარიელდი აზრ-ფიქრებისგან: აღარ ვფიქრობდი, აზროვნებითაც აღარ ვაზროვნებდი. აღარავინ და აღარაფერიც აღარ მინდოდა თინიკოს გარდა(:)

აღარ მახსოვს, როგორ და წამოვმდგარვარ თურმე ფიქრის სავარძლიდან და უსიტყვოდ გამოვსულვარ სახლიდან. გონს გრაფის სახლის წინ მოვსულვარ და სადარბაზოში, მარცხენა მხარეს ავყუდებულვარ... მომიახლოვდა თინიკო და ხელი ჩამომართვა. გულიც აღარ მიძგერდა ისე მოხშირებულად. თინიკომ კი თვალი ვერ გამისწორა და განზე გადგა. ღელავდა. თვალებიც აელვარებოდა (წამით) და მერე: ელვის საბურველში გაეხვია.

იწოდა?

იწოდა და არც იწოდა!

ოღონდაც: ემატებოდა ბრწყინვალება და იცრიცებოდა თითქოს, მაგრამ არ ილეოდა.

ბოლოს: გამჭვირვალეა სულაც და ჰაეროვნებაც ემატება სულ უფრო და უფრო. თითქოს ახალი ზღაპარი იწყებოდესო.

„ხელი, მოკიდე, ნოე, თორემ... სანამ გაილეოდეს, შეეხე ხელით!“ – გავიგონე ლალი-შაქირას ხმა და მაჯაზე წავეტანე თინიკოს. შევეხე და მიწაზეც დაეშვა. ხელი რომ არ წამევლო მისთვის, შეერეოდა სივრცეს და დაიფერფლებოდა სადღაც სივრცეში.

მივიკარი მკერდზე და ასლუკუნდა. მისი მღელვარება მეც გადამედო.

თვალებში ჩავხედე:

მიდიხარო? მკითხა და თვითონაც კითხვად იქცა: – ლალი-შაქირასთან?

– მიხმობს ლალი-შაქირა... ევლია მეძახის, – გულაძგერებულმა ამოვთქვი.

– ევლია – ლალი-შაქირა – ევლია... – ამბობს თინიკო, – მესიზმრა ერთხელ მე შენი ევლია და მიწინასწარმეტყველა: „ნოეა შენი ბედი! ეს უკვე გადაწყდა მაღლა! ამას ვეღარავინ შეცვლის! ღვთაებრივია ეს გადაწყვეტილება და იმიტომ!“

შეიძლება მომავალსაც ჭვრეტდა ლალი-შაქირა და ამასთან: ყველაფერი კაი ემეტებოდა ჩემთვის. თავისთვის არც არაფერი ნდომებია და ასე ცარიელ-ტარიელიც ამიტომაა. ლალი-შაქირა თითქოსდა, ამინდსაც ქმნიდა და აზრიც კი მომივიდა ერთხელ, რომ ქარის გამოწვევაც კი შეეძლოო. იქნებ, ის სანტიაგო ბიჭი, ქარად რომ იქცა ერთხელ, ლალი-შაქირაა, ჩემი ევლია, რომელსაც ყველაფერი შეუძლია, რადგან უსაზღვროდ უყვარს!

ლალი-შაქირას არც შეუძლია სიძულვილი!

იგი სიკეთეს იქმს, მხოლოდ სიკეთეს...

* * *

ვზივარ ჩემი სოფლის სამარშრუტო მიკროავტობუსში და თინიკოზე ვფიქრობ.

თინიკო: „მესიზმრა ერთხელ ეს შენი ევლია – ლალი-შაქირა და მიწინასწარმეტყველა: – ნოეა შენი ბედიო და გული შემიქანდება: „არ იყო ლალი-შაქირა ამის მთქმელი: შეუძლებელია ლალი-შაქირა ყოფილიყო! მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო მაშინ? ლალი-შაქირასაც როგორ ვკითხო?“ – კი ვფიქრობდი ასე, თითქოს და არც ვაპირებდი ლალი-შაქირასთან დაკავშირებას, მაგრამ ფიქრს თავისით გაეკვლია გზა მისკენ.

„მარშრუტკა“ ჯერაც არ დაძრულიყო ადგილიდან, რომ ჩემი ოსტატის გუნდად შეკრული ფიქრი ამიწრიალდა თვალწინ, მერე გაიშალა ეს გუნდა და დასრულებულ წინადადებად გადაიქცა: „ნოე, დღეს ნუღარ წამოხვალ, ასეა საჭირო. თინიკოსთან დარჩი! იმას უფრო ჭირდები!“

„მარშრუტკაც“ დაიძრა ადგილიდან და შეშლილივით წამოვიჭერი, გააჩერეთ, გააჩერეთ, ყვირილი ავტეხე.

რა გაყვირებსო, შემომიბღვირა მძღოლმა, მგზავრებს რატომ მიფრთხობო?

– არ შეიძლება დღეს ჩემი ქალაქიდან გასვლა... თქვენ არაფერიც არ გემუქრებათ ცუდი... ეს: მე არ უნდა დამეტოვებია ქალაქი, სულ ეს არის! – ავუხსენი მძღოლსაც და მგზავრებსაც. ამასობაში ქალაქსაც გავცდით.

საშიში არაფერია, ხალხო... – დაამშვიდა მძღოლმა მგზავრები. მოსახვევს გავცდით და მანქანაც გააჩერა.

– მგზავრობის ფულს აღარ გიბრუნებ, იცოდე! დადექი, ძიავ... სულ ასი მეტრი რჩება ქალაქამდე და ფეხით თუ გეზარება სიარული, ქე დაჯექი ქალაქისკენ მიმავალ „მარშრუტკაზე“ და ჩაგარიხინებს ქალაქში.

ზევიდან მომავალი მარშრუტკაც გაგვისწორდა და დადგა.

– ამ ბიჭს ქალაქში... ავტოსადგურში ჩაიყვან და ბილეთის ფული არ გამოართვა, მერე გავსწორდებით! – ეტყვის მძღოლი მძღოლს.

მეც ვბრუნდები ქალაქში: გული წინ მიმისწრებს. ახლაც ჩამწივის ყურში ლალი-შაქირას ფიქრის ხმა, დღეს ნუღარ წამოხვალ, თინიკოსთან დარჩიო, იმას უფრო ჭირდებიო...“ მიზეზი ამისა აღარ უთქვამს, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ ლალი-შაქირა სიტყვას ტყუილუბრალოდაც არ გაატანდა ქარს.

გული მართლაც რომ ამოვარდნაზე მქონდა.

მერე და: დროც შეჩერდაო თითქოს. ადგილზე არ ვიდექით, მაგრამ მივზოზინებდით. კუს ნაბიჯებით ვუახლოვდებოდით ავტოსადგურს.

რა აღარ ვიფიქრე: თითქოს მანქანამ უნდა გაიტანოს თინიკოო, ან მეთორმეტე სართული-

დან აპირებდესო გადმოხტომას... ო, ეს ფიქრები?! მაინც საიდან ამდენი უჟმური ფიქრი და ყველა ჩემდა სავალალოდ გამოტყორცნილიყვნენო თითქოს.

და მაინც: გაილია გზის ეს მონაკვეთიც და თავპირისმტვრევით გავრბივარ გრაფის სახლისკენ. იქ მეგულება თინიკო. ზედ სადარბაზოს წინ დიდი საბარგო მანქანა იტვირთებოდა ავეჯითა და სხვა ბარგი-ბარხანით...

დამინახა თინიკომ და გამოექანა ჩემკენ.

რა მოხდაო, ვკითხე. სულს ძლივსღა ვითქვამდი.

– გადავდივართ აქედან. გრაფს სამსახური შესთავაზეს...

– შენ, თინიკო? – თვალი მოვხუჭე პასუხის მოლოდინში.

– ერთიღა დამრჩენია ქომაგად და... ჩემს მეურვედაც ის რჩება და... ამ უფლებასაა, რომ იყენებს, წინააღმდეგობის გაწევას არ ვაპირებ, სრულწლოვანებამდე...

– სამსახური შესთავაზესო, მითხარი...

– დედაქალაქში... უშიშროებაში... – ცრემლი მოერია თინიკოს და ამ დროს დაუძახებენ შეწუხებულს: – აგერ ჩემი მისამართიც... თბილისი... – დაჭმუჭვნილი ქაღალდი ხელში ჩამიდო და აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, ხომ არ შევუნიშნივარ გრაფსო და გრაფს რომ ვეღარსად მოჰკრა თვალი, ხმამაღლა მითხრა: – თბილისში ვიქნებით...

შეიმშრალა ცრემლები.

„ჩემზე ფიქრობდა და მელოდა...“ – ჩამითრია ფიქრმა, – გაეცლება გრაფი აქაურობას, მაგრამ ვის გაურბის? რაო, ერთ სიბრტყეზე ვეღარ დაეტევიან გრაფი და ლალი-შაქირა? მაგრამ ლალი-შაქირა რომ არ ებრძვის გრაფს?

ვერ იტანს გრაფი ლალი-შაქირას, ვერც მე ავუტანივარ თინიკოს გამო... ჩვენ გაგვირბის! კიდევ ბევრი რამის ცოდნაა საჭირო, რომ გამოვიცნო ეს გამოცანა. ბაიბურში არ ვარ!“

– ნოე, ნახვამდის! – მეძახის თინიკო, – იქნებ მშვიდობითო, – თავისთვის ჩაილაპარაკებს, მაგრამ ეს სიტყვები ფიქრივით მოვიდა და ნელ-ნელა მშორდება.

– ერთხელაც რომ მოიხედავდე, თინიკო, – ვინატრე და მართლა დამიქნია ხელი. ფიქრიც გამომიგზავნა, მაგრამ ყურადღება გაფანტულმა ველარ წავიკითხე მისი ფიქრი.

შემეძლო დავდევნებოდი, მაგრამ აღარ ვინდომე: არა იმიტომ, რომ მეშინოდა გრაფის. თინიკო მაინც შეიბრალეო, გულმა თუ მითხრა.

აღარც გრაფის დანახვა მინდოდა. არ მინდოდა და მორჩა!

(ზოგჯერ: გინდა და ვერ აგიხსნია, რატომ; არ გინდა და ვერც ეს აგიხსნია).

* * *

„წასულა შენი თინიკო! – გამომძახებს ლალი-შაქირა, უსიტყვოდ, რასაკვირველია, – ეს უკვე სამწუხაროა: თანაგიგრძნობ...“ – ვგრძნობ დროს მაძლევს ფიქრისთვის და თვითონ ლალი-შაქირაც ჩაუთრევია ფიქრს, „როცა არ გინდა ამოიკითხონ შენი ფიქრი, ფრჩხილებში ჩასვიო“, იცის თქმა. საოცარია და მაინც როგორ ახერხებს იმას, რომ ასე გაუხმიანებლად გადმოგცეს თავისი სათქმელი?!

„ჰო, ძიავ... მაგრამ ისეც ნუ დაგემართება, როგორც მე დამემართა ერთხელ,“ – ახლაც უსიტყვოდ მეტყვის ლალი-შაქირა“. ასე წამივიდა მეც ის გოგო, ნოე... ახლა გერმანიაშია... ამას წინათ ჩამოსულა ჩემს სანახავად და მე აღარ დავხვედრივარ ადგილზე; ასეა კაცის ბედი! თითქოს: ველი მთელი სიცოცხლე და არაფერი გამიკეთებია მის მოსაძებნად. იქნებ: ასე ჯობდეს! რაც უფრო შორს ვარ იმისგან, უფრო მიყვარს... როცა გენატრება, უფრო გიყვარს... უფრო ნათლადაც ვხედავ და შევიგრძნობ. მაგრამ: ვთქვათ ვნახე და იმედი გამიცრუვდა, მაშინ?! როცა ასე შორსაა ჩემგან, ახლაც ისეთივეა ჩემთვის, რაც წლების წინ იყო, ლამაზი და განუმეორებელი, სული მშვენიერი და მფეთქავი... ახლაც შემომყურებენ მისი მოლისფერი თვალები“. ნისლში შეცურებულები, – თვალებზე ცრემლები მოდგომოდა ლალი-შაქირას, – მოლისფერი ვარსკვლავებივით მიციმციმებდნენო სადღაც შორეთში...

* * *

ვგრძნობ: მიხმობს ლალი-შაქირა და ამიწრიალდება სული.

ვაითუ, დამაგვიანდეს!

მაგრამ: რაში დავჭირვებივარ?

ჰოდა: საჭიროა წარმოვისახო ლალი-შაქირა: მძინარე, ფეხზე მდგომი, ახალგამოღვიძებული თუ... მნიშვნელობა აღარ აქვს, რა მდგომარეობაში წარმოვისახავ: საჭირო მდგომარეობა მივიღო და...

თვალს ვეღარ ვაცილებ სივრცეში გაბრწყინებულ წერტილს ლალი-შაქირას: მუხლებზე უდევს ხელები და მე შემომჩერებია.

ჩვენ ვხედავთ ერთმანეთს:

და ელის ჩემს პირველ კითხვას.

„შენ მე მიხმობდი," ვეკითხები.

„ჰო, მოგიმხობ..."

„მიხმე ერთხელ და გზიდან გამომაბრუნე..." – ვუსაყვედურე ლალი-შაქირას.

„შენ რომ „მარშრუტკაში" დარჩენილიყავი... უფსკრულში გადაიჩეხებოდით და... ყველა დაიღუპებოდა... შენს გარდა და... ვეღარასოდეს მოინანიებდი... არ იქნებოდი მარშრუტკაში, და მარშრუტკაც მშვიდობიანად ჩააღწევდა სოფელში;... ახლა კი აუცილებლად გამოემგზავრე, მაგრამ შუადღის მარშრუტკით. ავტოსადგურიდან პირველის თხუთმეტ წუთზე გამოდის. არ დაიგვიანო! დაიგვიანებ და ჩათვალე: ეს დღე დაკარგულია შენთვის! დაკარგული დღე კი ტრაგედიის დასაწყისია... ეს იგივეა, მდინარეში ორჯერ შესვლის თაობაზე რომ აქვს ნათქვამი ჰერაკლიტეს..."

„სულ ეს არის?" – ვკითხავ შეფიქრიანებული.

„ეკლესიიდან სანთლები წამოიღე და კიდევ: ერთი შეკვრა წითელი სანთლები... წითლები რომ არ იყოს, ლურჯები წამოიღე. თეთრებსაც რომ წამოიღებდე, ურიგო არ იქნება. ჩემს გამოქვაბულში ვართ შესასვლელი, დანარჩენს ადგილზე გეტყვი.

მეც: თავი დავუკარი ლალი-შაქირას, მაგრამ აღარ წამოვმდგარვარ, დაველოდე: სანამ თვითონ ლალი-შაქირა წამოდგებოდა.

ლალი-შაქირაც ნელ-ნელა გაილია სივრცეში და მედიტაცია დასრულებულად ჩავთვალე.

კედლის საათს ავხედე: თერთმეტი დაწყებულიყო.

უნდა ავჩქარებულიყავი.

პირველად ეკლესიაში მივედი და სანთლები შევიძინე, მერე: ხუთი წუთი გუმბათქვეშ ვიდექი. თავს იესო დამყურებდა და: ვმშვიდდებოდი თანდათანობით. აღარც ვფიქრობდი: თითქოს ეკლესიაც გაქრა ჩემი ცნობიერებიდან, უსასრულობას შევუერთდი და იესოს ხმაც მესმა: – შენ ჩემთან ხარ... ჩემში!

ფიქრიც მოვიდა: ვფიქრობდი გუმბათქვეშ... მერე ფიქრიც გამიმკრთალდა და სულაც გაილია.

და მესმა ისევ: მეც შენთანა ვარ... შენში! ახლა კი წადი, შენ გიხმობენ!

გამოვდივარ ეკლესიიდან (პირჯვრისწერით).

ჩვეულებრივი სანთლებიც ვიშოვე: წითლები, ლურჯები... თეთრები-რძისფერები და სანთლისფერებიც...

მაგრამ ფიქრმა შემაჩერა უცებ: „იქნებ მეჩვენება ეს ყველაფერი და... ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი?! საუბარი შორს მანძილზე... იქნებ არც შემდგარა ეს დიალოგი?!"

„ეჭვი შეგპარვია, ჩემო იმანო? სწორედ ეს აღარ მომწონს! სადაც ეჭვია, იქ ჭეშმარიტის ძიებაც აბსურდია! და მარცხიც გარდაუვალია!"

მინდოდა მეპასუხა და სირვცესაც გააკანკალა. მერე დალაგდა ყველაფერი და ისევ აღვივსე რწმენით. საბოლოოდ მოვფხიზლდი და ავტოსადგურიც შემოიჭრა ჩემს ცნობიერებაში.

ავტოსადგურს ვუახლოვდები.

უკვე „მარშრუტკაში" ვარ და მივჯაყჯაყებთ აღმართზე. ფიქრს თავიდან მოვიცილებ (ფიქრი აღარ მინდა).

ძლივს, ძლივს აილია აღმართი.

„მარშრუტკა" შეჩერდა.

აგერ ლალი-შაქირაც. მოსაცდელ ოთახში ჩაფიქრებული იჯდა: ფიქრში წარმოჩენილი კაცისა თუ მოვლენის გარდა არც არაფერი არსებობდა მისთვის.

ჩემი სიახლოვე იგრძნო და წამოდგა.

„კაია, ძიავ, ამდენი სანთელი რომ წამოგიღია... ფერად-ფერადი... ყველა დაგვჭირდება გამოქვაბულში, იმ ერთის გარდა, ეკლესიიდან რომ წამოგიღია. ეს ერთი გადაინახე.

პირს გამოქვაბულისკენ ვიზამთ.

და ისე გავვლეთ მთელი ეს გზა, რომ არც შემიტყვია.

ეს (ჩემთვის უპირველესად და ალბათ, ლალი-შაქირასთვისაც) თვალისდახამხაება იყო, მაგრამ დრო იყო მაინც.

მზის ჩასვლამდე ქვეყანა დრო გვრჩებოდა, მაგრამ გამოქვაბულში უკვე ბნელოდა.

„ჯერ ეკლესიის სანთელი...“ – მეუბნება ლალი-შაქირა და მოვუკიდებ სანთელს. სიბნელე დღის ბინდივით ირხეოდა. არ ციოდა.

„აგერ ამ ქვაზე ჩამოჯექი და პირი სამხრეთისკენ ჰქენი! ახლა ჩვეულებრივი სანთელიც წამომინთე! ახლა წითელი... ჰო, წითელი! – თვალებზე აიფარა ხელები, ახლა ჩააქრე ის თეთრი-რძისფერი და... სანთლისფერი წამომინთე... – გადმომილაპარაკა უსიტყვოდ, მაგრამ ისე, თითქოს მაღლა, რამდენიმე საფეხურით მაღლა მდგარიყოსო, – ლურჯი სანთელიც წამომაშველე... ათამდე ვითვლით ორივე და... აქრობ ამ სანთელს...“

ეკლესიის სანთელიღა ენთო.

„სანთლის ალს თვალი არ მოაცილო, უყურე ჩამთავრებამდე... „ჩაძინებამდე“... ჰო, ჩაძინებამდე!“

ალბათ ჩამთავრდება, ჩაიწვება სანთელი და ჩამეძინება.

„ჰო, ჩაიწვება და ჩაგეძინება“.

და ძილიც მოდის: ნელ-ნელა, მაგრამ მოდის მაინც.

სადაცაა სანთელიც ჩაიწვ-ჩაიფერფლება.

თვალებში ვარსკვლავები ჩამბრჭყვიალებია და ამ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავიდან მეფური იერ-სახის ჭაღაროსანი გადმოაბიჯებს, ვარსკვლავის კიბე-ბილიკით დაეშვება ქვევით.

„ვიცი მე უკვდავი სული, მაგრამ ჩემშიც ზის ის ურწმუნო თომა და მაიძულებს, ეჭვი შემეპაროს ჭეშმარიტებაში. იქნებ გამიქარწყლოთ ეს თომასეული ეჭვი...“ – გავბედე და ვკითხე.

„გჯერა სულის უკვდავების, უკვდავი ხარ მაშინ! არ გჯერა და მოკვდავი ხდები... სიკვდილსაც იმ წუთიდან იწყებ! მთავარია გწამდეს, უნდა ირწმუნო!

მესმა ჭაღაროსნის შეგონება და ჩამიმთავრდება ფიქრიც. თუმცა ვგრძნობ: ჭაღაროსანი არაფრით შეჩერდება ამაზე!

– თუკი უკვდავი სული გიდგას, გაიზიარებ კიდეც ამ უკვდავებას... მარადისობას... – ამოვიკითხე დიდი ჭაღაროსნის ფიქრი.

– მაგრამ ამაზე უფრო ღმერთი მაინტერესებს... მოძღვრება ღმერთზე, სულზე...

– გწამს ღმერთი, შენთვისაც გადაიფურცლება „სულის მოძღვრების“ წიგნი. უნდა ირწმუნო! რწმენა გადაგარჩენს! ირწმუნებ ღმერთს და შენი მფარველიც ხდება იგი. აღარ მოგაკლდება მისი წყალობა, და კიდევ ერთი კითხვა შეგიძლია დამისვა.

– კიდევ ერთი კითხვა? ვინაა ლალი-შაქირა, ევლიას რომ ეძახიან ამ მხარეში? ევლიაო...

– ლალი-შაქირა... ევლია... – წამით ჩაფიქრდა ჭაღაროსანი – კაცი-ვარსკვლავი: – ღვთის კაცია ლალი-შაქირა... დიდი მასწავლებელია ევლია, მისი მასწავლებელი კი ელიაა. შენხელა იქნებოდა, ლალი-შაქირას რომ გამოეცხადა, დანარჩენი თვითონც იცი...

მაგრამ პასუხმა ვერ დამაკმაყოფილა და გულაძგერებულმა, ამ კითხვის ირგვლივ ხომ არ შეიძლება უფრო ჩავღრმავდეო, ვიკითხე და ოფლი გადამასკდა იმის შიშით, ვაითუ ამომწურავი პასუხი ველარ მივიღოო.

– იკითხე და ჩაღრმავდი... – წარბი აზიდა ჭაღაროსანმა, – მკითხე, სანამ დროა და... სანამ გადავიფიქრებდე.

– მე უფრო... ამ წუთისოფლიდან გადასული ლალი-შაქირას იმქვეყნიურ ყოფაზე მინდოდა მცოდნოდა...

– ჰმ... და... – გაეღიმა ჭაღაროსანს, – ბევრი მოგდომებია... მაგრამ მაინც გეტყვი: ლალი-შაქირა, იგივე ევლია, ვარსკვლავეთს უნდა დაუბრუნდეს, რათა თქვენი წუთისოფლიდან გადმოსულ სულთა მეგზური გახდეს. დიდი მისია

დაეკისრება ლალი-შაქირას. ქარონზე გსმენია, ალბათ...

– ქარონზე წამიკითხავს ბერძნულ მითოლოგიაში... მაგრამ ვინა ვარ მე, თავის შეგირდად რომ შემარჩია ლალი-შაქირამ?

– ამის გასარკვევად მთელი სიცოცხლე გიდევს წინ, მაგრამ ეს უკვე ახალი ფურცელია სამყაროს მატიანოგრაფიაში. იგი დასაწერია, მაგრამ დაწერამდე გასააზრებელ-გასაცნობიერებელი. ჟამთააღმწრელიც თვითონ იქნები! – თქვა კაც-ვარსკვლავმა და მაღლა აიწია (მიწაზე აღარ იდგა უკვე), ნათელში გაეხვია და შეერია სივრცეს.

„მე ვარ ცხოვრება, მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე!“ – საოცარი მელოდია დაირხა და ამღერდა სივრცე...

* * *

– ევლიაااااა, ევლიაااა...! – გამომაღვიძა შორეთს იქით შორეთიდან გადმოძახილმა.

* * *

თვალები ამოიფშვნიტა ლალი-შაქირამ და უხუცესმა გაიელვა მის თვალწინ. შეცბა: ამას წინათაც ეზმანა უხუცესი სოფლის.

ზმანებაარ, გაიფიქრა ლალი-შაქირამ და ხელი აუქნია უხუცესის აჩრდილს, ჭერიდან რომ გადმოჰყურებდა: „თითქოს ფერმკრთალდებოდეს...“ – გაუელვა და შეაძაგძაგა, – ფერი მისდიოდესო თითქოს... – ფიქრმა შებოჭა: „ამაზე ფერმკრთალი კაცის მნახველი, ძიავ, მე არ ვარ და... სიცოცხლე აღარ იგრძნობა ამ კაცში, ჯერ შეიძლება არა, მაგრამ მალე გადავა ამ წუთისოფლიდან...“ – ეს ფიქრიც გადაუვიდა და ამან შეაკრთო. ჩრდილიც გადასულიყო და ისევ მოუხმო უხუცესს.

ჩრდილიც ისევ აკანკალდა ჭერზე და გისმენ, ლალი-შაქირაო, გადმოსძახა:

წინანდელზე ფერდაკარგული (იქნებ ფერწასულიც) ეჩვენა: „არა, ეს არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ რომ ხდება? თითქოს ჩემი სურვილით ხდებოდეს. სასიკვდილოდ გამზადებულა, არ მინდა ამ კაცის სიკვდილი! მაგრამ (ო, ეს გულისგამაწვრილებელი „მაგრამები“)... ვინა ვარ მე, რომ... კაცის სულს განვაგებდე?! ლალი-შაქირაი – ერთი უბირი ვინმე, ყარიბი მოხეტიალე „კარდაკარ რომ დავდივარ, გლახა... ღვთის გლახა! და მაინც მე – ლალი-შაქირამ უნდა ვთხოვო უზენაესს, რომ გაუხანგრძლივდეს უხუცესს სიცოცხლე,“ რადგან ჭირდება ჯერჯერობით უხუცესი სოფელს!“ – ინატრ-ითხოვა და უხუცესსაც გაუხანგრძლივდა წუთისოფელში ყოფნის ვადა.

ეს ამ რამდენიმე ხნის წინ მოხდა.

დღეს კი: ლალი-შაქირას წარმოსახვაში ისევ გამოჩნდება უხუცესის გაფერმკრთალებული სახე და თვითონაც წაუვა ფერი: „და მაინც ის პირველი უნებლიე, მაგრამ წრფელი სურვილი ამისრულდა მაშინ... არ გამაწბილეს, მაგრამ მაგრძნობინეს, რომ უფლის საქმეში „ხელის რევა“ არ მეგების და ვალდებულიც ვარ, რომ ყურად ვიღო გაფრთხილება... რადგან: დარწმუნებული ვარ, დავარღვიე ეგრეთწოდებული სიკვდილ-სიცოცხლის მდინარების კანონი და ჩემს უფლებებსაც გადავამეტე. ასეთი სურვილის უფლებაც კი არ მქონდა. ალბათ მარადისობის ბინადარი გახდება მალე უხუცესი...“ – დაასკვნა ბოლოს და ენის წვერი გაუმწარდა: – აგერ, ღვთის სამსჯავროც... უხუცესია, პირჯვარს რომ იწერს! – უცებ: ლალი-შაქირასკენ მოტრიალდება და ხმადაბლა ეტყვის:

– ლალი-შქირავ, ჭოვ, იცი, რა მაშინებს? მგონი მართლა უნდა მოვკვდე... ვკვდები ისე, რომ ვერ შემიტყვია, რაა სიკვდილი? ვერც სიცოცხლეს გავუგე რამე და: ვშიშობ: ვაითუ, არაფერი არაა სიკვდილის მერე – არარაობა... ნუთუ არ რა რაა სიცოცხლე?! – თავი უიმედოდ გადააქნია, – იქნებ ჯობდა სულაც არ გავჩენილიყავი!

„გონს მოდი, ჭოვ... სიკვდილ-სიცოცხლე, სიკვდილი ან უფრო სწორად: სიცოცხლე-სიკვდილ-სიცოცხლე – ეს მეორე ფორმულირებაა მთავარი და აუცილებელი! კაცი, ჭოვ, მარადსოფლიდან აქეთ, წუთისოფელში მოდის, წუთისოფლიდან კი ისევ მარადსოფელში გადადის... ახლა, შენზე მაქ ლაპარაკი. მოსულხარ საიდანღაც, ხომ ასეა?

მაშასადამე იყავი და მოდიხარ ჩვენს წუთისოფელში... თუკი არა ხარ, რაფერ გაჩნდები ჭოვ? წუთისოფლიდან კი მარადსოფელს უბრუნდები ისევ... რაა აქ, ძიავ, გაუგებარი?“

– ლალი-შაქირავ, ბელქი მართალს მეუბნებოდე და... დამშვიდებული, შიშის გარეშე მოვკვდებოდი მართლა ასე რომ იყოს...

„ჰო, ნუ გეშინია, ძიავ... – უნდა დამიჯერო!“

– ტყვილი არც როის გითქვამს, ჭოვ, და რაღა ახლა მომატყვილებ?! კი დაგიჯერებდი, მაგრამ რომ მეშინია მაინც?

„ნუღარ გეშინია... ჩვენი წუთისოფლიდან მარადსოფლის კარიბჭემდე მე მიგაცილებ. შენიანებიც იქ დაგხვდებიან! იციან შენი ამბავი და შენს შესახვედრად ემზადებიან...“

– ჭოვ, ხომ იცი, ამ ბოლო სიტყვებით მართლა გამიიოლე სიცოცხლის ბოლო წუთები... დიდი მადლობა! შენ ყოველთვის გიყვარდა ადამიანი!

„სიმშვიდე გმართებს, ძიავ... საშიში არაფერია...“

– კაი, ჭოვ, კაი... სული არ მევითქვი მართლა? კი იყავი ცოტა უცნაური და სოფელიც ისე გიყურებდა, როგორც... დელს არა, მაგრამ დელობამდე რომ არაფერი გაკლდა, ეს ყველამ ვიცოდით... ლალი-შაქირავ, ჭოვ, ვარიოღა კაცი იყავი ყოველთვის და რაღა წაგახდენს აწი?! ახლა ვხვდები ყველაფერს, ჭოვ... კაციც თურმე მაშინ ხარ, როცა გიყვარს... სიყვარული შეგიძლია... მაგრამ სინამდვილეში მთლად ამფრად რომ არაა, ამაში შენც დამეთანხმები! შეიძლება გიყვარდეს, მაგრამ გძულდეს კიდეც! მაი მთლად კაი არაა, მაგრამ ასე რომაა ამ დუნიაზე?! კაცი კი სიყვარულისთვისაა გაჩენილი ამ დუნიაზე! ლალი-შაქირავ, ჭოვ, მკითხე ერთხელაც: არის კი ისეთი ვინმე, რომელსაც ეყვარება ყოველთვის და აღარასოდეს ძულდეს?

„შენ, ძიავ, ...ისეთ კითხვას მისვამ, რომ მიჭირს პასუხის გაცემა...“

– იმედს ხომ არ მიცრუებ, ჭოვ? რატომ?

– ვერც ამაზე გიპასუხებ, ძიავ, მაგრამ ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ: კაცი უნდა ცდილობდე, რომ არ გძულდეს, მაგრამ თუ შეძლებ: საერთოდ გიყვარდეს ადამიანი და: ყველა სულიერი, ეს უმაღლესი ფუფუნებაა, ძიავ, კაცისთვის!

– რა კარგად ამბობ, ჭოვ, რომ იცოდე?! არც ვინ მძულვებია, თუკი ვერ მიყვარდა, ძიავ... მიხარია, რომ ბოლო წუთებში შენ გამომეცხადე, ლალი-შაქირავ... კიდევ ერთი კითხვა, ლალი-შაქირავ! ხშირად მსმენია, ჭოვ: ამ კაცს ღმერთი მოუკვდაო, რომ იტყვიან, ამაზე რაფრა მიპასუხებ?

„ჭოვ, კითხვას მთლად სწორად ვერ მისვამ, მაგრამ ვეცდები გიპასუხო: შეძლებისდაგვარად, რა თქმა უნდა! აქ ცდება, ძიავ, ის კაცი, ცდება და სცოდავს კიდეც: ღმერთი კი არ მოკვდომია კაცს, არამედ ღმერთს მოკვდომია კაცი! ასეა, ჭოვ, ეს ამბავი!...“

* * *

ლალი-შაქირას თავისი ჯვარი ჩამოეხსნა ზურგიდან და თვალდახუჭული კოცნიდა. მერე შეიჯვარა ისევ და წამოდგა: „ხომ თაყვანს ვცემ სახარებას... კანონიკურს და ზოგიერთ არაკანონიკურსაც ვცნობ... ღმერთო, შემინდე! მაგრამ რამაკრიშნას სახარებას რაღას ვერჩი?! ძალიან დამაინტერესა მარილის თოჯინას ამბავმა. მარილის თოჯინა არცაა ზღაპარი, მაგრამ იწყება ზღაპარივით... გინდა შენც იცოდე?!“ – უსიტყვოდ მკითხავს და თავს დავუქნევ.

და ლალი-შაქირაც იწყებს (უსიტყვოდ რასაკვირველია): „იყო და არა იყო რა... იყო ერთი მარილის თოჯინა. ერთ მშვენიერ დღეს ზღვას მიაშურა ჩაფიქრებულმა; აღარ იკითხავთ, ზღვასთან რა უნდოდაო? სიღრმე რომ გაეზომა ზღვის! ზონდი ეჭირა ხელში. შეავლო თვალი ოკეანეს და მისმა გრანდიოზულმა უდიადესობამ გააოცა... არა, არა: გააოგნა უფრო. აქ მოსვლამდე მარილის თოჯინა იყო. შევიდა წყალში და: ოკეანეს შეუერთდა. იგიც ოკეანე იყო უკვე, ოკეანესავით ძლიერი, გრანდიოზული. ჰო, ზღვის გარეშე თოჯინა იყო მარილის, მაგრამ მარილი ოკეანისეული და ოკეანეს დაუბრუნდა, აქამდე ინდივიდი იყო და უკვირდა, რომ მის გარეშეა ეს ოკეანე, მაგრამ მის წარმოსახვაში ეს

ოკეანე აბსტრაქცია იყო, აბსტრაქტულიც. მაგრამ შეუერთდა ოკეანეს და, ის ინდივიდუალურობაც დაირღვა, რომელსაც ასე უფრთხილდებოდა, მაგრამ შეიძინა რაღაც ახალი, რაც გაცილებით მეტი იყო იმ პირველ ინდივიდუალობაზე, ასე რომ ეამაყებოდა, მაგრამ ოკეანე, როგორც ფენომენი, ბოლომდე მაინც ვეღარ გაეაზრებია. ეს ახალი სადარდებელიც...

მაგრამ სადარდებელი სხვაც ჰქონდა, აწი ვეღარასოდეს ამოვიდოდა წყლიდან, რომ ოკეანის სიღრმეზე ეთქვა რამე... მაგრამ რა შუაშია აქ უხუცესი?! როგორ თუ რა შუაშიაო, ამოიძახა ლალი-შაქირამ: „უხუცესი ხომ მარილის თოჯინასავით იყო... მივა ოკეანესთან, მარადისობა, უსასრულობა რომ ჰქვია, შეერევა და: გაფართოვდება იგი მთელი ერთი კაცის სულითა და სულისმიერებით. აქ რეინკარნაციის კანონიც ამოქმედდება... იქნებ არც ბოლომდე იზიარებდე რეინკარნაციის კანონებს (ინდური გაგებით), მაგრამ კანონი სულთა გარადასხეულებაზე გენიალურია მართლა, ალბათ: ჭეშმარიტი...

შესაძლოა: მაღლიდან მოგეცეს ეს ყველაფერი და...

ხდება ასეც (!)

* * *

კიდევ ერთხელ აირევა მონასტერი საქართველოში...

პირველად ოვსნი გადგებიან განზე: „რატომ სამაჩაბლო და არა სამხრეთ ოსეთიო. მერე ამაზე შორსაც წავლენ: ცალკე ჩრდილო-ოსეთი ვინა თქვა და ცალკე – სამხრეთ ოსეთიო? გავერთიანდეთ, გავმთლიანდეთო. თუკი შევძელით ეს, ძაღლიც არ დაჰყეფს ოვსთა ბედსაო. და: ქართველმაც ვეღარ შეიკავა თავი (მაინც წამოეგო დიდი პროვოკატორის ანკესზე, რომლის სცენარიც დიდ რუსეთში დაიწერა! კიდევ რამდენი ასეთი ამაზე მნიშვნელოვანიც და უმნიშვნელოც დაიწერება აწი?!) და ომშიც ჩაება, რაც ძმათამკვლელი ომის სახელწოდებით შევა საქართველოს ისტორიაში (თავის საფერ ისტორიას, რასაკვირველია, წერდნენ ოსებიც!...)

* * *

ერთხელაც: ჩემი გადაწყვეტილების შესატყობინებლად მივედი ლალი-შაქირასთან.

მოწყენილი დამხვდა: „ნურაფერს მეტყვი“, – ხელით მანიშნა, ისედაც ვიცი ყველაფერი. ამას კიდევ ერთი უსიტყვო დიალოგიც მოჰყვა, რომელიც დეტალებში მახსოვს:

„შენ, ძიავ, მართალი უნდა იყო, მაგრამ მთლად მართალი აქ ვინ არის, ძიავ, შენ რომ იყო? ვინმე რომ...“

„შემომაკვდეს?!“

„მართლა რომ შემოგაკვდეს?!“

კითხვა უპასუხოდ დავტოვე.

„რაისთვის გამზადებდი და... თითქოს ადრეც ვიცოდი, დღეს შეიძლება არა, მაგრამ ხვალ მაინც დატრიალდებოდა ტრაგედია საქართველოში... მაგრამ თავს განგებ ვარიდებდი ამაზე ფიქრს. ამაზე უარესიცაა მოსალოდნელი! წინასწარ გაფრთხილებ: ომი აფხაზეთშიც დაიწყება და ვაი და ვუი, შენ, საქართველო!“ – აქ ჩაამთავრა ფიქრი და მივხვდი, პასუხს ჩემგან მოითხოვდა.

მეც აღარ დავახანე: შევყარე ჩემნაირი ბიჭები და ე. წ. „отделение“ მზად მყავდა სამაჩაბლოში გასამგზავრებლად. გასვლა ბათუმიდან: პარასკევისთვის დავგეგმეთ:

„გორში ჩახვალთ და...“ – ფიქრი წაიღებს ლალი-შაქირას და ბოლომდე ვეღარც მივყევი იმის შენიღბულ ფიქრს. თვითონ ლალი-შაქირა კი შეჰყვა იმ თავის ფიქრს და ვინ იცის, სულის რომელ კუნჭულში დარიალებდა ახლა, ვის ხვდებოდა და არ ხვდებოდა, ვის შეხვდებოდა მომავალში, რომ საჭირო ინფორმაცია გამოეტანა იქიდან.

მინდოდა ვყოფილიყავი მასთან: შემეძლო (თუკი მოვინდომებდი ძალიან და გავიჭირვებდი კიდეც) მივყოლოდი ფიქრით, მაგრამ ყურადღება აწმყოზე შემიჩერდება რატომღაც და ჩემი თვალსაწიერიდან ამოკარგულ ლალი-შაქირასაც როგორ ვიხილავდი?!

ამიტომაც იყო: უაზროდ შევყურებდი ქანდაკად ქცეულ ლალი-შაქირას, სიცოცხლის ნიშანწყალიც რომ აღარ ეტყობოდა და ბრაზი მომდი-

ოდა საკუთარ თავზე: „მითხრა, მაგრძნობინა, მომყევიო. მე კი წვრილმანებზე დამრჩენოდა თვალი. აბა, რას იფიქრებს ლალი-შაქირა ჩემზე? იქნებ გულიც აიყაროს ჩემზე. ხომ შეიძლება სულიც აღარ გადამიშალოს აწი. ახიც იქნება ჩემზე!“

„უუუჰ! ძლივს არ გამოვაღწიე იმ საკირეთიდან?!“ – გულისცემა მოხშირებოდა ლალი-შაქირას.

რომელი საკირეთიდანო?! ვკითხე და მევე მეუხერხულა ჩემი შეკითხვის.

„რომელი საკირეთიდანო და შენ მეკითხები ამას?! სამაჩაბლოს ჯანყით რომ შევა საქართველოს უახლეს ისტორიაში! შეიძლება ტყვედაც აგიყვანონ, მაგრამ...“

„მაგრამ სამაჩაბლოში აწი უნდა ჩავიდე...“ – გაკვირვებულმა ავიჩეჩე მხრები.

„ტყვედ აგიყვანენ ოსები და... ორჯერვე გაიქცევი ტყვეობიდან... მე შენთან ვიქნები და... ოღონდაც უნდა გამომყვე! მიყურე და მომყევი კვალდაკვალ. ბოლოს ცხინვალთან დაიჭრები. ოსებს მკვდარი ეგონები და გაგშორდებიან. მგლების ლუკმად დაგაგდებენ, მაგრამ, როგორც წესი, ყურის ბიბილოს აგათლიან და... ხევსურეთში მოკლულ ქისტს მარჯვენას შეაჭრიდნენ, ისე... ხევსურიცა და ქისტიც (გისწავლია ალბათ „სტუმარ-მასპინძელი“). აბა?! ხომ საზიზღრობაა და შემაძრწუნებელიც ეს ამბავი, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი რჩები... ვინმე „პროფესორა“ და „სიპი“ გამოგიყვანენ იმ ქარცეცხლიდან და ბერუაშვილებში დაგაბინავებენ. იქნებ ვცდებოდე... მაგრამ შენ შეგიძლია უარი თქვა ამ სავარაუდებელ მომავალზე, ბედისწერა შეიცვალო, დარჩე შინ და...“ – აქ თავისებურადაც ჩაიცინებს ლალი-შაქირა და დაკვირვებით ამათვალ-ჩამათვალიერებს, თითქოს მეთხოვებოდესო: „არ გინდა, იყუჩე! მე ხომ ვიცი: შენ ბედისწერის შეცვლას აღარ ისურვებ!“

– რაო, თქვენ შეგეძლოთ შეგეცვალათ თქვენი მძიმე ცხოვრება... იცოდით: რაც უნდა შეგმთხვეოდათ მომავალში და აღარ ინდომეთ მისი შეცვლა?

„ასეა, აბა?! მე შეიძლება სხვაზე უკეთ ვხედავდე სულის თვალით, მაგრამ ჩემზე უკეთ უფალი იესო ქრისტე ხედავს! ნეტაი, შეგვეძლოს მძიმე ხვედრი ავაშოროთ საქართველოს, მაგრამ... მშვიდობა ვუსურვოთ ჩვენს ქვეყანას, მაგრამ... ჩვენი ქვეყნის ბედის ჩარხი დატრიალებულა უკვე და ვეღარავინ შეაჩერებს! საქართველომ უნდა გაიაროს თავისი გზა: ტანჯვით, წვალებით... სწორედ ესაა კათარსიზი მისი! ჩვენი ერის დიდი გამოცდა. მჯერა ამ გამოცდასაც გადავიტანთ და: ჩვენი შედეგებით ევოლუციის მომდევნო საფეხურზე შევდგებით. აფხაზეთიც გასავლელია...“

„აფხაზეთშიც მომიწევს ყოფნა?“ – უსიტყვოდ ვიკითხავ მეც.

„ჰო... აფხაზეთია წინ...“

„აფხაზეთი...“ – ჟრჟოლა ამიტანს, მაგრამ შიშიც არ იყო ეს...

„ყურის ბიბილოს დატოვება აღარ მოგიწევს აფხაზეთში... არა, არ კვდები! საქართველოს ჭეშმარიტი ისტორია ახლა იწყება და მისი მემატიანე შენ უნდა იყო... ისტორია სისხლით იწერება და შენც უსიტყვოდ გაიღებ შენს წილ სისხლს... სისხლს, სისხლს ითხოვოს მიწა!“

„გზას მილოცავთ?!“ – წამოვიძახე თითქოს და გაკვირვებულმა, – ჰო, აფხაზეთი მომელის... სულიც მისკენ მიმისწრაფვის...“ – სევდიანად ჩავათავე ფიქრი და პასუხის მოლოდინში გავირინდე: თავი რომ მაღლა ავიღე, შევცბი: ტიროდა ლალი-შაქირა...

* * *

მართალი იყო ლალი-შაქირა.

ყველაფერი ისე ამიხდა და ამისრულდა იმ თანმიმდევრობით, როგორაც მიწინასწარმეტყველა მაშინ. ეჭვი არც არაფერში შემიტანია მისი ნაწინასწარმეტყველებიდან. არც მიფიქრია, ამეცილებია ყველა ის მოსალოდნელი ხიფათი იმ დიდი ჭვრეტის დროს მომავლიდან რომ გამოიტანა ჩემმა დიდმა მასწავლებელმა. მაგრამ რატომღაც ამ დროთა მდინარებაში აჟღრიალებული ჯაჭვის ბოლო რგოლი მინდა გავაცოცხლო, სოფელ კეხვში მტრის ტყვიამ ასე უსულგულოდ, რომ მომცელა:

ჩვენი რაზმი უკან-უკან იხევდა იმ იმედით, რომ მალე ისევ ამობრუნებულიყო სოფელში და ამ დროს შემაქანა ტყვიამ. თვალთ დამიბნელდა და სულ ახლახან გათხრილ სანგარში გავიშხლართე.

ოსმა, რასაკვირველია, დაინახა, როგორ მომცელა მისმა ტყვიამ და ეს ერთი და სხვა მრავალიო, თავისთვის ჩაილაპარაკა. მომვარდა და ფეხის ჭვინტით პირქვე ჩამაბრუნა, კეფაზე დამადო კალაშნიკოვის ლულა და სუნთქვა შემეკრა: ამისთანა სხვაც მყავს მოსაკლავიო, ხმადაბლა თქვა და საკონტროლო გასროლისგან თავი შეიკავა. მისი ნაბიჯების ხმა რომ მიწყდა, თვალი გავახილე, მაგრამ აცრიალდა ჩემს წინ მორიალე სივრცე და თვალთ დამიბნელდა ისევ.

აღარ ვიცოდი რა დრო გასულიყო.

თვალი რომ გავახილე, კაი გვარიანად ჩამობნელებულიყო და ბურანში გავეხვიე. გამახსენდა: როგორ მშორდებოდა ფეხის ნაჯების ხმა და ოსის ნათქვამიც მომწვდა ყურს: „ყველამ თავის მკვდარს მოუაროსო“ და გულზე მომეშვა, მაგრამ ვეღარ დავადგინე, ახლა ითქვა ეს სიტყვები, თუ ადრე ნათქვამი გამიმეორდაო.

გონს ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მოვდიოდი.

შორს სიბნელე გავარჩიე და დავასკვენი, რომ არ მოვმკვდარიყავი თურმე, მაგრამ გზას რომ ვერ გავაგრძელებდი, მაშინვე ცხადი გახდა ჩემთვის. მწარედ ჩავფიქრდი, მაგრამ არ დამიკვნესია იმის შიშით, ვაითუ ჩასაფრებულმა ოსმა აღმომაჩინოს და სული გამაფრთხობინოსო.

დაჭრილი ვიყავ მძიმედ, ამას რაღა მიხვედრა უნდოდა. ტყვიას ფილტვების ზემოთ, რბილში გაევლო და წარმოიდგინეთ, ჭრილობა დაემუშავებინათ ჩემთვის, მაგრამ როდის და ვინ შეიწუხა თავი, ამის გამხსენებელი მე ვეღარ ვიყავი. თანაც: მარჯვენა ყური ამტკივდა და ყურის ბიბილოსკენ წავიღე ხელი. იმ ოსს წაეღო ჩემი ყურის ბიბილო, იმის უტყუარი სამხილი, რომ აწი ერთი მტრით ნაკლები ეყოლებოდათ ოვსთა.

თავი წამოვწიე (უკვე მეორედ). პირი მიწით ამომვსებოდა და გადმოვაფურთხე. წამოვიწიე იდაყვებზე და ვთქვი გულაძგერებულმა: „მზად ვარ, რომ ვიცოცხლო!“

– ერთი, ორი, სამი და... – ვამბობ თვალდახუჭული და თვალის გახელა ვერ გამიბედავს: იქნებ მეჩვენებოდა, რომ ვხედავდი და... – მემწარა ნერწყვი, მაგრამ მისი გადმონერწყვა აზრად არ მომსვლია: – რაღა ვქნა?!

დამმძიმებია ქუთუთოები.

შევბარბაცდი, მაგრამ არ წავქცეულვარ: „იქნებ ვარსკვლავები დავინახოო,“ – მაინც იმედიანად გავიფიქრე და მაღლა ავიხედე. მზერა ვარსკვლავზე შემიჩერდა: „მე ვარსკვლავს შევწვდი!“ – წამოვიძახე: – მე ვიხილე!

„მხედავ, მხედავ!“ – უხაროდა ვარსკვლავს.

– შენ რომელი ხარ? – ავძახე აციმციმებულ ვარსკვლავს.

„იარე ჩემკენ! იარე და არ დაიკარგები! თვალი არ მომაცილო!“ – მტყორცნა თავისი სხივი.

მეც: მივყვები ვარსკვლავის ბილიკს. მზერა ვარსკვლავისთვის მიმიჭედებია მაგრამ ზეცისკენ როდი მივისწრაფვი. ეს ზეცა არაა! იგი ზეცაზე მაღალია. ზეცა ამ დიდი სიმაღლის პირველი საფეხურიღა თუ შეიძლება იყოს. მისკენ მიმიხმობს ის მოციმციმე ვარსკვლავიც, ლალი-შაქირად რომ მივიჩნიე თავდაპირველად.

„არ შედგე! ამოინაცვლე ამ საფეხურზეც და...“ – ჩამჩურჩულებდეს თითქოს ის მოციმციმე ვარსკვლავი და მისი ციმციმით ვივსები. თითქოს: ვციმციმებდე...

უცებ: გაწყდაო თითქოს ის ძაფი, ერთმანეთთან რომ გვაკავშირებდა მოციმციმე ვარსკვლავსა და მე და გადავეშვი წყვდიადში. მაგრამ საღღა იყო ის მოციმციმე ვარსკვლავი და ვეღარც ის ვარსკვლავისეული ბილიკი დავლანდე სადმე: დაბრმავებული დავფარფატებდი სივრცეში და წყვდიადის სტომაქში აფართხალებული ვიკარგებოდი.

„თვალს რატომ არ გაახელ, ძიავ?“ – ჩამესმა ამ დროს და მიმოვიხედავ ირგვლივ.

ენგურის ხიდი უკან დამრჩენოდა.

„მაინც როგორ დამიძვერი? როგორ დამისხლტი?! – მომღმუოდა თვითონ ენგური.

და განა მარტო ენგური მომღმუოდა? სივრცესაც შეეკრა კოპები. მე კი აღარ ვიცოდი: ან

ენგური რას მემართლებოდა, ან სივრცეს რაღა უნდოდა ჩემგან?! გაბრაზებულმა: ავტომატის ჯერი ჯერ ენგურს დავაყარე და სივრცესაც მისივე მივუზღავი.

„როგორ გადავრჩი მაინც... ისე როგორ გადმოვიარე ამსიგრძე ხიდი, რომ ვერ შემამჩნიეს და წირვა არ გამომიყვანეს? საოცარია მართლაც! როგორ მოხდა, რომ...“

„თვალს რატომ არ გაახელ?! თვალი გაახილე ძიავ!“

„ეს ხომ ლალი-შაქირაა?! ასე ლალი-შაქირა „ლაპარაკობს...“ უხმოდ...“ – მივყვები ამ ფიქრისეულ ხმას და... გამოვდივარ მგონია სამშვიდობოს: „ლალი-შაქირა გრძნეული სულია! იგრძნო ჩემი გასაჭირი და ჩემს დასახმარებლად გამოსწია. მდევარი მოუჯადოებია! მდევარი, ფეხდაფეხ რომ მომდევდა... ერთხელ სახეც კი გამოუჩნდა, მაგრამ მაინც ვერ დავადგინე მისი სადაურობა. არ ვიცი: აფხაზი იყო, თუ რუსი, კაზაკი იყო, თუ ჩეენი... შეიძლება ჩერქეზიც ყოფილიყო და ყაბარდოელიც, მაგრამ ველარ დამეწია. მე გადავრჩი! მაგრამ დაუჯერებელიც არაფერია აქ, რადგან ლალი-შაქირაა კაცი, რომელსაც თითქმის ყველაფერი შეუძლია. ლალი-შაქირამ კიდევ ერთხელ დამიმტკიცა, რომ შემძლეა ყოვლის. მოდი და ნუ ირწმუნებ მის ყოვლისშემძლეობას!

„ჩვენებმა“ რომ დამინახეს, გაკვირვებულებმა აიჩეჩეს მხრები: რომ არ გიცნობდეთ, ვერც ვირწმუნებდით, რომ ცოცხალი ხარ, რომ ჩვენი ნოე ხარ. მე თვითონაც მიჭირს ამის დაჯერება: მე ხომ ყველას თვალწინ მომკლეს! მაგრამ ყველაზე დაუჯერებლად ის მიაჩნიათ, რომ ასე გადახვეულ-გადაბინტულს მხედავენ. ჭრილობები ჩვენ არ გადაგვიხვევია შენთვის, გაოგნებულები ჩანან ექიმიცა და მისი ექთანიც, – სხვას აბა, ვის უნდა გადაეხვიაო... შენ მოგკლეს, ნოე და... მკვდრეთით აღმდგარხარ! მამაზეციერი კი სულ სხვანაირად ფიქრობდა თურმე... სანგარში გადაიქეცი ჩვენს თვალწინ და მიწაც დაგეყარაო ზედ... ვიფიქრეთ: ერთი ქართველის საფლავიც შეემატა „მიწას აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა-საო“.

მაგრამ მახსენდება: ჯერ ბუნდოვნად: გადავიქეცი და მიწაც დამეყარა... ნისლი გადამეფარა თვალებზე... თუმცა ვიგრძენი, როგორ მოვარდნენ ვიღაც-ვიღაცები... მიწისგან გამათავისუფლეს, სასწრაფოდ გადამიხვიეს ჭრილობები და... გამშორდნენ, მაგრამ სანგარ-საფლავში რატომ ჩამტოვესო, გამიელვა, ალბათ მომაკითხავენო, ფიქრს მივეფერე და გულზე მომეშვა. მომეფერა ფიქრიც და ლალი-შაქირასეულმა ლოცვამ გამკენწლა: „მაშალა, სუფხანელა, მაშალა, სუფხანელაო“ და გაქრა ყველა და ყველაფერი.

იყო წყვდიადი და... არარაობა...

მაგრამ ლალი-შაქირას ფიქრ-ხმამ გზა გაჭრა ამ წყვდიადში: „უფალო, შეიწყალენ ჩემი შეგირდი ნოე-ბიჭი! უფალო, შეიწყალენო!“

თვითონ ლალი-შაქირა მე არც დამინახავს.

* * *

„ახლა საკუთარ ალღოს მიენდე, ძიავ... განწირული არ ხარ და იარე სულ წინ! სამშვიდობოს ხარ უკვე! მიხარია! აწინ „ჩვენებიც მოგივლიან...“ – ლამის გავიჟღინთო ლალი-შაქირას ფიქრით, – აწი ხილვები წაიღებენ შენს ხილვებს, ნოე. ჰო, ნოე ხარ, ხომ არ დაგვიწყებია?! არა, დრო არ ჩამოგრთმევია, რომ იცოდე! შენთვის გამოყოფილი დრო შენვე გრჩება და სხვა ვერავინ გამოიყენებს, ვერავინ გაითავისებს“. – ესეც ლალი-შაქირასეული შეგონება და: მიწყდება ისიც.

არ ვიცი: საიდან და როგორ და პლატფორმაზე ვდგავარ. სხვა: არავინ ჩემს გარდა. მატარებელს ველი.

აჰა, იგი – მატარებელიც! შემოგვკივლებს ელმავალი... უფრო: მე შემომკივლა – ნიშანი მომცა!

ჩამოდგა მატარებელი და მხოლოდ ერთი ვაგონის კარი გაიღო. მერე სულაც გაქრა სხვა ვაგონები.

ავედი ჩემს ვაგონზე.

მერე: რის ვაგონი და მისი კუპეები?!

ერთადერთი კუპე-ვაგონი(!) იგი ჩემს განკარგულებაშია.

ელმავალი თავისი კუპე-ვაგონით წყვდიადში შეგრიალებულა(...)

მეც: ნებიერად წამოვწოლილვარ ჩემს კუპე-ვაგონში და ვაზმორებ.

ახლა ძილიც დამრევს ხელს, მაგრამ რა დროს ძილიაო, ამიძგერდება გული და ადგილიდან წამოვიჭრები.

ისევ დავჯდები: თითქოს დამშვიდებულიც. და მაინც ძილ-ღვიძილში გადავდივარ. მძინავს და არც მძინავს. მსიამოვნებს ასეთ ყოფაში რომ ვარ. გავმეორდები თუ ვიტყვი, ჩემი ყოფა უფრო იმ მდგომარეობას შეეფერება, მღვიძავს და აღარც მღვიძავსო, გულში წამიერად რომ გაგივლის კაცს.

და უცებ: მეორე ლიანდაგზე გადავდიოდეთო თითქოს, ავგრუხუნდები მეც მატარებლის ბორბლებივით და სუნთქვა შემეკვრება. გულშიც იმავდროულად გამივლის: ამ მატარებელში, მხოლოდ ამ მატარებელში კი არა, სხვაგანაც ვიმყოფებოდეო თითქოს: ვიყავი აქაც – მატარებელში და სხვაგანაც – მეფურად გაწყობილ დარბაზში.

მერე და მერე: პირველობას მაინც მეფურად გაწყობილ დარბაზს მივანიჭებ; მაგრამ დარბაზში მყოფი მატარებელშიც ვიმყოფებოდე თითქოს.

აქ: რაღაც ხდებოდეს უნდა და უპირველესად – დარბაზში(!)

მე და კიდევ ვიღაც-ვიღაცები, თითქოს დიდ გობში მხარ-თეძოზე ვიყოთ წამოწოლილები, თხელ, გამჭვირვალე სამოსელში გამოწყობილები და ველით ნიშანს, რომ ზღაპრულ მარათონში ჩავერთოთ, ამოვიჭრათ აქაურობიდან და... სივრცეში გავილიოთ. მარათონი კი სადაცაა უნდა დაიწყოს და გულისფანცქალით ველით იმ პირმშვენიერი ათლეტის გამოჩენას, თავისი შუბ-კვერთხის აქნევით ასპარეზობის დაწყებას რომ გვამცნობს.

აგერ ისიც: გამჭვირვალე სამოსელში გახვეული... შვენის ოქროსფერი ოქროსთმიანს.

აჰა: აღმართა იმანაც თავისი შუბ-კვერთხი და ჩვენი ეგრეთწოდებული გობი-ლოგინიც დაიძრა ადგილიდან. ტრიალებს იგი თავისი ღერძის გარშემო, სიჩქარესაც ნელ-ნელა უმატებს და მეშინია კიდეც ინერციის კანონის თანახმად გობ-კიდობნის მიღმა, სადმე უფსკრულში არ აღმოვჩნდე. დიახაც: (კი არ ვგონებ), ის ოქროსფერთმიანი ათლეტი უნდა ბრძანებდეს და განაგებდეს კიდეც ჩვენს დღევანდელ ყოფა-ყოფიერებას. იმას დაუწერია ჩვენი ბედისწერაც და მეც, როგორც ამ ზღაპრული მარათონის ნებისმიერ მონაწილეს, სომნამბულურ მდგომარეობაში მამყოფებს, მის მაგიური ძალის ნებას ზედმიწევნით ვასრულებ. იგი კი განაგრძობს: – ნოე, ჩემო, ვხედავ დაწინაურებულხარ, მაგრამ აჩქარებამაც შეიძლება გვავნოს. ეს ხომ ხანგრძლივი მარათონია და ძალისა და ენერგიის დაზოგვაც მმართებს სახვალიოდ, ზეგისთვის და შესაძლოა მაზეგისთვისაც. შეიძლება ეს მარათონი ძალიანაც გაგვიჭიანურდეს და ერთობ მოსაწყენი, ნელად აღსაქმელი და ძნელად ასატანიც დარჩეს.

და სარკეში ვიხედებოდეო თითქოს: ასე მხარ-თეძოზე წამოწოლილივით მივმდინარეობდი და სად და საითკენ, აღარ ვუწყოდი. ოღონდაც: გული მეუბნებოდა, რომ უნდა მეღონა რამე, რაღაცა მექნა. თუნდაც კანში ვეღარ დავეტიო და გამოვვარდე საკუთარი თავიდან. გავუსწრო მერე იმ ჩემგან საცობივით ამოვარდნილ მეობას, რომელმაც შეიძლება არც უწყოდეს, რომ ცხვირწინ გადაუსწრია ვიღაცისთვის და ამ ვიღაცისთვის ორიენტირია უკვე.

მგონი წამოვიწიე! დამინახა და პირი დააღო გაკვირვებისგან, ნუთუ უნდა გამასწროსო და ყურები ჩამოჰყარა. უკვე აღარ იბრძოდა გამარჯვებისთვის და ბრაზმორეულმა ვუსაყვედურე: – ერთნაირები ხართ ყველანი: თუ ოდნავადაც შეგეპარათ გამარჯვებაში ეჭვი, ბრძოლის ჟინი გეკარგებათ და გადიხართ თამაშიდან! გვერდზე გადგომა გინდა?! კეთილი, კეთილი... – თითს დავუქნევ:

მაგრამ მე რომ უხილავი მოწმეც მყავს?! ვგრძნობ ქვეცნობიერად: სულ რაღაც ორი-სამი მეტრი გვაშორებს ერთმანეთისგან. კიდევ ერთი ჩასუნთქვ-ამოსუნთქვა და... წამოვეწიე მგონია... იქნებ გავუსწარი კიდეც! მოსახვევში თავს ვეღარ შევიკავებ, ვგონებ: გადავწვები მარცხნივ და თეთრ სამოსელსაც ამიფრიალებს ქარი, სახეზე ამაფარებს.

– სასწაული?! – გაჰყვირის აპოლონისდარი ათლეტი, – უნდა გამისწრო?! – ხმა გაბზარვო-

დესო თითქოს: – და მაინც: რაღა მაინც და მაინც მოსახვევში ავითარებ ასეთ სიჩქარეს?! უცებ რომ შემუხრუჭდე?! – იკითხავს და უფსკრულში არ ჩაუვარდება თავისი შუბ-კვერთხი?!

და ყველაფერ ამას მატარებლის სარკმლიდან ვხედავ.

შევიგრძნობ კიდეც და შემაწუხებს ეს უჩვეულო გრძნობა: – აქედან – იქით (ამ გობ-კიდობანშიც რომ ვარ, მაკვირვებს ესეც) ჩემი მატარებლიდან გობ-კიდობანს ისე დავყურებ, თითქოს ხელისგულზე მედოს და მეთანაღრება გული: ერთი „მე“ მეორე „მეს“ ვუსამძიმრებდეო თითქოს და შემიპყრობს შიში, ვაითუ გობ-კიდობანზე აღარც ვიყოო, გაიმარჯვებს ერთ-ერთი მორკინალი, ქუდბედიანი... პერანგით დაბადებული.

გობ-კიდობანზე აღარც ვიყავი, მაგრამ მატარებელში კი ნამდვილად ვარ და ვაჩქარებ მემანქანეს: – სისწრაფე, სისწრაფეა საჭირო! – ყურში ჩავძახი და მეტი აჩქარება რომ აღარ შეუძლიაო ჩემს მატარებლს, აიწურავს მხრებს, – ჩემგან რა გინდათ, შეუძლებელს რატომ მთხოვთო.

მე კი „ჩემსას ვაწვები“ მაინც: „იქ შეიძლება ჩემი მეორე „მე“ სიკვდილს ებრძოდეს, თქვენ კი ყურებსაც არ იბერტყავთ! – მოვითქვამ სულს და ამიწრიალდება ფიქრი: „იქნებ ვკვდებოდე კიდეც... ვკვდები სადღაც იქ და... – ოფლი დამასხამს... ვერაფერს ვხედავ, რადგან ხომ შესაძლებელია, იქ, ჩემი იქაური „მე“ ამოვარდნილიყო დროიდან და... დრო შევსებული ხომ არაა... გასწორებულა დრო. ნუთუ ჩვენება იყო ის ყველაფერი! უბრალოდ: მოლანდება და მოლანდებაზე მეტი არაფრით!“

მაგრამ მატარებელშიც რომ ვარ?! და ცხადლივ განვიცდი იმ გობ-კიდობანზე წამოწოლილის ყოფას, ჩემი მეორე მეობის დაკარგვას, ანუ ჩემებურად რომ ვთქვათ, სიკვდილს?!

მაინც რა უნდა ერქვას ჩემს ამდღევანდელ ყოფნა-არყოფნას (შექსპირისეული ინტერპრეტაციით)?!

ცოცხალი ვარ თუ... (აქ შექსპირზე შორსაც წავალ), იქნებ ცოცხალიც აღარ ვიყო დღევანდელი გაგებით, არც ვითვლებოდე ცოცხლად, მაგრამ მიცვალებულთა შორისაც რომ აღარ მოიძიება ჩემი სახელი?!

მატარებელიც ამ დროს შეჯაჯგურდება და სისწრაფესაც შეინელებს, ე მაშინ შევფიქრიანდები: მაგრამ დაიძაგრება უცებ, ღრმად ჩაისუნთქავს და გაიწევს წინ. მე კი: წარმოიდგინეთ და დროის რიტმში ჩავჯდები, იქ: კი შევეჭვდები, მაგრამ იქიდან ამოვარდნილადაც რომ მივიჩნევდი თავს?! ჰოდა: ისევ გამომიჩნდება გობი-კიდობანი. როგორ? ნეტა რა ხდება და ხდება კი? როგორ აღმოვჩნდი ისევ გობ-კიდობანზე?!

ქარი სახეში მცემდა. გობ-კიდობანი კი სიჩქარეს უმატებდა. გადარეულმა ქარმა ლამის ამაწყვიტოს ჩემს კიდობანს. მიჭირს თავის შეკავება და რისიც მეშინოდა ასე, ის არ დამემართა სწორედ! კიდევ უფრო გამოიწია ქარმა და ამახვეტა გობ-კიდობნის გემბანიდან.

შემირია სივრცემ და სივრცედ ქცეული ლამის ქარივით ავზმუვლდე. მე ქარი ვიყავი! გობ-კიდობანზე აღარ ვიყავი! აღარც – მატარებელში!

ეს ვინ გაჰკივის ასე მონდომებით?

მივაყურადე და:

მე ვიყავი: მინდოდა ხმა მიმეწვდინა იმ ჩემი მეორე მესთვის და ის იყო: სიხარულისგან რომ შემომკივლა, მეც აქა ვარო!

წამიც და: ჩემშივე არ აღმოვაჩინე ის ჩემი მეორე „მე“?!

ერთარსად ვქცეულიყავით და: თვალებიც ამოვიფშვნიტე.

...მე: მივმდინარეობ (ერთი: იქნებ ერთადერთიც).

თ ი ხ ი ს ო რ მ ო შ ი:

თენდებოდა, მომეტებულად რომ აუძგერდა გული: მერე: შეინძრაო თითქოს ეს გული, მიაწყდა კედლებს, აქეთაც-იქითაც; იქიდან – აქეთ, აქედან – იქით, მაგრამ აღარ მიუშვა იგი თავის ნებაზე ამ საგულემ და იფეთქა მაშინ, ეკვეთა გულის ფიცარს, „ბედისწერას ვერავინ გაქცევია, შენ რომ გაექცეო,“ ზედ რომ ეწერა, მაგრამ ველარ ამოიკითხა ეს წარწერა და: გაანგრია ის გულის ფიცარი იმ თავის წარწერა-ბედისწერიანად და იქაურობიდანაც ამოვარდა.

ტკივილიღა დარჩა უსაშველოდ დიიდი და აუწონელი. სხვა აღარაფერი: მაგრამ უგულოდაც როგორ გაეძლო?!

აწი რაღა ექნა, რაღაა აწი ჩემი სიცოცხლე, ასეთი ცხოვრება არც აროდეს მენატრებოდა და არც აწი მომენატრებაო!

– ეგ გული, ურომლისოდაც გაძლება არ შეგიძლია, დროისაა, დროის კუთვნილებაა უკვე და განივრცობა იგი უსასრულოდ! – მაღლიდან ჩამომძახეს.

„შენ რომელი უნდა იყოო?“ – ასძახებს ლალი-შაქირა.

– სივრცე ვარ – უსასრულობა!...

– „თვითონ უსასრულობა?“

– ყველაზე ადამიანური გულიც ამიტომ მჭირდები გვერდით. დროის რიტმში ჩამჯდარი. ჰოდა: იქნება ჰარმონია... ჰარმონიულობა... შენ კი: თიხის კაცი...

„გული გჭირდებათ ჩემი თუ სული?!“

– გული უსულოდ ვინა თქვა, ევლიავ?! სულმაც უგულოდ როგორღა გაძლოს?!

„სულიც და გულიც?! ნუთუ გასრულდა ჩემი წუთი(სოფელი)?“

– გასრულებით ჯერ არ გასრულებულა, მაგრამ... – ჩამობნელდა უცებ, ჩამოწყვდიადდა დუმილეთში და იელვა კიდეც: გააპო შუაზე სივრცე და ლალი-შაქირაც აიტანა უჩვეულო სიცივემ. სუნთქვა გაუჭირდა, მაგრამ გასწორდა წელში და შეისუნთქა სივრცე. ამოივსო ამ სივრცით და გააკანკალა:

„გისმენ... მინდა გითხრა... იქამდე, სანამ არ გავძარცვულვარ... უფრო სწორად: გკითხავ: გულს წაიღებ ჩემსას თუ სულს?! მაგრამ: გამიჭირდება უგულოდაც...“

– უსულოდ ვის გაუძლია ნეტა?! – მთლად მოიქუფრა ზეცა.

„ვის გაუძლია ნეტა ჩემამდე?“

– გულში რომ ჩაიხედავდე, ლალი-შაქირავ...

„არც გული წაგიღიათ?! გულივით მიფეთქავს თითქოს „რაღაცა“, მაგრამ რაღაცაც როდია გული?!“

– ევლიავ, შენც ხომ თიხისგან გამოგძერწა ოდესღაც ღმერთმა!...

„გამომძერწა და სულიც შთამბერა!“

– ლალი-შაქირავ... ცოტაც და: სრულიყოფა ეს შენი სულიც და... უფლისეული კიბეც ჩამოეშვება იმ სიმაღლიდან... ყველასთვის ხილული როდია იგი კიბე?!

„შენთან ერთი თხოვნაც მექნება, ძიავ...“

– გისმენ, ლალი-შაქირა-ევლიავ – ელია, გისმენ, მითხარ, სათქმელი!

„მთელი ამ პროცესის მონაწილე ჩემთან ერთად ჩემი შეგირდიც მინდა იყოს...“

– გამგრძელებელი შენი საქმის, ევლიავ! ამიტომ ჩვენც ნოეზე შევაჩერებთ არჩევანს, ელიავ!

„ელიაო?! შენგან მეორედ მესმის, ძიავ...“

„შენი პირველი გარდასახვა ლალი-შაქირაა, მეორე – ევლიაა ამ სააქაოს და მესამე: ზღურბლი სააქაოსა და საიქიოს შორის... ელიაობა: ესეც შენი მესამე გარდასახვა!

„დიდი მადლობა!... – მაღლა აიღო თავი ლალი-შაქირამ, მაგრამ უცებ მოეშვა, სუნთქვა შეიკავა და დაეშვა მუხლებზე, დაეშვა როგორღაც შერბილებულად და შენელებულადაც. მოიხარა წელში და მიწას შეახო შუბლი. მერე ეამბორა ამ მიწას და მაღლა აიღო თავი... – უფალო ჩვენო, – ამოთქვა, – უფალო, შეგვიწყალენ...“ – სამჯერ გადაიწერა პირჯვარი და ისევ ეამბორა მიწას, – მიწა ვიყავ, ვიყავ და... მიწადვე ვიქცევი...“

– ჰო, ევლიავ – ელია, მაგრამ თიხის პროცედურა გაქვს გასავლელი გამოქვაბულში! ერთი ბარისპირი მიწაა ამოსაღები... ამოიღებთ ერთ ბარისპირს და თიხაც გამოგიჩნდებათ... ორმო ყელამდე უნდა გწვდებოდეთ!

ლალი-შაქირამ ხელი დამიქნია, – „გადმოაბიჯე ე მაგ ზღურბლს და საქმეს შეუდექიო!“

ბარის ტარს ხელი მოვუჭირე და გამოქვაბულში შევედი. წინ საკუთარი ჩრდილი: მიმიძღვის. გადავაბიჯე ზღურბლს, გავახილე თვალი და: აღარსად იყო ჩრდილი იგი.

„ნოე... შენ გამოქვაბულში ხარ და... უნდა აღასრულო, ის რაც დაგევალა!“

– ძილში მეძახდნენ; შენი ლალი-შაქირა გიხმობს და ბარიც გაიდე მხარზეო! ნაშუაღამევს იყო ეს...

„როგორ, ძიავ? ამ ყიამეთში გზა რაფერ გამოიგნე?“

– არ ვიცი... ბედად მანქანა დავინახე! ხელი ავუწიე და მძღოლმაც გამიჩერა, ხმის გამცემი მეყოლებაო, თუ იფიქრა. მანქანა სწორედ აქეთ მოდიოდა, ღმერთმა თუ გამოგიგზავნა!

„ბარის წამოღება მაინც რამ გაფიქრებინა?“

– იმ ხმამ მითხრა, ლალი-შაქირა გამოქვაბულში გელის და ბარი გავიდე მხარზეო და გამოვწიე! მანქანაც წამომეწია მერე. საითკენო, მკითხა მძღოლმა, – გამოქვაბულისკენ? აგერ ჩამოგსვამ და აყვები აღმართსო...

„იქიდან ზათი ამოხვიდოდი... – ჩაახველა ლალი-შაქირამ, – უკვე იცი რაც უნდა აკეთოო“.

ვთხრი მიწას და მივიწევ მიწის სიღრმეში. ლალი-შაქირა ზემოდან დამყურებს, თვალს არ მაცილებს. უცებ ფერი იცვალა მიწამ და ასეც ვიცოდიო! წამოიძახა ლალი-შაქირამ, თხრა განაგრძეო, მიბრძანა უსიტყვოდ.

მიწა კი თანდათანობით ყვითლდებოდა და წებოვანდებოდა.

ოფლად გაღვრილმა და საკუთარ ფიქრებს აყოლილმა ვერც გავიგონე ლალი-შაქირას მორიგი ბრძანება, გეყოფა, ორმოდან ამოდიო. არ ვიცი როგორ და ამჯერადაც ამცდა ლალი-შაქირას ფიქრ-ხმა და გამოქვაბულიდან გავარდა. იქ: კლდეს შეეჯახა და ისევ გამოქვაბულში შემოვარდა ექოსავით. ახლა კი მესმა ლალი-შაქირას ფიქრ-ხმა და ორმოდან ამოვხტი.

ლალი-შაქირამ თვალებში ჩამხედა, მაგრძნობინა, იყუჩეო და მხარზე ჩამომადო ხელი: „იდექი აგერ, ფეხი არ მოიცვალო აქედან!“ – მითხრა და ორმოში ჩახტა: „– ორმოში დავრჩები ცოტა ხანს... საფლავი არ გეგონოს, უბრალო ორმოა, ძიავ...“

ლალი-შაქირა ფიქრს გაიგრძელებს: „ასეც ნუ აჩქარდები, ძიავ! დროს ვერ გაუსწრებ მაინც! იჩქარებ და... დროც აგიჩქარდება. მერე და: ჩემი დამარხვა ხომ არ გეჩქარება, ძიავ?“ – გაიხუმრასავით, არაფერიაო და ჩაჯდა ორმოში: „ახლა მომაყარე, ძიავ, ეს მიწა... კი არ ვიმარხები?! არც მიფიქრია სიკვდილი! სულ ცოტა ხანი უნდა დავყო ამ ორმოში... მიწა ნიკაპამდე უნდა მწვდებოდეს. – უხალისოდ წამოდგა, – ჰო, მომაყარე ეს მიწა! ჰო, მართლა: შენც ხომ იგრძენი, ძიავ, რომ აჩქარებულა დრო... არც ჩამორჩენა შეიძლება და არც გასწრება! უნდა იგრძნო მისი რიტმი და შეჰყვე მის მდინარებას... მოიცა! აჩქარდი მგონია. – თვალები მოწკურა, – მგონი თვითონ ვაშავებ, ძიავ! დროს აუწყვე ფეხიო, მოგიწოდებ და თვითონ არ ავჩქარებულვარ თურმე? ასეა, ძიავ, აბა, რა გეგონა?! სადღაც: გვეშლება ყველას: ჩვენ ხომ ცოდვის შვილები ვართ... ჰო: აგერ ჩემი მარცხენა ხელიც, გვერდულად უნდა მედოს, დახრილი კუთხით... მარჯვენაც ასევე. გამტარი უნდა ვიყო... აბა, მობეკნე მიწა ჩემს ყელს ირგვლივ! წუთით მივენდო მიწას. ნდობა მოვიპოვო მისი და მერე ვნახოთ. მთავარია კეთილად განეწყოს ჩემდამი... ვთბები, მგონია! ერთი თითებიც გავშალო, ახლა მარცხენა ხელი უნდა ამოვიღო მიწიდან და ვარსკვლავებისკენ გავიწვდინო... ზეცას უნდა ვწვდებოდე თითებით. მარჯვენა ხელის თითები ქვევით უნდა მიისწრაფვოდნენ. იწყება მგონი! აჰა, ამოისუნთქა მიწამაც. ეს მისი სულია, მარჯვენა ხელის თითებით რომ შევიწოვ. ოჰ: გამოიარა გულიც და მიჰყვება ძარღვებს... მარცხენა ხელიც შემითბა?! თითები მეწვის. თითები კი არა, ანთებული სანთლები, ხუთივე მინთია! მომკიდე ხელი, ნოე-ბიჭო! და შენც გაიხსენი! მე რომ გასწავლე, ისე... გულიც ღია გაქვს უკვე... ღიაა შენი სულიც და... მოემზადე! აჰყევი ჩემი სულის რიტმს. ჰო, ასე: ისუნთქე ჩემსავით! ვგრძნობ, შენც ჩემებრ შეგთბობია თითები... ესეც შენი მარცხენა ხელი! მარჯვენა მზისკენ გაიწვიდნე და თვალიც მიადევნე! აბა, როგორ ხარ, ნოე?“

– ვთბებოდეო თითქოს... – აქ სიტყვა ვერ მომიძებნია აზრისა თუ ფიქრის გამოსათქმელად.

„თბებიო, ცოტაა, ძიავ...“

– ნეტარებაზე მეტიცაა, რასაც განვიცდი და... რაც მემართება!

„მზისკენ, მზისაკენ! მნიშვნელობა აღარ აქვს, ხედავ, თუ ვერ ხედავ მზისკენ მიიტყორცნება მიწის სურნელი...“ – თვალები გასხივოსნებია ლალი-შაქირას, – აღდგება ღვთაებრივი კავშირი მიწას და მზეს შორის და არა მარტო მათ შორის... მზე უსასრულობისკენ მიილტვის და უნდა

იგრძნო, რომ აძაგძაგებს უსასრულობას... ვძაგძაგებთ ჩვენც...“

– მოლოდინშია ღმერთი... – ამოვილუღლუღე.

და იელვა! გაიბზარა ზეცა...

მაგრამ გამრთელდა, გამთლიანდა მაშინვე:

წამი – ერთი, წამი – მეორე, მესამეც და ჭექა-ქუხილმა გააყრუა სივრცე.

„აბა, რა გეგონა, ძიავ? ჩვენ ღმერთთან ვართ...“

აღდგენილია კავშირი დიიდი, დიადი კავშირი... ვილოცოთ, ვილოცოთ ჩვენ უფლისადმი...“

გამაძაგძაგებს მე უსასრულობასავით და იმ ელვასავით გავიკლაკნები...

ჩემკენ მოემართებიან სხივები ათასნაირნი, ვიჟღინთები, ვიჟღინთები... მავსებენ მე ეს სხივები და:

მეც მზისაფერ ავსინათლდები.

„აღსრულდა, აღსრულდა! – გული აუძგერდა ლალი-შაქირას: „მე არ შევმცდარვარ... ეს შენ ხარ, ნოე... ეს შენ ხარ იგი – დრო!“ – მესმა მისი სულის ძახილი და ხელი შემიშვა: – მოეშვი, ასე, ჩემო ბიჭო! ახლა კი დროა, ამომიყვანო ამ ორმოდან, სანამ საფლავად გადამქცეოდეს...“ – მაგრძნობინა და ხელი გავუწოდე.

– მე... ეს... – სულს ძლივსღა ვითქვამ, ჰაერი აღარ მყოფნის.

„შეგიძლია შეისვენო... სული მოითქვა. დრო კიდევ გაქვს, რომ ამომიყვანო ამ ორმოდან და მართლა საფლავადაც არ მექცეს ეს ორმო!“

„ჯერ არც დავღლილვარო, წამოვიძახე და ბარის პირი ბოლომდე ჩავფალი მიწაში. აყალო მიწას ბელტებად ვიღებ ერთი მეორის მიყოლებით. ლალი-შაქირასაც ნელ-ნელა უბრუნდება ფერი:

„დიდი მადლობა, ძიავ! ძლივს არ მოვითქვი სული?!“

და ლალი-შაქირაიც ამოახველაო თითქოს ორმო-საფლავმა და: თავისუფალია!

თავისებურად იღიმება.

გ ა მ ო ქ ვ ა ბ უ ლ ი დ ა ნ გ ა მ ო ს ვ ლ ა:

„შენ კიდევ ერთი ექსპერიმენტი უნდა გაიარო და თავისუფალი ხარ, ძიავ! ერთი ექსპერიმენტი...“ – ამოიხვნეშა ლალი-შაქირამ და მოეშვა უცებ.

„ასე დაღლილი არასდროს ყოფილაო,“ – გავიფიქრე უნებლიეთ და თვალი ავარიდე.

„ჰო, დავღლილვარ. ერთი ჩემებურაი დამაძინა და... – მილულა თვალი, – მაგრამ მოსასვენებელად სა მცალია, თუმცა აჩქარებაც არ იქს!“ – მოიმთავრა ფიქრი და თვალით მანიშნა: გამოქვაბულს ვტოვებთო.

მეც დავუქნიე თავი და მივაყურადე ლალი-შაქირას ფიქრს:

„ეს ორმო-საფლავი კი დარჩეს ასე... დამელოდება, აბა, სა წავა?!“

გავდივართ... გამოქვაბულიდან(...)

* * *

ქალაქში ვარ და ლალი-შაქირაზე ვფიქრობ. მეც: მოვიმიზეზებ რაღაცას და ჩავდივარ სოფელში, იქნებ გადავაწყდეო სადმე.

მაგრამ ამაოდ: კაი ხანია აღარ გვინახვსო, მეუბნებოდნენ ყველგან.

ახლა კი მართლა შევწუხდი.

შეფიქრიანდა სოფელიც. თავი უხერხულად იგრძნო, რომ ამდენხანს არავის გახსენებია ლალი-შაქირა, ისიც ხომ ამ სოფლის შვილი იყო.

ორი დღის წინ ხეობაში ვნახე, გაღმა აპირებდა გასვლას, აღმართზე ამომავალს მოვკარი თვალიო, მესმოდა ასეც და ისე, მაგრამ ლალი-შაქირა არსად ჩანდა. – იქნებ, ივარაუდებს მესამე, – ფსიქიატრიულშია და ქალაქში გავჩნდი მეც.

ფსიქიატრიულის მოსაცდელში ქალი მეცნო შესასვლელში, მაგრამ საიდან, ვეღარ გავიხსენე. მაშინვე უკმარისობის გრძნობა დამეუფლა და სუნთქვაც მომიხშირდა. ჰაერი აღარ მყოფნის: ქალს არც მთლად ახალგაზრდა ეთქმის მაგრამ ხნეშიც არ უნდა იყოს შესული. უნდა შევიჭვრიტო ჩემი მეხსიერების ლაბირინთში. წამიც და გამინათდება გონებაც: უყვარდა ეს ქალი ლალი-შაქირას. ნუცაა, მაგრამ ჩემი აზრით გერმანიაში რომ უნდა იყოს ახლა?! ისიც ლალი-შაქირასთან უნდა იყოს მოსული! მაშინაც, ამ რამდენიმე წლის წინ, ლალი-შაქირსთან

ვიყავით მოსული მეც და ეს ქალიც. დღესაც ამ ქალმა დამასწრო მოსვლა.

აქ არის, ვისაც თქვენ კითხულობთ, შეგიძლიათ ინახულოთ... უხალათოდ არ შეიძლება!

ნუცამ ხალათი მოიხურა და დერეფანს გაჰყვა. მეც თან მივყევი, როგორც მაშინ, ფეხდაფეხ. ფეხი მეშლება! „მაშინც ასე მჭირდაო," ვიხსენებ.

ნუცა პალატის კარს შეაღებს და გადააბიჯებს კარის ზღურბლს.

„არც მაშინ შევყოლივარ პალატაში და ახლაც არ შევყვებიო," გავივლე გუნებაში და ღრიჭოდ დარჩენილ კართან შევიკარი სუნქთვა, „როგორც მაშინო," გამახსენდა.

დუმილმა გამთოკა.

ამოვისუნთქე და დუმილიც დაირღვა:

– ბედნიერი ვარ, ლალი-შაქირა, რომ გხედავ, უკანასკნელი ნუ იქნება, ღმერთო, ჩემი და ლალი-შაქირას შეხვედრა, გთხოვ! – ითხოვს ნუცა.

„ითხოვს, კი არ შესთხოვს?!" – მეუცნაურა საკუთარი ფიქრი.

„მიხარია, რომ გხედავ, ნუცა, მაგრამ არც უნდა მიხაროდეს..."

– მე კი მიხარია, რომ მესმის შენი!

„არავინ იცის ჩემი ადგილსამყოფელი, ნოემაც კი და შენ როგორ მომაგენი?"

– მომენატრე და გულმა მომიყვანა შენთან...

„მარტო არ ხარ, ვგრძნობ..."

– მარტო ვიყავი...

„შენ კი იყავი მარტო, მაგრამ იყო შენთან ვიღაც... ნუთუ ნოემაც მომაგნო?" – ამ ფიქრის გამხელა არც უფიქრია ლალი-შაქირას, ამიტომ: არც მისვლია „იგი" შეფიქრიანებულ ნუცას, მაგრამ მომივიდა მე და გული ამიძგერდა:

„მხედავს კიდეც და: აქ ფიქრიც უნდა შევიწყვიტო, რადგან ჩამხედავს სულში და..." – ფიქრი ჩავიბრუნე სულში და გონება დავძაბე:

– მომენატრე, ლალი-შაქირა, – გავიგონე ქალის ხმა, – ძალიან... იქ ვეღარ გავძელი. გულიც ავს მეუბნებოდა!

„გული ხშირად ატყუებს ადამიანს, მაგრამ მაინც უნდა მიენდო გულს!"

– მაშ, მართალია გული, ავს რომ მიგრძნობდა?

„ნუცა, მე შენთან ვიყავი ყოველთვის. მენატრებოდი... ვიყავი შენთან და მენატრებოდი მაინც! ყოველთვის..." – კითხვას თავი აარიდა ლალი-შაქირამ;

– ვიცი, რომ გენატრებოდი, მაგრამ კითხვაზე რატომ არ მიპასუხებ?

ლალი-შაქირამ თვალი მილულა და დადუმდა.

– ლალი-შაქირავ, ჯერ არ დამიმთავრებია და გთხოვ მომისმინო.

„გისმენო!" – თვალი აღარ გაუხელია ლალი-შაქირას, მაგრამ იგრძნო ნუცამ, რომ მისი ესმოდათ.

– ლალი-შაქირავ, შენ თითქმის ყველაფერი იცი და მითხრა იქნებ, ასე უცნაურად რატომ აეწყო ჩვენი ცხოვრება? როდის, როდის შევცოდეთ?

„ეს ჩვენი საქმე აღარაა, ნუცა... მაღალი ღმერთი განაგებს ჩვენს ცხოვრებას და... ეს ბედისწერაა! შენ აქეთ იყავი, იქით – მე, შორს შენგან..."

– მაგრამ რატომ, რატომ, ლალი-შაქირავ?"

„ასე უნებებია გამჩენს: და ასეთი ბედიც გეწია, მე კიდევ – ისეთი. ამის შეცვლა არავის შეუძლია!"

– ნეტა შემეძლოს შენთან დარჩენა, ლალი-შაქირავ...

„მაგრამ სხვანაირად რომ უნებებია გამჩენს: შენ შვილები გყავს და შვილებს დედა უნდათ! შენი ქმარი..."

– ნეტა შენ ყოფილიყავი, ლალი-შაქირავ, ჩემი შვილების მამა და... – ქალს თავისივე სიტყვების შერცხვა და დადუმდა.

„შენ იმათ ჭირდები უფრო!"

– და შენ კი სულ აღარ გჭირდები? – იწყინა ქალმა, მაგრამ ეამა ლალი-შაქირას:

„მჭირდებიო?! შეიძლება ახლა მჭირდებოდე ყველაზე მეტად, მაგრამ..." – ფიქრი უკანვე ჩაიბრუნა ლალი-შაქირამ.

– მაგრამო, ლალი-შაქირავ, სათქმელი რატომ არ გამიმხილე? „მაგრამო" მითხარი და...

„მაგრამ... – ამოიოხრა ლალი-შაქირამ, – შენ წასასვლელი ხარ უკვე!“

– ნეტა მომიწევს კი აწი შენი ნახვა, ლალი-შაქირავ?

„არა, ნუცა... ველარა! ვამბობ ასე, მაგრამ ჩემთვის ვამბობ... ჩემს ფიქრს შენ ვერ გაიგონებ, ნუცა... მალე აღარც ვიქნები, რადგან იმ წუთის მოახლოებას ვგრძნობ, ნოე... – უკვე მე მელაპარაკება ლალი-შაქირა, – ღმერთთან შეხება რომ ჰქვია... სადაცაა შევალთ ჩვენ ერთი მეორეში და გავმთლიანდებით ისევ... ფაფუ მერე შენი ლალი-შაქირაი! გათავდა, ძიავ, კაცი! გათავდაო, ვამბობ, თორემ უკვდავია კაცი...“

– ფიქრობ ლალი-შაქირავ, მე კი აღარ მესმის შენი ფიქრი. ვიცი, მიმალავ რაღაცას! – შეწუხებულიყო ნუცა.

„შენ მალე გათავისუფლდები ლალი-შაქირასგან...“

– ამას ნუ იტყვი, ლალი-შაქირავ, გულს რატომ მიკლავ? სასიკვდლო შენ რა გჭირს? ისევ შეგხვდები. სადაც არ უნდა იყო, მაინც მოგაგნებ! შორს ვერ წამიხვალ, ლალი-შაქირავ! სურვილს ხომ ვერავინ ჩამიკლავს?!

„ეს შეუძლებელია!“

– რაა შეუძლებელი, ლალი-შაქირავ?

„იმიტომ, რომ განაცხადი უკვე გავაკეთე: გავდივარ მარილზე!“

– სახუმაროდაც გაქვს საქმე... ასეა ვითომ? უკან გამოითხოვე ის განაცხადი, ლალი-შაქირავ! ხომ ვიცი შენ ესეც შეგიძლია!

„ნუცა, ჩემითაც ნუ დაიმძიმებ თავს!“

– რად მინდა ასეთი თავისუფლება, გვერდით თუ აღარ მეყოლები? ერქმევა კი ამნაირ ყოფას თავისუფლება? იქნებ ახლა, თავისუფლება რომ მეცლება ხელთაგან, ლალი-შაქირავ და... ნუ მომექცევი ასე უსამართლოდ!

„მე ბევრი ვიფიქრე ამაზე, ნუცა... მე არ შევმცდარვარ“.

– ლალი-შაქირავ, შეგიძლია იცოცხლო და... ვინ, ვინ მოგიშალა შენ სიცოცხლე?! – სუნთქვა შეეკრა ნუცას და საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა ლალი-შაქირას: – შენთან ვარ, ლალი-შაქირავ და ხელს ნუღარ მკრავ...

„შვილები გელოდებიან, ნუცა, მარტო კი არ რჩები?“

– უშენობა მარტოობაა ჩემთვის!

„იმათ ვერ დატოვებ მარტო!“ – ფიქრს აუწია ლალი-შაქირამ და ნუცაც გამოერკვა:

– ჰო, იმათაც ვერ დავტოვებ მარტო... ველარ ვალოდინებ, მაგრამ...

„შენ შეძლებ, ნუცა!“

– ჰო, შევძლებ... შენს სურვილსაც როგორ გადავალ, ლალი-შაქირავ? შენი სურვილი კანონივითაა ჩემთვის!

„მადლობთ, ნუცა! ისეთივე ხარ... ისეთივე, ადრე რომ გიცნობდი. ჩემი ბედი გადაწყვეტილია და ამ ჩემი ბედისწერის ბოლო სტრიქონები მინდა წაგიკითხო...“

– არა, ლალი-შაქირავ! არამც და არამც!

„ერთ სტრიქონს მაინც! არ გინდა, ნუ გაიგონებ...“

– ნუ, ლალი-შაქირავ... ნუ იზამ ამას და... მივდივარ! ლალი-შაქირავ...

„ჩემი გზაც აქ მთავრდება...“

– ჩუ... ნუღარ გააგრძელებ, ლალი-შაქირავ, გთხოვ...

„მაშინ: იცხოვრე შენი ცხოვრებით... თავიანთი ცხოვრება ექნებათ შვილებსაც. ლალი-შაქირაი კი გამზადებულია საიმქვეყნიოდ... ნუღარ გაიკვირვებ, ნუცა...“

– უშენოდ, ლალი-შაქირავ... – გააკანკალა ქალს, – ბნელდებოდესო თითქოს...

„მომიტევე, ნუცა... ბედისწერის შეცვლა არავის შეუძლია და რომც შემეძლოს, მე აღარ ვისურვებდი ამას... სამყაროსეული წესრიგის შეცვლას ლალი-შაქირა არ ისურვებს, მაგრამ გაძლევ პირობას, გპირდები, რომ ვიქნები შენთან აწი უჩემობასაც ველარ იგრძნობ“. – ხმა-ფიქრიც გაებზარა ლალი-შაქირას და ეს აღარ გამოპარვია ნუცას. ლალი-შაქირამ კი ენის წვერზე მომდგარი სიტყვის წაღება ახლაც იოლად მოახერხა, მაგრამ ყელზე დაადგა და გაბმული ხველა აუტყდა. ძლივს მოერია თავს და გაიღიმა: – ჰო, ვიქნები შენთან... როცა კი შენ ისურვებ ამას“.

– შენ ცაში იყავი, ლალი-შაქირავ, ცაში დაფრენდი ყოველთვის...

„ჰო, ფრენა უყვარდა ლალი-შაქირას, მაგრამ ყოველთვის გხედავდა...“ – გაბზარული ხმა-ფიქრი აღარც გამრთელებია ლალი-შაქირას.

– მიწაზე ჩამოსვლა არც არასდროს გიფიქრია, ლალი-შაქირავ!

„არ შეუძლია ლალი-შაქირას სივრცის გარეშე! სივრცის, ზეცისაა შენი ლალი-შაქირა, ახლა კი მშვიდობით!“

და აღარც კი ახსოვს ნუცას, როდის წამოდგა ლალი-შაქირას საწოლიდან და ფეხის წვერებზე შემდგარმა ღრიჭოდ დარჩენილი კარისკენ გასწია. კარიც თვითონ შემოიღო დერეფანში და თავისით მიიხურა.

ახლა ამაზე რომ ვფიქრობ, მიჭირს იმის დადგენა: ცხადში ხდებოდა ეს ყველაფერი, თუ – ერთ ჩვეულებრივ სიზმარში. ერთი მოგცლიაო შენც, შევუბღვირე ჩემსავ გამოსახულებას სარკეში და წყალი შევისხი სახეზე, იქნებ ამან მაინც მომაფხიზლოსო. ჰო: ძილ-ღვიძილში ვიყავი მართლაც...

* * *

მესიზმრა ლალი-შაქირა: მიწაზე აღარ იდგა: ორმოცი-ორმოცდაათი სანტიმეტრით აწეულიყო მაღლა, ფერიც არაადამიანური ედო სახეზე. ახლა ნუღარ მკითხავთ: როგორ, რანაირად და მენიშნა მაშინ, რომ ლალი-შაქირა იყო თითქოს ეს კაცი. პეპელასავით ამჩატებულიყო და ირწეოდა სივრცეში. თითქოს გამჭვირვალეც იყო: ჰო გამჭვირვალე, ჰაეროვანი.

მომისმენდეო, მიბრძანებდა თითქოს და მოსასმენად განვეწყვე მეც:

გახსოვს, გეუბნებოდი, ორთქლში მნახესო გახვეული და ის დღეც შენად ჩათვალე და ჩვეულებისამებრ გამოიყენეო. გაარკვიე, ფიქრი რა არი და მოსალოდნელია გაგიმატერიალიზდეს კიდეც და ნუ გაიკვირვებო. შეიძლება აგიტირდეს თიხის კაცი და გაგიავდრდება იცოდეო. ვფიქრობ: ავი რამ შეგემთხვას და შენ კი მაინც სიკეთეს იქმოდეო. გირჩევ, როგორც მოგიხერხდებოდეს: ბოროტით მიუზღავ ბოროტს და აღარ გაგითენდეს! ერთი რიტუალიც გექნება ჩასატარებელი: ყოველდღე, ალიონზე ჩაირბენდე წყაროზე (ეს: თუკი სოფელში მოგიწია ყოფნა) და მიესალმებოდე წყაროს: მერე აიღე თიხის კაცი და განბანე წყაროს წყლით, მაგრამ ქალქაში ყოფნის დროს კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, ზღვის წყალში ამოავლე სამჯერ, მზის ამოსვლამდე, ადგილიც ჩვეულებრივი მიუჩინე თიხის კაცს: იყოს თავისთვის, ნუ შეაწუხებ და თავსაც ნუ შეაწუხებინებ. მაგრამ თუკი შენს თვალწინ ნამსხვრევებად იქცეს, აკრიბე ნამსხვრევები, დანაყე გულდასმით და საფლავზე მომაყარე სილასავით. მაგრამ ამის მერე, თვითონ შენ გამოძერწავ თიხის კაცს და სულსაც შთაბერავ! იცოდე: შენც და შენი თიხის კაციც ახალ სიცოცხლეს იწყებთ! ჰო, კვდება ჩემი თიხის კაცი და ვკვდები მე – კაცი! და კიდევ: მე ჩვენებური ქარონი ვიქნები: სულებს გადავიყვან მარადსოფელში ამ წუთისოფლიდან, შენ კი: რჩები წუთისოფელში. ეს წუთისოფელი შენი გასავლელია... ამოწურავ შენეულ წუთს... იცოდე, რისთვისაც მოსულხარ? შენ მსახური ხარ! ძნელია მსახურის ცხოვრება, მაგრამ გასოვდეს, რომ წუთია სოფელი და: ბევრნი უძლებდნენ და შენც გაუძლებ იმის ჭირვეულობას! მერე კი: მარადსოფლისკენ ჰერი, ჰერი! წუთისოფლის გასასვლელთან დაგელოდები. გახსოვდეს: მთელი შენი სიცოცხლე სიკვდილთან შეყრის მზადებაა და თუკი წაიფორხილე სადმე, წაიქცე კიდეც, მაგრამ არც დაცემა უნდა იყოს ეს! უნდა წამოდგე! გითხარი ერთხელ: შენია ეს წუთი და შენს გარდა ვერავინ გაივლის მას! ყველა საკუთარი წუთით ცხოვრობს. აგერ ჩემი თიხის კაციც! ხედავ, თაროდან ჩამოვარდა და... ნამსხვრევებად ქცეულა! რამდენი წლისაცაა შენი ლალი-შაქირა, იმდენი ნამსხვრევია! გნებავს: დათვალე! ასე რომ: ვკვდები მე აქ და გრაფი – იქ... იმის სულიც ჩემი გადასაყვანია ამ წუთისოფლიდან. მე მზის ჩასვლამდე ვკვდები, ის კიდევ მზის ჩასვლის პირველ წუთებში. დასრულდება ჩვენი წუთისოფელიც და შენი დრო დგება, ნოე! ვხედავ: დაგიწყია უკვე შენი თიხის კაცის ძერწვა... კარგად გამოგდის! ასე, ასე, ჩემო ნოე, გამოძერწავ თი-

ხის კაცს და მოისვენებ! სულსაც შთაბერავ! აბა, მიიხედე იქით! თინიკოა, გელის! ხელს გიქნევს და ნუღარ ალოდინებ!

* * *

მზე უნდა ჩასულიყო და:

კვდებოდა ლალი-შაქირა.

და: აღარაა, ლალი-შაქირა! აღარაა...

მერე: აღარც გრაფია უკვე...

მაგრამ როგორ გინდა დაიჯერო ეს ყველაფერი?!

– ნოე, იცი ალბათ, რომ... – ცრემლი შეიწმინდა თინიკომ, – მორგში გადაუყვანიათ ორივე... – იცრემლება.

როგორ მოხდაო, ვკითხე გულმოწურულმა.

– როგორ და... – სული მოითქვა თინიკომ, – მოკვდა ლალი-შაქირა, მზის ჩასვლამდე სულ ერთი წუთით ადრე და მხოლოდ ერთი წუთი იცოცხლა გრაფმა მზის ჩასვლის შემდეგ. სიკვდილის წინ ვერავის ცნობდა გრაფი, მაგრამ რომ აღარ მოველოდით, მაშინ დაუბრუნდა ცნობიერებაც და მეტყველებაც და ლალი-შაქირა ახსენა, უკვე აღარაა. ვიცნობდიო ლალი-შაქირას, სრულყოფილი სული იყოო. თვითონ გრაფს კი სრულყოფილებამდე ათასი გორი აშორებსო... რომ მკვდარი იყო მისი გზაც და ცხოვრებაც და მონანიებისათვის დრო აღარ ჰყოფნიდაო. წერილი გადმომცა შენთვის, – ცრემლები ღაპა-ღუპით სდის, – შენ არ წაიკითხოო, დამაფიცა, გრაფს ასე ნებავსო! ლალი-შაქირა წმიდა სული იყო, ევლიასაც ტყუილ-უბრალოდ არ შეარქმევდა სოფელიო... წერილი კი, მარტო რომ დარჩები, ნოე, მაშინ წაიკითხე. ჰო, თინიკო, შენ რომ იცოდე: ლალი-შაქირა წამიძღვება მარადსოფლისკენო, – მითხრა და ეს წერილი გადმომცა.

წავიკითხავ, მარტო რომ ვიქნებიო, ვთქვი და უბეში შევინახე წერილი.

– ნოე, ის შენი ლალი-შაქირა, გრაფისგან მსმენია და მართლა ყრუ-მუნჯი იყო? არც ესმოდა და ვერც ლაპარაკობდაო...

– ყრუ-მუნჯი? არც მთლად ასეა, მართალია არც ეყურებოდა და ხმასაც ვერ იღებდა, მაგრამ ყრუ-მუნჯი არა მგონია ყოფილიყო.

– თუკი არ ეყურებოდა, მაშასადამე ყრუ ყოფილა და თუკი ვერც ლაპარაკობდა – მუნჯი...

– თინიკო, ცალკე ყრუ ყოფილიყო თითქოს, ცალკე – მუნჯი, მაგრამ ყრუ-მუნჯი, არა მგონია!

– არ გამაგიჟო, ნოე! მაგრამ გრაფიც შენსავით რომ ფიქრობდა!

– თინიკო, შეიძლება არ ესმოდეს შენი, მაგრამ კითხულობდეს შენს ფიქრებს, ხმას არ იღებდეს და გაკითხებდეს თავის ფიქრებს... თქვი ამის მერე, ყრუ-მუნჯიაო?!

– ჰო, ნოე: თუკი არც ეყურება შენი და უსიტყვოდ გაგაგონებს თავის სათქმელს... იხედება შენს სულში და საკუთარ სულშიც გახედებს... ვინ უნდა იყოს მაინც ლალი-შაქირა? გრძნეული?

– შეიძლება გრძნეულიც... თავს ვეკითხებოდი, რა ჰქვია ლალი-შაქირასნაირ კაცსო და ამდენხანს მისადაგებული სახელი ვერ მეპოვა. იქნებ გრძნეულია და... მზაკვარი არასდიდებით! გრძნეული იყო შენი გრაფიც. ოღონდ: ერთი ერთ პოლუსზე რომ იდგა, მეორე – მის საწინააღმდეგო პოლუსზე...

– შეიძლება ასეც იყოს. ვფიქრობ ამასთანავე, რომ იცნობენ ერთმანეთს, ესმით ერთი მეორის და... იცნობდნენ ერთმანეთს და ესმოდათ ერთი მეორის...

ასე გამოდისო, ხმას დავუწევ და ფიქრის საბურველშიც გავხვევ სათქმელს: „მოკვდნენ ლალი-შაქირა და გრაფი...“ – შემზარა ფიქრმა.

– ჩემები სახლში დაასვენებენ გრაფს... – ხმა აუთრთოლდა თინიკოს.

– ლალი-შაქირას კი სოფელი მიხედავს, – ვამბობ და ამოვცარიელდიო თითქოს და ამჩატებულმა თავი ძლივს შევიმაგრე, რომ არ ავრწეულდავრწეულიყავი. თავი წამომტკივდა.

ხვალ გნახავო, ხმადაბლა შევბედე თინიკოს და თავი დამიქნია: – ჰოო, ლალი-შაქირას ჭირისუფალი შენ ხარ, მამაჩემს კი არაფერი მიაკლდება. წესსაც აუგებენ და... – ხმა ჩაუწყდა და თავი დამიკრა. – ჰო, მართლა, უწყება მოგვივიდა გრაფის სახელზე, ქალაქიდან გასვლა ეკრძალებოდა... ხვდები, ალბათ ამის მიზეზს... იფიქრა, იფიქრა მამაჩემმა და: ბოლოს მაინც

მიაგნო გამოსავალს და ჩალა გამოავლო პირში პოლიციას. აბა, რის გრაფი იქნებოდა, სხვანაირად რომ მოქცეულიყო?! – აქ კი თავი ველარ შეიმაგრა და ატირდა. ასე ატირებულმა დამტოვა.

მე კი შემციებოდესო თითქოს, სირბილი დავიწყე ადგილზე. შევთბი და დავდექი. მიმოვიხედე ირგვლივ: ლამპიონის ქვეშ ვიდექი. არც კი შემიმჩნევია, როდის აინთო. უბიდან გრაფის წერილი ამოვაცურე და გავშალე გულისფანცქალით.

ვკითხულობ: „ნოე, შენ ლალი-შაქირა გყავდა მასწავლებლად, მაგრამ მინდოდა ჩემი შეგირდიც ყოფილიყავი. შენზე დიდი ხანია ვიცოდი, იქნებ დაბადებულიც არ იყავი, იმხნობიდან. ლალი-შაქირა წინასწარმეტყველებდა შენზე, შენი სახელიც კი წინასწარ იცოდა. პირველად მეცინებოდა ლალი-შაქირას ახირებაზე, მაგრამ მერე მეც დავიჯერე და მხოლოდ ჩემს შეგირდად წარმოგიდგენდი. მერე გნახე კიდეც... დადიოდი ჩემთან, მაგრამ მაინც ლალი-შაქირას შეგირდად რჩებოდი. ვიცოდი ადრეც, რომ გრძნეული იყო ლალი-შაქირა, მაგრამ იმაზე ნაკლები გრძნეული ჩემი აზრით არც მე ვიყავი და ასე ვებრძოდი ლალი-შაქირას, თვითონ ლალი-შაქირა ყურსაც არ აბარტყუნებდა ამაზე. ვიცნობდითო ერთმანეთს, ეს ცოტაა, ნოე. ჩვენ ყველაფერი ვიცოდით ერთი მეორეზე... ჰო, მართლა თქვენი ამასწინანდელი საუბარი, თინიკოსა და შენს შორის რომ გაიმართა, შემთხვევით მოვისმინე. ლალი-შაქირა იყო თქვენი მსჯელობის საგანი. მართალია, თინიკოს ჩემგანაც სმენოდა ლალი-შაქირაზე, მაგრამ უფრო დაწვრილებითი ცნობები შენს პირველ მასწავლებელზე შენგან მიიღო. თითქოს ყრუ-მუნჯია ლალი-შაქირა, შეიძლება ყრუ-მუნჯიც იყოს, მაგრამ იყო დრო, რომ ესმოდა ლალი-შაქირას და ლაპარაკობდა კიდეც, წარმოიდგინე: კაი მჭერმეტყველიც იყო და არ ვიცი, რა იყო მისი დამუნჯების მიზეზი, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ესმის და ლაპარაკიც შეუძლია. ერთხელ ისიც კი მითხრა, ნეტაი ყრუ ვიყოო, ამდენ სისულელესა და ამდენ ამაზრზენს, კაცის დამამცირებელსა და დამაკნინებელსაც ველარ მოვისმენდიო. შეიძლება... დღეს მართლა ყრუ-მუნჯი იყოს, მაგრამ ლალი-შაქირაზე კარგად არავის ესმის ადამიანისა. საოცარია და კიდევ უფრო მისი ესმით. იგი ჯადოსნური გამტარია, ამავე დროს კამერტონიცაა ერთგვარი, შემოჰკრავ და აჟღერდება. ჯადოსნური წიგნივითაა ლალი-შაქირა, მისი მშობელი და შემოქმედი თვითონ ღმერთია მაღალი! ხომ ღვთის შვილები ვართ ადამიანები, მაგრამ ლალი-შაქირასნაირი სიწმინდე, იშვიათად რომ გადმოჰყოლოდეთ ადამიანებს. ასე რომ, გაგიმართლა, მოწაფედ რომ აგიყვანა! მე კი ერთ დროს ვცხოვრობდი მის გვერდით და ვერ ვაფასებდი ამას. იგი ყოველთვის სწორი გზით ვიდოდა უფლისკენ... უფალმა ჩემდამიც მოიღო მოწყალება გამიხსნა გონება და ჯადოსნური ჯოხიც მიბოძა, მაგრამ ვერ დავუფასე ამაგი და ზურგი შევაქციე. უფლის ბოლომდე ვერ ვირწმუნე და... ეშმაკისეული კვერთხი ვარჩიე და სული მივეცი სანაცვლოდ, რაც კი რამ ძვირფასი გამაჩნდა, იმას დავუთმე. ხელწერილიც იმას აქვს ამ გარიგების, ასლი კი თვითონ მე შემანახვინა. აგერაა ის ხელწერილიც, ვწვავ... აჰა, ფერფლად იქცა, მაგრამ დედანი იმას აქვს, იმას! ჰო, ქარმაც მოუბერა და გაფანტა კიდეც იმ ხელწერილის ფერფლი, მაგრამ მერე რა... მეშველა ვითომ? უფალი რომ მიმტევებელია, კარგად ვიცი და ვინანიებ კიდეც, მაგრამ გვიანია მგონი მონანიება... ხედავ, ნოე, მე ახლაც ბოლომდე ვერ მირწმუნია უფლის: ახლაც ვცოდავ! ვაღიარებ ამას. ვიცი, ისმენს ყველაფერ ამას მაღალი ღმერთი და მეც მომიტევებს ბოლოს, მაგრამ მე, თვითონ მე ვერ მიმიტევებია ჩემი თავისთვის, ვინანიებ, ნოე, ვინანიებ! მე მარად მონანიე სული ვარ! ვინანიებ მარადსოფელში გადასვლის წინ. უფალი რომ მიმტევებელია, ეს იმაშიც ნათლად ჩანს, რომ წუთისოფლიდან მარადსოფელში გადასავლელ ხიდზე ლალი-შაქირა მომიჩინა. დიდია იმის სახელი: მაინც მომიტევა! ესეც ჩემი აღსარება. მაგრამ... თინიკო მრჩება მარტოდმარტო ამ გაუტანელ წუთისოფელში. მეშინია არაფერი დაუშავდეს. ამიტომ: მის მეგზურად შემირჩევიხარ შენ, ლალი-შაქირას შეგირდი და თუკი არ იუკადრი-

სებ, შეგირდო ჩემო, შენთვის მომინდვია მე მისი ბედიც! მეტს ვერაფერს გეტყვი. აქ დავსვამ წერტილს. მე კი: მინდა ლალი-შაქირას მივენდო...

ჰოდა, კვდებოდნენ: აქეთ – ლალი-შაქირა და იქით – გრაფი.

ჩვენ კი: მე და თინიკო, ვიდექით სუნთქვაშეკრულები: თინიკო გრაფისკენ იდგა პირით, მე – ლალი-შაქირასკენ...

მზე ჩადიოდა, ჯერაც არ ჩასულიყო...

ეპილოგი

ვთქვი ერთხელ: ბიბლიური ნოედან მოვდივარო და ამიჯანყდა გული: „ჩვენ კიდევ უფრო შორიდან უნდა მოვდიოდეთ, მაგრამ... ისევ კითხვები? ვიყავი ვითომ ყოველთვის?

საწინააღმდეგო რამ ამისა ვერაფრით წარმომიდგენია, მაგრამ ამაზე ძნელად წარმოსადგენია ჩემთვის, მიმტკიცონ, აწი აღარ იქნებიო! არც უჩემოდ მიმდინარეობდა დრო და უჩემოდაც ვერ იმდინარებს! ასევე შემიძლია ვთქვა სივრცეზეც: ვიყავი სივრცეში გაჯერებული და სივრცეშივე ვიქნები გაჯერებული. მაშასადამე: ვიყავ ყოველთვის, მაგრამ როგორღა მოვიცვა ეს დრო მთლიანად? როგორღა მოვიცვა ეს სივრცე ყველა განზომილებაში (განზომილებაში აქ ყოფა-ყოფიერებასაც ვგულისხმობ). დიახ, მოვდივარ ჩემი ცოდვებითურთ სული მონანიე...

მაგრამ გამოსაკვლევი მაქვს უპირველესად ჩემი წარსული: მე თუ არ გავიწიე მისკენ, იგი თავისთავად არც მოვა ჩემთან! მომავალი კი თვითონ მოექანება ჩემკენ და ვერანაირად ვერ ამცდება! აღვიქვამ ჩემეულად, როგორიც არ უნდა იყოს... მოახლოებული მომავალი კი აწმყოდ იქცევა თვალისდახამხებაში და ისიც წარსულისკენ სულწასწრებული წამია!

და ერთიც მთავარი ალბათ: დროის ტყუილუბრალოდ დაკარგვა ცოდვაა გამოუსწორებელი!

* * *

აღარც ლალი-შაქირა და აღარც მისი გამოქვაბული...

ჩემს წინ კი თვალუწვდენელი კიბე ასაფეხურებულიყო. აგერ საფეხური პირველიც: იმას სხვა უთვალავი საფეხური აკიბევებოდა და ცაში ატყორცნილიყო ერთ უსასრულო მწკრივად. სუნთქავდნენ თითქოს ეს გამჭვირვალე და ჰაეროვანი საფეხურები; ქვედაღმავალ კიბესაც ვხედავდი ქვესკნელში ჩაკარგულ-გაფერმკრთალებულს. შემზარა პირდაფჩენილმა უფსკრულმა და პირველ საფეხურზე (ზეაღმავალზე, თორემ, ვთქვი ერთხელ, ჩემს ქვემოთ დაღმავალი საფეხური პირველი ძილ-ფხიზლობდა. დავადგამდი ფეხს და გამოიღვიძებდა, ავიწევდი მაღლა და მიიძინებდა) დავაბაკუნე ფეხები (გასამხნევებლად) და კარიც შეიღო იმწამსვე. კინაღამ არ დამავიწყდა მეთქვა, რომ კარზე ასეთი წარწერა გაეკეთებინათ: „სამართლიანობა-უსამართლობა!“

ზედ ჩემს ცხვირწინ სასწორი:

ერთი მხარე, მე რომ შევმდგარიყავი, სამართლიანობისა იყო, ჩემი ორეული მეორეზე – უსამართლობისა.

– ადგილებზეო! – გვებრძანა.

მეც შევდექი სასწორის ერთ მხარეზე, თავიდანვე სამართლიანობისად რომ მივიჩნიე, მეორე მხარეც მაშინვე დაიტვირთა, კაცი ნამდვილად ვერა, მაგრამ ანტიკაცი ხომ მაინც იქნებოდა?! ჩემსიმძიმე და იქნებ მთლად ჩემნაირიც, მაგრამ მე რომ არ ვყოფილვარ ის ანტიკაცი, ამის მტკიცება არც უნდა დამჭირდეს.

ჰო: იწილო-ბიწილოო...

წამით გავსწორდით თითქოს, გავწონასწორდით, გავტოლიტოლდით თითქოს, მაგრამ მხოლოდ წამით და აიწონ-დაიწონა სასწორი: მე აქეთ შემკვრია სუნთქვა, იქით – იმას.

ვაითუ უსასრულობამ გაიმარჯვოსო, შევწუხდი. აქეთ იგი შეწუხებულიყო: ვაითუ სამართლიანობამ ჭამოს პურიო.

მაგრამ დამიმძიმდა გული და: მე გადავწონე!

იგი გადაიწონა.

ჩამოვედი სასწორიდან, მაგრამ სასწორს მდგომარეობა აღარ შეუცვლია (მაშინვე დავასკვენი: ჩვენ ერთდროულად ჩამოვსულიყავით სასწორიდან).

ფიქრიც აქ ჩამიმთავრდა და მეორე საფეხურზე ვიდექი უკვე. ისევ კარიბჭე ახალი წარწერით: „სიკეთე-ბოროტება“.

ტანში დამზრზინა, მაგრამ მაინც შევაღე კარი. და ისევ ის სასწორი. ერთი მხარე სიკეთეს უკავია, მეორე – ბოროტებას. მასში ჩემი ორეული შევიგრძენი. მთლად ჩემი სიმძიმისა და იქნებ მთლად ჩემნაირი.

ვიკავებთ ჩვენ-ჩვენს ადგილებს: ვნახოთ ვინ ვის გადაწონის?

სიკეთეს მე ვასახიერებდი, ბოროტებას – ჩემი ორეული-ანტიკაცი.

იმას: ძარღვიც არ შეტოკებია სახეზე და შიშისაგან შემეკუმშება გული: „ნუთუ...“

„შენ უნდა გწამდეს, ძიავ!“ – გავიგონე და უცებ მოვფხიზლდი: „მე რომ დავმარცხდე, ხომ ჩაკვდა კეთილი საქმე?! ეშმაკმა გაიმარჯვოს?! თქვენი ბედი კი ჩემთვის მოუნვდიათ, ადამიანებო! ამიტომ: დაუშვებელია ჩემი დამარცხება. მგონი იმედს გიცრუებთ...“ – ამიკანკალდა მუხლები.

„რწმენა გადაგარჩენთ შენც და ადამიანებსაც!“ – ლალი-შაქირა იყო ისევ.

„ჰო, რწმენა გადაგვარჩენსო!“ – წინ გამიწია გულმა. სულაღგზნებული ადგილზე ვეღარ ვჩერდებოდი: „და ჩემი უუნარობითა და უგერგილობით დაუშავდეს ადამიანებს?!“ – აღმომხდა და: გადაწონა მაშინ სიკეთემ ბოროტება: ნაღველს ანთხევს ალბათ ჩემი ორეული-ანტიკაცი ბოღმისგან.

და: მესამე საფეხურზე შემდგარი ვკითხულობ წარწერას კარზე: ცხოვრება თუ ყოფიერება?

ვფიქრობდი, ისევ სასწორი თუ გადაწყვეტდა ამ გამოცანას, მაგრამ არა: ვზივარ ფიქრის სავარძელში და ვჭვრეტ. მე მჭვრეტელი ვარ და საყოველთაოდ ცნობილი მცნება თუ მოარული გამონათქვამი ამკვიატებია, „ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას“. რასაკვირველია ამას ვერც მე ავუქცევ მხარს, მაგრამ...“

„მაგრამო?! შენც გეეჭვება?! იქნებ ფიქრობ, რომ „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებასო!“

„მე როგორ ვფიქრობ?! შემიძლია ვამტკიცო: „ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებასო!“ მაგრამ ამის საწინააღმდეგო „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებასაც“ არ მიმაჩნია ჩამოწერილ თეზად და მაინც რომელზე შევაჩერო ჩემი არჩევანი? რომლით დავიწყო?“

– დროს ნუღარ ვაცდენთ! აინაცვლე კიბეზე!

მაღლა ავიწიე და სიმაღლე შევიგრძენი. სიმაღლემ მომიცვა. „სიკვდილ-სიცოცხლეო! აქ: სიკვდილია სიცოცხლის ნაწილი თუ პირიქით სიცოცხლეა სიკვდილის ერთი გარკვეული მონაკვეთი?“ – ვეკითხები თავს, მაგრამ იმის უარყოფასაც როდი ვცდილობ, რომ სიტყვა „სიკვდილის“ წარმოთქმისას მცივა როგორღაც, „სიცოცხლის“ ხსენებისას კი სითბო მეღვრებოდესო თითქოს სულში, სითბო – ღვთაებრივი და განმკურნებელი სულის.

„აბა, გისმენო!“ – გავიგონებ და ჟრჟოლა ამიტანს.

„სიცოცხლე მარადიულია და უსასრულო... უკვდავია კაციც ღმერთივით; სიკვდილი კი წამია ერთი სიცოცხლიდან მეორეში გადასასვლელი დრო...

ღმერთი... სიცოცხლე: თავად ღმერთია სიცოცხლე! მარადისობაც ღმერთია და ღმერთია უსასრულობაც: ყოვლისმომცელი და ყოვლისმხილველიც!“

„და ყოვლისშემძლეც?!“

„ჰო, ყოვლისშემძლეც, რაღა თქმა უნდა!“ – მხრებს ავიჩეჩავ, საეჭვოს რაღას ხედავთ ამაშიო.

„აქ კი: შემიძლია არ დაგეთანხმოთ! გიკვირს რომ ვერ ვარ შენი აზრის გამზიარებელი?“

„რა თქმა უნდა! ეს ისე ნათელი და გასაგებია, რომ... და ამ დებულების მტკიცებულებების მოსაძიებლად დახარჯულ დროს დაკარგულად ვთვლი მაგრამ დროის დაკარგვას მე ვერ დავუშვებ!“

„მაშინ ერთხელ გკითხავ ამასთან დაკავშირებით და ვეცდები შეგაცვლევინო კიდეც ადრე შექმნილი აზრი ღმერთის ყოვლისშემძლეობის შესახებ და ვინ იცის და მის ყოვლისმხილველობასა და ყოვლისმომცველობაშიც დაგაეჭვო...“

– სწორედ, რომ მაკვირვებთ! – წამოვიძახე შეურაცხყოფილმა.

„ვერ მხედავთ და გესმით ჩემი... ეს რატომ არ გაკვირვებთ?!“

„მიკვირს, რომ გისმენთ საერთოდ...“ – მომეწურა გული ტკივილისგან, ერთგვარი უსუსურობაც ვიგრძენი და დავპატარავდი საკუთარ თვალში. ესეც იგრძნო ჩემმა უხილავმა მეტოქემ და დამცინავადაც შემათვალიერა:

„ვარ, ვარსებობ... ღმერთს ვერ ვხედავ, მაგრამ შევიგრძნობ, შენც ხომ შემიგრძნობ, მაგრამ ვერ მხედავ და გაგიმეორებ: ეჭვი შემაქვს ღმერთის ყოვლისშემძლეობაში... ჰო, ყოვლისშემძლეობაში, თორემ როგორც უნიკალური ფენომენი, ისიც შემძლეა რაღაც რაღაცების... რომელ საუკუნეში გგონია თავი?! შეგვისწავლია ჩვენ ლოგიკის საფუძვლები... ვიცი, შენც წაგიკითხავს ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება“. მისი ლოგიკა და ვისი ლოგიკაც მოიშველიე თუ გინდა და დამიმტკიცე, რომ ყოვლისშემძლეა ის შენი ღმერთი, თუნდაც ჰეგელის „იესოს ცხოვრება!“ ჰო, ახლა მომისმინე ყურადღებით, რადგან ის კითხვა მინდა დაგისვა, შენნაირი ტვინიკოსებისთვის რომ მაქვს შემონახული: ჰო, იმ შენმა ყოვლისშემძლე სულმა გააჩინოს იმხელა და იმსიმძიმე ლოდი-ქვა, რომ მერე ვეღარ აზიდოს!“ – ამოთქვა და სივრცესაც გააჟრჟოლა. მომეჩვენა თვითონ სივრცე მცდიდესო თითქოს და ნერწყვი გამიმწარდა.

„ჩაგაგდე მგონია საგონებელში... იცოდე: თვითონ უფალია, საგონებელს რომ მისცემია და შენი რომ გამკვირვებია, არ ვიცი რატომ?“

„არა მგონია აბსურდს და საერთოდ ყოველგვარ აბსურდულს ლოგიკური ახსნა მოუძებნოს ჭკუათმყოფელმა კაცმა... თქვენი ეს კითხვაც ისევე აბსურდულია, როგორც თქვენი არსი და არსებობა... თქვენი აზროვნება და თქვენი ყოფაც ხომ ალოგიკურია: მეეჭვება, რაღაც შეხება რომ გქონდეთ ლოგოსთან საერთოდ და ყოფაც და ყოფიერებაც თქვენი ხომ აბსოლუტური უაზრობაა. აბსურდი!“

„აქ მინდა გითხრა...“ – ბზარი გაუჩნდა ჩემს მეტოქეს ხმაში და ამანაც გამაკვირვა.

„მეც მინდა გითხრათ, რომ... შენ შენი აზროვნებით შენსავ არსებობას აყენებ ეჭვქვეშ! ჰო, უფლებას ვეღარ მივცემ თავს, რომ თქვენობით მოგმართოთ, რადგან ერთი ხარ შენ, ერთადერთი, ღმერთს რომ არ მიაგებ ღმრთისას...“

„ამას არ ჰქვია ლოგიკური აზროვნება...“ – ეს უკვე თავისთვის ჩაილაპარაკა ჩემმა მეტოქემ, მარცხის ვერშემგუებელმა.

„იქნებ თვით უფლისთვის მოგვეხმო?!“ – წამოვიძახე და მაღლა ავიღე თავი.

და გაიპო ზეცა შუაზე და მუხლები მომეკვეთა.

„გისმინა იმანო, მამაზეციერმაო...“ – გააკანკალა იმას, ვისაც ღვთის ყოვლისშემძლეობაში ეეჭვებოდა და თავბრუ დამესხა. თავბრუ დასხმოდა ყველაზე დიდ ურწმუნოსაც. ოფლი შევიწმინდე და იქითკენ მივაბრუნე თავი, სადაც ჩემი ურწმუნო მეტოქე მეგულებოდა. ახლაც ვერ დავინახე და უფრო მეპატარავა თავი საკუთარ თვალში: „იმას აკანკალებსო რომ ვამბობ, რა უფლებით ვამბობ, როცა ახლაც უხილავია იგი ჩემთვის... ის მართლაც ურწმუნო გადამთიელი...“ – ვაპირებდი: უფრო სიღრმეში შევყოლოდი მოარულ ფიქრს, რომ ჩემს წინ, სივრცეში ზღაპრული ძალისა და აღნაგობის სული გამოიკვეთა. იმხელა იყო, თვალს ვერ შეაწვდენდი. კვერთხი ეჭირა ხელში და მთელი ძალით აიქნია მაღლა, თან წაიჩურჩულა თავისთვის რაღაც და ლოდი-ქვაც გამოიძერწა სწორედ რომ მთისხელა.

„ბამბის ხომ არ გგონიაო?!“ – იკითხა ღიმილით, – ჰეი, შენ, სულო განდგომილო... დადუმებულხარ რატომ?“

ხმა ვეღარ ამოიღო იმან და სული მე მომიბრუნდა მაშინ: – შეეხე, რომ ერთხელ და სამუდამოდ იწამო ჩემი!

„არ მიწყრებაო...“ – გამომიკეთდა გუნება და ლოდი-ქვას მივენდე. მივენდე და მიმიზიდა,

აღარ გამიშვა. იგი მაგნიტის მთა იყო. მე კი მისი ლურსმანი: „იმხელაა და იმსიმძიმე, რომ მზესაც მიიზიდავს, იმ დიდმა სულმა რომ ინებოსო," – ფიქრმა შემიპყრო: მაგრამ მესმა თანაც, თავისუფალი ხარ შენ ურწმუნოებისგანო და ლოდ-ქვამაც შემიშვა თავისი უხილავი თითები:

„თავისუფალი ვარ... სულო, მადლობა!" – აღმომხდა და სულმაც აღარ დააყოვნა:

„თავისუფალი ხარ, მაგრამ თავის უფალი მანამდე ვერ იქნები, სანამ საბოლოოდ არ მირწმუნებ... სამარადისოდ! თავისუფლება კი მომინიჭებია შენთვის!" – თქვა და გავთავისუფლდი. შვებით ამოისუნთქა ლოდქვამაც: – ახლაც გეეჭვებაო ჩემი ყოვლისშემძლეობაო?! შენ, შენ გეკითხები, სულო განდგომილო!"

„და შენ შეგიძლია ამ ლოდი-ქვის წამოწევა?!" – წამოიძახა იმ განდგომილმა სულმაც, სახის გამოჩენა ახლაც, რომ არ ინდომა.

„ადრე ჩემს ყოვლისმხილველობასა და ყოვლისშემძლეობაშიც გეეჭვებოდა, მახსოვს... ვხედავ დღესაც იმ ჭკუაზე ბრძანდები... სულაც არ შეცვლილხარ: ისევ ისე ოსტატურად თესავ ეჭვს და უნდობლობას და ამრავლებ კიდეც... გისმენს ზოგი და... რწმენაც დაუკარგავთ ჩემი... არა, არვის ვუწყრები, რადგან ვიცი, კვლავ ირწმუნებენ ჩემსას; ვიცი: სასწაულს მოელით ჩემგან. ფიქრობთ, რომ ჩემი წამოსაწევია ეს მართლა კენჭი?! მაგრამ... შენ ხომ არ გეცადა, სულო განდგომილო? იქნებ: გამოგივიდეს ამჯერად და..."

„მაგრამ, რომ წამოსწიოს?!" – ოფლი დამასკდა შიშისაგან.

„ნუთუ სულ აღარ გწამს ჩემი?!" – მესმა დიადი სულის ტკივილით გაჯერებული სიტყვა და დამსიცხა: – ის... სული განდგომილი... ვეღარ შემბედავს ამდენს, აზრადაც არ მოუვა წამოსწიოს ჩემი ე მანდ დასმული პაწია კენჭი, თქვენ რომ მთა-ლოდად წარმოგიდგენიათ, მე კი..."

„რომ წამოსწიოთ ხომ დაირღვა იმ ცთომილი კითხვის მეორე პუნქტი?!" – ამოვთქვი და შევბარბაცდი თავბრუდასხმული.

„ცაიტნოტში აღმოვჩნდი მე შენი აზრით?! ერთი ამ განდგომილ სულსაც ჰკითხე, რას ფიქრობს ახლა?" – წარბები მაღლა აზიდა სულმა დიადმა და სუნთქვა შემეკრა.

იელვა და ზეცაც გაიპო შუაზე: – ამ მთა-ლოდის წამოწევა არც მიმაჩნია აუცილებლად და არცაა ეს არსებითი... მთავარია, რომ!..." – იქუხა და ზეცა თავს ხომ არ ჩამომექცაო, გამიელვა.

„თვალი აახილე! აი, სასწაულიც, ასე რომ მოელით ჩემგან! რას მიქვია ამის წამოწევა, როცა მე ივარქმნაც შემიძლია მისი! იყო ლოდი-ქვა, ამ განდგომილმა სულმა რომ ბრძანა ერთხელ. და აღარაა ის ლოდი-ქვა! აღარ იქნება!

იელვა ისევ და:

იყო ლოდი-ქვა და აღარ არის!

„იყო და აღარ არის..." – გაიღიმა დიადმა სულმა და ზეცამაც შეიკრა პირი.

„ის იყო... იგი!" – გავიგონე დამფრთხალი ხმა: – მაინც ნახა გამოსავალი! – ამოიხრიალა და ჩაუწყდა ხმაც: „ხომ დამიმტკიცა მაშინ, რომ ყოვლისმხილველიც იყო და ყოვლისმომცველიც... შენ იდეაშიც არ ყოფილხარ მაშინ, დღეს კი... დღესაც გამანადგურა! ყოვლისშემძლეც ყოფილა თურმე... აწი, რა მეთქმის..." – აქ ჩაუმთავრდა ფიქრი იმ განდგომილ სულს, თვითონაც აქ ჩამომთავრდა.

„ჰოდა: ვიფიქრებ ღმერთზე, ვიფიქრებ სულზე... ვიფიქრებ ადამიანზე..."

„აწი თავის უფალიც შეგიძლია იყო!"

ითქვა და ამისაფეხურდა ფეხქვეშ საყრდენიც: კარზე წარწერა ახალი: „მზერა-უსასრულობა!"

მე – მჭერმეტყველი და მოფიქრალი: გალაქტიკა... გალატიკები: ეს ჩემი გალაქტიკაც მირიად გალაქტიკებში აციმციმებულ-აცრიალებული და გასხივოსნებული მზით.

მზე – წყარო სიცოცხლის!

...საკვირველია და მაინც როგორ აღმოვჩნდი მე ამ ბოლოსწინა საფეხურზე: კარზე კი ახალი წარწერა: „კოსმოსი და მუსიკა" და იქვე უბრალო თვალისათვის შეუმნეველი მინაწერიც: „მუსიკალური კოსმოსი".

შევყვები საკუთარ ფიქრებს, ავახელ თვალს და: მთვარე?! ჰა, ჩაისუნთქა მთვარემ და მოიქცა ზღვა, ამოისუნთქა და მიიქცა ზღვაც. ეს კოსმიური, რიტმული სუნთქვაც!

და ვისმენ მთვარის სონატას. ეს ბეთჰოვენია ლუდვიგ, ასე ამაყად რომ გადმომყურებს: მე ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სულის სიმღერას ვისმენ და ვჭვრეტ...

ჩაისუნთქა შემოქმედმა, ხელი გულზე მიიდო და მთვარეც შეივსო... მუსიკაც აჩქარებულიყოსო თითქოს... ეს აჩქარებული რიტმიც შევიგრძენი და: შემოდიან, შემოდიან და შემოდიან თავზეხელაღებული ბგერები ჩემში, საოცრად მჟღერადნი! ვფართოვდებოდეო თითქოს... მე ზღვა ვარ მოქცევისა და ვივსები წვეთ-წვეთობით, წამი-წამ... ბოლო არ უჩანს ამ ჩემს ავსება-ამაღლებას(!)

და შევსვი ზედიზედ მზის ირგვლივ შემოჯარული პლანეტები, თვითონ მზეც და მოციმციმე მნათობნ-ვარსკვლავნიც ზედ დავაყოლე, ერთი მეორის მიყოლებით და: გალაქტიკა იყო ჩემში, გალაქტიკა! მაგრამ ესეც არ მყოფნის! ლამის მთლად შევისუნთქო სამყარო და: თავად გახლავართ მე – უსასრულობა!

და: ამღერებულა უსასრულობა.

დიიიდი... დიადი ჰარმონია...

ახლა კი დროა ამოვისუნთქო: და ამოშრიალდებიან ჩემგან გალაქტიკები... სულში ის ჩემი გალაქტიკაღაა რომ დამრჩენია, ერთადერთი და განუმეორებლი და ვერ შევლევივარ. ამოვისუნთქავ და ისიც დამტოვებს. არ ამოვისუნთქავ და როდემდე გავძლებ?! მაგრამ: შევიბერტყები მოულოდნელად და ამოცრიალდებიან ჩემგან ვარსკვლავები და თავთავიანთ ადგილებს დაუბრუნდებიან. წამით შეიწყვეტენ ისინი სუნთქვას... მოითქვამენ სულს და აციმციმდებიან მერე ერთდროულად: (როდის, ვეღარ გამირკვევია), ის ჩემი გალაქტიკაც შევნიშნე... გათავისუფლებული ითქვამდა სულს ჩემგან დამოუკიდებლად, რაღა თქმა უნდა.

მზეც გამოთავისუფლებული თავისი პლანეტებითურთ გასხივებულა: მზე ახალ სიცოცხლეს იწყებს(!)

აგერ: კრიალოსანივით ჩამოიმარცვლება დრო და გამოვა მთვარეც. მთვარეში კი ისევ ვხედავ სახეგაბადრულ ლუდვიგ ბეთჰოვენს. ისიც აიქნევს თავის ჯადოსნურ ჯოხს და: არიალდება ზღაპრული მელოდია (ეს ჩასუნთქვაა უკვე):

ამოვისუნთქავ და: დასრულდება იქვე მთვარის სონატა...

...და საფეხური მეშვიდე და უკანასკნელი: კარზე წარწერაც: „სიტყვა და ადამი“-ანი.

...აპრილი, 33 წელი (რიცხვი გადაუშლია დროს) გოლგოთა: ჯვარი აღმართული და ჯვარზე გაკრული იესო: ძე ღვთისა და ძე კაცისა: ამაღლებული კაცთა შორის... სვეტი ნათლის! კაცი – ღმერთი: ღმერთკაცი!

ცა იქუფრება... სულ ჩამობნელდა და დაბნელებაც მზის! მოჰყვება რასაც: წვიმა იგი კოკისპირული, ელვა და: ჭექა-ქუხილი – დამშანთავი სულის და ხორცის. ქარები – ოთხივე მხრიდან... და ჯვარი ისევ: ზედ კაცი ჯვარცმული – ძე კაცისა... ოჰ! მოუკლავთ ღმერთკაცში კაცი. არ შეძრწუნდები, ადამიანო?!

აღდექ, ძეო კაცისავ!

იყო ღმერთკაცი და მოკლეს მასში იგი კაცი. დარჩა: მარტოღმერთი. კაცი რა იქნა, ის ძე კაცის? მისი სიკვდილით გადარჩა კაცი! ღმერთიც გადარჩა! შენ კი, ადამის ძეო? დროა და რატომ აღარ აღდგები?

მე ღმერთში ვკვდები კაცი! ვკვდები, რომ აღვდგე ისევ და: იცოცხლე. ადამის ძეო! იცოცხლე!

მაგრამ: ის სიტყვა იყო ღმერთი! სიტყვა სიცოცხლე იყო და: სიცოცხლე იყო ადამიანთა ხვედრი...

გიორგი გაგაიძე

და აღარ მთავრდება...

(ზღვისფერყანწელებს)

წვიმიდან იწყება და აღარ მთავრდება
წვეთების ფეხის ხმა,
ბათუმის სველი ცა – ჰგავს სასოწარკვეთილს...
იკეთებს ჰარაკირს...
ქალაქი დაუდგა პოეტებს თავდებად,
და მასში შეხიზნა,
მას შემდეგ ძვლებამდე ლექსებით გაჟღენთილ
ტკივილს ჰგავს ქალაქი...

თებერვლის სიზმარში ამინდი მძაფრდება,
ცას მწვანე ფონი აქვს,
შენც აღარ უყვები, ისედაც ხომ იცის,
თოვლია ფანტომის,
და სტუმრობ სიმშვიდით გადაღლილ კაფე-ბარს,
ყავას და კონიაკს
უკვეთავ... გარეთ კი თოვლი(ც) წვიმს,
ესაა ბათომი...

ჩუმდები... წერ დუმილს.. ფეხის ხმა არ ისმის,
დეჟავიუ გაქვს მგონი,
გაწელილ სიჩუმეს ზომავ (სახაზავით)...
(დროდადრო – ახველებ,)
ფილტვებში წყალივით ჩაგიდგა ქარიზმა,
სისხლში კი არგონი –
ლექსივით – ქალაქო და მათი ნაზავით
აკვირვებ მნახველებს.

პლანეტა დაფარა მომდევნო თარიღით,
ფანტელთა სამოსმა,

მეტი რა შეეძლო მაცხოვრის კვართივით
ხელთუქმნელ „სარწყუნისს“,
სიმშვიდით გართული გონებას დაიღლი,
და ცდილობ გამოსვლას
საკუთარ თავიდან, არც ისე მარტივი
არის ეს, მერწმუნე...

ბათუმის სველი ცა – ჰგავს სასოწარკვეთილს...
იკეთებს ჰარაკირს...
დაიწყო წვიმით და ქუჩების სისველით,
ფიფქების ფეხის ხმა,
მას შემდეგ ძვლებამდე შავი ზღვით გაჟღენთილ
ლექსებს ჰგავს ქალაქი,
თორმეტი პოეტი სულში რომ პირველი
თოვლივით შეხიზნა.

აღსარება

მაპატიე, სამშობლოვ, მაპატიე,
თვალებს გისწორებ და თან რა პირით,
ფიცი მერამდენედ დავარღვიე,
ვერ შემოგეწირე ზვარაკივით.
მაპატიე, სამშობლოვ, შენ მაგიერ
ტყვიას გული რომ ვერ შევუშვირე,
მამაც მებრძოლად თუ ვერ ვვარგივარ,
ვიქნები სტროფების მენახირე.
მაპატიე, სამშობლოვ, უშენობით,
თვალი ულოცველად გავახილე,
შუადღით უშენოდ ვიყიალე,
მწუხრზეც უშენოდ ვიჯახირე.
მაპატიე, სამშობლოვ, ზურაბივით
ჩანგრეულ კედელში ვერ ჩაგეყოლე,
პაპათა ნაოფლარ-ნასისხლარი,
ვერ აგიწალკოტე ღობე-ყორე.
მაპატიე, სამშობლოვ, შენ მიმართ რომ,
ათივე მცნება დავარღვიე,
მე რაც ვერ შევძელი, – სხვას მივმართე,
აგაოხრეთ, დაგწვით და დაგარბიეთ.
მაპატიე, სამშობლოვ, მაპატიე,
თვალებს გისწორებ და თან რა პირით,
ფიცი მერამდენედ დავარღვიე,
ვერ შემოგეწირე ზვარაკივით.

უშენო რეალობა (ლოცვა გვირილას სკვნილზე)

(თუნთას)

მზემოჭრილ ციდან ჩაიწრიტა ბოლო სხივი და
გვირილას სკვნილზე ლოცვას ვმარცვლავ, ცოდვით დაღლილი,
ყველა „ვუყ-ვარ-ვარ“-ს ხელისგულით მზესთან მივიტან,
„არ ვუყვარვარ“-ს კი ამ ლოცვაში არ აქვს ადგილი.

ღამე ნახევარ დედამიწას შემოეტმასნა,
უხილავადაც მწამხარ (ვიცი, ღმერთი არ მიწყენს),
ისე მიგიღე იდუმალი, როგორც ხელდასხმა,
რომ მონატრება წარსულივით გადამავიწყე.

ახალი მთვარე, როგორც ახალნაორსულარი,
ღამის ბილიკებს გაუნათებს, ოღონდ ვის, რამდენს
ამას თვითონ წყვეტს... და თუ დარჩა იმის უნარი,
რომ გადაგვკარგოს ერთმანეთში უკუნისამდე.

ოცდაცამეტჯერ ჩამოვმარცვლე ლოცვად – „ვუყვარვარ“,
„არ ვუყვარვარ“ კი აპოკრიფულ ტექსტივით დავგმე,
რაც ამ თვალებში სიკეთეა, მომცა უფალმა
და მარცვალ-მარცვალ, – ხელისგულით შენს ხატთან ვაკმევ.

სულში დაორთქლილ სუნთქვის სურნელს ვიზოგავ მძაფრად,
ეს ლოცვაც ერთად ვიჩურჩულოთ, ასე ჯობია,
სიშორე – შენი სინონიმი (საშინლად) მზაფრავს,
უშენობა კი გადამექცა უკვე ფობიად...!

მზემოჭრილ ციდან ჩაიწრიტა ბოლო სხივი და
ყველა „ვუყ-ვარ-ვარ“-ს ხელისგულით მზესთან მივიტან!!!...

სიტყვავ სულის არტოებავ

„არცა განგცე სიქადულო“, სიტყვავ, სულის არტოებავ,
თითზე მელნად ჩამოწნულო, სისხლში სისხლად ჩანაწურო,
მირჩევნია კლარჯს ახსოვდე ასო-ასო, ლებან-ლებან,
ფერეიდნულ ჩანგზე თრთოდე, არა – სალიტერატუროდ.
გეძებო და შეგიცნო და მოციქულად მომაქციო,
გაციებულ საცეცხლურში დანაცრული უსაკმევლოდ,
ხანაც უნდა მაწიოკო, დააფასებს დრო ამ წიოკს,
ხანაც შემისისხლხორცო და ხანაც შემილექსისმრევლო.

რაც გადიდე ყოვლიერით – ყოველივე ამინ იყოს!
ბაირაღზე დამაგრებულ ზანზალაკის – მელოდიად,
დარჩენილო სააქციოდ, საპროტესტოდ, სამიტინგოდ,
ქრისტესავით ნალახვრალო საფეშხუმე ევლოგიავ.
რწმენით რჯულში მომზირალო, დასაბამის დასასრულო,
სისხლძარღვებში თავანკარად მორაკრაკევ და მტკივანო,
ეგვიპტეში მამელუქის სახესავით დაშაშრულო,
აფხაზეთო, სამაჩაბლოვ, კლარჯეთო და გურჯისტანო.
აქამდე რომ მოგიტანეს სიმღერად და მომატირეს,
ემკურნალე და ოქროსფრად ჩაეხვიე ხორხში ხელტარს,
როგორც ვაზი ჭიგოსა და ჭვარტლი ოდის დედადირეს,
დედაბოძს რომ ენა ჰქონდეს, რამდენ ტკივილს გაგვიმხელდა.
არ ეშვება ქარი მაინც, ამ ლერწამს და იმ კვიპაროსს,
დევიზია არ დანდობა, – გეენური – ძველდენდური!
რადგან ლერწიც არ გაუსხლავს, მტკაველიც არ დაუბარავს,
დამჭკნარია სათნოება მასში სამოთხ-ედემური.
მორევია პონტოსი, თუ სიტყვა – ლაზურ-ლაჟვარდული,
მომრევია სნეულება შენეული პანდემიით,
სადაც წავალ – შებოჭილი, შეშლილი და გაბაწრული,
დამინდონ და არ ამოგჭრან ამ ხორხიდან გლანდებივით.
მირჩევნია, სოფლის ბოლოს ნენეს გულზე მძივად ება,
ბაბას ყელის ძარღვზე ჭექდე არასალიტერატუროდ,
„არცა განგცე სიქადულო“, სიტყვავ სულის არტოებავ,
თითზე მელნად დაგრეხილო, სისხლში სისხლად ჩანაწურო!

აპოკრიფი #1

(თუნთას)

ამ ვაკუუმში მხოლოდ სუნთქვა მიშველის შენი,
არ მახსოვს, ასე განმეცადა ასთმა არადა,
არგასაკვირად მასაც ღამით სცოდნია ქშენა,
(და ასე სნეულს მაპოვნინებს შენს თავს სამყურა)
ვგრძნობ, ამ ბოლო დროს, ღმერთმა შენით დამაავადა,
შენ თუ განმკურნავ...
დედამიწაზე ზამთარია, მაშასადამე,
ობობას ქსელზე უკრავს შოპენს ქარის ორკესტრი,
ზამთარმა ჭრელი შემოდგომა გაასადავა,
ზამთარმა ცივმა, უნაყოფომ, უღვთომ, უმიზნომ,
მე კი მზეს ვხატავ გულგამომშრალ ყვითელ ფლომასტრით,
რომ შევეხიზნო...
დრო მოვა, ვიცი სიხარულით ვერ გავძლებ ცხრა თვეს,
დროს არ ვცნობ!.. ვერ ვცნობ... ავერიე, საკუთარ თავსაც,

მე მაშინათვე შე(ნ)გიცანი, მე მაშინათვე...
და მიტომ შენში შემოპარვას მპატიობ მთის შვილს,
სიზმრებში, არაკანონიკურ წიგნების მსგავსად,
მე შენში ვიშვი...
მერე კი ფონად შევირჩიე ფერები კლიმტის,
დამჩემდა... „შოპენს, შიგადაშიგ “Pink Floyd”-ს ვუსმენ...
ვკითხულობ მარკესს, სული უფრო ჩოხელზე მიმდის,
მხიბლავს არათუ ერთი ფერი, სიმრავლე ფერთა,
გახსოვს, პირველი ემოცია „გ-ს +(პლიუს) თ“-ზე,
მე და შენ ერთად...
გაზაფხულია, წინ გავუსწრებ მოვლენებს ისე,
რომ დრო დაიმსხვრეს სამასი წლის ვერცხლის ნარგილე...
ასე მთავრდება, თუ იწყება მობნელებისას,
ჩხავერით შემთვრალს ტანმაღალი აღმართი მქანცავს...
ჩემი სისხლისგან გამთბარ თიხას სუნთქვით არბილებ,
და არქმევ გვანცას...

მდუმარე ლოცვა

ვხედავ ანარეკლს, საკუთარი თავის ნაქურდალს,
კვირის მწუხრიდან ვემზადები – კვლავ საკვირაოდ,
ვდგავარ მიწაზე და თან ვწევარ ჩრდილში საკუთარ,
იმიტირებულ ფრენით ვცდილობ შევკრა ირაო.

შევიმოსები და აღსდგება ჩემში მესია,
დავემგვანები ბნელ უღრანში ცოდვით დატორილს,
ღამე კორიდას წესებივით უმკაცრესია,
იღბალი ჩემი ემსგავსება ბედს მატადორის.

მინდება, თავი დავაღწიო უქირურგიოდ,
როგორც იონამ მესამე დღეს მუცელს ვეშაპის,
სჯობს საკუთარ თავს ფერი უფრო მუქი ვურჩიო,
და მოვიხადო სასჯელივით ცოდვის ეტაპი.

ცოდვა – კეთრივით დამემართა – წლის ოცდაორი,
ორასორმოცდახუთი დღის და წუთების უკან,
დაბადებიდან ბედი მიწვევს მასთან საომრად
და მატრიალებს მის კოლბაში – ვით ცენტრიფუგა.

ბავშვივით თვალებამღვრეული ვებღაუჭები
სევდას, ვერაფრით წარმოვიდგენ ჩემს თავს უმისოდ,

ბედუინივით დამსკდარი მაქვს მზისგან ტუჩები,
დედის რძესავით მასაზრდოებს სევდა კუმისით...

მინდება, თავი დამაღწიოს მელანქოლიამ
და სურვილების მოძალებამ შუაღამისას,
სიცოცხლე რაა თუ სიკვდილმა ამიყოლია,
მაშინ სურვილებს მძივებივით სულზე ავისხამ.

თვალის ბადურებს შეეფინოს ნისლი ნოტიო,
მწიფე სისველით ის ყოველთვის ახარებს რტოებს,
იტყვიან, გულს ვერ მოუფრთხილდა იდიოტიო
და ვერც სიცოცხლეს – ისევ გულით ნახავერდოვნებს.

მდუღარე სუნთქვაც სიწმინდეზე ისე დავადნე,
რომ ჰაეროვნად სრიალებდა სისხლში სტიქია,
საპნის ბუშტივით გასკდა გული, ოხ, ეს – სადარდე,
ამ დასასრულის დასაწყისიც სწორედ იგია...

ვწევარ... ვიღვიძებ... დილა... ღმერთი... ლოცვა... ყავა და...
ცოდვა... შენდობა... პოეზია... მერე სხვა დილა...
წარსულს, რომელსაც უკანასკნელ ლოცვას გავატან,
ბედი, რომელიც უბედობას სჯობდა ნამდვილად.

ბოლოს კი ისევ მარტო ვრჩები – ჩრდილთან საკუთარ,
იმიტირებულ ფრენით ვცდილობ შევკრა ირაო...
ვუმზერ ანარეკლს, საკუთარი თავის ნაქურდალს,
მეღიმება და ვემზადები – კვლავ საკვირაოდ!..

უშენო რეალობა II

მე კი ავყევი ამ ბავშვურ ყოფას,
და მჯერა ასე თოვლის პაპისა,
და ყოველ ღამეს მას ვევედრები,
რომ მალე შენი თავი მაღირსოს.
ჩვენი ნატვრების მცენარეს ცისფერს,
ჩვილი ბავშვივით ისევ ვუვლი მე...
რომ შენს მაღალ და თოვლისფერ კისერს,
კვლავ ავუხდინო კოცნის სურვილი.
ამ დროს, ამ მანძილს ახლა რა დათვლის,
უპოეზიოდ, უშენოდ, უღვთოდ,
ჩემი წვიმები სხვა ქალაქს აწვიმს,

ჩემი თოვლი კი სხვა ქალაქს უთოვს.
და ველოდები მწვანე აისად,
ცრემლს ჩამოყოლილ შენი თვალის ფერს,
უშენობამ ვერ გამითავისა,
ვერც უშენობა გავითავისე.
უჩემობას შენ ნუ შეეჩვევი,
მე რა შემაჩვევს ამ უშენობას,
ეს თორმეტბალიანი ეჭვები
ვერ ანგრევს ჩემი გრძნობის შენობას.
უჩემობისგან ვერ დაგიცავი,
სახლია, როგორც ოთხი კედელი,
საწოლი, როგორც ოთხი ფიცარი
და უშენობა – განუწყვეტელი.

ნატვრის ხე

სახლში მისული
დაწვები ლოგინზე და
ყველა ტკივილს რომ მოგახერხავს ცოლი,
როგორც ხეს – გამხმარ ტოტებს,
გრძნობ, როგორ იწყებს სხეული ტკივილისგან დაცლას
და რომ არ დაიცალოს,
ანასკვავს სხვა ტოტებს თავისი ფერადი კაბის ნახევებს
და ბავშვების ტანსაცმლის ნახევებს,
როგორც ნატვრის ხეს – შეყვარებული წყვილები,
არც კი იცი, რამდენ ნატვრას აიტანენ შენი ტოტები,
ისინი ხომ წვიმაში მძიმე ძონძებად იქცევიან...
და დადიხარ ასე ტკივილად გადაქცეული
ნატვრის ხე.

გადაიფიქრე

ეს ჩვენი სახლია ფარდების გარეშე,
ცა სახლში პირდაპირ ფანჯრიდან შემოდის,
შემოვა იწვიმებს და შენზე დამგეშავს,
მერე კი დამტოვებს ამარა ჩემოდნის,
რომელშიც ოდესღაც შენ ბარგი ჩაკუჭე,
ცოტათი მოგალბო კაბების სიფითრემ,
მერე კი დახედე ერეკლეს ბაჩუჩებს,
და გადაიფიქრე.

მენა...

მერამდენე დაღამდება უშენოდ,
მენატრები, მენატრები, მენა...
უშენობას ვერაფერი ვუშველე,
დამთავრდება მალე ფოთოლცვენა...

დაიწყება ზამთარი და სიცივე,
ვზოგავ სუნთქვას, შენგან დანატოვარს,
დასრულდება უეჭველად, ვიცი მე,
ეს ზამთარიც და თებერვლის თოვა.

გადაათოვს ჩვენს ბედნიერ სეზონსაც,
ვარდობისთვის მოგონების დასტას,
ალუჩებით გადაპენტილ ეზოს და
გაზაფხულიც გაივლის და – ბასტა!..

ვერ უწამლებს ზაფხულის მზის სხივიც კი
უშენობას – ვერ მოვითმენ და ხვალ
მოვალ შენთან მონატრების ბილიკით,
და თუ მოვალ, აღარასდროს წავალ!..

ნათია
როსტიაშვილი

სუნთქვის შემგროვებელი

ჩემს სამსახურად წოდებულ აქოთებულ ოთახში ვზივარ და ვფიქრობ: მეყოფა თუ არა გამბედაობა, ადამიანს, რომელსაც სულ სამი დღეა ვიცნობ, მაგრამ უკვე საკუთარი ბებიასავით მიყვარს, ჩემი უცნაური უნარის შესახებ მოვუყვე. იქნებ, ამ საიდუმლოს ამოთქმამ ცოტა ადგილი მაინც გამომითავისუფლოს ამბებით ჩახერგილ ფილტვებში. იქნებ, ამ ჩამძიმებულ გულსაც რაღაც მოაკლოს, შეამსუბუქოს.

დალი ბებოს ჰაერის არომატიზატორი უჭირავს და ოთახში დაფაჩუნობს, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე – „ჰაერს აკეთილშობილებს“. იცის, ამ ოთახის სუნს ჭკუიდან გადავყავარ და სადაც ვზივარ, იქ განსაკუთრებული მონდომებით ახრჩოლებს თუ აშხეფებს.

ფანჯრისკენ ვტრიალდები. საცრემლე სადინარში გაჩხერილ წვეთს, უხილავი ძაფით, შიგნითკენ ვექაჩები, ვისრუტავ. არ მინდა, დალი ბებომ აცრემლებული მნახოს.

– ნენსი, შვილო, – მეუბნება, – ასე ძალიან ნუ განიცდი.

მართალია, მისკენ ზურგით ვზივარ, მაგრამ დალი ბებოს ზურგიდანაც შეუძლია, თვალებში ჩამხედოს.

– თუ გკითხავენ, სად მუშაობო, შენც ადექი და ინგლისურად უთხარი ხოლმე. ყველამ კი არ იცის ინგლისური, შვილო, ზოგი ვერც მიხვდება, რა სამსახურია!

ასეთ გულუბრყვილო, გულწრფელ დამშვიდებას, ცრემლის საქაჩი ძაფები რაა – ჯებირების შემაკავებელი ჯაჭვების აწყვეტაც შეუძლია. ჰოდა, აიწყვიტა. წამოვიდა და წამოვიდა. წამოიღო შლამი და ლექი. ჩამოიცალა.

მართალია, ჩემს ამ მდგომარეობას უკვე ვერანაირი მსუბუქი თვითირონია ვეღარ უშველიდა, მაგრამ მაინც ვცადე – წარმოვიდგინე, კითხვაზე: „სად მუშაობთ, გოგონი?“ ცხვირაწეული ვპასუხობ: „სექენდ ჰენდში“ და ინგლისურის არმცოდნე კითხვის დამსმელი, შურით სკდება.

მოვაღე პირი და ხმით ავტირდი.

– დამშვიდდი, შვილო. გუშინაც სულ ტყუილად თქვი, თავი უსარგებლო მგონიაო. გამოგიჩნდება რამე უკეთესი სამსახური. შენ რომ იყავი, იმ სამი გასაუბრებიდან, ერთგან მაინც როგორ არ მიგიღებენ?! აბა, სულ ჩემნაირი ბებრუხუნა თანამშრომელი კი არ გეყოლება, სულ ასე გამოყრუებულ ოთახში კი არ იჯდები! მთელი ცხოვრება წინა გაქვს, უმაღლესდამთავრებული, ლამაზი გოგო ხარ, ყველაფერი გამოგივა შენ!

რაღა გამაჩუმებდა. წლობით ჩაკირული ემოციები ამიდუღდა შიგნეულში და ამოხეთქა. ამოხეთქა და ამოიყოლა იმ ჩემი უცნაური ნიჭის თუ წყევლის საიდუმლოც. ვუთხარი, რომ სინამდვილეში, ერთადერთი საქმე, რომელიც გამომდის – სუნთქვის წაკითხვაა.

დედის სუნთქვის გაშიფრვის ამბავი.

მოვუყევი, როგორ შეწვა იმ საბედისწერო დილით დედამ კატლეტი. ჯერ მე მაჭამა, მერე თვითონ გადაიღო. ერთხელ ჩაკბიჩა და თეფშზე დადო. მეტი არ ვაცალე, ბუშტი შევაჩეჩე გასაბერად.

– ნენსი, აცალე დედას საუზმობა! – მითხრა ბებიაჩემმა.

– არა უშავს, ამას, რომ დავბრუნდები, მერე დავასრულებ. დღეს ხომ შაბათია, ადრე ვამთავრებ. სამსახურიდან გადავირბენ, ფეხსაცმელს დავტოვებ ქუსლის გამოსაცვლელად და წამოვალ. – უთხრა დედაჩემმა დედამისს, ხელები ხელსახოცზე შეიწმინდა და ბუშტი გამიბერა.

იმ დღეს, დედა, სამსახურიდან არ დაბრუნებულა. მის ნაცვლად გაფითრებულსახიანი ნათესავი ქალი მოვიდა, ბებოსთან ერთად ოთახში შეიკეტა. მოგვიანებით, იმ გაფითრებულმა და უკვე თვალებამოწითლებულმა ქალმა თავისთან წამიყვანა, რამდენიმე დღით. შეკითხვის დასმა ვერ გავბედე, თვითონაც არაფერი უთქვამს. ერთხელ, ვახშმობისას, მისმა ქმარმა სიტყვა „ავარია“ ახსენა და ამან თვალები დაუბრიალა. ეგ იყო და ეგ.

სახლში რომ მოვყავდი, გული მისკდებოდა, ვაითუ, დედა აღარ დამხვედროდა, მაგრამ ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, დედაჩემის გაღიმებული სახე დავინახე. ლამის გული ამომვარდა მონატრებისგან. ასე თვალანთებული და გაღიმებული მიყურებდა კარგა ხანს დედაჩემი, დღეები ისე გადიოდა, თვალს არ მაცილებდა. ზოგჯერ მზერა დაებინდებოდა ხოლმე და ვხვდებოდი – მინაა გასაწმენდი – გავძახებდი ბებოს. მოიტანდა ისიც ძველი პირსახოცის ნაგლეჯს, ტირილ-ტირილით დააორთქლავდა მინას, გააპრიალებდა. გადაუსვამდა შავ ჩარჩოსაც და ფოტოდან ისევ ძველებურად თვალებაციმციმებული დედა მიღიმოდა.

რა თქმა უნდა, ასე მარტივად ვერ გადავიტანდი დედის აღარყოფნას, რომ არა ის ამბავი, თავდაყირა რომ ამომიტრიალა რეალობა.

სახლში მობრუნების საღამოსვე თვალში მომხვდა საწოლსა და კედელს შორის დედაჩემის გაბერილი ბუშტი. წამებში გაიდღაბნა მთელი ოთახი, მთელი სამყარო. მკვეთრად და გარკვევით მხოლოდ ბუშტს ვხედავდი. უბრალოდ „ბუშტი“ არც ეთქმოდა, ეს ხომ ყველაზე დიდი ხილული სასწაული იყო დედამიწაზე! დედა აღარ მყავდა, მაგრამ მისი სუნთქვა ძველებურად ცოცხლობდა. აქვე იყო, ჩემს საწოლთან. ნამდვილი, ნამდვილი, ცოცხალი! ღმერთო, გმადლობ და ბოდიში, რომ რაც დედა გამიქრე – აღარ მწამდი.

კარგა ხანს მიკარება ვერ გავბედე. მერე ძალა მოვიკრიბე და მივედი. ავიღე, მჭიდროდ მოკრული პირი იმხელაზე შევუხსენი, ცხვირის წვერი რომ ჩამტეოდა. ფრთხილად შევისუნთქე დედაჩემის ფილტვებამომვლილი ჰაერი. ვიგრძენი, როგორ ამომევსო ნესტოები მაცოცხლებელი ჰაერით. როგორ გადავიდა ცხვირ- ხახაში, ხორხში, სასულეში, ბრონქებში... როგორ ტოვებდა თბილ კვალს ჩემი სასუნთქი სისტემის გზებზე. ფილტვებიც რომ ბოლომდე ჩამითბა, სუნთქვა შევიკარი. თან ბუშტს მჭიდროდ მოვუკარი პირი, მომავალი საღამოებისთვის გამოვიზოგე. შავი რეალობიდან ფერად სიზმარში გადასვლას ჰგავდა ეს ყველაფერი. ყველა ტკივილი დამიამდა, ავმჩატდი. ალბათ, ყველაზე ძლიერმოქმედ ნარკოტიკსაც არ ექნება ასეთი ძლიერი ზემოქმედება. სხვანაირი, რეალურობას გაცდენილი ბედნიერება იყო: დედა, რომლისგანაც ცხრა ცა, ცხრა მიწა, ცხრა ზღვა და ცხრა განზომილება მაშორებდა, ასე იოლად „დავიბრუნე“ – ერთი შესუნთქვით.

ერთი ულუფა დედის ნასუნთქი ჰაერის მიღება ყოველ საღამოს, ძილის წინ – სავალდებულო და სასიამოვნო რიტუალად მექცა. მერე და მერე, ამ სუნთქვისგან მხოლოდ სიამოვნების მიღება კი არა, მისი წაკითხვაც ვისწავლე. უკვე ვიცოდი, ადამიანი ამბების, ემოციის, შეგრძნებების გადამმუშავებელი მანქანაა, რასაც შეისუნთქავს, იმავეს ამოისუნთქავს, ოღონდ უხილავ ასო-ნიშნებად დაშიფრულს. ეს შიფრები სასუნთქ გზებზე გემოს ტოვებენ. ამ გემოს წაკითხვა კი ამქვეყნად ყველაზე აზარტული საქმიანობაა. ერთხელაც, დედაჩემის სუნთქვას

დამწვრის გემო ჩავატანე. ასეთი გემო მხოლოდ იმედგაცრუებას შეიძლებოდა ჰქონოდა. მივხვდი, რომ დედის გაცნობას ახლა ვიწყებდი...

შემდეგ საღამოს ჩასუნთქული ჰაერის ყლუპი ნოტიო იყო და მწკლარტე გემო დაჰკრავდა. თითქოს ნესტიან კედელზე მოდებული ობის თხელი ფენისთვის ენის წვერი ამესვას. ეს გემოც სულ იოლად გავშიფრე – მარტოობა. ღმერთო, რა დიდი სისულელე იყო, დედას რომ იმის გამო იცოდებდნენ, ჩაკბეჩილი კატლეტი დარჩა თეფშზეო, ხელოსანთან „შიბლეტები“ დატოვა ქუსლის შესაცვლელად და ვეღარ ჩაიცვაო... როგორ ვერავინ გაიცნო დედა; როგორ არასწორად შეიცოდეს! ვიგრძენი, ფილტვებში შეკავებულ თბილ ჰაერს როგორ შეერია სიმლაშე. ესეც მარტოობისა იყო, ოღონდ უკვე – ჩემი მარტოობის. ყველა მარტოობა არაა ერთნაირი. დედაჩემის მარტოობა მწკლარტე იყო, ჩემი მარტოობა – მლაშეა. ობი და ცრემლი სხვადასხვა რამეა...

შეკავებულ სუნთქვას შეკავებული ცრემლი რომ შევუწყვილე, კინაღამ დავიხრჩვი. პირველად მაშინ გავიფიქრე, რომ ერთი ბუშტი ყოველთვის გაბერილი, გამზადებული უნდა გქონდეს ადამიანს, რა იცი, როდის დაგახრჩობს შეკავებული ცრემლი, სუნთქვა, დარდი ან სიყვარული. ხომ უნდა დატოვო შენი უთქმელი, არმოყოლილი ამბები სააქაოს?

ასე გრძელდებოდა ყოველღამ, სანამ ბუშტიდან ბოლო ულუფა ჰაერიც ჩემს ფილტვებში არ გადაიხაპა. უცნაურად შეიკრა წრე. თუკი დაბადებამდე დედაჩემის მუცელში ვცხოვრობდი, დედაჩემი, სიკვდილის შემდეგ ჩემს ფილტვებში განაგრძობდა არსებობას. მე და დედა ერთმანეთში ვიყავით. აღდგა ჩვენი ძილისწინა საუბრებიც. უბრალოდ, ადრე თუ ძილის წინ ზღაპრებს მიყვებოდა ხმადაბლა, ახლა იმ არარსებული პერსონაჟების ნაცვლად, საკუთარ თავზე, თავის რეალურ განცდებზე მიამბობდა უხმოდ. ეს იყო ყველაზე გულწრფელი საუბარი დედა-შვილს შორის. მე უკვე კარგად ვიცნობდი დედას.

იმ საღამოდან, ჩემი ყველაზე კოშმარული სიზმარი ასეთი იყო: იატაკი სავსეა თავდაყირა მდგარი ქინძისთავებით. ბუშტი საიდანღაც მოფრინავს, იატაკზე ეცემა და მე გულამოვარდნილს მეღვიძება.

* * *

დალი ბებოსთან ჩემი საიდუმლოს ამოთქმიდან ორ დღეში გასაუბრების პასუხზე დამირეკეს – შეგიძლიათ ხვალიდანვე შეუდგეთ მუშაობასო. იმ სამი სავარაუდო სამსახურიდან, ეს ყველაზე ნაკლებად მინდოდა, მაგრამ რას დავეძებ. იმ აქოთებულ ოთახში ჯდომაზე ბევრად უკეთესია!

ახალ სამსახურში გულაფანცქალებული წავედი. თან ვფიქრობ, აწი, როცა მკითხავენ, სად ვმუშაობ, მხოლოდ და მხოლოდ ქართულად ვუპასუხებ – სწრაფი კვების ობიექტში-მეთქი, თორემ ეს „ფასთ ფუდი“ რაღაცით „სექენდ ჰენდს“ მაგონებს.

საღამოს, მთელი დღე დგომისგან ფეხებდასიებული დავბრუნდი. სახლის კართან, ჩემს უმძიმეს ჩანთაში ხელი ჩავყავი და მთელი დუჟინი გასაღების ასხმულა ამოვაჩხარუნე. აქედან ერთი სახლისაა, დანარჩენი – ჯართია. დილით „ბოლტ-გაიკის“ ყუთიდან ამოვკრიფე და ავასხი. რგოლზე მოკონწიალე კინკილა გასაღები რაღაცნაირად სევდიანი სანახავი იყო, განწყობას მიფუჭებდა. თითქოს ყველას გასაგონად მოთქვამდა: „ხალხო, შემომხედეთ, როგორი საბრალო ვარ, ჩემს პატრონს დალი ბებოს გარდა ხმის გამცემი არავინ ჰყავს!“

ვიდექი დაღლილი და ბედნიერი, გასაღებს საკეტს ვარგებდი და ვფიქრობდი: „აი, როგორი ყოფილა შეგრძნება, რომ ცოცხალი ხარ, რომ რაღაც სარგებლობის მოტანა შენც შეგიძლია“.

ახალ სამსახურში მაჯაზე ბევრზანზალაკიანი სამაჯურები მიკეთია ხოლმე. ხელს მაღლა ისე ვწევ, რომ რაც შეიძლება ხმამაღლა გაჟღარუნდეს. გასაღების ასხმისა არ იყოს, ავიკვიატე. ავწევ ხელს და ხმამაღლა ვამბობ: „თავისუფალი ვარ!“ მოდიან კლიენტები. ვაწვდი სხვადა-

სხვანაირ ნაყინს: შოკოლადისას, ვანილისას ან კარამელისას, ვის როგორ... და ვუღიმი, ყველას ერთნაირად.

ზოგჯერ ვფანტაზიორობ, რომ „თავისუფალი ვარ“ ჩემი ოჯახური სტატუსია და ყველა მამაკაცს, რომელიც ამ ფრაზის გაგონების შემდეგ ჩემკენ მოიწევს, შეკვეთის მოცემა კი არა, ჩემი „დათრევა“ უნდა. მხიარული თამაშია.

– აი, თქვენი ჰამბურგერი, – შევციცინებ, მერე იმასაც ჩავეკითხები, კოკა-კოლაც ხომ არ სურს? – აჰ, არა? იქნებ, სპრაიტი? კი, ბატონო, ინებეთ თქვენი სპრაიტი.

შანსს არ ვუშვებ, ადამიანებს ველაპარაკო. მერე რა, რომ მხოლოდ მენიუზე. მთავარია, ნორმალური ადამიანივით ცხოვრებას ვთამაშობ, როლში ვიჭრები.

მუშაობიდან ორიოდე კვირის შემდეგ ვიგრძენი, რომ აქაც ერთ ადგილს ვტკეპნიდი. რაღაც ახალი მჭირდებოდა. ამბები, შეგრძნებები. ვიცოდი, როგორც უნდა გამომეხმო. მე ხომ ჩემი პირადი ბედნიერების ფორმულას მივაგენი: თუკი ჩემში ჩალექილი სხვების სუნთქვის შლამს მარცვალ-მარცვალ, სიტყვა-სიტყვა ამოვზიდავ, ამით ადგილს გამოვათავისუფლებ კარგი ამბებისთვის. დალი ბებოსთვის გულის გადაშლის მერე აშკარად ვიგრძენი, როგორ ამომევსო გამოცარიელებული ადგილი ენდორფინებით. ბედისწერაც პოზიტივზე მოიმართა. ამიტომაც გამოჩნდა იმაზე ცოტათი უკეთესი სამსახური, ვიდრე მქონდა.

ეს ნიშნავს, რამდენის სუნთქვის ამბავსაც თან დავატარებ ჩამძიმებულს, ყველას „გადახურდავება“ შემიძლია პოზიტივზე! ერთი ეგაა, დალი ბებო ცოდოა ამდენის საზიდავად. თითო ამბისთვის თითო მსმენელი მჭირდება. ეგეც დილემა. მართალია, ამბავი ცოტა მაქვს, მაგრამ არც პოტენციური მსმენელი მყავს ბევრი.

სამსახურის მერე იქვე, სკვერში, სკამზე მთვლემარე ლოთს გადავაწყდი. სკამის მეორე ბოლოში ჩამოვჯექი და ვუთხარი:

– რაღაცას უნდა მოგიყვეთ. აუცილებლად. მსმენელი მჭირდება.

კაცს, ეტყობა, ნანასავით ჩაესმა ჩემი ხმა, ძილ-ბურანში ტკბილად გაეღიმა. ვყვებოდი, არ ვჩერდებოდი. ვცდილობდი, ყველა დეტალი ზუსტად გამეხსენებინა. ნამცეციც არ უნდა ჩამრჩენოდა ამ ამბიდან.

სიმპოს სუნთქვის გაშიფრვის ამბავი:

დედაჩემის შემდეგ სხვისი სუნთქვის შესუნთქვა არ იყო იოლი. თითქოს მართლა ჩემს ფილტვებში ცხოვრობდა და მასთან მდგმურის შესახლება მერიდებოდა.

არადა, უკვე სტუდენტი ვიყავი და ადამიანების გაცნობა-გამოცნობის სხვა მეთოდი არ ვიცოდი. არ ვიცოდი, არ გამომდიოდა. თითქოს პარალელურ რეალობაში ვცხოვრობდი. თითქოს ჩემს ცხოვრებას კი არ ვცხოვრობდი, სხვისი შემოვიცვი და არ მომერგო.

ჯგუფში სიმპათიური ბიჭი გვყავდა, მეტსახელად „სიმპო“. მხოლოდ ჩემთვის კი არა, მთელი ჯგუფისთვის გაუგებარი იყო (სახეზე ეწერათ), რა ჯანდაბით მოვხიბლე ამ მუდო გოგომ? ასე იყო თუ ისე, მე შემარჩია. მართლა სიმპო იყო სიმპო. ოღონდ ისეთი არა, პრიალა გარეკანისთვის რომ ივარგებდა. წვერს ატარებდა, ძველი ნივთები, მშობლებისდროინდელი ტანსაცმელი და ფანდურზე დაკვრა უყვარდა. ახლა უკვე ვიცი, რომ მეც მაგ პრინციპით შემარჩია: არათანამედროვე, ძველმოდური, თან კარგად შენახული, უხმარი. მოკლედ, მის ტანსაცმელ-საკრავების კოლექციას ჰარმონიულად ვერწყმოდი. სულ ეს იყო, მაგრამ მაშინ ვერ ვხვდებოდი. სიმპომდე თითქოს ცხოვრება ცალკე გზით მიდიოდა და მე ერთი მივჩანჩალებდი ამ ფართო გზის პარალელურად, საცალფეხო ბილიკზე. სიმპოსთან ურთიერთობამ კი მეც დიდ გზაზე გადამიყვანა, მეც საერთო მარაქაში გამრია. ეს იყო მთავარი.

არ ჰქონდა მნიშვნელობა, ერთად ვიყავით თუ არა. სულ ვხედავდი. თითქოს თვალების შიგნიდან ეკრანი მქონდა ამოკრული, მისი მოძრავი გამოსახულებით. სადაც არ უნდა გამეხედა – ჯერ იმის სახე ჩანდა ჩემიდან და მერე დანარჩენი – თვალს გარეთა სამყარო.

ერთხელ, ჯგუფელის დაბადების დღეზე ვიყავით. სიმპომ ბევრი გასაბერი ბუშტი მოიტანა და მაგიდაზე დაყარა. ჩემ გარდა ყველამ დაიწყო გაბერვა. მე ვერ გავბედე. მეგონა, ბუშტს თუ ჩავბერავდი, ყველა ჩემი ამბავი ან კედელზე გამოეფინებოდა, ან თვითმკვლელივით ჭაღზე ჩამოეკიდებოდა. გააჩნია, იუბულარი სად მიუჩენდა ადგილს. იმ საღამოს სიმპოს გაბერილი ბუშტი ქურდულად ჩამოვწყვიტე აივნის მოაჯირიდან და სახლში წამოვიღე, როგორც საიდუმლო ინფორმაციის უტყუარი წყარო.

სიმპოს სუნთქვის წაკითხვის დაწყებისთვის გამბედაობა მხოლოდ ორი დღის მერე მოვიკრიბე. ბებოს რომ ჩაეძინა, ბუშტით ხელში საწოლში შევწექი, საბანი ამოვიკეცე, თვალები დავხუჭე და დაგროვილი ჰაერის პირველი ულუფა მორიდებულად შევისუნთქე. თავს უხერხულად ვგრძნობდი. თითქოს სხვის ფიქრებში უკითხავად შესული ქურდი ვიყავი, მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო, ჩემი სუნთქვის წამკითხველი რეცეპტორები ხელისცეცებით აგნებდნენ სიმპოს გულის კუნჭულებში ჩატოვებულ ემოციებს, ტვინის ხვეულებში გადამალულ ინფორმაციებს. არც კი მეგონა, ამდენი წლის შუალედის შემდეგ, ასე იოლად თუ შევძლებდი სუნთქვის შიფრის ამოკითხვას. გემოებიდან – ჩამწიფებული ხურმის სიტკბო და მწვანე მანდარინის სიმჟავე დაჰკრავდა, ტემპერატურიდან – ზომიერი სითბო, სუნი – დაჭაობებული წყლის. ადვილად გასაშიფრი გამოდგა სიმპო, პირველივე შესუნთქვით ბოლომდე წასაკითხი. სულ რამდენიმე ემოციის, ინტერესისა და შეგრძნების პატრონი გამოდგა, რომლებიც წრეზე ტრიალებდნენ. ახალს ვერაფერს აღმოაჩენდი. დედაჩემის სუნთქვა სხვა იყო. ყოველ შესუნთქვაზე ახალ-ახალი შრეები ჩნდებოდა... სიმპოს მიმართ ინტერესი დამეკარგა. სამუდამოდ.

ამ საღამოდან, ჩემი ყველაზე კოშმარული სიზმარი ასეთი იყო: ხელგაშლილი შუა გზაზე ვდგავარ. ხალხი მოდის და ჩემი სხეულის გავლით ისე აგრძელებს გზას, თითქოს არც ვარსებობ.

* * *

როგორც ჩანს, მთვლემარე ლოთისთვის მოყოლა ჩამეთვალა, ახალმა, კარგმა ამბავმა არ დააგვიანა. ერთ-ერთმა კლიენტმა, რომელიც მანამდეც ბევრჯერ შემიმჩნევია, მიწოდებული ქვითარი გამომართვა, წვრილი ასოებით რაღაც მიაწერა და დამიბრუნა. „წვიმა დილიდანვე ისე ბარდნის, საღამომდე დადებს... გუბეს :) პარალელურ ქუჩაზე, საავადმყოფოსთან უნდა ავიდე, ამ საღამოსვე, სანამ გუბე ფეხდაუდებელი და გაუკვალავია. მეორე წყვილ ბოტსაც წამოვიღებ, წამო, ჩავაჭყაპუნოთ. ლუკა“.

სანამ ჩავიკითხე, უკვე წასული დამხვდა. უცებ ხელი ისეთი მონდომებით ავიქნიე, სამაჯურს ერთი პატარა ზარი ასწყდა.

ჰო, „თავისუფალი ვარ“ აღარ დამიყოლებია.

იმ დღის მერე ახალი ცხოვრება დაიწყო. ყველაზე ნამდვილი. ერთმანეთს ზედმეტ კითხვებს არ ვუსვამდით. ლუკაზე ორი რამ ვიცოდი, გული აწუხებდა, საოპერაციო იყო. ეგ ერთი და მეორე – ერთ-ერთი ინსტიტუტის სტუდენტებისგან შემდგარ დასს ხელმძღვანელობდა, რეჟისორი იყო. მეც ხშირად მივყავდი რეპეტიციებზე, მაგრამ იქ თავს კარგად ვერ ვგრძნობდი. მეჩვენებოდა, რომ ერთ-ერთი სტუდენტი, სალო, ლუკაზე იყო შეყვარებული. ერთხელ, ლუკას დაბადების დღეზე მივედით სარეპეტიციოში და უამრავი ბუშტი დაგვხვდა სცენაზე. ლუკას ბავშვივით გაეხარდა. მერე მითხრა, თურმე სალოს მთელი ღამე გაუთენებია ამეების ბერვაში, მე რომ გავეხარებინეო. არ მესიამოვნა. ბუშტი წამოვიღე, თავის დაზღვევის მიზნით – ორი ცალი.

მეორე საღამოს ლუკამ ისევ ახსენა, სალო რა ტიპია, მთელი ღამე უწვალია, ბერვაში გაუთენებია, რომ ჩემთვის სიურპრიზი დაეხვედრებინაო.

– გატყუებს, – ვუთხარი. – ბუშტში სუნთქვა კი არა, ჰაერი იყო.

– რაო?..

– მე სუნთქვის გაშიფრვა შემიძლია, მართლა. ის ბუშტები სპეციალური ხელსაწყოთია გაბე-

რილი და არა სუნთქვით. ანუ არც ისე ძალიან უწვალია, როგორც გგონია.

ლუკამ ამაზე ბევრი იცინა და „მთხოვა“ ჩემი და ჩემი შეყვარებულის სუნთქვის ამოკითხვა მინდა შეგიკვეთოთ, ეგებ როგორმე ურიგოდ მიგვიღოთო.

– შენი სუნთქვის წაკითხვა არ მინდა. შევეშვი ამ საქმეს. იმიტომ, რომ მერე გაშიფრული ამბების ამოსუნთქვა აღარ გამოდის, მიგროვდება და სიმძიმეს მიტოვებს. სიმძიმეს და კიდევ – სიზმარს. ერთგვარი გადასახადია ჩვეულებრივი მოკვდავისთვის აკრძალული ნიჭით სარგებლობისთვის. თან, ბოლო დროს, სუნთქვიდან ახლო მომავლის ამოცნობაც ვისწავლე და არ მინდა, ვიცოდე, მერე რა იქნება. ჩემი სუნთქვის წაკითხვის მცდელობა უკვე მქონდა, მაგრამ... გინდა, მოგიყვე?

– კი. მოყევი და მერე აბსურდის სპექტაკლი დავდგათ: „სუნთქვის შემგროვებელი“, მთავარ როლში – სალო, – ლუკამ წეღანდელივით ხმამაღლა გაიცინა, – ვხუმრობ. სალოზე ვხუმრობ, სპექტაკლზე – ჯერ არ ვიცი. მიდი, გისმენ. აჰა, ათი თვალი და ათი ყური გამოვიბი. უბრალოდ, არ ჩანს. ყველას გაგვაჩნია ჩვენ ჩვენი არამოკვდავური ნიჭი, მილედი.

ჩემი სუნთქვის ვერგაშიფრვის ამბავი.

იმ დღეს ფილტვებჩამძიმებულს გამეღვიძა. სასუნთქი გზა არმოყოლილი ამბებითა და შეკავებული ემოციით მქონდა ჩახერგილი. ამ დღემდე ვთვლიდი, ჩემი სუნთქვის გაშიფრვა არ ღირდა, არაფერი იქნებოდა ამაში საინტერესო. ალბათ, მხოლოდ ჰაერის წყალწყალა ნაკადი შემრჩებოდა ხელში. ბევრი-ბევრი – მიწის გემო დაჰკრავდეს, რომლიდანაც მხოლოდ სევდისა და მარტოობის ამომარცვლა თუ მოხერხდება-მეთქი. იმ დილით კი, ჩემმა გაძნელებულმა სუნთქვამ აზრი შემაცვლევინა.

ღია ფანჯარასთან ჩამოვჯექი, ჭრელ, გასაბერ ბუშტს დავხედე. ვერ ვბედავდი. მეშინოდა, რაიმე ისეთი არ ამომეკითხა ჩემი სუნთქვიდან, უსიამოვნოდ რომ გამაოცებდა, საკუთარ თავს რომ შემაძულებდა. როდის-როდის, ძალა მოვიკრიბე და ბუშტი ტუჩებთან მივიტანე. პირველი ჩაბერვა გამიჭირდა. ისე მქონდა ჰაერი გაჯერჯვებული ჩემი ყოფილი ბიჭის ბუტაფორიული კოცნებისგან, პერიოდული მიტოვებებისგან, მისგან მოსმენილი გრძნობაგამოცლილი სიტყვებისგან, მზერისგან, მოფერებისგან, ჩემი არეულდარეული ფიქრებისგან, შიშისგან, იმედისგან... რომ ამ ყველაფრის ერთად მოკრებვა, შეკუმშვა, ბუშტის ყელისოდენად დავიწროვება და ბუშტში გადაძახება ვერაფრით მოვახერხე. მესამე ცდაზე გამომივიდა. ერთი რომ გაიწიეს ბუშტის კედლებმა, მერე მიყვა და მიყვა. გადავუძახე ჰაერად ქცეულ დარდისა და სიხარულის ამბებს. ჩასუნთქვა-ამოსუნთქვისას მინიჭებული შიფრებითა და კოდებით ივსებოდა ჭრელი ბუშტი. სადარდებელი და გასახარი, მარცხი და გამართლება, მარტოობით ჩაშავებული დღეები და ალერსში თეთრად ნათენები ღამეები, ყველაფერი დაიტია. თავი მოვუკარი და ჰაერში რამდენჯერმე ავაგდე. თითქოს მინდოდა, ამბები და შეგრძნებები ერთმანეთში კარგად შერეულიყო, რომ მერე საკუთარ თავზე უტყუარი საშუალო არითმეტიკული დასკვნა გამომეტანა. ერთი აგდებაც და ბუშტი ფანჯრიდან გამიფრინდა. დავინახე, როგორ დაეშვა ეზოს ნაგვით სავსე ურნისკენ და თავახდილი კონსერვის ბასრ თავსახურს დაასკდა.

როგორც კი ბუშტი გასკდა და ჩემი სუნთქვა ნაგავს შეერია, პირში ისეთი სიმყრალე ვიგრძენი, გული ამერია. პირდაპირი მნიშვნელობით. იქვე, ფანჯარაში გადაყუდებულს. პირველი სართულის მეზობელს, ლეილას, სარეცხი ჰქონია გაფენილი... გამოაღო ფანჯარა და კივილთან ერთად, წვერზე შხამწასმული სიტყვების ჯერი ამოტყორცნა ჩემზე მორგებული სამიზნისკენ. სავარძელში მთვლემარე ბებიაჩემი შეხტა, გამოფხიზლდა. გამოფხიზლდა და მაშინვე დღეების თვლა დაიწყო:

– ერთი პარასკევი ხვალ გავა, მეორე – შვიდ დღეში. ორი პარასკევიღა დამრჩა, ჩემო გოგო...

არ ვიცი ამ „ჩემო გოგოთი“ მე მომმართავდა თუ დედაჩემს. მე მაფრთხილებდა, შენგან მალე

წავალო თუ თავის შვილს ანუგეშებდა – მალე მოვალ შენთანო. კარგა ხანი იყო, სავარძელში თვლემისა და დღეების თვლის გარდა აღარაფერი შეეძლო.

ბებოს თვალი მოვაცილე და ქვემოთ ჩავიხედე. მეეზოვე, ლეილას ბრძანებით, დასვრილ სარეცხის თოკებს ჭრიდა. ჩაჭრა და ზედ დარწყეულ სარეცხთან ერთად იმ ურნაში გადაუძახა, სადაც ბუშტის ნაფლეთს ჯერ ისევ ოხშივარივით ასდიოდა ჩემი სუნთქვა. წელანდელზე უარესი სიმყრალის გემო ვიგრძენი, თავი ვერც ახლა შევიკავე... არც ლეილას უცდია თავის შეკავება. ლანძღვითა და წყევლით ამოვარდა კიბეებზე და გაცეცხლებულმა გვიბრახუნა კარებზე. ეს წავიდა და ცოტა ხანში მეეზოვემ ატეხა ბრახუნი ტექსტით: „ნარწყევი ვისი იყო? შენი!“ – ლეილასთვის გაწეული შრომის ანაზღაურებას ჩემგან ითხოვდა.

სიზმარი არ მინახავს, მაგრამ ძილის წინ მელანდებოდა, თითქოს ლეილა და მეეზოვე თავზე მადგნენ და კონსერვის ქილიდან დამპალი ხორცის ჭამას მაძალებდნენ.

* * *

იმ დღის მერე ლუკა აღარ გამოჩენილა. არავინ იცოდა, სად გაქრა. არც თეატრში ჩანდა, არც ტელეფონს რთავდა. ჩემმა უცნაურმა ნიჭმა რომ არ დააფრთხო, მაგაში დარწმუნებული ვარ. ზუსტად ვიცი, ჩემი მოყოლილი არ დაიჯერა. ვიწექი ჩემს საწოლზე დამხობილი და ლუკაზე ვფიქრობდი. ბუნდოვნად გამახსენდა, ბოლოს რომ გაიცინა, ახლოს ვიყავი, უნებურად მისი სუნთქვა შევისუნთქე და გამაჟრჟოლა. ხიფათი, რისკი თუ რაღაც ამდაგვარი ამოვიკითხე, მაგრამ თავი დავაჯერე, რომ შევცდი. ქუჩის ჰაერთან შერეული სუნთქვის გაშიფრვა ხომ დიდად არ გამომდიოდა ხოლმე.

კარზე დააკაკუნეს. იმედიანად წამოვხტი, მაგრამ ზღურბლს იქით, ჩემდა გასაოცრად, პირველი სართულის მეზობელი, ლეილა, დამხვდა. შემოვიდა და საზეიმოდ დადო მაგიდაზე შინდის მურაბით სავსე ქილა. შინდი ერთადერთი ხილია, რომლის მურაბაც არ მიყვარს. არ გამოვრიცხავ, რომ განგებ შემირჩია. საიდან უნდა სცოდნოდა, მაგრამ მაინც.

– ნენსი, მე გპატიობ იმ ძველ ამბავს. ვოტ, ტაკ! მე ასეთი ქალი ვარ, დიდსულოვნება მიყვარს. ცოტა თუ მოიქცეოდა ღირსეულად, მაგრამ მე ბებიაშენის სიკვდილის ამბავზე ფულიც დავდე მაშინ და ყველაფერი. ნახავდი, ალბათ, სიაში... დალაპარაკებით, ვიფიქრე, ერთხელ პირადად ავალ და ვეტყვი ნენსის, რომ ვაპატიე. თან მურაბაც... მე ისეთი ქალი ვარ, გაცემა მიყვარს... ის ფულის ხამი ქუჩის მხვეტავი გაწუხებდა, ხომ? რასაც ეგ ცოცხის ტარით გიბრახუნებდა! არ იფიქრო, თითქოს მე გამოვგზავნე, ვინც არწყია, იმან გადაგიხადოს თოკების ჩაჭრის და სარეცხის გადაყრის ფული-მეთქი, არა! მე ისეთი ქალი ვარ... ისე კი, თავიდანვე რომ გაგეღო კარი და ფული მიგეცა, მთელ სადარბაზოს აღარ შეგვაწუხებდა ხმაურით. თან უბედური ბებიაშენი მაშინ უკვე ცალი ფეხით „იქით“ იყო... ხმაურზე რეაქცია არც ჰქონდა იმ საცოდავს?

– ყველაფერს დაწვრილებით მოვყვები. – ძალიან მშვიდად გავუღიმე. – ოღონდ, თუ არ გეწყინებათ, თქვენ ნაცვლად, თქვენს შინდის მურაბას მოვუყვები.

ბებიაჩემის სუნთქვის ვერგაშიფრვის ამბავი.

ქალბატონი ლეილას სარეცხის უნებლიე წაბილწვის დღის შემდეგ ბებოს მშვიდი თვლემა სანატრელი გამიხდა. აღგზნებული მოსთქვამდა, ორი პარასკევი დამრჩა და წამიყვანენო. აი, ყოველღამ აკაკუნებენო. მთელი კვირა არ მოგვასვენა მეეზოვემ. ასეთ რეჟიმს შევეჩვიეთ: საღამოს, ვახშმის მერე კარზე ბრახუნს ვუსმენდით. როგორც კი ეს ბრახუნი შეწყდებოდა, ბებო მშვიდად იძინებდა. უხაროდა, ამაღამაც ვერ წამიყვანესო. ერთხელაც, სანამ დააბრახუნებდა, გავუღე და ფული ფეხებთან მივუყარე. ჩვენი ბიუჯეტისთვის არც ისე ცოტა თანხა იყო, მაგრამ ბებიაჩემისთვის სტრესის მოხსნად მიღირდა. ვერ გავთვალე, რომ ბებოს გრაფიკიდან ამოვარდნა გაუჭირდებოდა. წრიალებდა, ბრახუნს ელოდებოდა. მაგ ბრახუნის ჩაწყნარე-

ბა ხომ ერთგვარი ნიშანი იყო, რომ მორჩა, აწი მშვიდად შეიძლება დაძინება. აღარ იყო ნიშანი და აღარ იყო მოსვენება.

საწოლში ჩაწოლაზე ძლივს დავითანხმე. ჩაწვა თუ არა, მალევე მოეშვა და თვალები მილულა. ვუყურებდი მის ბუდეში ჩაცვენილ, დახუჭულ თვალებს და ვფიქრობდი, ახლა რომ მოკვდეს, ხომ ვერასდროს გავიგებ, რა სწყინდა, რა უხაროდა?

ოთახიდან გავედი და გასაბერი ბუშტით დავბრუნდი. თან რაღაც სინდისის ქენჯნის მაგვარს ვგრძნობდი. ჩავეხუტე და ამეტირა.

– დღეს რა დღეა? – თვალი გაახილა.

– ხუთშაბათი, ბე... ბე, გეხვეწები, ეს ბუშტი გამიბერე რაა, ვითომ ისევ შენი პატარა ნენსი ვარ...

– პარასკევი თენდება? პარასკევი თენდება? – ანერვულდა.

უცებ გავიაზრე, რომ შეუძლებელს ვითხოვდი, მაგრამ იმდენად დიდი იყო სურვილი, ბებოს სუნთქვა წამეკითხა, აღარ მოვეშვი. ალბათ, რამხელა ძალისხმევა დასჭირდა იმ ერთი ჩაბერვისთვის. ჩაბერა და ძალაც გამოეცალა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, მეორედ ვეღარ გაიმეორებდა. ოდნავ ამობურცულ ბუშტს თავი წამში მოვუკარი და ბებოს შუბლზე ვაკოცე. დამშვიდდა და ჩაეძინა.

ძილის წინ, თითქმის ცარიელი ბუშტი გულში ჩავიხუტე და დიდხანს ვიტირე.

ბებოს აღარ გაუღვიძია.

იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება იმ ერთი, მაგრამ მთელი ძალით შებერვისთვის ბებოს სუნთქვა არ ეყო და სულიც ამოაყოლა – ალბათ, სამარეშიც არ მომასვენებს. „ბუშტში ბებოს სულია“. – ამ აკვიატებულ ფიქრს ჭკუიდან გადავყავდი. დასაფლავების მეორე დილითვე მომეჩვენა, რომ კარადიდან, სადაც ბუშტს ვინახავდი, კაკუნი ისმოდა. ქუჩაში გავვარდი. რაც კი ჯიბეში ფული ჰქონდა, ბუშტები ვიყიდა და მთელი დღე ვბერავდი. ვბერავდი გამეტებით, მთელი ძალით, რომ როგორმე სუნთქვა ამომხაპვოდა და სული ამომეყოლებინა, მაგრამ საკუთარი თავისთვის სამაგიეროს გადახდა არ გამომივიდა.

ვეღარ გადამეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავი. ხან ვფიქრობდი, უბრალოდ, ემოციურ ფონზე განვითარებული აკვიატება მქონდა, თამამად შემეძლო შემესუნთქა. საბოლოოდ, ბებოს სუნთქვის გაშიფრვის სურვილს, ბებოს სულის „გადაყლაპვის“ შიშმა სძლია. საფლავთან მივედი და ბუშტს პირი მოვხსენი. სული არ ვიცი, მაგრამ საკუთარი თავი კი გავათავისუფლე – ეჭვებისგან. იმ საღამოს ვალმოხდილს ჩამეძინა. სიზმარი არ მინახავს.

* * *

ლეილას სტუმრობის მეორე საღამოს, სამსახურის უკან, სკვერში მივედი. ის ლოთი ბიძა ერთგული ვინმე ჩანდა, ყოველთვის ერთსა და იმავე სკამზე ეძინა. ჩანთიდან შინდის მურაბის ქილა ამოვიღე და გვერდით მივუდგი. „ახლა ერთად ხართ ჩემი მესაიდუმლეები, – ვთქვი, – შინდო, მაპატიე შენი მომხუფავი რომ შევაშინე“. ლოთს მაშინდელივით ტკბილად გაეღიმა. ნეტაი, მაგას, მე კი სულ კოშმარები მესიზმრება და...

იმ ღამეს ვერაფრით დავიძინე. ხან ახალი, კარგი ამბისთვის გამოთავისუფლებული ადგილი მეიმედებოდა, ხანაც ლუკას სუნთქვაში დაჭერილი შემაშფოთებელი სიგნალი მაშინებდა. დილით მესიჯი მივიღე: „თუ გაღმა წერილი გაქვს გასაგზავნი, მომეცი, წავიღებ, არ მეზარება :)))))) ნუ, ძალიანაც ვერ შეგპირდები, ეგებ არც გადამიშვან საზღვარზე ;) საოპერაციოში შევდივარ ექსკურსიაზე, ნენს, ყველაზე მაგარი გუბეების საავადმყოფოში. როგორც არ უნდა ჩაიაროს – მიყვარხარ“.

რაც ხელში მომხვდა, გადავიცვი და გიჟივით გავვარდი. კარგა ხნის სირბილის შემდეგ გავიაზრე, რომ ტაქსი უნდა გამეჩერებინა. გადაბმულად ვრეკავდი, მაგრამ ტელეფონი უკვე გამორთული ჰქონდა. რეკვა შევწყვიტე თუ არა, ზარი შემოვიდა – სამსახურიდან. „მაპატიეთ, მაგრამ სამყაროს ყველა სამსახური ფეხებზე მკიდია“. – ვუპასუხე და გავთიშე. პირველად ვთქვი „ფე-

ხებზე მკიდია“. როგორი გულის მოსაფხანი საათქმელი ყოფილა.

საოპერაციოს დერეფანს ადვილად მივაგენი. ფანჯარასთან გავჩერდი. ვიღაც ქალი მომიახლოვდა. ღმერთო, როგორ ჰგავდა ლუკას!

– ნენსი ხართ?.. – ძალიან ჰგავდა. ძალიან. გამაოგნებლად. – მე ლუკას და ვარ. ლუკამ თქვენთვის რაღაც დამიტოვა. ახლავე მოვიტანო, დამელოდეთ.

– დაგელოდებით... – შევპირდი. თითქოს, მისი ამ თხოვნის გარეშე სადმე წამსვლელი ვიყავი...

რომ გაბრუნდა, თვალი არ გამიყოლებია, რაღაცნაირად შემეშინდა, ზურგიც ლუკასი არ ჰქონოდა.

ლუკას აღარყოფნაზე ფიქრი მოდიოდა, მკბენდა, მკაწრავდა, კაბის ბოლოზე მქაჩავდა, მაგრამ ვცდილობდი, თავიდან მომეცილებინა.

ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის ოჯახის წევრები და ნათესავები ნერვულად დააბიჯებდნენ წინ და უკან. ათნი მაინც იქნებოდნენ. მივხვდი, როცა რგოლზე ბევრ გასაღებს ვკიდებდი, ან სამაჯურზე ათას წვრილმანს ვაკონწიალებდი, ქვეცნობიერად ამას შევნატროდი, ეს მინდოდა – დიდი ოჯახი და ბევრი გულშემატკივარი.

ლუკას და დაბრუნდა (ღმერთო, როგორ ჰგავს, როგორ!), წითელი ბუშტი და ბუშტის წითელ ძაფზე გამობმული ბარათი მომიტანა. გამოვართვი და დერეფნის მეორე, ნახევრად ჩაბნელებული ბოლოსკენ გავიქეცი. გადავსებული თვალებით, ძლივს მოვახერხე ბარათის ჩაკითხვა:

„ნენს, აჰა, შენ ჩემი პირადი ინფორმაციის საბადო (იხ. ბუშტი). იქნებ, რაიმე ისეთი კომპრომატი ამოშიფრო, მერე გული აღარ დაგწყდეს ჩემს „წასვლაზე“ :)) კაი ვხუმრობ, ჩემებურად – შავად. მიყვარხარ. ნუ გეშინია, გადავრჩები. გადავაგორებ“.

მივრბოდი ამ უსასრულო დერეფანში და ვფიქრობდი: „ახლა რომ წავიქცე და ბუშტი გამისკდეს... შესუნთქვამდე რომ გამისკდეს!..“ ჩემივე გულისცემის ხმაური ყურებს მიგუბებდა. კიდევ კარგი, როგორღაც, ჩამთავრდა დერეფანი, თორემ მესამედაც რომ მომესწრო „რომ გამისკდეს“-ს გაფიქრება, ნამდვილად გამისკდებოდა – გული.

კედელთან აწყობილ ყუთებს შორის, იატაკზე ჩავჯექი და ბუშტის კვანძის გახსნა ვცადე, მაგრამ თითები ვერაფრით დავიმორჩილე, საქსოვი ძაფივით ამებლანდნენ ერთმანეთში. შიშისგან გაყინული ხელები, ბუშტს მოვხვიე. მოვხვიე და უცებ ისეთი ნაცნობი სითბო წამოვიდა შიგნიდან... სულ დამილღვა თითებიც და ეს ჩემი ყალყზე შემდგარი ნერვებიც უცებ მოეშვნენ, თითებთან ერთად, ესენიც „გამოიბლანდნენ“, დალაგდნენ. პანიკამ გამიარა. ხელმეორედ ვცადე და ახლა უკვე სულ იოლად გავუთავისუფლე ყელი ბუშტს. შევისუნთქე თუ არა, გარშემო ყველაფერი გაქრა. აღარაფერი არსებოდა ლუკას ნასუნთქი ჰაერისა და ჩემი რეცეპტორების გარდა...

* * *

დერეფანი იქიდან აქეთაც ისევე გიჟივით გამოვირბინე, როგორც წეღან – საწინააღმდეგო მიმართულებით. ლუკას და ისევ იქ დამხვდა – ფანჯარასთან. მივირბინე, უზომოდ მშობლიურ თვალებს გავუღიმე და აჩქარებული სუნთქვისგან სული როგორც კი მოვითქვი, ვუთხარი:

– ნუ გეშინიათ... ლუკა გადარჩება... ზუსტად ვიცი – გადააგორებს.

ვაჟა ოთარაშვილი

პოეტური დუეტი ციკლიდან: „ჯვრისწერა ღამით...“

(გალაკტიონის და მერის სიყვარულის ისტორია)

I

* * *

როცა მომაწვება მონატრება,
როგორც რომაელი გალილეველს...
ვხედავ თეკლათის მონასტერთან,
უფლის სადიდებელს დამილევენ...
არადა როგორ ვიოცებდი
ჩემი გადარჩენის საოცრებას,
გელათი... მამა იოსები...
შენ და აწეული ცად ლოცვები...
მერე განშორების აგონიას
ლექსით ისე ნაზად ამოვკემსავ...
აბა, პოეზია რად გონიათ –
სიტყვა – უფლის ნების ამოკვნესა...

II

* * *

შენი ცრემლების ბზიფი –
ჩვენი გაგრა და გალი...
კავკასიონის იქით,
მკერდში დაჭრილი დალი...

უნახაობა მაღრჩობს
სოხუმისა და რიწის...
მერიი!!! ვინ სკვითებს დარჩათ
ივერთა მიწა – იწვის...
გახსოვს შავი ზღვის პირას
ქართული ჩოხის ფერი...
უფალი არ გაგვწირავს
შეყვარებულებს მერი...

III

* * *

საოცარია ჩემს ლექსებს თარგმნი,
უცხო მუსიკას რითმებში აქსოვ...
ქართველიცა ხარ ჩემთვის და ფრანგიც,
ჩემზე დარდები გულში რომ აქვსო...
არა პარიზი... არა თბილისი...
არაგვი გვახსოვს...

IV

* * *

შენა ხარ ჩემი ვარსკვლავგოგონა,
ჩემი მიჯნური და საესავი...
მაგ თვალთაგან რომ ცრემლი მოგორავს,
სიზმრებს მინათებს ღამე დღესავით...
შენა ხარ ჩემი სულის ნაწილი,
შენი ჟღურტულით მივსებ თავანებს...
მოულოდნელად გამაარწივე
და სიყვარულით გამათამამე...

V

* * *

შენი წარსულიც მტკივა,
ვერ ჩაგიქოლეს ნიჭი...
რიონს მოგდევდი ტივით,
შენი ჭაღარა ბიჭი...
ნეტავი ადრე მეცნე,

ასე ნაზი და კოხტა,
რომ აჟღურტულებ მერცხლებს,
მაგ სულის ლამაზ ქოხთან...
მაგრამ გიპოვე ბოლოს,
რადგან განგების ნებით,
მუდამ ჩემთან ხარ მხოლოდ
და ერთმანეთით ვთბებით...

VI

* * *

გახსოვს ღამე ვთამაშობდით ჭადრაკს,
სიყვარულის აზარტით და ლტოლვით...
დედოფალი პირველ ნაბიჯს ადგამს
და მხედარი ელოდება თრთოლვით...
შემოისვამს მერანზე და ჰერიი...
მდევრის ავი ნაგაზები ჰყეფენ
და ქორწილის ეტლში ტკბილად მღერის
გალა – ქართულ პოეზიის მეფე...

VII

* * *

მარტია... აწვიმს მთაწმინდის კალთებს,
მამადავითთან იებს შეიფენს...
მერი... მე გხედავ ცისფერი ბაფთით,
უახლოვდები სევდით ეიფელს...
მანძილი მაინც რჩება მანძილად,
ამ მონატრებას რითი გაზომავ...
ვიცი, პარიზშიც დარდებს არ სძინავთ
და ღაწვზე ჩნდება ცრემლების ზოლი...

VIII

* * *

კულულებს სევდის იები მორთავს,
წამწამებს დარდის მარგალიტები...
მონატრებები მხოლოდ იმ ორთა –
რას არ იტევენ...

ღამეებს შენზე ნატვრები ავსებს
და ვარსკვლავეთის შორი ციმციმი...
და მოდის ჟამი ტკივილით ასე,
როგორც არაგვის ტალღა ცივ-ცივი...
მიყვარხარ... გეტრფი და ლექსებს გიძღვნი
და უშენობის ტკივილებს ვებრძვი...
ამ სიყვარულით სამყარო იძვრის
და დედამიწის ტრიალებს ღერძი...

IX

* * *

და უშენობის სევდის გრიგალს ვერ დავეხსენი,
მიყვარხარ მერი და ჯვრისწერა შენთან მინდოდა...
შენ მოგიძღვენი პოეზია, ჩემი ლექსები...
საარაგვოზე ცისარტყელა მწვანე მინდორთა...
მთელი ქვეყანა მოვიარე, მთელი დუნია:
ავტომობილით, თვითმფრინავით, ცხენით თუ ფეხით...
გულს დარდით ავსებს სინანულია –
ადრე ვერ შეგხვდი... ადრე ვერ შეგხვდი...

X

* * *

ამოიოხრეეე... ამოაყოლე გული...
ლიხის მთებს თოვლის თეთრი თიკანი თელავს...
მერი, ორივეს ერთნაირი გვაქვს სული
და თვალებს შერჩათ ცრემლი ბავშვობის ხელა...
აამძივებენ ნატვრის ვარსკვლავებს ცაში...
და თეთრი ხიდი კვლავ გააცილებს წყვილებს...
გამოვარდება ლოდების თეთრი რაში
და რიონისწყალს თოვლისფრად გააბრწყინებს...
და მეც შენსავით მარტო გავყურებ არეს,
მიყვარხარ... შორს ხარ... პარიზს ჩამოვალ რითი...
ამ ბარათს ვატან ქართლის გულიდან ქარებს,
კარი გაუღე როცა გაიგებ ქვითინს...

ეკა კვანტაღიანი

პოეტური დუეტი ციკლიდან: „ჯვრისწერა ღამით...“

(გალაკტიონის და მერის სიყვარულის ისტორია)

I

* * *

ყოველ წამს შენთან მოვდივარ ფიქრით,
დრო-ჟამის ათვლა მხოლოდ ღვთისაა...
კოსმოსის სივრცე დავფარო იქ რით,
გელათის კედლის ვუმზერ მზის საათს...
შორსა ხარ, თუმცა გულის კარს გიღებ...
ნუ დარდობ!... მხოლოდ მომეცი ხელი...
ათასი წელი – როგორც ერთი დღე,
ერთი დღე – როგორც ათასი წელი...

II

* * *

ვიცი გახსოვარ, მაგრამ
ზოგჯერ ვერ იცლი ჩემთვის...
შორს პონტოს ზღვაზე გაგრა
მიტოვებულ გზას ერთვის...
ფიქრით აცილებს კოდორს
გუდაუთა და გალი,
აგებ აფხაზურ ოდას
მზის ორნამენტით გალა...

როგორც მედეას მზითვი,
წარსულს ირეკლავს რიწა...
მტკივა ისევე ბზიფი –
ტირის ქართული მიწა...

III

* * *

შენამდე სიზმრიდან სულ ერთი ადლია,
ღმერთს შეგავედრე და სანთლები დაგინთე...
ლექსებით ეს გული გამითბე, მადლია,
რომელიც შენც იცი რა გრძნობით დაგითმე...
და როცა ზამთარში ქარები დაჰქრიან,
სევდების მავთული გზად გადახლართულა...
უშენოდ, აქ პარიზს, პარიზიც არ ჰქვია:
„მიყვარხარ“... ვჩურჩულებ ქუჩებში ქართულად...

IV

* * *

იბრძვის ბოროტი, როგორც გორგონა,
თავს როდესაც გრძნობ მართლა მიჯნურად...
ბედნიერია ვარსკვლავგოგონა,
როცა გვერდით ჰყავს ვარკსვლავბიჭუნა...
ეს მონატრების გამოა ვიცი –
ცრემლით მევსება თვალთა უპენი...
სხვა გალაქტიკის ხარ ჩემი პრინცი,
ვით უფლისწული სენტ-ეგზიუპერის...

V

* * *

ფრანგული ყავა დილის,
წარსულის ვფურცლავ არქივს...
ვიგონებ ლექსით თბილისს,
მიჯნური რომ დამარქვი...
ეიფელიდან ვხედავ,
ქარი ნაბიჯებს ურევს...
ვუმზერ მონმარტის ხედებს,

მივყვები საფეხურებს...
ბევრი პოეტი დადის,
აქ შთაგონებას ეძებს...
შენა ხარ ჩემი დარდი –
პარიზში მიტომ ვერ ვძლებ...

VI

* * *

გარს მეხვიოს პაიკების ჯარი,
მლიქვნელურად ვით ლაქია ლორდებს...
ნუ გექნება გალა ჩემი ჯავრი,
ოღონდ ტრფობის მიკითხავდე ოდებს...
თუმც ჭადრაკის შავ-თეთრია დაფა,
მეფეს გვერდით ლაზიერი უზის...
დაგიმშვენებს რითმის გვირგვინს დაფნა –
მერი – შენი დედოფალი მუზის...

VII

* * *

თბილისამდე სიზმრის გზები ივლის,
მაგრამ დარდით ვერ ვიძინებ გალა...
მანდ ზეგანი ზიგზაგებით ივრის –
მონატრებით გულზედ მომეძალა...
მტკვარმა მთვარე აირეკლა მკრთალი,
ალბათ ისევ ტრფობის ფიცი მისცა...
აქ ელვარებს ღამის დედოფალი –
ლამპიონის შუქით პარიზის ცა...

VIII

მონატრება...

მონატრებით მზის სხივივით ვთრთიო,
როგორც ქარვის გაელვება ზვარში...
და ყმაწვილურ ჟინით გალაკტიონ –
შენ ხარ ჩემთვის მუდამ დიდი ბავშვი...

ფიქრებს იქით მყინვარწვერიც მოსჩანს,
სარკმელთან ზის ჩიტი ერთი ციდა...
მენატრები... უნდა განახო, მორჩა!
დარდებს ფრენით ფრთები გაეცვითა...

IX

* * *

გათენდა... ვუმზერ მეზობლის ეზოს,
მზეს უმღერიან ბაღში ციცრები...
ყინვას ბილიკი ისევ დაეზრო,
კვლავ ცას გავყურებ გაფაციცებით...
როგორ მიყვარხარ! მალე ჩამოხვალ?
მე, შენ და ლექსი – ეს ჩვენი ტრიო,
მონატრებისგან ცრემლებით ოხრავს
და შენ ერთს გელი სულ გალაკტიონ...

X

ტრფობის ჟამთააღმწერი...

დათოვლილი ტყე გაგივლია ზამთარში თუკი,
გაოცდებოდი მინდორ-ველით მთათა კედელთან...
კლდის მოძახილი ირმებისა, როგორც მთის ბუკი,
გადმოსწვდომია საბრძანებელს ფანასკერტელთა...
ან თუ გინახავს ზეციური ღამის ციალი,
დედასთან გვერდით განაბული მშვიდად შვლის ნუკრი...
საამილახვრო... დაფიფქული საციციანო...
დატყვევებულ თვალს უნაპირო ცის ხედი უკვირს...
გადაეკრება ნისლის ბადე ყინწვისს, სამწევრისს...
შორს სიამაყე კავკასიის – დგას უფლისციხე...
ვარ უსასრულო ჩვენი ტრფობის ჟამთააღმწერი
და პარიზიდან მონატრებულს სიყვარულს გიმხელ...

ნინო ქადაგიძე

ცერცვისტოლა ამბები

ლა-პა-რა-კი

თოვლისგულაოო მაშინ ამბობენ, როდესაც მზეცაა და თოვლიც მოდის ხოლმე.

იმ დღესაც თოვლისგულა იყო, მა, რა იყო! გასარკულ ცაზე გეგონება მზის სხივების კონები ეწყო, თოვლი კიდევ მოდიოდა შაქრის პუდრივით ბრჭყვიალა და მბზინავი. გავვარდი გარეთ. „გოგოვ, რამე შამაიცვიო“, – კარის ზღურბლთან დამეწია და ზურგზე მომეთბუნა ბებიაჩემის ნათქვამი, მაგრამ შემოცმით კი არაფერი შემოვიცვი. „– კერპი, კერპი, ალი, ქაჯი და თავინათქვამა!“ – მომაძახა ბებიაჩემმა, არც მაგაზე მიმიხედავს. ილაპარაკოს ერთი, მასე ამბობს თორემ, იცი, როგორ ვუყვარვარ?! ავიხედე ცაში, იმხელა პირი დავაღე, გადმოვყავი ენა და ფანტელებს შევუშვირე...

– ეს ცუღლუტი, ესა, ამოტოლა ენა კი აქვს და სიტყვას რად არ ამბობსო, – ღიმილით ჩაილაპარაკა თავისთვის და ჩამიარა თოვლზე უფრო თეთრთმაწვერა პაპაჩემმა, დაფიფქული ლეგა ბუშლატითა და მხარზე გადებული ნიჩბით. სახლის სახურავიდან თოვლი გადმოხვეტა, ეტყობა... არც მისთვის მიმიქცევია ყურადღება.

მას შემდეგ, რაც მამაჩემი გარდაიცვალა, აღარავის ვესაუბრები. ზოგს ჰგონია, რომ აღარც მესმის. გელაპარაკებიან, არ პასუხობ, გეფერებიან, არც მაშინ იხედები – ჩუ, გენაცვალეო, არ დაინაღვლო, გენაცვალეო, არ დაინატრო, გენაცვალეო, არ დაიდარდო, გენაცვალეო...

რა უბედურებაა ამდენი „შენ გენაცვალე!“ განა ერთხელ ნათქვამი მართლა არ მესმის?!

ქალაქშიც აღარ მივყვები ჩემს უფროს ძმასა და დედაჩემს. ჩამაცმევენ ჩემს პირისფერ მანტოს, (ბებიაჩემი ასე ეძახის, თორე ისე ვარდისფერია) თეთრ ჩექმას, ჩამილაგებენ ბარგს, წიგნებს, თოჯინებს, დამამხობენ ქუდს. ფუჰ, ეგ ქუდი კიდე საშინლად მძაგს, ყურთან იკვრება და იმიტომ. მანამდე წყნარადა ვარ, ვაცდი, ვაცდი, არაფერი. აი, როგორც კი მანქანისკენ უნდა წამიყვანონ, მაშინვე გავფშეკ ფეხებს, გავიჭიმები, გავხევდები, ხან მაგიდას მოვეჭიდები, ხან – სკამს, ხან გასასვლელ კარს, ხან საჩეხში – ბოძს, ხან ბებო-პაპას კისერზე შემოვეხვევი და ვეღარ მივყავარ დედაჩემს, ვეცოდები და მტოვებს. არა, ტირილით არ ვტირი, ხმას არ ვიღებ და უხმოდ კიდევ როგორ ვიტირებ. მაგ დროს დედაჩემი ტირის ხოლმე, მაგან ხო არ იცის, რატომ არ მივყვები!

– იგრევ იგრეა ყმაწვილი? – ჰკითხავენ ხოლმე ბებიაჩემს, პირზეხელაფარებული, ხილაბანდწაკრული, ღობეზე გადმომდგარი დედაკაცები: ცოქალა, ვარა, ელიკო... ჩაჰკიდებს ხოლმე ეს საცოდავი ბებიაჩემი კიდევ საწყლად თავს და მხრებს აიჩეჩავს. მერე ღამე მომისვამს გვე-

რდზე, მოიდგამს თიხის ფიალით წყალსა და შავტარიან დანას, ხან შეშინებულისას შემილოცავს, ხან თვალნაცემისას, ხან ყრუჩუჩანასას... მეცინება ხოლმე, მაგრამ არ ვიმჩნევ და არც მაშინ ვიცინი, აბა, უხმოდ როგორ გავიცინებ!

რა იციან ამათ, იმიტომ არა ვლაპარაკობ, რომ ღმერთს ვეძებ! ჰო, ღმერთს ვეძებ! უნდა ვუთხრა რომ მამაჩემი გააცოცხლოს. შევხვდები ღმერთს, ვთხოვ, ისიც გააცოცხლებს და მერე დავილაპარაკებ კიდეც და ქალაქშიც გავყვები დედაჩემს, მანამდე არა! ეგეთი პირობა მაქვს დადებული, რაც მამაჩემი საავადმყოფოდან სახლში მოასვენეს, ჩავუთქვი ჩემს თავს და აჰა, ვასრულებ. მამაჩემი აქ, სოფელში, მთავარანგელოზ მიქაელის ეკლესიის ეზოშია დასაფლავებული. ეკლესია ქვისაა, ძველისძველი, კედლებგაშავებული, სანთლებს ანთებენ ხოლმე მის კედლებზე. კარი ხშირად ჩაკეტილია და ალბათ გარეთ იმიტომ ანთებენ. სულ მიკვირს ისე, ამ ჩაკეტილ ეკლესიაში როგორ ძლებს ღმერთი და გარეთ როგორ არ სურს გამოსვლა?! ბებიაჩემს როცა მოვყვები, ჯერ მამაჩემის საფლავზე გავდივართ, იქ ანთებს თავის ჩამოქნილ სანთლებს, მერე ეკლესიას ფეხშველა სამჯერ უვლის. გინდაც მუხლები აწუხებდეს მაინც, ხშირად – მუხლიკვერებითაც. არა მგონია, მამაჩემზე სთხოვდეს რაიმეს, ჩემი სახელი მესმის ხოლმე ბუტბუტით და სიტყვა დედაღვთისა. ერთ დღესაც, როცა ბებიაჩემი თავისი რიტუალით იყო გართული, კარის ღრიჭოდან შევიჭყიტე და დავინახე ლამაზი ქალი ბავშვით ხელში. მგონი, ეგ უნდა იყოს ღმერთის დედა, ბებიაჩემს სახლშიცა აქვს ასეთი ხატი და ღვთის დედაო, ასე ეძახის. ეს პატარა ბიჭი კი, ალბათ, ღმერთია, აბა, ამ პატარა ბიჭმა მე სურვილი როგორ უნდა შემისრულოს-მეთქი, ერთი პირობა გავიფიქრე, მაგრამ ხმამაღლა ვერა ვკითხე ბებიაჩემს მაინც დასაზუსტებლად, ხომ არა ვლაპარაკობ და!... წამოვედი დამწუხრებული.

სწორედ იმ ღამით მესიზმრა. თოვლისგულა იყო სიზმარშიც, მზეზე ათასფრად ბრჭყვიალებდა წვრილი ფანტელი. და ამ მზიან თოვაში ჩემ წინ არ იდგა მამაჩემიც?!

დათოვლილი ჰქონდა თმაცა და მხრებიც, თან უბრწყინავდა თოვლისგან. რადგან სიზმარი იყო, ალბათ იმიტომ წამოვიყვირე სიხარულისგან, თორემ ისე თავს შევიკავებდი, პირობას არ დავარღვევდი: – მამიიი, მამიიი.... იმანაც თავზე ხელი გადამისვა და შემემუდარა: – ნუ დუმხარ, შვილო, ილაპარაკეო! – არა-მეთქი, მამი, – გავუჯიუტდი, გაგაცოცხლოს ღმერთმა და მერე კი, ბატონო, მაგრამ აბა, ის პატარა ბიჭი როგორ გაგაცოცხლებს, ჯერ ხომ ბავშვია, როდის გაგაცოცხლებს? ეგ როდის გაიზრდება- მეთქი? – მივაყარე კითხვები. – შენი ღმერთი შენთან ერთად გაიზრდება და როცა შენც გაიზრდები, მეც მაშინ გამაცოცხლებს, შენ მანამდე ილაპარაკეო! ერთი კიდევ თბილად გამიღიმა და გაქრა.

ჰოდა, აჰა, გავიღვიძე და მას შემდეგ ვლაპარაკობ. ლა-პა-რა-კი, ლა-პა-რა-კი, ლა-პა-რა-კი...

აგვისტოს ომი და ჩვენი კაკლები

ბოდბისხევიდან ძმაკაცს გამოუტანებია კაკლის ნერგები პაპაჩემისთვის. ერთი ეზოს დასაწყისში – ჭიშკრიდან ხელმარჯვნივ, საძროხის გვერდით დაურგავს, მეორე – ცოტა ზევით, ეზოს შუაში, მესამე კი სახლის უკან – ბაღჩის ბოლოში. ისე უვლიდა, ისე უვლიდა, პაპაჩემი სამი კაკლის ხეს თურმე, როგორც სამ ბიჭს – ბებიაჩვენი, ცივ ნიავს არ აკარებდაო. იდგნენ მდუმარედ და იზრდებოდნენ შვილებთან ერთად. თუმცა პაპაჩემი ამბობდა, რომ საუბრობენო. – საუბრობენ არა და ისა, – შევყურებდით უზარმაზარ კაკლის ხეებს და ვიხოცებოდით სიცილით ბავშვები. ჩვენთან ერთად ჩვენს ორ, სიტყვაძუნწ ბიძასაც ჩუმჩუმად ეღიმებოდა.

სოფელში ყოველ ჩასვლაზე თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ კაკლები მართლაც კაცებივით

იდგნენ, ვარჯიანი, სქელქოჩორა, სქელქედიანი ბიჭები და ცასა სწვდებოდნენ თავიანთი მდუმარებით. ეზოს შუაში რომ კაკალი იდგა, ერთ ზაფხულსაც შვილიშვილებმა ვთხოვეთ პაპაჩვენს, საქანელა ჩამოგვიბი, რაა, პაპიო. იუარა, შაფრანი ვაშლის ხეზე ჩამოგვიკიდა, ოღონდაც აქ არაო, როგორ ვაკადრებ კაკალსაო, რა ვაჟკაცის საქმეა საქანელების ფრიალიო. – არა და შენმა მზემ, ომში წაგივლენო, – სიცილით გაეძრახა სამზარეულოდან ბებიაჩემიც. კაკლები არა, მაგრამ ჩემი ორი ბიძა წავიდა მოხალისედ იმ ზაფხულს ომში.

როდესაც ომში ბიჭების გარდაცვალების ამბავი მოუტანეს პაპაჩემს, სახლუკან და შუა ეზოში რომ კაკლის ხეები იდგა, მოჭრა, წააქცია და თავისი ხელით დაამზადა ორი კუბო შვილებისათვის. – მძიმე იქნება, ნედლი ფიცარია და არ ივარგებსო, – ვერაფერი შეასმინეს გახევებულს, გამტკნარებულს, მიტკლისა და მიწიფერასა.

ომის შემდეგ, სამი წლის თავზე, ისევ თავზარი დაგვეცა. იმ ღამით ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდა, ისეთი თქეში წამოვიდა, ისე ანათებდა ცა... პაპაჩემს დავუშალეთ, არ გახვიდეო, მაგრამ ძლიერ გრუხუნზე გავარდა გარეთ და არიქა, ცეცხლიო... ეზოს დასაწყისში, საძროხის გვერდით მესამე კაკლის ხეს დაეცა მეხი... ძლივს ჩავაქრეთ, რომ საძროხეს არ გადასდებოდა.

ახლა ვდაგავრ ჭიშკართან, გავყურებ ეზოს და ვფიქრობ, ის ნამეხარი, გადამწვარი კაკლის ხე უთუოდ პაპაჩემია, შუა ეზოსა და სახლს უკან გადაჭრილი კაკლის ხის კუნძები კი – აგვისტოს ომში დაღუპული ჩემი ორი ბიძის საფლავი. ამ გაზაფხულზე უნდა ვთხოვო, წავიდეს მამაჩემი პაპაჩემის მეგობართან ბოდბისხევში, ისევ ჩამოიტანოს სამი კი არა, ხუთი, ექვსი, შვიდი... კაკლის ნერგი და დარგას ეზოში, მწკრივად, ჯარისკაცებად... აბა, სქელქოჩორა, სქელქედიანი, ვარჯიანი, კაკალა ბიჭების გარეშე ხომ არ დავრჩებით, რომლებიც ცასა სწვდებიან თავიანთი მდუმარებით.

საკვირაო საკითხავი

– აეგრე წითლად დაბერდიო, – ჩამოისვამდა თავის წითელ კაბაზე ხელს და გაგივლიდა. ეგ იყო გამარჯობაცა და ნახვამდის, მოკითხვაცა და დალოცვა ხომ თავისთვად იყო და იყო. გაზაფხულზე მინდორში ამოსულ ყაყაჩოსა ჰგავდა, ზაფხულში – ხვიარა ვარდს, შემოდგომაზე – წითელ მოცხარს, ზამთარში კიდევ თოვლზე დაცემულ, სიწითლეგადარჩენილ ნეკერჩხლის ფოთოლს. მთელი ცხოვრება წითლობდა და ღუოდა. მარტოხელა იყო, მარტოდმყოფი. ვინ მოუკვდებოდა, საჭირისუფლოს ვისზე ჩაიცვამდა და დადიოდა წითელი კაბით აღმა-დაღმა. არც თავად მოუკვდებოდა არავის, თავისი თავის გარდა.

– წითელა მოდის, წითელაო,- გასძახებდნენ ხოლმე, ან – ჩვენს წითელას გაუმარჯოსო! – ჰაა, ახლა, არ დაგვერიო შენც სახადივით, არ დაგვაწითლო ყველაო! – გაიცინებდნენ კიდეც...

ესეც თავისებურად უპასუხებდათ:

– აეგრე, წითლად დაბერდით ყველაო!

ეგ იყო და ეგ.

ერთ დღესაც თავისი ჩვეული მისალმება – დალოცვის შემდეგ გვერდზე ჩამიარა, მერე მობრუნდა და ჩაფიქრებულმა მკითხა: – რა იქნებოდა, ღრუბლისაგან შეექმნა კაცი, ხო ვეღარავინ ჩამოგვძახებდა, მიწა ხარ და მიწად იქეც, მიწა ხარ და მიწად იწექო? – არ ვიცოდი, რა მეპასუხა, გავჩუმდი, მან გააგრძელა: – რა იქნებოდა, ჩამოეწია იმ დალოცვლის ხელი ღრუბლამდე, ერთი თეთრი, თიმთიმა ღრუბლისთვის წაევლო ფეხში ხელი, მოეწოდა, მოეწყვიტა ცის სანახიდან და გამოეძერწა, ხო ადვილად ვატარებდით, ვაფრიალებდით ჩემი წითელ კაბასავით ჩვენს სულებსაო? ჩვენს ოფლსა და სისხლს აღარ შეიწოვდა, შეისრუტავდა ეს შავი მიწა, ზეცის ქარები მიგვიყვანდნენ, მიგვაცურებდნენ მამაღმერთამდე, გვექნებოდა თეთრი საფლავი. ახლა კი, ჩვენ, მიწაში ჩაშტერებულებს, მიწაზე კოჭებით მიბმულებს, გვიჭირს ზეცისკენ ახედვაო. ხომ,

ველარავინ მოგვაძახებდა – ქალშავა ან მიწიფერაო?! – მეგონა, ლექსს მიკითხავდა, ისე ლამაზად საუბრობდა.

– ალბათ, მიწა ღრუბელზე გონიერია და მიწისაგან იმიტომ შეგვქმნა-მეთქი, გონიერიცა და ღონიერიც.

– მაშინ, ჰოოო, – ჩაფიქრდა, – მიგვიღოს მიწად, ოღონდაც არ გაგვაშავოს, არ დაგვაბნელოსო, – გააფრიალა წითელი კაბა, გაიარა და წავიდა.

– ეგრე იყოს-მეთქი! – მივაძახე.

გაიგონა თუ არა, არ ვიცი.

კვირა დღე იყო.

მას შემდეგ ყოველ კვირა დღეს მახსენდება მისი ნათქვამი: – ღმერთო, მართლაცდა, რა იქნებოდა, ღრუბლისაგან შეგექმნა კაცი. ჩვენ, მიწის ბრჭყალებს გამოდებულებს, ხო აღარ გამოგვეხრებოდა სხეული შავად. ღრუბლით შექმნილნი, მისი წითელ კაბასავით ხომ ვაფრიალებდით შენს ნაჩუქარ სულებს ადვილად?... თუმცა, ვინ იცის...

– წითელა მოდის, წითელაოო... ისევ მომესმა ქუჩიდან ხმა, გამოვაღე ფანჯარა და ღიმილით გავხედე, ისევ ჩამოიშრიალა ზედა უბნიდან ნეკერჩხლის წითელი ფოთოლივითა და გადავიდა თეთრ ზამთარში.

სიყვარული

მისი ჩრჩილისგან შემოჭმული პიჯაკის უბეში რას არ ნახავდით: ხის გამხმარ ფოთოლს, ჭრელ კენჭს, პეპლის გაცრეცილ ფრთას, ძოწისფერი ლარნაკის ნატეხს, ინდაურის ან ბატის გაწკეპილ ბუმბულს, ჩამომტვრეულ ოქროს კბილს, ქაღალდის ნაგლეჯს, სადაც რაღაც ეწერა და არავის აკითხებდა, ჯერ არაო... სულ მოხრილი, მხრების თრთოლვით დადიოდა, გეგონება, ქვითინებსო. თავისივე მარცხენა ხელი ისე ჰქონდა მიკრული მკერდზე და მარჯვენა ხელითა ფარავდა, იტყოდი, თოთო ბავშვი თუ ჰყავს გადაწვენილი მკლავზეო. მერე წვერით გაბურძგნილ-გაჩეჩილ ლოყას თავისსავე ხელს მიადებდა და მიეფერებოდა: – შენი ჭირიმე, ჩემო გაუხარელოო, ჩემო საბრალოო... ამ სიტყვებსაც ისე ამბობდა, გულის სისხლს ატანდა პირიდან.

რა დაგაქვსო, რომ ჰკითხავდით, სიყვარულიო, გიპასუხებდათ.

ერთი ნახვით შეჰყვარებია. ღრუბლის მხრებზე დგომას ჰგავდა მათი შეხვედრა. მთის მწვერვალზე გულის ავარდნას, აქანებას, აქოშინებას. თითქოს იყვნენ და არც იყვნენო... უყურებდა ბიჭი და ნაწვიმარი გუბეებივით ემღვრეოდა თვალები. უყურებდა გოგო და ნამაყვლარივით ახმებოდა ბიჭი ზედ პირ-სახეს. იდგენ ჩანაცრილები, ნადუმარები.

– რა შავწყალი გადაგესხათო?

– რა ავქარმა დაგქროლათო?

– რომელმა შეშლილმა ვარსკვლავმა შეგახვედრათო?

– არაო, – იუარეს გოგოს მშობლებმა. უცხო საქმრო გამოუძებნეს, უცხო მიწისა, უცხო ჰაერისა. გადმოიღეს ჭრელი ნარმა, ჩიგორგალი, ზამბაკები-სადაფქარები...

წყალთალია ცრემლებს ღვრიდნენ თურმე ორივე. გადაწყვიტეს, ნიშნობის დღეს უნდა გაპარულიყვნენ.

გათენდა და თვალსეირის საყურებლად დადგა მზეც ცაზე.

მოირთო გოგო ჩალამბარაყვავილებით, ჩალამძივით, ჩალაყვავილით, დაიჭირა აბილილები. მოვიდა საქმრო ღირსაცნობი, ღირსახსენებელი, უცხო. რაღაცნაირად გამოიპარა გოგო სახლიდან, ჩავიდა მდინარესთან დათქმულ ადგილზე და სად არის ბიჭი? დადგა თავთხელთან, ფიქრობს, წყალს გაჰყვეს თუ იმ უცხო საქმროს?! გაიბზარა გოგო, ფხოჭნა მიწა და ბალახი. აილუფხა ცრემლი და სისხლი. ჩიტვაშლებმა თავი დაღუნეს. ადგა და გაყვა შორიდან მოსულ საქმროს შორს, სხვა რა გზა იყო.

გავიდა წლები. ამბობენ, იმ გოგომ მაინც ვერ გაიხარა, მშობიარობას გადაყვაო. გაიგო ეს

ამბავი თუ არა, იქცა ეს ბეჩავ-ტერელაიც ტინად, ქვაგრილად. აღარც გარეთ გამოდიოდა, აღარც ხმას სცემდა არავის. აღარც თავის თავს პატრონობდა, გახდა, ჩამოხმა, ჩამოტიალდა. მისი ჩრჩილისგან შემოჭმული პიჯაკის უბეში რას არ ნახავდით: ხის გამხმარ ფოთოლს, ჭრელ კენჭს, პეპლის გაცრეცილ ფრთას, ძოწისფერი ლარნაკის ნატეხს, ინდაურის ან ბატის გაწკეპილ ბუმბულს, ჩამომტვრეულ ოქროს კბილს და როცა მკვდარი იპოვეს და პირქვედამხობილი გადმოაბრუნეს, ერთი მუჭა მიწაც გადმოიპნა გულის უბიდან. იმ დაკუჭულ ქაღალდზე კი ანდერძად ეწერა: – ადამიანებო, ერთი სურვილი შემისრულეთ და სიკვდილის შემდეგ, ჩემს საფლავზე მოაპნიეთ ეს ერთი მუჭა მიწა, რომელიც იმ გოგოს საფლავიდან წამოვიღე და წლებია, გულით ვატარებო.

მიწასთან ერთად ყველაფერი ჩაატანეს, ხის გამხმარი ფოთოლიცა და ჭრელი კენჭებიც... აი, სიყვარულს კი, ალბათ, თვითონ წაიღებდა თან.

მკერავი ნავნე

ღვთის მზერასავით ედგა მზე თავზე და დაჰნათოდა. მაღალი კორპუსის პირველ სართულზე ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. ფანჯრების წინ თავისი წილი პატარა ეზო ხის ღობით შემოეკრა, ნაცარბუმბულა ბეღურებით აევსო. ფანჯრის რაფა სავსე ჰქონდა ხოლმე ხშირად პურის ნამცეცებით, ხორბლის მარცვლებით, ხელიდან აცლილი დასორსოლავებული ცომით, ქერით ან კოპტონითაც. გამოიხედავდა და მოაპნევდა საკენკს, გაიხედავდა და მოაპნევდა. ჭიკჭიკებდნენ, ღუღუნებდნენ და წივწივებდნენ მერე მისი ფანჯრების წინ მტრედები და ჩიტები. ეგ ჯერ კიდევ რა იყო?

კაბის ზემოდან წინსაფრები ეკეთა სხვადასხვანაირი. ერთ წინსაფარს კოპლებიანი აბრეშუმის დიდი ჯიბე ეკერა, მეორეს – ჩითის, მესამეს – ბამბაზიის... სულ ჭრელ-ჭრელები, მორჩენილი ქსოვილებისგან. მკერავი იყო და დაჭრილ ნაჭრებს არ ყრიდა, მერე იკერავდა ან რთავდა ხან რასა და ხან რას. პატარა გოგოების პლასტმასის თოჯინების ტანსაცმელი ხომ მისი შეკერილი იყო და იყო... მიადგებოდნენ ეზოს მატრაკვეცები თხოვნით და ისიც უკერავდა ხან საბანს, ხან კაბას, ხან თავსაფარს, ხან ნაჭრის ჩანთას, მოსავდა მათ თოჯინებსაც ათასნაირად. რვეულის ყდებსაც კი აწებებდნენ ხოლმე მისი ძვირფასი ხავერდისა თუ ზარბაბის მატერიების დანარჩენებს, ალამაზებდნენ და წერდნენ შიგნით დღიურებს.

გვიან ღამემდე ენთო ხოლმე პატარა ნათურა საკერავი მანქანის გვერდით და მონოტონურად ისმოდა დაგვირისტებისა ან დალამბვის დროს საკერავი მანქანის რახრახი. უკერავდა საპატარძლოებს საბედნიერო კაბებს, ქვრივებს – საჭირისუფლოს, მოსწავლეებს – სასკოლოს, დიასახლისებს – ხალათებს, ავიწროებდა, აფართოებდა, ჩამოშლიდა, ტოტებს შემოჭრიდა-შემოუკეცავდა შარვლებს. მერე ყველა ნაჭერი ნაკუწებად თავთავიანთ ამბავს ტოვებდა, ზოგი – სასიხარულოს, ზოგი – სამწუხაროს. იყო ამ სიხარულ-წუხილშიც ჩვენი მკერავი, თავისი ეზოს ნაცარბუმბულა ბეღურებით სავსე. სულ რიგი ედგა ადამიანებისა და ჩიტების. მაღაზიები ხომ სავსე იყო ქსოვილებითა და ძაფებით, სადაფის ღილებით, მარგალიტის ქინძისთავებით, მაგრამ მასთან პერიოდულად ერთი ქურთი ბაზაზი მოდიოდა ხოლმე. ფართლეულისა და საქსოვ-საკერავი ძაფების მოვაჭრე. ფერად-ფერადი ძაფებითა და ბაწრებით ჰქონდა ხოლმე ჩანთა და კისერი სავსე. აზიზა ერქვა, მაგრამ აზიზაც ისეთივე უცხო სიტყვა იყო ბავშვებისთვის, როგორც ბაზაზი, ამიტომ ზოგი აზიზა ძიას ეძახდა, ზოგი – ბაზაზი ძიას. ისიც იცინოდა და პასუხობდა, თავს არ არიდებდა. წლების წინ ბაზაზის ცოლს თავი ჩამოუხრჩვია, ერთადერთი ბიჭი ჯარიდან სახლში მკვდარი რომ მოუსვენესო. დაასაფლავა ცოლი, ჩაალაგა ფერადი ძაფები და

ბაწრები ჩანთაში, ზოგიც ყელზე შეიბა და დააქვს ასე ნაცნობ მკერავებთან კარდაკარო. რატომ მოიქცა ასე, ვინ იცის, ეგ მარტო თავად აზიზამ იცის. ცოლს საფლავზეც ფერადი ბაწრები შეაბაო, არადა, ქალს ფერადი, მინდვრის ყვავილები ჰყვარებია... მოკლედ, დარდისაგან გალეული მთვარის დანარჩენია ეს ჩვენი ბაზაზი, არც ეს ჩვენი მკერავი უნდა იყოს უდარდელი. ერთხელ ბავშვი ჩავიყვანე, სკოლის ფორმის ქვედაბოლოს შემოსაკეცად და თავზე ძაფი დაადო, ისე ჩაინიშნა და შემოალამბა ზედ. ძაფი რაღად უნდა თავზე-მეთქი, დეიდა ნავნე და ბედი შემოეკერებაო. სიცილი ძლივს შევიკავე, მაგრამ მაინც გავუბედე, ჯერ ბედი რა არის და ისიც სკოლის ფორმაზე შემოკერებული-მეთქი. მასეც ნუ იტყვიო, მწარედ ჩაეცინა. საპატარძლო კაბაზე კისერთან აწყვეტილი ღილი რომ ზედ შემომაკერა ბებიაჩემმა, იმიტომაც დავრჩი ბეღურებისა და ნაჭრების ამარაო.

– ეგ როგორ-მეთქი, და – აეგრეო!

ნავნეს ბებია ჰყოლია მკერავი, საპატარძლო კაბაც ბებიას შინ შეუკერია. ზამთრის პირი იყოო, თოვლს დავასწროთ ქორწილი და თეთრი კაბით შენ იყავი ზამთრისა და თოვლის მახარობელაო. ზამთრის მახარობლობისა არ ვიცი და საპატარძლო კაბით კი ვხარობდიო, ხან რომელი სარკის წინ ვიდექი ხან – რომელი სარკისაო. ქორწილის წინა ღამეს თოვლს დაუსწრია და მოსულა. ისეთი დიდი თოვლი იყო, ჩაიკეტა გზები, ჩაქრა სინათლეები, ხეებზე ტოტების ჩამოტეხის ხმა ისმოდა ალაგო.

– მერე-მეთქი ?

– მერე თოვლი მოვიდა და სასიძო – აღარო. დავრჩით მე, ბებია, დიდი თოვლი და ერთი მუჭა ბეღურები ერთადო.

– აღარც გაგიკითხია, აღარც გაგირკვევია, რა დაემართა იმ კაცს, რატომ არ მოვიდა-მეთქი?

– არაო... არ მოვიდა და მორჩაო! ღილი ზედ არ უნდა შემოეკერებინა ბებიაჩემს და იმიტომო.

– უჰ, კარგი რა, ნავნე დეიდა-მეთქი, კარგი რა! ეგ ხომ ორივემ ვიცით რომ ტყუილია-მეთქი.

– რაც არის ეგ არისო. ამ ორიოდე წლის წინ ერთ ბეღურა გოგოს შევუკერე საპატარძლო კაბა და გავიგე, იმისი შვილი ყოფილაო. აი, იმ საპატარძლო კაბის ნაჭერიო, აი, აზიზას ჭრელი ძაფების ასხმულაო, აი, იმ ჭირისუფლის ძაძების ნაკუწიო, აი, ჩვენი მეზობლის ბიჭის შემოჭრილი შარვლის ტოტი, ავარიით რომ დაიღუპაო, აი, ამის ესაო, აი, იმის ისაო.... ნაჭრები, ნაჭრები, ნაჭრები, ნაირნაირები თეთრები, წითლები, მწვანეები, შავები...

გაიტანა ეზოში და დიდი ცეცხლი ააბურბურა.

– აბა, ეს ფერადი წინსაფრები-მეთქი და არაო, ეგ საბედნიერო ამბებიდან შემორჩენილი ნაჭრებია, მაგითა ვკერავ წინსაფრებს, დიდ ჯიბეებს ვაკერებ და შიგ ვაწყობ კარგ ამბებს გულის საოხადაო.

ნეტა, ნატვრის ხეზე როგორი ამბების ნარჩენები ჰკიდია ხოლმე ფერად-ფერად ნაჭრებად, სურვილებს რომ ასრულებს, ან ვერ ასრულებს, გახედავ და ერთი შეხედვით ლამაზია, გახედავ და დაძონძილი ხე რაღაცნაირად შეგზარავს. მკერავი ნავნესავით ალბათ არ არჩევენ სალხინო და სამწუხარო ამბების მონარჩენებს და იმიტომ.

ჯინჯრისდედა

დაჩეკავს ხოლმე სევდის ბარტყებს ზამთარი. მერე მიტოვებულ, გამოკეტილ სახლს ემსგავსება ადამიანის სული, სევდის ქსელებით გაბმულ-გახლართულს. განა კი წელიწადის სხვა დროს არ გებღოტება ვაება კაცს, მაგრამ ზამთრის დარდი მაინც სხვანაირად გიჟამკარებს ხოლმე, გირევს ფიქრს, გუნებას.

შებინდბუნდებულზე შეწვა ლოგინში. ჩააქრო ნათურა, მხოლოდ შეშის ღუმელიდან გამომავალი ცეცხლის ნათება ასხივადებდა ოთახს. გულ-

ზე დაიდო გარდაცვლილი შვილის სურათი და როდის-როდის ჩაიძინა. იმ ღამეს მკვდარი შვილი დაესიზმრა: „– მომასვენე, დედი, წელამდე ცრემლში ვდგავარო!...“ გამთენიისას წამოდგა, შვილის ფოტოსურათი ქმრის ფოტოსურათის გვერდით დაკიდა კედელზე, მარცხენა კუთხეში, გულის მხარეს ორთავეს აკოცა და თავისივე ნაქარგი ხელმანდილი გადააფარა ჩარჩოებს ზემოდან, არ დაიმტვეროსო. თავი შეიკავა, როგორმე ცრემლი არ ჩამომიგორდეს კიდევო და ერთი დაიღონა: – ეეჰ, მე საპირმიწეო!

იყო ძვალზეტყავგადაკრული, დაჭმუჭნული, მჩატე, მუხლებაკანკალებული და ჯანგალეული, სახეჩამოქნილი, სანთელივით დედაკაცი. წელში მოხრილი, შეყუჟული ძაძა-კაბაში. მოხუცთან ერთად დოლაბივით გაცვეთილიყო მისი დროც.

იმ წელს უფრო გრძელი ეჩვენებოდა თითქოს ზამთარი. თვალწყლიანი გაჰყურებდა ფანჯრიდან ფარო-ფარო, ფარტენა ფანტელებს, როგორ ეცმებოდნენ სადედოფლო კაბად მის ეზო-კარს, ბოსლის თავს, ბილიკს... გაახსენდა თავისი პატარძლობა, თავისი ქორწილიც, თავისი თანხმობაც. გვიანი შემოდგომის ერთ დღეს გზის პირას შეხვდა თავის საფიცარს. გაუბედავად დაუქნია თავი, გამოგყვებიო. ქალიც მტკნარი იყო იმ დღით და ცაც. მაშინაც ფარო-ფარო, ფარტენა ფანტელები ათოვდათ თავზე. კაცმა რომ ყვავილი ვეღარსად მოიხელთა, გზის პირებზე დათოვლილი, ბღუჯა, მწიფეყვავილიანი ჭინჭრისდედები გაუწოდა საცოლეს, ქალმა სიყვარულით შეხედა და გამოართვა. ფრთხილად თეთრი ყვავილები მოაცალა და თმაში ჩაიბნია, მწვანეფოთლებიანი ღეროები ხელში დაიკავა. შინ მისულებს დიდი ლხინი დახვდათ, ეს იყო კაცის ნიშნობაცა და ქორწილიც. ეს ჭინჭრისდედა იყო ქალის ყვავილიცა და თეთრი კაბაც. იმის შემდეგ გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე თვალმახარებად ექცნენ ქალს ჭინჭრისდედები. გავიდოდა ეზოს ბოლოში, ან ბაღჩის პირას დაკრეფდა და წყლიან ჭიქაში ჩაიწყობდა ხოლმე სალხინებლად. წლების შემდეგ, შვილისა და ქმრის საფლავის ღობის ძირებშიც ამობიბინდნენ, უკვე მოხუცი დედაკაცი ხელს არ აკარებდა, ვერ იმეტებდა საგლეჯად. ავიდოდა სასაფლაოზე მძიმე-მძიმედ, დაჰყურებდა ქმრისა და შვილის საფლავებსა და თან სწყინდა, თან რაღაცა უხაროდა მოხუც ჭინჭრისდედას.

ლაღი ფრუნძე

განწყობის ლექსი

ზოგჯერ ნათელი მიდგას ტაროსი,
ზოგჯერ ცა ისე მოიღრუბლება,
დამეკარგება სადღაც წყაროს ხმა,
მისი მოსმენის არ მაქვს უფლება...

ზოგჯერ ყოჩი ვარ, ფარას ვლიდერობ
და არ ვიკარებ სვავებს სათოფედ,
სადა ხარ, ჩემო იუპიტერო,
ჩემი ოცნების დიდო მნათობო!..

დედას

შემოდგომაა და უკვე ცივა,
ჩამქრალ ღუმელთან ტირიხარ უხმოდ,
დედა, შენ ახლა ცრემლები გცვივა,
ცაში გაფრენილ ანგელოზს უხმობ...

დედა, შენ ახლა მუხლები გტკივა,
მოხუც მამასაც მუხლი აწუხებს,
გღეჭავს დრო-ჟამი, ვით ხარი თივას
და წლები მხრებზე გიჭერს მარწუხებს...

დე, მაგ თვალებში მუდამ გქონდეს მზე,
დე, ეგ დღეები, დარდებს გიჩენდნენ,
მე მაპატიე, თუკი ოდესმე,
გაგაბრაზე და არ დაგიჯერე!

ვერ გამოგყევით ცაში...

ლანას

შენ დაასრულე
ამქვეყნიური ტანჯვა,
ჩვენ დავმარცხდით და...
ვერ გამოგყევით ცაში,
ახლა ხარ მშვიდი,
არ გესინჯება მაჯა,
უფალს მიყვები
მაყვალთვალება რაშით...

სისხლს ვერ იხილავთ,
რომ დამიღიროთ დანა,
მწარე ტკივილი
ზოგჯერ მიბნელებს ცნობას,
„დედა-დეიდა“
გემშვიდობება ლანა
და ცრელმდინარე
გილოცავს კარგო, ბზობას!..

ზღვისპირული

ჩვენი გენის და ჯიშის სიურჩე,
არის ამ ცის და ამ ზღვის სილურჯე...

გაილურსა გონიო,
გაწვიმდება, მგონიო;
წვიმავ, იქნებ, ტაოსკენ
სიტყვა გაიყოლიო!..
სიტყვა დიდაჭარული,
ფიქალი და ბროლიო,
ბიბინებდეს კლარჯეთში,
ჯეჯილი და მოლიო...

მზე რომ ზღვაში ჩაყვინთავს,
მთებს გადასდის ბოლიო;
სხვებს დარჩებათ?! ეგ აზრი,
მტერო, არ იქონიო!..
ჩაინისლა გონიო,
გაიდარებს, მგონიო...

ჩვენი გენის და ჯიშის სიურჩე,
არის ამ ცის და ამ ზღვის სილურჯე...

ლეჩხუმის მონატრება

დგას ლეჩხუმელი გლეხკაცი,
ბორცვზე შეკიდულ ბაღჩაში,
უბოძებია მზეს რაც კი,
ინახავს გულის თახჩაში,
არ გააბრაზოთ თუ არა,
თავსაც დაიხრჩობს რაჩხაში.

იქით გელავერს შემსკდარი,
მღვრიე ცხენისწყლის აბზაცი,
ისე შეჭრილა, შემცბარა
დიდი მთა, ერთობ ზარმაცი
ზედ სამი ციხე შემსხდარა,
ცას დაუწყია ბარბაცი...

აქეთ, რიონის ხედები,
რა სერების და რა ჭალის...
საითაც გაიხედები,
გიპყრობს სიტურფე ლაჯანის,
ორბელ-ალპანის ხედები,
რა ღონისა და რა ჯანის...

ახანძრებულა ატმები,
ეალერსება ქარს შქერი...
დაგოგმანებენ კაკბები,
ცხრაჯერ ეცვლება ცას ფერი...
აქ ძირმწარეც კი დატკბება,
ისე ტკბილია ნასპერი!..

ლამაზი არის ზაფხულში,
ვარდ-ყვავილებით ნაფერი,
ლამაზი არის ქარბუქში,
თოვლის ფიფქებით ნამქერი,
ვით პატარძალი კარკუჩში,
ლამაზი არის ცაგერი...

...არ გააბრაზოთ, თუ არა,
თავსაც დაიხრჩობს რაჩხაში...

მოლოდინი

საოცარია ზეცა ოკრიბის,
როცა დაგნათის თავზე გელათი,
მოლაღურებმა ლეღვი მოკრიფეს,
მე, შენ გელოდი!

როგორ მშვიდია ძველი ტაძარი,
შემოქსოვილი მწვანე მდელოთი,
გული დაიწვა, დარჩა ნაცარი,
მე, შენ გელოდი!

ამოვუყვები ბორცვებს ქვიანებს,
იყო დრო, როცა ვეღარ ვმღეროდი,
რა მოხდა, ცოტა დაიგვიანე,
მე, შენ გელოდი!

ჩემი ლოცვა

ხელში გიპყრია სამყარო სულმთლად,
შენი ნებაა შერხევა ბეწვის,
შენით მეძლევა, უფალო, სუნთქვა, –
რაც მიხარია, ანდა რაც მეწვის...

დღემდე ვიარე მხოლოდ ოცნებით,
როგორ მოვიდე, მარქვი, შენამდე,
უფალო, შენი ფეხის მკოცნელი,
ვიქნები ბოლო ამოქშენამდე!..

შენ გამაჩინე და გამიჩინე:
მზე, ვარსკვლავები, მიწა და წყალი,
უფალო, ლანა გადამირჩინე,
შენი მხევალი, პატარა ქალი!..

შენ უწყი, ვინ, სად დაევანება,
გულნამცეცა თუ გმირი უფარო,
არ ვიცი, როგორ დამენანება,
რომ ვერ მოგართვა, ლოცვა, უფალო!

ხელში გიპყრია სამყარო სულ მთლად,
შენი ნებაა შერხევა ბეწვის,
შენით მეძლევა, უფალო, სუნთქვა, –
რაც მიხარია, ანდა რაც მეწვის...

მრავალშამიერ

დათო ბუაძეს

მე ვისურვებდი:
შენნაირ ძმას,
კარგო ქართველო,

ჩვენი სამშობლოს
ჭირ-ვარამის
ამწონ-დამთვლელო!

შენ კი გისურვებ:
სიმხნევეს და
კვლავ გამძლეობას,

სიტყვის ოსტატო,
სასიტყვეთში,
სიტყვის მზეობას!..

შენს ძმებს, პოეტებს,
მე ვულოცავ,
შენს დაბადებას,

ხამს, არასოდეს
არ იკადრებ
ავის კადრებას.

გლოცავ, გეხვევი,
ძმაო ჩემო,
კაცო ნათელო,

შენისთანებმა
მოგვიტანეს
ეს საქართველო!..

სვეტიცხოვლობა

ყოველივე მიწიერი,
წუთისოფლის ცვეთაშია,
ჩემი სული – ღვთისმიერი,
ჩემი გული მცხეთაშია...

აქ ტაძარი – მზის იერით,
აქ საუფლო ზედაშეა,
ჩემი სული – ღვთისმიერი,
ჩემი გული მცხეთაშია...



ვაჟა სურმანიძე

ცხუმი

სახლში გამომყვა მუზა ყანიდან,
აფხაზეთის ხმამ – სოხუმს მოუხმოს.
რითმს ვთეს და ლექს ვმკი მურზაყანიდან,
ჩემთვის ცხუმო და სხვისთვის სოხუმო.

კოპერფილდივით ვატარებ ფოკუსს,
ბოლო ფიასკოც არ ჰგავს უსახოს.
მსურს, ლელობურთი ენგურმა ფსოუს,
ლომური დარტყმით გარდაუსახო.

ლექსი გგონია, რუსო, ხუმრობა,
მთვარეც პირს აღებს მოკუპირებულს.
არ ვეგუებით უსოხუმობას,
მას არ დავტოვებთ ოკუპირებულს.

ცხარედ ატირდა, ცა სხაპასხუპით,
ჩუტყვავილობით მომსუსხე უცხომ.
არც ერთ კითხვაზე არ მაქვს პასუხი,
ახალ სოხუმზე მოხუცო ცხუმო.

შენი პასუხი

ვარსკვლავი იწვა მთვარის აკვანში,
მზე ფეხს იდგამდა ღრუბლის ნიშის ქვეშ.
შენი პასუხი, ვით კუ ბაკანში –
– თავს აფარებდა კითხვის ნიშნის ქვეშ.

რომ გავიხლართე სხივების ქსელში,
მხარი ამიბი – თუ შემომხარი.

ერთი ლექსიდან მეორე ლექსში,
მე გადავდივარ, სულ შენი ხათრით.

მღუპავს აღაპის დღეს ღაპაღუპი,
კრთის წამწამები მწველ სხაპასხუპით.
ახალი მთვარე აღებს „აღუ“ პირს,
ბოლოს მომიღებს, მე სხვა პასუხი.

წეროს ბაბანიკს ბანს სცემ ბანაკში?!
გედისთავიან ერთ კითხვას მიქშევს,
შენი პასუხი, ვით კუ ბაკანში –
– თავს რომ აფარებს, კითხვის ნიშნის ქვეშ.

შემოდგომის ფრაგმენტი

ჩაწოლილი ჩრდილი უჩანს ოჩან ჩალებს,
ხან ხეების სარბენიტო შენკენ ითევს.
ოჩოკოჩი ოჩოფეხით მოჩანჩალებს,
მანეკენი საფრთხეს უფრთხობს ენკენისთვეს.

ხორბლისფერი ხელით კარის შემღებელი,
ბარაქა ვარ, ნალიის და ჩემ ბეღელის.
ქარი როკავს, როკავს სუროს ტალავარი
და მტევნებით მოტორტმანე ტალავერი.

აგუნას სურს საწნახელზე შემოდგომა,
გოგოს ხელით გოგრა სახლში შემოგორდა.
ჩემს ნაბიჯებს ეკიდება ღვინო ისევ,
ტრფობით შეცდნენ ონისე და დიონისე.

დაღლილ ულაყს ერთი სათლი შევუვსე წყლით,
ურმით დადის, ხანაც ეტლით შეუწყვეტლივ.
ჩაწოლილი ჩერო უჩანს ოჩან ჩალებს,
ჩემი ჩრდილი ოჩოფეხით მოჩანჩალებს.

მარიტა

მოწყდი ნატვრის ხეს ბოლო ამარტი,
ნატვრისთვალივით გკარგავ, მარიტა.
ტრაგედიული სოლო ამ არტის
ჩემთან დუეტს ქმნის, კარგად მატირა.

ეკლის გვირგვინმა მაჭეშმარიტა,
მჩხვლეტს ნემსებივით მიტრა გედიას.
საფლავის მიწას მაჭმევ, მარიტა,
რაც ციციკორემ მიტრაგედია.

სერენადები

ცისფრად ციმციმებს სირენა ბედის,
სასწრაფოდ მიჰყავს მას სიყვარული.
და მოსეირნე სერენადებით,
მას გაყვა გული, მას მიყვა რული.

მე სიყვარულის პოლიგლოტი ვარ,
რადგან არ გესმის სერ ენა დების.
ღამის ცხოვრებას ლაიტმოტივად,
გასდევს დღეები სერენადების.

რადგან სიცოცხლეს მიცოტავებენ,
ვიბევრებ ნამდვილ სერენადებით.
ლურჯ ანგელოსებს მოიტაცებენ,
ნაბდების ნადი სერზე ნადები.

წრედი

ახალი ლექსი არ გასვენებდა,
ღამით კი მუზით შეკლული წერდი.
წინაღობები არ გაჩვენებდა,
განგანცალკევეს შეკრული წრედი.

ცაზე ფარა და არვე გეშლება
და თეთრ ანგელოსს ჰგავდა ბარდნილი.
პოეტს კი რამე არ გეშველება,
რადგან ლექსში ხარ გადავარდნილი.

ხან ჯერ მკვეხარობს უკმეხი მეხი,
იკვრება ცაზე გულელვის წრედი.
ხან ქუხილის ხმას, უკმენდდი ხემით
და წრედის გარეთ, სულ წერდი, წერდი...



ᲙᲣᲠᲢ ᲕᲝᲜᲔ�გᲣᲢᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲒᲕᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲘᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲠᲝ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ...

ეს საოცარი სიტყვა მწერალმა კურტ ვონეგუტმა წარმოთქვა მასაჩუსეტის უნივერსიტეტის 1995 წლის კურსდამთავრებულთათვის. დროდადრო ამ სტრიქონების გადაკითხვა ღირს, რათა საკუთარ თავს შევახსენოთ სიყვარული, ჩვენ ირგვლივ არსებული სილამაზე და ღირებულებები, რომლებიც არასდროს იცვლება.

მთარგმნელი

1. მე რომ მომავალზე ერთი რჩევის მოცემა შემეძლოს, ის აუცილებლად მზის დამცავ საცხზე იქნებოდა. მისი გამოყენების მნიშვნელობა ჩემი რჩევებისგან განსხვავებით მეცნიერულად არის დამტკიცებული.

2. შეიგრძენით და ისიამოვნეთ ახალგაზრდობის ძალით და სილამაზით – სანამ საკუთარი სიცოცხლით უკმაყოფილო ბრძანდებით, ის გადის. დამერწმუნეთ, როცა 20 წლის შემდეგ დახედავთ საკუთარ ფოტოს, მიხვდებით, რასაც ახლა ვერ აღიქვამთ, თუ რამდენი შესაძლებლობა იყო გადაშლილი თქვენ წინ; რა ზღაპრულად გამოიყურებოდით და სულაც არ იწონიდით იმდენს, რამდენიც გეგონათ.

3. ნუ ღელავთ მომავალზე – თუ მაინცდამაინც, კეთილი, იღელვეთ, მაგრამ იცოდეთ, რომ ეს შფოთვა ისეთივე ეფექტურია, ცდილობდეთ საღეჭი რეზინის ღეჭვით ალგებრის უტოლობების ამოხსნას. უსიამოვნება ისე მოულოდნელად დაგატყდებათ თავს, მაგალითად, ღამის 4 საათზე, რომელიღაც ჩვეულებრივ სამშაბათს, რომ თქვენს მოუსვენარ ჭკუას არც კი წარმოუდგენია.

4. დღეში ერთხელ ჩაიდინეთ ისეთი რამ, რისიც გეშინიათ.

5. იმღერეთ.

6. გაუფრთხილდით სხვის გულებს.

7. ნუ შეურიგდებით მათ, ვინც გულგრილია თქვენი ანთებული გულებისადმი.

8. არ დაგავიწყდეთ კბილების გამოხეხვა.

9. შური დაგაკარგვინებთ დროს – ხან წინ ხართ, ხან უკან, რბოლა გრძელია. სიმართლე კი ის არის, რომ ყოველთვის მხოლოდ საკუთარ თავს ეჯიბრებით.

10. დაიმახსოვრეთ, კომპლიმენტები – რომლებსაც გეუბნებიან. დაივიწყეთ შეურაცხყოფა! თუ შეძელით, მეც მასწავლეთ, როგორ?

11. შეინახეთ ძველი სასიყვარულო წერილები. გადაყარეთ ძველი საბანკო ამონაწერები.

12. დროდადრო ივარჯიშეთ.

13. მოიშორეთ დანაშაულის გრძნობა – თუ არ იცით, რა უყოთ საკუთარ სიცოცხლეს. ყველაზე ჭკვიან ადამიანებს, რომლებსაც მე ვიცნობ, 22 წლის ასაკში წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რა მოეხერხებინათ მისთვის. ყველაზე რჩეულმა და საინტერესო ჩემმა 40 წლის მეგობრებმა დღემდე არ იციან, როგორ გაიცოცხლონ ის.

14. მიიღეთ კალცი. მოუფრთხილდით მუხლებს – მუხლებს ახასიათებს მწყობრიდან გამოსვლა.

15. შეიძლება, შეუღლდეთ, შეიძლება – არა; შეიძლება, გეყოლოთ შვილები; შეიძლება – არა; შეიძლება 40 წლის ასაკში განქორწინდეთ. შეიძლება მოხდეს ისე რომ, თქვენი ქორწინების სამოცდაათი წლის თავზე იცეკვოთ „კვატიების“ ცეკვა. რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ზედმეტად ნუ შეიქებთ თავს, მაგრამ ნუ განკიცხავთ კიდეც. თქვენი არჩევანი, ისევე როგორც ჩვენი, ყველასი, სანახევროდ შემთხვევითობის დამსახურებაა.

16. ისიამოვნეთ საკუთარი სხეულით – გამოიყენეთ ის ისე, როგორც შეგიძლიათ. ნუ შეგაშინებთ სხვა ადამიანის აზრი. თქვენი სხეული ყველაზე მშვენიერი ინსტრუმენტია, რომელიც თქვენს მუდმივ მფლობელობაშია.

17. იცეკვეთ – მაშინაც კი, როცა ამის შესაძლებლობა არ გაქვთ, თუნდაც საკუთარ მისაღებ ოთახში.

18. გეთაყვა, ნუ წაიკითხავთ ჟურნალებს ლამაზი სიცოცხლის შესახებ, პრიალა ფურცლები ცუდი განწყობის გარდა არაფერს მოგიტანთ.

19. იყავით ძმებისა და დების მადლიერი – ისინი ყველაზე მჭიდრო კავშირია თქვენს წარსულთან და სავარაუდოდ, იქნებიან თქვენ გვერდით მომავალშიც.

20. გაიგეთ, რომ მეგობრები მოდიან და მიდიან, მაგრამ გაუფრთხილდით ძვირფასებს.

21. გამოიჩინეთ ძალისხმევა, რათა გადალახოთ გეოგრაფიული და ცხოვრებისეული მანძილები. რაც უფრო მოგემატებათ წლები, მით უფრო დაგჭირდებათ ადამიანები, რომლებსაც ახალგაზრდობაში იცნობდით.

22. გაითავისეთ რამდენიმე ჭეშმარიტება. ფასები მუდამ გაიზრდება. პოლიტიკოსები სულ უღალატებენ ცოლებს. თქვენ მოგემატებათ წლები. როცა ხნიერი იქნებით, თქვენც იფანტაზიორებთ, რომ ახალგაზრდობაში ფასები მისაღები იყო, პოლიტიკოსები – ღირსეულნი და შვილები პატივს სცემდნენ მშობლებს.

23. ჰო, რა თქმა უნდა, პატივისცემით მოეპყარით მშობლებს. თქვენ არ იცით, როდის წავლენ ისინი, თან სამუდამოდ.

24. ნუ გექნებათ იმედი, რომ როდესმე ვინმე გარჩენთ. შეიძლება, საინვესტიციო ფონდს ფლობდეთ, შესაძლოა, მდიდარი მეუღლე გყავდეთ, მაგრამ თქვენ არ იცით, როდის მიგატოვებენ ისინი.

25 თმებს ნუ ჩაუტარებთ ბევრ ექსპერიმენტს, რადგან როცა 40 წლის გახდებით, თმა 80 წლის ადამიანის გექნებათ.

26. ჩვენ ყველა ოდესმე წავალთ – ღირსეულად უნდა გავძლოთ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გვწამდეს – გვწამდეს რამის მაინც. ყველაზე დიდი სირთულე ზუსტად ამაშია, რადგან, მგონი, არც არაფერი არსებობს ამ ქვეყანაზე, რისიც შეიძლება წრფელად, ბოლომდე გვჯეროდეს და გვწამდეს.

აი, ეს არის ჩემი რჩევა. ყოველთვის მოთმინებით და ფრთხილად მოექეცით სხვის რჩევებს - რჩევა ნოსტალგიის ფორმაა, ის ერთ-ერთი ხერხია, წარსულის არეული მაკულატურიდან რაღაცეების პოვნის, წარსულის უფრო ძვირფასად წარმოჩენის და მასზე ახალი ჭრელი ფერების დადების. მაგრამ მზის დამცავი საცხი, თქვენს კანს დამწვრობისგან რომ იცავს, ეს ნამდვილად დამტკიცებულია, ასე რომ, თამამად წაითხუპნეთ ხოლმე.

მთარგმნელი **გურანდა ნიჟარაძე**



თამაზ ჩხენკელი

გუთნით გავლებული ურნატი

(გიორგი ლეონიძე)

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ბათუმის სასტუმროსთან შემთხვევით შევხვდი გიორგი ლეონიძეს (ჩემს დირექტორს!). ახალი ლურჯი კოსტიუმი ეცვა, სახეზე მზე ჰქონდა მოკიდებული და მის ხალისიან გამომეტყველებას მეტ ენერგიულობას ანიჭებდა. – რა მშვენივრად გამოიყურებით, ბატონო გიორგი! – ამის თქმაღა მოვახერხე და შევჩერდი. – მართლა? – ჩემდა მოულოდნელად გაეხარდა გიორგი ლეონიძეს, – თფუ, თფუ, არ დავითარსოო, – და მერე ინსტიტუტის ამბები გამომკითხა. გამიკვირდა, ასე რომ ეამა ჩემი სიტყვა.

რამდენიმე დღის შემდეგ გია მარგველაშვილი და მე მიგვიპატიჟა მახინჯაურის ტყეში, სადაც აჭარელ ლეონიძეებს მის პატივსაცემად გაეშალათ სუფრა (გ. ლეონიძე ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ლეონიძეთა გვარი წარმოშობით სამხრეთი საქართველოდან არის). სხვებთან ერთად მეც ვადღეგრძელე ბატონი გიორგი: დღეს რომ ხართ, ასე გამყოფოთ ღმერთმა ათი, ოცი, ოცდაათი წელი-მეთქი. გიორგი ლეონიძემ მხიარულად დაიბუხუნა: მეტს ვერ იმეტებ ჩემთვისო, და მერე მთელი სუფრა ამ რეფრენით წაიყვანა: – ამ კაცს ენანება ჩემთვის მეტი სიცოცხლეო. ამის თქმაზე სუფრამ აიწყვიტა: ას წელს სიცოცხლისას ხომ უსურვებდნენ და უსურვებდნენ, მერე ორასამდე ავიდნენ (მე, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული შევყურებდი ამ სურათს), ბოლოს, ერთმა ლეონიძეთაგანმა სამასი წლის სიცოცხლეც კი უსურვა, რაც ჩემთვის იმდენად გროტესკულად ჟღერდა, რომ გავიფიქრე: ახლა კი გული მოუვა-მეთქი. არც გაიფიქროთ! გიორგი ლეონიძე დიდად კმაყოფილი ჩანდა ასეთი რიცხვული პროგრესით...

გიორგი ლეონიძეს სიცოცხლე უყვარდა რაღაცნაირი „ფანატიკური სიხარბით“, თუ შეიძლება ასე ითქვას, რელიგიური ექსტაზურობით და მის ლექსებში ეს ვიტალური ძალმოსილება ზოგჯერ მართლაც იმოსავდა მსოფლმხედველობრივ განზომილებას. მის მსოფლაღქმაში „სიცოცხლე“ განიცდება, როგორც სომატური სისავსე და დაუშრეტელი ხვავრიელობა: „ჩემს ლექსს თვითეულს ეწურება ცხრა ლიტრი ერბო“, ან „კახეთის მსუქან თეძოების ვწოვე მტევნები“. ეს ხელშესახები პოხიერება გ. ლეონიძის ადრინდელ პოეზიაში ადამური პირველყოფილებით და ერთგვარი „გვაროვნული“ არქაულობით ცნაურდება. ასეთსავე მიწიერებიდან იღებს სათავეს მისი შემდგომი ხანის უბრწყინვალესი ლირიკა...

იმავე წელს, ბათუმის სასტუმროსთან ტაქსიდან თვალი მოვკარი მანქანის მაძებარ გიორგი ლეონიძეს. მანქანა დავუთმე. ბატონმა გიორგიმ მხიარულად შემომთავაზა – ბაზარში წამოდიო. ბაზარი არ მიყვარს და გაკვირვებულმა მივუგე, რა მინდა-მეთქი ბაზარში! მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ბატონ გიორგისთან ერთად მაინც აღმოვჩნდი ბაზარში: ერთად წაგვიყვანა იქ ფრიდონ ხალვაში, გია მარგველაშვილი, სარგის ცაიშვილი და მე. სიამოვნებით დაიარა დახლები, ერთი დიდი თევზი იყიდა და შემდეგ ზღვისპირა რესტორანში მიგვიწვია.

რესტორნის აივანზე ვისხედით.

ნელი ზღვაური ბერავდა ღამეული უსასრულობიდან.

ზღვის სიკეთეზე ვსაუბრობდით. მაგრამ გიორგი ლეონიძისათვის „ჩვეულებრივი“, „სასარგებლო“, „ეს ზღვა“ არ არსებობდა. მისთვის არსებობდა ის ზღვა, რომელიც საბამ იხილა და განიცადა (უჩვეულო გატაცებით ილაპარაკა ამაზე). იგი შორიდან –წინაპართა თვალით უცქეროდა ჩვენგან სულ მცირე მანძილით დაშორებულ ზღვას. და მე ვიფიქრე, რომ ყველაფერი მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც ჩვენ განვიცდით მას. საბას ზღვა გიორგი ლეონიძისათვის უფრო რეალური იყო, ვიდრე ის ზღვა, რომელიც აქვე ჩანდა. – ზღვის იოდი აღწევს აქამდე? – მოულოდნელად იკითხა ბატონმა გიორგიმ. – რა თქმა უნდა, – ღიმილით ვუპასუხეთ. და მაშინ მან ღრმად შეისუნთქა „ზღვის ჰაერი“...

აქვე, ამავე სუფრაზე, ჩემთვის ნათელი გახდა გიორგი ლეონიძის ხასიათის კიდევ ერთი თვისება. ბატონი გიორგი მეტისმეტი პირდაპირობით წაეხუმრა გია მარგველაშვილს ერთი მისთვის დიდად საყვარელი რუსი პოეტის გამო, რამაც ამ უკანასკნელის ფიცხი რეაქცია გამოიწვია. გია აფეთქდა, და ეს აფეთქება დაზღვეული არ იყო ლეონიძის მიმართ საკმაოდ თამამი სიტყვისგებისგან. სუფრა დაიძაბა. გია „დაუნდობლად მუსრავდა“ მოწინააღმდეგეს. „გასცხებს“, ვფიქრობდი, „არა, ნამდვილად გასცხებს“, და სწორედ მაშინ, როცა გავიფიქრე: „მორჩა, ამას კი ვეღარ მოითმენს-მეთქი”, – ბატონმა გიორგიმ ძმურად გადაჰხვია ხელი გიას და თბილი ღიმილით უთხრა: კარგი, შევრიგდეთო. ეს იყო გულით უხინჯო კაცის ბუნებრივი რეაქცია. ამ დიდ პოეტს ბავშვივით აუმღვრელი, კრიალა გული ჰქონდა.

ერთხელ, სიჭაბუკეში, მეც შევბედე. ინსტიტუტის დერეფანში ბატონი გიორგი გამოჩნდა. რამდენიმე კაცი ვიდექით. დირექტორი რიგრიგობით ართმევდა ხელს თანამშრომლებს. მე ბოლოში ვიდექი და შევამჩნიე, რომ ბატონი გიორგი ხელს კი არ „ართმევდა“ მათ, ეპისკოპოსივით უწვდიდა დამხვდურებს, ე. ი. ხელის მოჭერით კი არ ართმევდა ხელს, არამედ მომსალმებელს ხელს „პასიურად“ უდებდა ხელში. ჩემმა რიგმა რომ მოაღწია, მეც, ასევე, „პასიურად“ ჩავუდე ხელი დირექტორის გამოწვდილ ხელს. გიორგი ლეონიძემ ერთი კი შემხედა ქორულად: ამ კაცს ჩემი არ ეშინიაო, თქვა და კაბინეტში შევიდა. რა თქმა უნდა, იმის აღნიშვნა, რომ ჩემს „,თავგასულობას“ არავითარი „რეპრესიები“ არ მოჰყოლია, საჭიროც არ არის. არ შეიძლება დიდ კაცს გულნამცეცას ღვარძლიანი გული ჰქონდეს. დაუჯერებელია, ნიჭით ცხებულ კაცს ჟანგი უჭამდეს გულს.

ხუმრობაც უყვარდა. ხუმრობით, ინსტიტუტში ყოფნის პირველ წლებში, ტორეადორს მეძახდა: წითელი კუბოკრული პერანგი მეცვა და, ალბათ, ამიტომ. იტყოდა: ტორეადორს დამიძახეთ, ტორეადორი შემოვიდეს ჩემთანო. როცა ჩემი წიგნი მივართვი წარწერით, სადაც ესეც ეწერა: „ჩვენს წინამდგომს“ (იგულისხმებოდა: ინსტიტუტის მეთაურს), წარწერას დახედა და მითხრა: წინ – ამდგომს? ე. ი. მე თქვენი წინააღმდეგი ვარ? – და ჩაიღიმა.

„უცნაურიც“ იყო. ერთხელ „თანმხლები პირებით“ ჩვენს განყოფილებაში შემოვიდა, თავისთან მიმიხმო და მკაცრად მითხრა: არ დადიხარ, ეგრე აღარ შეიძლება, დაწერე განცხადება, უნდა გაგათავისუფლო. შენ და გურამ ასათიანმა უფსკრულის პირას მიიყვანეთ ინსტიტუტიო. ზუსტად ასე თქვა – „უფსკრულის პირასო“, კუ-

შტად მივუგე, როდის მოგართვათ განცხადება-მეთქი, მაგრამ „დირექტორი“ აღარ მისმენდა, ახლა სხვებს „აწიოკებდა“, როგორც შემდეგ შევიტყვე, ამგვარივე მოჩვენებითი პირგამეხებით. მეორე დღეს თავის დროზე მივედი ინსტიტუტში. კანცელარიაში დირექტორს მოვკარი თვალი და სწრაფად ჩავიარე კართან, მაგრამ შემნიშნა და ხმამაღლა დამიძახა, აქ მოდიო. მივედი. მაშ, დადიხარ? – დავდივარ, ბატონო გიორგი, ეგ არი, ზოგჯერ მაგვიანდება-მეთქი. და უცებ, სრულიად მოულოდნელად, სულ სხვა ტონით, შინაურული ხმისდადაბლებით მითხრა: რა გინდა მერე, რომ დადიხარ, დაჯექი სახლში და იმუშავეო...

„თანმხლებ პირებთან“ მდგარმა, ერთხელ, სასაფლაოზე (არ უკადრისობდა გამოსათხოვარი სიტყვის თქმას უბრალო მოკვდავისათვის) ხელით მანიშნა, აქ მოდიო. როცა მივედი, ახლოს მოიწიო, მანიშნა ისევ. თავი გადმოხარა და პირზეხელაფარებულმა საკმაოდ ხმამაღლა „მიჩურჩულა“: **გშპიონობენ!..** სიცილი ძლივს შევიკავე, რადგან „თანმხლებ პირებს“ არ შეიძლებოდა გამოპარვოდათ ეს, და, როგორც ჩანს, სწორედ მათ გასაგონად იყო თქმული მაინცდამაინც ეს სიტყვა. რას გულისხმობდა „,შპიონობაში“? ალბათ, იმას, რომ ზედმეტი რიდის გარეშე გამოვთქვამდი ჩემს შეხედულებას მის პოეზიაზე და სულ არ ვითვალისწინებდი იმას, რომ ჩვენი დირექტორი იყო. დაკრძალვის შემდეგ რესტორანში შევიკრიბეთ ათიოდე კაცი (ჩემი წამოყვანაც ინება). რა თქმა უნდა, „თანმხლები პირებიც“ აქ იყვნენ. მიცვალებულს ჭიქა წავუქციეთ. შეზარხოშების კვალობაზე ლექსებიცა თქვეს. ვიფიქრე: კაცმა არ იცის, რას ეუბნებიან ჩემზე, როგორ მისხვაფერებენ სიტყვას, იქნებ ისიც ჰგონია – მისი ლექსი არ ვიცი ზეპირად-მეთქი, და „ყივჩაღის პაემანი“ ვთქვი. „ყორღანებიდან გნოლი აფრინდა“ „გაფრინდა!“ – უმალ შემისწორა. გულით წავიკითხე და ეამა, რაც იქიდან დავასკვენი, რომ როცა რაღაც საკითხზე (სამწუხაროდ, ახლა აღარ მახსოვს – რაზე) ლაპარაკობდა, მტკიცედ მოვუჭერი: ბატონო გიორგი, ეგრე არ არის-მეთქი. მაშ, როგორ არისო, მშვიდად და სავსებით სერიოზულად მკითხა, ჩემზე ხორხოცით ამხედრებული სუფრა დააჩუმა და გულისყურით მომისმინა. ამით ბევრი რამ იყო თქმული.

განსაკუთრებული სხვა შემთხვევა იყო. დირექტორი გიბარებსო, მითხრეს. კაბინეტში შევედი. ფანჯარასთან იდგა, ჩემკენ ზურგით. მომხედა, – დაჯექიო, და ერთხანს ისევ იქ დარჩა. მერე თვითონაც დაჯდა ჩემ პირდაპირ, დაკვირვებით შემხედა და მცირე პაუზის შემდეგ ჯიქურად მოჭრა: **რატომ არ გიყვართ საქართველო?!**

ცეცხლი მომეკიდა: – მე მეუბნებით ამას? მინდოდა, რაღაც საშინელი მეთქვა, მეყვირა, მაგრამ დამასწრო და აღელვებით განავრცო თავისი აზრი: ახალგაზრდობის გულგრილობა ქართული საქმისადმი, საკუთრივ იმისადმი, რაც „ქართულია“. მივხვდი, რომ მე აქ არაფერ შუაში ვიყავი, რომ მე მისი გულისტკივილის მოზიარე უნდა ვყოფილიყავი. რაღაცნაირი სიმწარით ლაპარაკობდა. ვუსმენდი და ვფიქრობდი: რა უნდა უტრიალებდეს გულში, რომ მე – მისთვის უცხო კაცს, ასეთ რამეზე მელაპარაკება-მეთქი. ეს საუბარი არ მავიწყდებოდა. საუბარიც არ დაერქმეოდა. უფრო ვიღაცის თუ რაღაცის მიმართ აღსარებას ჰგავდა მოწმის თანდასწრებით. „რატომ არ გიყვართ საქართველო!“... ჭაბუკი გოგლას სიტყვები მახსენდებოდა: ილია ნახევარი საუკუნე მუზარადივით ეხურა თავზე საქართველოსო. ალბათ, ვერც მუზარადს ხედავს და ვერც მუზარადის დამხურავს და ეს ახელებს. „რატომ არ გიყვართ საქართველო!“...

გიორგი ლეონიძეს **უყვარდა** საქართველო: „გამოვვარდები: ხარ თუ აღარა!“ – ამ ზღვარზე უყვარდა. ამ ზღვარს ყველა ნამდვილი ქართველი უნდა გრძნობდეს. გიორგი ლეონიძის გულში ეს ზღვარი გუთნის ურნატივით იყო გავლებული.

1985

გაუტეხელი მეცხოვნე

(პავლე ინგოროყვა)

პავლე ინგოროყვა წიგნებით გატენილ უზარმაზარ პორთფელს დაატარებდა თან. სულ მიკვირდა: რა ძალა ადგას, ეს მძიმე პორთფელი რატომ დააქვს-მეთქი. გია მარგველაშვილს ვკითხე, ვიცოდი პავლესთან რომ მეგობრობდა, – ნეტავ, რა უდევს შიგ ასეთი, რატომ იწვალებს-მეთქი თავს. გიას გაეცინა: ხომ იცი, ერთხელ მეც ვკითხე და მითხრა: ეს მძიმე პორთფელი რომ არა, ავფრინდებოდი, ეს არის ჩემი ღუზა დედამიწაზეო...

პორთფელი ნამდვილად მძიმე იყო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე თვითონ მჭერია ხელში. ლიტერატურის ინსტიტუტში ერთად ვიდექით რამდენიმე კაცი. დერეფნის თავში ბატონი პავლე გამოჩნდა თავისი განუშორებელი ტვირთით. დავასწარი სხვებს და ჩამოვართვი. დირექციის ერთმა წარმომადგენელმა, რომელსაც ათვალწუნებული ვყავდი, ღიმილით უთხრა შემოსულს: ბატონო პავლე, ამ კაცს ანდობთ თქვენს პორთფელს? – მხოლოდ ამას! – მოკლედ მოუჭრა პავლე ინგოროყვამ. ჩემდამი მართლა ნდობით იყო გამსჭვალული. სიაში ხარ! – მახარა ერთხელ გია მარგველაშვილმა. – სიაში? რა სიაში? – პავლეს სიაში!... ბლოკნოტი ჰქონდა ერთი, სადაც, ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ ასე მგონია, მისდამი კეთილად განწყობილი, თუ რაიმე მხრივ გამორჩეული ხალხი ჰყავდა ჩანიშნული. უკანასკნელად რომ შევხვდი მწერალთა სახლში უკვე მაგრად დაბერებულ პავლე ინგოროყვას, ვეღარ მიცნო. ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი. ვერა, ვერ გაიხსენა, იჭვნეულად შემათვალიერა. აღარ შემიწუხებია, სექციის სხდომა გვქონდა და იქ შევედი, თარგმნის თეორიულ საკითხებზე ჩვენი მეგობარი პორფილე იაშვილი კითხულობდა მოხსენებას. ის-ის იყო, კამათი დაიწყო, რომ პავლე ინგოროყვამ შემოაღო კარი: უკაცრავად, თუ შეიძლება ცოტა ხნით გამოვიდეს... და მე გამიხმო. რა საკვირველია, როგორ ვერ გიცანით, უხერხული ღიმილით მითხრა, ხელი უბეში ჩაიყო და ბლოკნოტი ამოაცურა, – თქვენ ხომ სიაში მყავხართ, – და გადაშლილ ბლოკნოტს მიჩვენებდა დასარწმუნებლად.

აქვე მინდა ვთქვა: გია მარგველაშვილს ჩაწერილი აქვს მაგნიტოფონზე ორსაათნახევრიანი სატელეფონო საუბარი პავლე ინგოროყვასთან (თვითონ მითხრა).

ბატონ პავლეს ხშირად ვხვდებოდი ხოლმე „მნათობის“ რედაქციასა და გამომცემლობებში. ერთხელ, „მერანის“ ერთ ოთახში თავისი ახლად გამოცემული ტომეულის შეკვრა მოიტანა. თავის რედაქტორს და თანამშრომლებს უძღვნა. თქვენც უნდა გიძღვნათო, მომმართა. წიგნი უკვე წაკითხული მქონდა და ვკითხე: ბატონო პავლე, ფარსმანი 144 წელს რომ ჩავიდა რომში... უმალ შემისწორა: 147 წელს! საბაბი მქონდა და არ შევეპუე: კი მაგრამ, პავლე ინგოროყვას წიგნში რომ 144 წერია! როგორ გეკადრებათო, წიგნის ფურცვლა დაიწყო საჭირო ადგილის მოსაძებნად. მონახა ის ადგილი და შეცბუნდა: საკვირველია, ეს როგორ მომივიდაო. მაგრამ ჩემთვის ბევრად უფრო საგულისხმო იყო ის, რაც შემდეგ მოხდა. პავლე ინგოროყვამ მოიმარჯვა კალამი წიგნზე სამახსოვრო წარწერის გასაკეთებლად. გვერდით ვუჯექი და ვხედავდი, რასაც წერდა. სახელი და გვარი რომ დაწერა, მცირე ხანს შეყოვნდა, მერე გააგრძელა: „ბრწყინვალე ლიტერატორს“. გულში ჩამეღიმა, ეს ნამეტანია-მეთქი. სიტყვა არ დამცდენია, რა თქმა უნდა. მაგრამ პავლე ინგოროყვამ ანაზდად ჩემკენ მოაბრუნა თავი, სათვალეებიდან ხისტად შემომხედა და საკმაოდ მკვეთრად მითხრა: – სხვათა შორის, მე ვწერ იმას, რასაც ნამდვილად

ვფიქრობ თქვენზე! – ამ გულთამხილაობამ დიდად გამაოცა.

ზემოთ ფარსმან მეფესთან დაკავშირებით ქრონოლოგიურ ლაფსუსზე ვილაპარაკე, უნდა ითქვას, რომ მეცნიერისათვის, მეტადრე, ისტორიკოსისა და ფილოლოგისათვის, ჩვეულებრივია არამცთუ ლაფსუსი, არამედ მცდარი თვალსაზრისი და, თუ გნებავთ, მნიშვნელოვანი შეცდომაც. მაქს ვებერის თქმით, მეცნიერება ასეთნაირი შეცდომების დაფერფლილ ჩონჩხებზეა აგებული. თუ მეცნიერის ნაღვაწში პოზიტიურს გადავფარავთ მის მიერ დაშვებული შეცდომების ბურბუშელით, ჩვენი საუკუნის ყველა დიდი ქართველი მეცნიერი გაუფასურდება, მეტიც, ქვა-ქვაზე არ დარჩება ისეთი ფანტასტიური ნიჭით მორჭმული მეცნიერისაგან, როგორიც იყო ნიკო მარი, რადგან მას თავისი ნიჭიერების შესაბამისად, ასეთივე მასშტაბის შეცდომები მოსდიოდა. და არა მარტო მას. ამ დარგების თვითონ ბუნება და მეთოდოლოგიური კვლევის სპეციფიკაა ასეთი.

მცირე ამონაწერს მოვიტან ერნსტ კასირერის ნაშრომიდან: „გენიალური ისტორიკოსი იაკობ ბუკჰარტი მზად იყო ისტორიისათვის ეწოდებინა „ყველა მეცნიერებათა შორის უარამეცნიერულესი“. მისი აზრით, ისტორია არის „პოეზია დიდი მასშტაბით. ის წარმომიდგენია უმშვენიერეს მხატვრულ კომპოზიციათა წყებად“. ამასვე ამბობს მომზენი, არა მარტო გენიალური მეცნიერი, არამედ კვლევითი საქმის დიდი ორგანიზატორიც: „ისტორიკოსი, ალბათ, უფრო ხელოვანია, ვინემ მეცნიერი“. მართალია, ხშირად ზღვარი არა ჩანს ისტორიულ ნაშრომსა და მხატვრულ შემოქმედებას შორის, მაგრამ ეს საფუძველს არ გვაძლევს ისტორია სრულიად განვტვირთოთ მეცნიერული ობიექტურობისაგან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიკოსთა უმთავრესი ნაშრომები უფრო მეტად მათი შემოქმედებითი წარმოსახვის ძალას მიეწერება. დიდი ისტორიკოსი, ჩვეულებრივ, თავს არიდებს ორსავე უკიდურესობას. ის არის „ემპირისტი“, ანუ ცალკეულ ფაქტთა გულმოდგინე შემსწავლელი და, ამავე დროს, არც „პოეტურობას“ არის მოკლებული. ნამდვილ ისტორიულ სინთეზს, ერთი მხრივ, წინაპირობად უძღვის ცდილეული სინამდვილის ფხიზელი ხედვა, ხოლო მეორე მხრივ, შემოქმედებითი ფანტაზიის უნარი...“

ქართველი მეცნიერების კვლევის ფონს აუცილებლობით განსაზღვრავდა ერის ფუნდამენტური ინტერესები. განსაკუთრებულად მძიმე პერიოდებში ის მეტ-ნაკლები სიმძაფრით და ემოციური შეფერილობით ვლინდებოდა და ამგვარი მაიძულებელი ფაქტორების შედეგად დაშვებული აბერაციები, გინდა მცდარი თვალსაზრისები მეცნიერს მიუტევებელ შეცოდებად არ უნდა ეთვლებოდეს. პავლე ინგოროყვას მეცნიერული პერცეპციისათვის ნიშანდობლივია წარსულის ცოცხლად „დანახვა“, საქართველოს, როგორც „ცოცხალი არსის“ განჭვრეტა, რაც სავსებით მიუღწეველია პოზიტივისტურად მოაზროვნე ისტორიკოსებისათვის, რომელთა ნაშრომებში ძალზე ხშირად სჭვიოდა ანტიქართული თვალთახედვა. ჩემთვის ძვირფასია მკაცრ სისტემატიზაციასთან შერწყმული მხატვრული ხილვა, ამბობდა ა. ლოსევი და იგივე შეეძლო ეთქვა პავლე ინგოროყვას. ისტორია არის თვითშემეცნების ფორმა. ეროვნული თვითშემეცნების დადგინებას ემსახურება პავლე ინგოროყვას ხელიდან გამოსული ყველა წიგნი.

ამ ოცდახუთი წლის წინათ პავლე ინგოროყვა რესტორან „ინტურისტში“ ყავაზე შევიპატიჟეთ სარგის ცაიშვილმა, გურამ გვერდწითელმა და მე. საარაფრო საუბარში ბატონმა პავლემ სტამბოლის ყავა გაიხსენა და შეაქო. ჩავეძიეთ და ამ სიტყვას აი, რა მოაყოლა: 1919 წელს ის სწვევია ახმედ თავდგირიძეს, თურქეთის დიდი სამხედრო მოხელის ძმას, რომლის სახლი სტამბოლის გარეუბანში მდგარა. გარეუბნის სახელი დამამახსოვრდა – „საბანჯა“. სწორედ იქ საუბრობდნენ ფინჯან ყავაზე სამშობლოდან გადახვეწილი ახმედ თავდგირიძე და მასთან სტუმრებული (დიპლომატიური მისიით) პავლე ინგოროყვა. რას შეეხებოდა ეს საუბარი, მას არ

უთქვამს. მხოლოდ ერთი საგულისხმო დეტალი გაგვიმხილა: – ბატონო ახმედ, – უკითხავს სტუმარს, – რას ნიშნავს ეს სიმინდის ყანა თქვენს ეზოში, გზის გარდიგარდმო? მასპინძელს ნაღვლიანად განუმარტავს: ეს ყანა... რომ გავხედავ, ქობულეთს მახსენებსო. პავლე ინგოროყვას დიპლომატიურ მოღვაწეობაზე ზოგი რამ მსმენია. 20-იან წლებში თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარი რომ დგინდებოდა, ბატონ პავლეს საზღვრების დამდგენ კომისიაში ძველი ნაცნობი გამოუნახავს და იმ ნაცნობის მეშვეობით პავლე ინგოროყვას ენერგიული ჩარევა რომ არა, სარფი საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩებოდა. ეს ამბავი ერთმა პარტიულმა ფუნქციონერმა უამბო არჩილ სულაკაურს და იქიდან ვიცი.

რესტორნიდან რომ გამოვედით, ბატონი პავლე და მე ერთად გავუყევით რუსთაველის გამზირს და მე კიდევ მოვისმინე ისეთი რამ, რაც დღემდე მახსოვს. ოპერის თეატრს რომ მივუახლოვდით, სიტყვა 37 წელზე ჩამოვარდა. ბევრი რამ ვკითხე, მაგრამ ძუნწად მპასუხობდა. ის კი მითხრა, თუ როგორ დაიბარა საქართველოში ჩატარებული უპრეცედენტო რეპრესიების ავტორმა: კარი რომ შევაღე, ადგილიდან წამოიჭრა, სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა ჩემკენ და ეს სიტყვები მომახალაო: Почему грузинская интеллигенция ненавидит советскую власть! მაგრამ აკი იმავე ხანებში გაიმართა ყოვლად სამარცხვინო თავყრილობა, რომლის გადაწყვეტილებით (ეს გადაწყვეტილება საქართველოს კომპარტიის მიერ იყო ინსპირირებული) უნივერსიტეტიდან მოიკვეთეს მისი დამაარსებელი. ქართული ინტელიგენციისადმი სიძულვილმა სწორედ აქ ამოხეთქა. იმ დღეს უნივერსიტეტიდან წამოსული ივანე ჯავახიშვილი (ვის შეუძლია, წარმოიდგინოს, რა უტრიალებდა გულში!) პავლე ინგოროყვასთან მივიდა და სხვასთან არავისთან. ნურაფერს მკითხავო, – უთხოვია მასპინძლისთვის, – ცოტა ხანს ვიქნები შენთანო. ასე მსხდარან ერთმანეთის პირისპირ, უხმოდ...

ზემოხსენებულის მსგავსი სამარცხვინო თავყრილობა, ოღონდ პავლე ინგოროყვას წინააღმდეგ, მწერალთა სასახლეშიც ჩატარდა 1966 წელს, მისი ერთ-ერთი ლიდერის თაოსნობით და ინსპირაციით. იგი მიზნად ისახავდა ქართულ საზოგადოებაში პავლე ინგოროყვას დიდი ავტორიტეტის სრულ ლიკვიდაციას. მე ჩემი თვალით ვნახე ამ კარგად ჩაფიქრებული ანტიქართული, ბესტიალური მაქინაციის ამაზრზენი სურათი, სადაც კარიერისათვის გამანგრეველი ძალით მებრძოლი ზოგიერთი ახალგაზრდა მეცნიერი და მწერალი საცოდავი მარიონეტის როლს ასრულებდა. ჩამქოლავი წამოძახილები ადგილებიდან. პავლე ინგოროყვას გაქვავებული სახე. ამ სპექტაკლის ფარული დირიჟორი პარტია იყო, რომელიც გულმოდგინედ ასრულებდა მოსკოვის ანტიქართულ დირექტივებს.

საქართველო ისეთი ქვეყანაა (და ახლა უკვე სახელმწიფო), რომ მწერლურ და მეცნიერულ სტრატეგიულ ინტერესებს შორის უმჭიდროესი კავშირი უნდა არსებობდეს. ამ კავშირს ახორციელებდა ბატონი პავლე ინგოროყვა თავისი შემოქმედებით, მოქალაქეობით და პრაქტიკული საქმიანობით. გრ. რობაქიძე წერდა გიორგი მერჩულეზე: „კითხულობ მას და ხედავ: საქართველო იზრდება ვითარ ცოცხალი არსი, ვრცელდება თანდათან, მკვიდრდება ნელინელ, დგინდება, მტკიცდება. წიგნი ციხესიმაგრედაა აღმართული, ისეთ ციხესიმაგრედ, რომელსაც ვერარა შელახავს და ვერავინ აიღებს...“ (ბარათი დისადმი, 27.8.1961, ჟენევა). ამ ციხესიმაგრის გაუტეხელი მეციხოვნე იყო პავლე ინგოროყვა.

1993

დიდი ნაფეხურები

(აკაკი ბაქრაძე)

ჩვენი თაობის ცნობიერება მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა. ეს დრო არაფრით არ ჰგავდა არც ერთ სხვა დროს და ამიტომ აკაკი ბაქრაძე, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენი დროისა და ჩვენი თაობის განმასახიერებელი იყო, ჩვენთვის ცნობილ არც ერთ ქართველ მოღვაწეს არ ჰგავდა. ჩვენს თაობაში (და ჩვენს წინა თაობაშიც) არსებობდა შეუდრეკელ ჭაბუკთა ვიწრო ჯგუფი, რომელსაც აღიარებული იდეოლოგიისა და ყოფის ფარვატერში დგომა არ სურდა და ერთ-ერთი მათგანი აკაკი ბაქრაძე იყო; ის ყველაზე მძაფრად და შეუდრეკელად ავლენდა შეურიგებლობას არსებულთან.

მის წერილებსა და წიგნებში ყოველთვის ისმოდა „მკვახე შეძახილის“ ეხო, რაც აღიზიანებდა ბევრს, განსაკუთრებით იმდროინდელ ხელისუფლებაში. ამ პოზიციაში ის განუმეორებელი და შეუდარებელი იყო და იმდენად ძლიერი, რომ ზოგჯერ ეგონათ, თითქოს „ილიას არქეტიპი იჯდა მასში“.

უფრო გვიან, 80-იან წლებში აკაკი ბაქრაძემ მოქმედი პოლიტიკის სფეროში გადაინაცვლა, რაც არ იწვევდა ჩემს აღტაცებას იმიტომ, რომ ამგვარი მოღვაწეობა მისი ლიტერატურულ-მეცნიერული ნიჭის აუნაზღაურებელ ფლანგვად მეჩვენებოდა. აკაკის უკანასკნელ წიგნში ზოგიერთი პასაჟის წაკითხვისას ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს თვითონაც გრძნობდა რაღაც სინანულის მაგვარს, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილებაა და შეიძლება მცდარიც. ამ წიგნშიც მძლავრად ჩქეფს ავტორის შეურიგებელი და შეურყეველი რწმენა, თავისი სიზუსტით ულმობელი შეფასებანი, აუცდენელი და გამანადგურებელი იმათთვის, რასაც და ვისაც ეხება იგი. მოვიტან ერთ მაგალითს: „სოციალიზმის თეორიამ XX საუკუნის პირველ ნახევარში სამი ურჩხული დაბადა: რუსული ბოლშევიზმი, იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციზმი, მაგრამ არც გერმანულ ნაციზმს, არც იტალიურ ფაშიზმს რელიგია არ გაუუქმებია, ეკლესია-ტაძრები არ დაუნგრევია, სამღვდელოება არ ამოუხოცავს. ბოლშევიზმმა პირწმინდად მოსპო რელიგია, დაანგრია ეკლესია-ტაძრები, ამოწყვიტა სამღვდელოება.

არც ფაშიზმს იტალიაში, არც ნაციზმს გერმანიაში არ გაუნადგურებია საკუთარი არისტოკრატია და ბურჟუაზია, საკუთარი გლეხობა არ მოუნათლავს კულაკებად და არ ამოუძირკვავს ძირფესვიანად. ბოლშევიზმმა მოსპო არისტოკრატიაც, ბურჟუაზიაც და ე. წ. კულაკური გლეხობაც“ (გვ. 184). წიგნის ავტორი გვახსენებს 1997 წელს, პარიზში გამოცემულ 848-გვერდიან ნაშრომს: „კომუნიზმის შავი წიგნი, – დანაშაული, ტერორი, რეპრესია“, სადაც ეჭვმიუტანლად არის დასაბუთებული ის ფაქტი, რომ 1917 წლიდან 80 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში, ჩინეთში, კამბოჯაში, კორეასა და ვიეტნამში კომუნისტებმა დახოცეს 100 მილიონი კაცი...

„კარდუ“ გრ. რობაქიძეს ეძღვნება. ეს არის პირველი საფუძვლიანი გამოკვლევა სავსე ზუსტი დაკვირვებებით და გონებამახვილური მიგნებებით, დამაჯერებელი ანალიზით და პოეტური განცდით...

„გრიგოლ რობაქიძეს უნდოდა აპოკალიფსურ შიშს წინ აღდგომოდა დიონისური ლხენით, სიხარულით, დღესასწაულით და მოყვასის ქრისტიანული სიყვარულით... აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობის სახელია დიონისური ქრისტიანობა“... მაგრამ, დასძენს აკაკი ბაქრაძე: „გერმანულენოვან სამყაროში იგი თანდათან

ავიწყდებოდა პუბლიკუმს. ამის მიზეზი მარტო ის არ ყოფილა, რომ გრ. რობაქიძე ავტორი იყო „ადოლფ ჰიტლერისა“ და ,,მუსოლინის“, უფრო რთული და არსებითი მიზეზიც არსებობდა. მისი შემოქმედება ეკუთვნოდა სიტყვაკაზმული მწერლობის იმ სახეობას, რომელსაც გერმანელები უწოდებენ „მიწისა და სისხლის“ ლიტერატურას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ სახეობის ლიტერატურა საერთოდ მიეცა დავიწყებას. მიწა, სისხლი, რასა, ჯიში მკითხველს ნაციზმსა და ფაშიზმს ახსენებდა... და მათი გაგონება აღარ უნდოდა. შეხედულებანი ნელ-ნელა იცვლებოდა. და კოსმოპოლიტურ ხასიათს იღებდა“...

პარადოქსულ აზრსაც მოისვროდა ზოგჯერ. მას უფლება ჰქონდა ეთქვა ის, რაც არ ხელეწიფებათ ქართველობაში ტვინგაუწაფავ და დაუხვეწავ ხალხს.

აკაკი ბაქრაძეს სტუდენტობიდან ვიცნობ. სანიმუშოდ კარგი ურთიერთობა გვქონდა, თუმცა ბოლო ათწლეულში იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. უკანასკნელად შარშან ვნახე რუსთაველზე, ტელეგრაფის შენობასთან. უცნაური სახე ჰქონდა, თვალები უბრწყინავდა, თითქოს ორ-სამ ნაბიჯზე ვიღაცას თუ რაღაცას უღიმოდა. პირისპირ შევეყარე, მაგრამ არ დავუნახივარ, თავის ჩვენებაში იყო ჩაძირული. რომ ჩამიარა, გაკვირვებულმა გავხედე. ის რიტმული ნაბიჯებით მშორდებოდა.

1. კაკომ 1954 წ. „გიტანჯალის“ რამდენიმე საგალობელი დაბეჭდა გაზ. „კიროველში“, რომელსაც რედაქტორობდა. მანამდე გიორგი ლეონიძე გავაჩერე ქუჩაში. ჭაბუკობაში მასაც ჰქონდა თარგმნილი თაგორის რამდენიმე ლექსი კრებულიდან „მებაღე“ (1916 წ.) და წერილიც ჰქონდა დაწერილი ერთი წლის შემდეგ „აღმოსავლეთის სიტყვა ტაგორეზე“. ყველაფერი ეს ვუთხარი და შევკადრე: დამაბეჭდვინეთ-მეთქი თაგორის ლექსები. მისტიკოსია, მისტიკოსი, არ დაიბეჭდებაო! კაკომ დაბეჭდა და მაშინ ეს დიდი რისკი იყო.

2. რბილი შენიშვნა მქონდა კაკოს მიმართ ჩემს წერილში ხახმატის ჯვართან დაკავშირებით. ამოვიდა ჩემთან – გასარკვევად. მოვუტანე არგუმენტები. დამთანხმდა: მართალი ხარო (სრულიად უმტკივნეულოდ). არასოდეს გაქცევია ლოგიკურ არგუმენტს.

3. ვაჟაზე ჩემი გამოკვლევა გადავბეჭდე. ეს უნდა ყოფილიყო, როგორც მე ვფიქრობდი, პროპედევტიკული ნაწილი ძირითადი გამოკვლევისა. რაღაც საქმეზე მოვიდა კაკო. ჩაუჯდა ჩემს ნაშრომს. ბოლომდე წაიკითხა. ეს გამოკვლევა დამთავრებულიაო, დასტაცა ხელი და გამოსაცემად გააქანა. ჩემმა „პროტესტმა“ არ გაჭრა. ასე დაიბეჭდა „ტრაგიკული ნიღბები“ (1971). მოულოდნელი დაბრკოლება შეხვდა: წიგნის რედაქტორად დამინიშნეს ხნიერი, 37 წელს რეპრესირებული ინტელიგენტი, მშვენიერი კაცი, რომელმაც მითხრა: ხშირად გაქვს ციტირებული ვინმე გრ. კავკასიელიო, ვინ არისო. ვიცრუე, არ ვიცი, ვისაც არ ვკითხე, არავინ იცოდა-მეთქი (კავკასიელი – რობაქიძის ფსევდონიმი იყო). ბოლოს, მიხვდა, ვინც იყო. ეს ციტატები უნდა ამოშალოო. რომ გაიგოს, მომხსნის დირექტორიო. კაკომ იკისრა პასუხისმგებლობა და გადაარჩინა წიგნი, თუმცა ზოგიერთი მითითების ამოგდება მაინც მომიხდა.

4. ბეჭდვის პროცესში კაკომ გამაცნო იქაური გოგოები (კორექტორები) და ერთხელ შემოგვთავაზა – გავიდეთ ქალაქგარეთო. ბაზარში ვიყიდეთ სანოვაგე. ახლა პური ვიყიდოთო. გაგიჟდით, პურს იქ ვერ ვიყიდით-მეთქი? კაკომ: რას იშოვნი, ის დრო აღარ არისო, გოგოებს მიუბრუნდა: ამას ისევ ძველი საქართველო ჰგონიაო. არ ვაყიდვინე. ვისეირნეთ მანქანით, ბოლოს, ერთაწმინდაში ავედით (პური, რა თქმა უნდა, ვიშოვნეთ და ვამუნათებდი კაკოს). მერე გზის მახლობლად, წყაროსთან „გავშალეთ სუფრა“... რა შეიძლებოდა მომხდარიყო? არაფერი. და არც არაფერი მომხდარა, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ გზის პირას მანქანა გაჩერდა. მანქანიდან გადმოვიდა კაცი და წყაროსკენ წამოვიდა. ღვინო შევთავაზეთ. ჭიქა გამოგვართვა, ვერ დავლევო, დიდი გზა მაქვს გასავლელიო, დაგვლოცა და უკან გაბრუნდა: არ გვაკადრა, წყალი დაელია

შეთავაზებული ღვინის შემდეგ. მანქანა რომ დაძრა, მივაძახე: რა გვარი ხარ! ყაზბეგელი სისაური ვარო. კაკოს ვუთხარი: არ არსებობს ხომ ძველი საქართველო (ნიშნის მოგებით), ასე დახვეწილად ინგლისის ლორდი ვერ მოიქცეოდა-მეთქი. ამ თემაზე ბევრი ვილაპარაკეთ.

5. ინტუიციაც მაგარი ჰქონდა და „კაიროსიც“. როცა დავბეჭდე „ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა“ (1977), ბიჭებისთვის უთქვამს: ახლა კი ცხადია, ანბანი ქრისტიანობის დროს არისო შექმნილი. მანამდე, კარგა ხნით ადრე, 666-ს რომ ვაბოდებდი (გაგონილი ჰქონდა), აკადემიაში მანანა გიგინეიშვილის მოხსენებაზე შევხვდით ერთმანეთს, მითხრა: ეგ რიცხვი მომეცი, მე გამოვიკვლევო... მიხვდა, აქ რომ იყო დამარხული ძაღლის თავი.

ანბანის საქმე აინტერესებდა. 1985 წ. ნოდარ დუმბაძის წლისთავზე მითხრა: „ცისკარში“ ანბანზე დაბეჭდილი შენი წერილი სპეციალურად წავიკითხე მეორეჯერ, რამე ხარვეზი და შეუსაბამობა რომ აღმომეჩინაო (სწორედ ასე თქვა), ვერაფერი ვნახეო. გამეხარდა, და სხვებსაც ვუამბე, ასე მითხრა-მეთქი აკაკი ბაქრაძემ.

6. ერთი ძალიან ძველი ამბავიც მინდა მოვიგონო. 60-იანი წლების დასაწყისია. „ცისკარში“ დაიბეჭდა აკ. ბაქრაძის რაღაც წერილი, რომელმაც რ. თვარაძის გაღიზიანება გამოიწვია. მე არ მახსოვს და ახლა არც რეზის ახსოვს, რა წერილი იყო და რატომ გაღიზიანდა. მაგრამ მაშინ საპასუხო წერილი უნდოდა დაეწერა. არ გინდა – ვეუბნებოდით, ხომ იცი, თქვენს დაპირისპირებად მიიჩნევს ხალხი ამ ამბავს, არ ივარგებს-მეთქი. რეზი თავისაზე იდგა. ამ დროს რეზის ესტუმრა ჭაბუა ამირეჯიბი. რეზიმ: ჭაბუას ვკითხოთ და როგორც იტყვის, ისე იყოსო. უთხრა: ჩხენკელი და ებრალიძე არ მანებებენ წერილის დაწერას, შენ რას იტყვიო. ჭაბუამ: მართალს გეუბნებიან, ჩემო რეზი, ნუ იზამო... და საქმეც ასე გადაწყდა... რომ დაეწერა?!

20 წლის შემდეგ მორის ფოცხიშვილთან შევიარე (არასდროს ვყოფილვარ მორისთან). კაკო და რეზი ქართული პროზის ანთოლოგიაზე მუშაობდნენ. რომ დაეწერა, ეს ერთობლივი გარჯა არ შედგებოდა. რატომ? გადაავლეთ თვალი „კარდუს“ 130 და 131 გვერდებს და მიხვდებით – რატომ!

„კარდუ“ მთავრდება გრ. რობაქიძის დისადმი – ლიდასადმი 1976 წ. მოწერილი ბარათით, რომლითაც კალე სალია შვეიცარიიდან პარიზში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე ძმის ნეშტის გადმოსვენებას და დაკრძალვას ატყობინებს. ქალბატონ ლიდასთან ახლო მეგობრობა მაკავშირებდა. ხშირად სტუმრობდა ჩვენთან. ჩვენი საუბრის თემა, რა თქმა უნდა, გრიგოლ რობაქიძე იყო. ლიდამ მომიტანა ცნობილი რუსი მსახიობის ხოდასევიჩის მოგონებების წიგნი, რომელშიც რობაქიძე სულ სხვანაირად გამოიყურება, ვიდრე ეს საყოველთაოდ არის ცნობილი. დოსტოევსკის გმირების როლის შემსრულებელი ეს მსახიობი პირველი რესპუბლიკის დროს იყო ჩამოსული თბილისში, წაკითხული აქვს ავტორისგან შესანიშნავი წარწერით ნაჩუქარი რობაქიძის რუსული წიგნი „პორტრეტები“ (სულ ოთხი პორტრეტია: ლერმონტოვი, ჩაადაევი, როზანოვი, ანდრეი ბელი), გამოცემულია 1919 წ. აღწერს ერთი ღამის ამბავს. თეატრიდან მოდიან გრ. რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და ხოდასევიჩი. თავსხმაა. გაწუწული ტიციანი და პაოლო ბუხართან მოყუჩებას ნატრობენ, ხოლო რობაქიძე იხდის ფეხსაცმელებს, იკაპიწებს შარვლის ტოტებს, აკურატულად გადაკეცილ პიჯაკს მკლავზე გადაიკიდებს და შიშველი ფეხებით მოტყაპუნობს ქუჩის ნიაღვარში აღტაცების გამომხატველი შეძახილებით... ხოდასევიჩის ეს მოგონებები 60-იანი წლების დასაწყისშია გამოქვეყნებული ლენინგრადში.

„კარდუ“ რომ წავიკითხე (მადლობას მოვახსენებ აკაკის მეუღლეს, ქალბატონ ნელის, წიგნის გამოგზავნისთვის), სინანულმა შემიპყრო იმ ურთიერთგაუცხოების გამო, რაც ჩვენი ასაკის ხალხმა განიცადა უკანასკნელ ათწლეულში და რაც მარტო სიბერეს არ უნდა დაბრალდეს. მე არ ვიცოდი, რომ ეს წიგნი იწერებოდა (ავადმყოფობაც არ გამიგია), თორემ აუცილებლად

მოვუყვებოდი კაკოს ქალბატონ ლიდას ერთ სიზმარს, რომელიც მაშინვე ჩავიწერე და დღემდე მახსოვს... ზამთარი იყო. გავიხედე გარეთ და ეზოში თოვლზე დავინახე გრიგოლის უზარმაზარი ნაფეხურები, შევშინდი, იმხელა ნაფეხურები იყოო...

ასეა ჩვენში: სიკვდილის შემდეგ დიდდება ნაფეხურები.

2000

პოეტი - ლექსში ჩაძირული

(ლადო სეიდიშვილი)

იყო დრო, როცა პოეტები მუჯლუგუნით იმკვიდრებდნენ ადგილს ეფემერულ პარნასზე, იმკვიდრებდნენ ადგილს კარიერის, პროტექციის, სერვილიზმის მეშვეობით. ღრმა კულტურას მოკლებულ საზოგადოებაში, სადაც პოეტური მიღწევების შეფასება პარტიის ტოტალური წნეხის ქვეშ იყო მოქცეული, სახელის მოხვეჭა მრუდე გზებით ხორციელდებოდა. მაგრამ პოეზია ისეთი საუფლოა, სადაც ადრე თუ გვიან, მისივე შინაგანი კანონების თანახმად, ყოველ შემოქმედს თავისი მიეზღვევა.

მიუხედავად ამგვარი სიტუაციისა, ლადო სეიდიშვილის პოეზიას მისაგებელი მიაგეს ფაქიზი გულისყურის მქონე პიროვნებებმა, და მეც, სხვადასხვა დროს პრესაში აღმინიშნავს ამ შესანიშნავი და აღმატებული პოეტის განსაკუთრებული მიღწევები, მაგრამ ეს იყო წვეთი ზღვაში. „ლადო სეიდიშვილი შეურაცხყვეს დაუნახაობით, სალიტერატურო კრიტიკას შეუმჩნეველი დარჩა იგი“ (ვახტანგ ღლონტი). ლადო სეიდიშვილის აღიარების ხელშემშლელ მიზეზად პოეტის მხატვრულ აზროვნებასა და ტოტალური იდეოლოგიის მოთხოვნილებათა შორის პრინციპულ განსხვავებას მიიჩნევენ, მაგრამ ვერ უარვყოფთ, რომ ამ „პრინციპული განსხვავების“ მიუხედავად, ზოგიერთმა ნამდვილად ღირსეულმა პოეტმა დაძლია ეს წინააღმდეგობა. მე სხვა გარემოებაზე გავამახვილებდი ყურადღებას: დედაქალაქის ლიტერატურული ელიტა ნაკლებ, ან არანაირ ინტერესს არ ამჟღავნებდა ე. წ. პერიფერიული პოეზიისადმი, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ღრმა და ორიგინალური პოეზიის გაგება ძნელად მისაწვდომია თვითონ ლიტერატურით დაინტერესებული, განათლებული საზოგადოებისთვისაც.

არის კიდევ ერთი მომენტი, რაზეც ღირს ყურადღების შეჩერება. სამოციანი წლებიდან შეიმჩნევა პოეტური გემოვნების ერთგვარი აბერაცია. მარგინალების მოძალებამ ხელოვნების ყველა სფეროში წარმოშვა „უნიჭობის გამართლების“ სინდრომი, რომლის წიაღში თანდათან და შეუმჩნევლად განვითარდა ცრუპოეზიის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც თუ ერთი მხრივ, რუტინული და ვულგარული სტილით იყო აღბეჭდილი, მეორე მხრივ, ფორმალურ და ტექნიკურ ოსტატობასაც ამჟღავნებდა (ზოგჯერ ბრწყინვალებასაც), თუმცა სავსებით იყო გაძარცული პოეზიის ცხოველმყოფელი სულისგან, ასეთნაირი ლექსი, თუ ლექსთა კრებულები ველურებისთვის ნაჩუქარ ბრჭყვიალა და ყალბ სამკაულებს ჰგავდა და სავსებით აკმაყოფილებდა გემოვნებამოჩლუნგებული მკითხველების მოთხოვნილებებს.

ლადო სეიდიშვილის პოეზია არ არის დაავადებული ინფანტილური პროვინციალიზმით და „აგრარული პატრიოტიზმით“. მისი მსოფლშეგრძნება ფართე არეალს მოიცავს, რაშიც არაჩვეულებრივი ბუნებრიობით ერთიანდება ევროპის ძველი მითოლოგიიდან მოხმობილი პასაჟები და ქართული ყოფის კონკრეტული დეტალები. მისი უცნაური და რთული ხილვები სიახლის განცდას ბადებს და ამიტომ სიხარულსაც გვანიჭებს. „თა-

ვის თავში ზღარბივით ჩაღრმავებული“ პოეტი დადის ბათუმის ქუჩებში, სადაც „გვერდით შეიძლება ჰეგელმა ჩაუაროს“, – ეს მისი მოლოდინია, სრულიად გამართლებული. ქალაქს, სადაც ცხოვრობს ისეთი პოეტი, როგორიც ლადო სეიდიშვილია, ვერ დაერქმევა პროვინციული ქალაქი.

გურამ კანკავას ციტატა მინდა მოვიტანო არა მარტო იმიტომ, რომ ის აუცილებლად გამოეხმაურებოდა პოეტის საიუბილეო თარიღს, არამედ იმიტომაც, რომ მან ზუსტი ანალიზით ცხადჰყო პოეტის შემოქმედებითი კრედო: „ლადო სეიდიშვილის პოეტური წვდომა ფილოსოფიური ჭვრეტის გზით ხორციელდება. მისთვის ნიშანდობლივია საგანთა მეტაფიზიკური გააზრება. ლადო სეიდიშვილის მეტაფორაში ჩადებული ინფორმაცია, ე. ი. მისი შემეცნებითი მხარე ისე ჩაღრმავებულად არის გახსნილი პოეტის ხატოვან სტრუქტურაში, რომ ამოცნობა ხშირად ჭირს. ჭირს, რადგან მას არ უყვარს პოეტური რიტორიკა. მისი სახეები აშკარად ვიზუალურია, ხოლო მისი მეტაფორები ზოგჯერ სიურეალისტურ სტრუქტურებს ქმნის“.

„სახეების ვიზუალურობა“ უცხო არ უნდა ყოფილიყო ლადო სეიდიშვილისთვის, პროფესიით ის მხატვარია. მისი ერთი ნამუშევარი ამერიკაში ქალაქ სფრინგვილის ხელოვნების მუზეუმშია გამოფენილი, როგორც ნიმუში ე. წ. „საბჭოთა იმპრესიონიზმისა“. ლადო სეიდიშვილი ღრმად არის გამსჭვალული „პოეტისა და მხატვრის წუხილთა ნათესაობით“ (პოლ. ვალერი). მის ორ შესანიშნავ ესეში გაანალიზებულია მალარმესა და მატისის და მალარმესა და დებიუსის ინტუიტური შეხვედრები „ჰეროდიადას“ და „ფავნის ნაშუადღევის“ თემასთან დაკავშირებით. ეს ორი ესე თავისთავად აუცნაურებს ლადო სეიდიშვილის შემოქმედებითი ინტერესების დიაპაზონს და აზროვნების სინატიფეს.

„მას სურს ახალი მიჯნები მოსინჯოს ასონანსური რითმის სფეროში“, – წერს გურამ კანკავა. დახვეწილი შენიშვნაა. საქმე ისაა, რომ რითმა ლადო სეიდიშვილის პოეზიაში „უკვალოდ“ ერწყმის სტრიქონს. ის უფრო პოეტური აზრის შემადგენელი ნაწილია, ვიდრე მეტრული ეკვივალენტი. რითმის ამგვარ მოდუსს განსაზღვრავს პოეტური აზრის დომინირება ლექსის ყოველ კომპონენტზე...

ამ ორმოცი წლის წინ ბათუმში სასტუმრო „ინტურისტის“ კუთხეში სხვათა დაუხმარებლად გავიცანი ქერათმიანი, თვალებაღგზნებული თანატოლი ბიჭი და მანამ, სანამ იქვე კაფეში ყავის დასალევად შევიდოდით, უკვე სულმოუთქმელად ვუზიარებდით ერთმანეთს პოეზიის ლაბირინთებში ნანახი უცნაური ქიმერებისგან მოგვრილ შთაბეჭდილებებს. ეს საუბარი არასოდეს შეწყვეტილა. ლადო სეიდიშვილისთვის არ არსებობდა და დღემდე არ არსებობს უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმიანობა, ვიდრე ის, რაც პოეზიით არის გაცხადებული. იგი დღემდე მიიკვლევს გზას პოეზიის შეუცნობელ ლაბირინთებში, ვიდრე არ შეხვდება მინოტავრს, რომლის დამარცხებით საბოლოო გამარჯვებას ეზიარება.

2002

ROSTOM CHEIDZE

ხანმოკლე ეფემერა

(ბიოგრაფიული რომანიდან რეზო ჭეიშვილზე „რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“)

ძალიან ეცხელებოდა 1981 წელს 13 ივნისს – პირველი ცხელი დღე დადგებოდა თბილისში.

შოთა ჩანტლაძის დაბადების დღე ყოფილიყო. დაურეკავდა რეზო ჭეიშვილს ლევან მალაზონია და ერთად ავიდოდნენ იმის საფლავზე. დედამისი დახვდებოდათ, ისიც შინ მიდიოდა უკვე და ახლა ამათ დანახვაზე შებრუნდებოდა. საფლავი მშვენივრად მოვლილი დახვდებოდათ, ყვავილებით სავსე. ვის მოეტანა ნეტა? ამხანაგებიდან არავინ ყოფილიყო.

შინ შეიპატიჟებდათ. 80-ს გადაცილებული ქალი მშვენივრად გამოიყურებოდა, ყოჩაღადაც, და რეზო ჭეიშვილი ამას რომ ეტყოდა, მოიწყენდა: არ უნდა ვიყო ასეო. საღად, დამოუკიდებლად მსჯელობდა და ეს გაიფიქრებდა: შოთა დედას ნამგვანებაო. მამა რომ არ უყვარდა, იცოდა. ერთხელ ისიც ეთქვა რეზოსათვის: რა საერთო აქვს დედაჩემთან, დღემდე ვერ გამიგიაო.

შოთას ლექსების ახალი წიგნი გამოდიოდა, და ტარიელ ჭანტურია ეტყოდა:

– შესანიშნავი ლექსები აქვს.

– ამდენი ხანი დაგჭირდათ, ეს რომ გაგეგოთ? – რეზო რომ შეაგებებდა პასუხად, ის გაიცინებდა და არაფერს მიუგებდა, თვით ტარიელიც კი.

უიღბლო კაცი რომ იყო შოთა, მის სიცოცხლეშივე ვიცოდიო, – განაგრძობდა ფიქრს, – მთელი მისი აღნაგობა, დაპროგრამებული გენებით, იყო უიღბლო და ხელმოცარულიო.

საოცარი იყო, მაგრამ ასე კი.

მაინცდამაინც 13 რიცხვში რომ დაიბადებოდა, ნეტა აქედან ხომ არ დაიწყებოდა ყველაფერი?

სხვა ახსნას უფრო მოუძებნიდა რეზო ჭეიშვილი:

ვიდრე დაიბადებოდა, უკვე იყო უიღბლო და კიდეც გაჩნდა 13-შიო.

ესეც მისი უბედობის საწყის-სათავე: ჯერაც დაბადებამდელი...

ერთხელ მთელ ღამეს გაათენებდნენ ლაპარაკში. მეტეხთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე პატარა სკვერი იყო, შემდეგ რომ მიანგრევ-მოანგრევდნენ, ჯვარიც ახსოვდა, რა ადგილას იდგა.

გათენებულზე ეს შესთავაზებდა:

– ხურდა ფულები გადავყაროთ წყალში.

იმას გაეხარდებოდა რატომღაც, მაგრამ ხურდა არ აღმოაჩნდებოდა და რეზო, რაც ჰქონდა, გაუყოფდა. გადაყრიდნენ წყალში და: შოთას ნასროლი... ყველა უკლებლივ ნაპირზე დაცვივდებოდა. არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა წყალში მათი ჩაყრა, მაგრამ მაინც ნაპირზე დაცვივოდნენ. მოიწყენდა შოთა. ამასაც წაუხდებოდა გუნება და... მაშინ გაუელვებდა: ეს რა უბედო კაცი ყოფილაო!..

დღეს მის ბიუსტს შეათვალიერებდა და ნახავდა, რომ არა ჰგავდა მოდელს. ადრეც ჰქონდა ყურადღება მიქცეული, ახლა კი ამასაც, ამ სრულ განსხვავებას, მის უიღბლობას მიაწერდა.

ძალიან ცხელოდა, ძალიან. შოთა 53 წლისა გამხდარიყო. 13 წელი ხდებოდა ნოემბერში მისი გარდაცვალებიდან.

მიცვალებულთა მოსაგონარი დღე ყოფილიყო კალენდრით.

და რეზო ჰკითხავდა ფრთხილად შოთას დედას: იმქვეყნად თუა რამეო?

– არაფერი, – აღიარებდა ის გულწრფელად, – ასეთ დღეში ვარ, სასაფლაოზე ვცხოვრობ, შოთას საფლავზე მინდა მოვკვდე და მაინც არაფერი მწამს, არც ადრე მწამდა, არც ახლა მწამს.

მღვდელს რომ მიიყვანდა ზვიად გამსახურდია შოთას გასვენების დღეს, ისიც არ ენდომებოდა, მაგრამ უარს ვერ იტყოდა: დაე იყოს ასე, რაკიღა ზვიადს მოუნდომებიაო.

უჩვეულოდ გამოიყურებოდა: შოთა ჩანტლაძის ცხედარი და მღვდელმსახურული რიტუალის აღსრულება?

უჩვეულობა, უცნაურობა დასდევდა თან სიცოცხლეში და – როგორც ჩანდა – აღსასრულის შემდგომაც არ მოეშვებოდა.

ხელი ეცმადუნებოდა რეზოს მეტის ჩასანიშნად დღიურში, არ ეკუთვნოდა თუ რა მისგან შოთას, მაგრამ შემდგომისათვის გადადებდა. სახელდახელო ჩანაწერად ესეც იკმარებდა, მის პიროვნულ ბუნებასა და ცხოვრების ყაიდას კი უფრო ღრმად ჩაკვირვება და ფსიქოლოგიური განსჯა-ახსნა ესაჭიროებოდა, მითუმეტეს – დროის, ეპოქის სული და ხასიათიც გათვალსაჩინოვდებოდა შოთა ჩანტლაძის ცხოვრების ყაიდის ფონზე, დრამატული, მოუწყობელი ცხოვრებისა.

ის მაინც რა იყო, მტკვარში გადაყრილი ხურდა ფულიდან ერთიც რომ ვერ ჩააღწევდა მდინარემდე. ბავშვსაც რომ გადაეყარა, უკლებლივ წყლის ფსკერზე აღმოჩნდებოდა ყველა მონეტა, მაგრამ... თუკი დაბადებამდეც უიღბლო ხარ და საგანგებოდ უნდა დაიბადო 13-ში, რათა ეს შენი უიღბლობა გარეგნულადაც დაადასტურო?!.

ისე როგორ გაუშვებდა მის სულს ზვიად გამსახურდია, ქრისტიანული წესით არ შესრულებულიყო ეს საიდუმლოებრივი აქტი.

გარს უვლიდა ცხედარს მღვდელი და ბუტბუტებდა ლოცვებს.

„ღვთის წიაღში დაივანაო“, რაღაც ამგვარი ფიქრი უტრიალებდა ზვიად გამსახურდიას, ფიქრს ფიქრი რომ მიედევნებოდა, „ირლანდიური საგები“ დროზეა გამოსაცემიო“.

დედას კი არა სჯეროდა და არა, იქ თუ შეიძლებოდა არსებულიყო რაიმე.

არც დარჩებოდა მისი პორტრეტი დაუხატავი რეზო ჭეიშვილს, საკმაოდ ვრცელიც რომ გამოუვიდოდა, მოგონებებს ფსიქოლოგიური დაკვირვებები რომ შეერეოდა და დაკვირვებებს – ლიტერატურული განსჯა, ყოველივე კი ამ სათაურქვეშ რომ უნდა გამთლიანებულიყო: „სქოლიო“ – შოთა ჩანტლაძის საანთოლოგიე და ქრესტომათიული მინიატურის სახელწოდებას რომ იმეორებდა, ქვესათაურად კი „პოეტის სიკვდილსაც“ წააწერდა და ამ განწყობილების ირგვლივ იტრიალებდა აშკარად თუ შეფარულად მთელი თხრობა.

ეს ქვეყანა როგორ აირიაო, – ღმერთს მისჩერებოდა გაოგნებული და შეწუხებული პოეტი, რომელსაც არც მანამდე მიაჩნდა ქვეყანა მაინცდამაინც მთლად დალაგებულად, და უეცრად უნდა შემოჭრილიყო სოფლის სამდურავში ის სტრიქონები: თბილისში ეხლა ქუთაისის ჰაერია და ქუთაისში თბილისის ჰაერია დაბანაკებულიო... – რეზოს რომ ღრმადაც ჩააფიქრებდა, რაკიღა ლექსი არ ეძღვნებოდა საკუთრივ ქუთაისს, თუმც ქუთაისი სულ უმიზეზოდაც არ უნდა ყოფილიყო ნახსენები – რაღაც ნოსტალგიისმაგვარიც კი გამოსჭვიოდა იმ სტრიქონებიდან.

ერთხელ, რეზო ჯერაც სტუდენტი იქნებოდა, შოთას უნდა ეკითხა მისთვის:

– მამაშენს ბენედიქტე ჰქვია?

დაუდასტურებდა და გაუკვირდებოდა ეს შეკითხვა, არადა თურმე შოთას მამა ანანია დაინტერესებულიყო რეზოს პერსონით: ამა და ამ კაცის შვილი ხომ არ იყო – და ზუსტად მიეთითებინა ბენედიქტეს ტრესტის აბრევიატურაც, თანამდებობაც და სამსახურის – ქუთაისის ფილიალი – მისამართიც.

რეზოს გაოცებული სახის შემხედვარე შოთა ჩაიქირქილებდა, მოიფშვნეტდა ხელებს და მოულოდნელად დამშვიდდებოდა:

– მამაჩემი თურმე მამაშენთან მუშაობდა მამაშენის სამსახურის დაწყებამდე. მამაჩემი როცა დაიჭირეს და გამოუშვეს, მამაშენმა მამაჩემს სამსახურში დაბრუნების უფლება აღარ მისცა. მამაშენმა მამაჩემი თბილისში გადმოისროლა.

დაახლოებით ეგრე მომხდარიყო მართლაც. ანანიას რომ დაიჭერდნენ და გაასამართლებდნენ, იძულებით მუშაობას მიუსჯიდნენ, ციხეს აცდებოდა, მაგრამ სამუშაოს დაკარგავდა ბენედიქტე ჭეიშვილის გამო თითქოს. ბენედიქტეს კაცის მიღება-გაგდება არ ეკითხებოდა მართალია, მაგრამ რეზო რომ შეამოწმებდა, რაღაც ამისდამაგვარი კი მომხდარიყო. და გაეღიმებოდა: რა პატარაა მართლაც ეს საქართველოო. სადაურსა სად წაიყვანო, ხომ ვერ იტყოდი ასეთ შემთხვევაში. რა თბილისი და რა ქუთაისი – ხელისგაწვდენა თუ აშორებდათ.

თბილისში ახლა ქუთაისის ჰაერი ტრიალებდა და ქუთაისში კი თბილისის ჰაერი დაბანაკებულიყო.

შოთა ხშირად და კარგახანს ახსენებდა ამ ამბავს სხვების თანდასწრებით:

– მამამისი რომ არა, ახლა შეიძლება ქუთაისელი ვყოფილიყავ, ნაღდად ქუთაისელი ვიქნებოდი...

არ იქნებოდაო, – თავისას ფიქრობდა რეზო, – გურული თბილისელობა არგუნა ბედმა და ისევეც დარჩებოდა: დარჩა კიდეცო.

– არ წავიდეთ ქუთაისში?

– წავიდეთ რა!

– როდის წავიდეთ, ბიჭო, ქუთაისში?

– როცა გინდა.

– წავიდეთ?

– წავიდეთ.

და ბოლობოლო წავიდოდნენ მართლაც ღამის მატარებლით.

ბაღის ბოლოს, ძველი თეატრის წინ ნაცნობმეგობართა დიდ ჯგუფს შეუერთდებოდნენ. ყურს დაუგდებდა შოთა ბაღისკიდის ღადავს, იცინებდა ყურადღებადაფანტული, რადგანაც გულისყური სხვაგან ექნებოდა – ნატვრადმოსაგონარ ჯაჭვის ხიდს, მწვანე ბაზარს დაუტრიალდებოდა გონებით, იქ ენდომებოდა, სადაც ბავშვობის ერთი სრული და გრძელი წელიწადი გაეტარებინა.

– წავალ, დროა, – ეტყოდა ჩუმად, – ჩემს ნასაცხოვრალს ვნახავ.

– წამოგყვები, – მისი მარტო გაშვება არ ენდომებოდა რეზოს, მაგრამ ის იუარებდა:

– არ მინდა, თვალდახუჭული მივაგნებ.

და მიხვდებოდა რეზო ჭეიშვილი:

მარტო სურდა შოთა ჩანტლაძეს ბავშვობასთან მიახლოება, ჩარაზულ ფანჯარასა და კართან დგომა და დაუკაკუნებლობა. თუ აკაკუნებ, გიღებენ კიდეც. და შოთას სწორედაც რომ არა სურდა გაღება.

– ვინაა ეგ კაცი? – ჰკითხავდნენ რეზოს, მისი სტუმარი რომ გაეცლებოდათ. ეს ზომიერად შეაქებდა, მის კეთილისმყოფელთ, უკვე ცნობილ პირებს, სხვათა შორის ახსენებდა და შოთას ავტორიტეტს ასწევდა. შემდეგ კი გაიფიქრებდა გუნებაში ჩაბრუნებული ღიმილით: ამისათვის ხომ არ დამტოვაო.

და ძალაუნებურად წამოაგონდებოდა დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“, და პორფირი ბაიაშვილი და მისი მაღვალაკური საქციელი – ოტია ქამუშაძეს ეკლესიის გარშემო შემოკრებილ მრევლში რომ შეუშვებდა: მაღალი, ყაბალახიანი გლეხი მომიძებნე, მელოდება და დროზე მნახოს, ვიდრე წავსულვარო. ოტია არარსებულ ყაბალახიანს დაუწყებდა ძებნას და ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილთ ქალაქიდან ამოსული ცნობილი „ადუკანტის“ ავანჩავანს გააცნობდა.

რეზოს მოსაგონარში ამ ვერსიის შებრუნებული ვარიანტი წარმოჩნდებოდა, თუმც – მისი შეტყობით – შოთას იმ დროს არც ერთი უნდა გახსენებოდა და არც მეორე. დაღონებული დაბრუნდებოდა და კარგახანს არ გახსნიდა კრიჭას, მერე კი ბევრსაც იხითხითებდა და იმსაღამოსდროინდელ ამბავს საგზლადაც გამოიძღვანიებდა.

შოთა ჩანტლაძის ფართოდ გაშლილ ურთიერთობათა ფსიქოლოგიურ სარჩულს კი ამგვარად გახსნიდა და ახსნიდა კიდეც:

ყურისმგებლები ჰყავდა, მიმდევრები – არა, ნამოწაფრები, მოწაფეები და მოძღვარი ბოლო-

მდე არ ენდობოდნენ ერთმანეთს; ურთიერთპატივისცემას არასერიოზულობის ელფერი დაჰკრავდა რამდენადმე. იმათ შოთას გენიოსობისა არა სჯეროდათ, შოთას – იმათი სიბითურისა, თუმც იმ წრეში უპერსპექტივო ინტელექტუალს ძნელად იპოვიდითო.

ამ ზოგად მონახაზს იმ შტრიხებითა თუ დეტალებითაც შეავსებდა:

უწიგნურობა შოთას ენას რომ არ უბორკავდა და აზრს არ უხშობდა, პირიქით – ორიგინალობაში ეხმარებოდა.

მისი იარაღი იყო ირონია და არა ცინიზმი, როგორც ბევრს ეჩვენებოდა.

მოსწავლეებისაგან მეტს სწავლობდა, ვიდრე მოსწავლეები მისგან.

და შემფასებელი იყო, მაგრამ არა მოძღვარი.

კიროვის – მაშინ როგორც ეძახდნენ ვერის პარკს – ბაღში ლამპიონები გათენებამდე არა ქრებოდა, თუმცაღა ღამის ორი საათისათვის, აგვისტოშიც კი, ცარიელდებოდა არენა ფეხბურთის გულშემატკივრებისაგან. შოთა ბოლოს გადიოდა და ბოლოს გავიდოდა რეზოც, შუაღამის სამი რომ დაიწყებოდა. რეზო არა ჩქარობდა, შოთასაც არ ეჩქარებოდა; მივიდოდნენ ვერის აფთიაქამდე, გამობრუნდებოდნენ და ივლიდნენ ვერის ბაღამდე, საიდანაც მოგზაურობას დაიწყებდნენ, წინ და უკან ისევ შოთას სახლისაკენ ლაპარაკ-ლაპარაკითვე შემობრუნდებოდნენ, გამოჰყვებოდა უმცროს მეგობარს, მაგრამ კალანდაძის ქუჩის ასახვევშივე შედგებოდა. და იმღამინდელი თევის ლიმიტი ამოწურული იქნებოდა თითქოს...

ლექსში მოენატრებოდა კიბეც და გაშლილი ლოგინიც და ტკბილი წამებიც დაწოლის, დაწვებოდი და ძილი და სიზმრებიც მოგივიდოდა... მაგრამ ყოფით სინამდვილეში ამჯობინებდა მაინც სიარულს და თათრის მოედნისაკენ წაყიალებას, გამოსავალიც მაშინვე რომ მოიძებნებოდა სწორედაც შესაფერისი: ხაში და დილის არაყიო!..

მაშინ მოხდებოდა სწორედ, ხურდა ფულს რომ გადაყრიდნენ მტკვარში სიმბოლურ-რიტუალური მიზნით და... შოთას გაუცვივდებოდა ხელიდან ხურდა და მდინარემდე ვერ ჩააღწევდა ვერცერთი მონეტა.

რამდენიმე დღის შემდეგ ყოფილ თანაკურსელებთან რომ გაიხსენებდა ამ ეპიზოდს, ერთი, შემთხვევით რომ შეესწრებოდა ამ საუბარს, ყურისმომჭრელი დასავლური აქცენტით ჩაილაპარაკებდა:

– უიღბლო ყოფილა მაგი!..

იქ არას იტყოდა რეზო, ესეიში კი ჩაურთავდა შოთას იმ სტრიქონებს: ახლა ცოცხალი სიკვდილისაკენ რომ მიეჩქარებოდა, ფინიში მოჩანდა და ეგონა, ვერავინ მომასწრებსო. მიაქანებდნენ ასფალტები და მანქანები და მიჰკიოდნენ სიკვდილისკენ, საიქიოსკენ. და ეს განწყობილება ძალდაუტანებლად რომ უნდა შეკრულიყო და შეიკვროდა კიდეც ამ ტაეპებით: სწორი მაქვს ალღო და სიკვდილის წამი მენიშნა, ამ თაობიდან მე პირველი მივალ ფინიშთანო.

სტუდენტობისას გამართულ ლექსებს რომ წერდა, 50-იანი წლების შემდგომ, ვიდრე ლექსებს მიატოვებდა, თითქმის ათი წელი ნაყოფიერად იღვაწებდა, და რატომ არ გახდებოდა პროფესიონალი პოეტი კი არა, პროფესიით პოეტი, რეზო ჭეიშვილს დასადგენად ესახებოდა.

ფიქრით მაინც ასე ფიქრობდა:

დააგვიანა. ერთი ნაბიჯიღა ჰქონდა გადასადგმელი და ვერ გადადგა თუ არ გადადგა, რუბიკონი ვერ გადალახაო.

სტუდენტობაში დაწინაურებულთ ვეღარ აედევნებოდა. გაუძნელდებოდა სტანდარტებით – უიდეო და იდეური ლექსების დალაგებით, გამწევი ორთქლმავლის ჩაბმით – პერიოდულ პრესაში აღზევება. ამასაც დაგვიანებულად მიიჩნევდა, თორემ:

ჩვენში დარჩეს და, ისეთი არაფერი ჰქონდა იმხანად დაწერილი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, რომლის დაბეჭდვაც – ზემოთნახსენებ ხერხთა გამოყენებით – შეუძლებელი ყოფილიყოო.

„მილიციელი და პოეტი“ მოთხრობად ჩაითვლებოდა ჟანრული თვალსაზრისით, თუმც რეზოსათვის უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ, ვიდრე მოთხრობა.

სტუდენტობის წლების გახსენება იყო ყველაფერთან ერთად, ღამის კიროვის ბაღი იხატებოდა იქ, 12 საათსა და 30 წუთზე რომ უნდა შემწყდარიყო წესითა და კანონით ცხოვრება ბაღური. მეც კაცი ვარ, ანგარიში გამიწიეთო, თხოვდა ახალგაზრდებს მათივე თანატოლი მილიციელი.

– სირცხვილია, გვიანია, წავიდეთ!

– წადით.

შეხსენება გახლდათ კანონისა და არა დროისა, რადგანაც მთავარი იყო არა დრო, არამედ კანონი, მუდამ და ყველგან რომ ახსენებდა თავს პოეტს. ლაპარაკით მიდიოდნენ და გასასვლელამდე სიარულს ანდომებდნენ: ზუსტად 30 წუთს.

30 წუთში ვფარავდით მანძილს სკამიდან კარამდეო, – პირად განცდებსაც რომ შეურევდა რეზო თანამოკალმის თხრობას, ერთს მისებურად ჩაიღიმებდა: გასახსენებლად შორია, სასიარულოდ მოკლეო.

იქ კი, მოთხრობაში:

რა ჩემი ბრალია, ძმაო, კანონი ასე მავალებსო, – თავს რომ იმართლებდა მილიციელი, ამუნათებდნენ:განა ყველაფერი უნდა გააკეთო, რასაც გავალებენო?..

რას წარმოადგენდა მაინც კანონი?

ბევრ რაიმეს, მათ შორის იმ კანონებსაც რომელთა დაცვაც ბაღში ევალებოდათ.

და – რეზოს დაკვირვებით – ასე გრძლად და არც მთლად შინაარსიანად გრძელდებოდა თხრობა, ყველაფერი მარტივი რომ გახლდათ, ნათელი და გასაგები, რადგანაც ერთი სახელმწიფოს წარმოადგენდა და მეორე – მოქალაქეს სახელმწიფოსი, მაგრამ ამდენი რა საჭირო იყო – ისიც იმ სიცხეში, სიზმრის „პაპანაქებაში“.

ქუჩა უეცრად აივსებოდა ხალხით, სახლებიდან ქუჩაში რომ გამორბოდნენ. ქალაქს მოედებოდა მილიცია. იქროლებდნენ სახანძრო მანქანები. იკივლებდნენ სირენები შემზარავი საამო ხმით. მილიციები, ქალაქში მორბენალნი, რევოლვერებს დაუმიზნებდნენ მზეს და იყვირებდნენ და იყვირებდნენ:

– შეჩერდი, მზეო, გესვრით!..

მეორე დღეს პოეტს მილიციის განყოფილებაში უნდა გამოღვიძებოდა. მილიცია რეალობა იქნებოდა. პოეტის წარმოსახვაში: სულაც კეთილი. და პოეტი და მილიციელი რომ დაძმაკაცდებოდნენ, ბოლოს მაინც უნდა ამოტივტივებულიყო საბედისწერო შეკითხვა, რომლის გადავადების ან სულაც გადავიწყებისათვის ეფერებოდა, ლამის ელაქუცებოდა პოეტი-მოქალაქე მილიციელს:

– ბოდიში, მაგრამ სად მუშაობთ თქვენ?

და მკითხველი უთანაგრძნობდა პოეტს: ძნელია ამ თავაზიან, თუმც ფრიად უტაქტო და უსიამო შეკითხვაზე პასუხის გაცემაო.

მისი გარდაცვალებიდან ბევრი წლის შემდეგ მელიქიშვილის ქუჩაზე მრავალბინიანი ძველი სახლის კედელზე გააკრავდნენ დაფას წარწერით: აქ ცხოვრობდა ცნობილი პოეტი შოთა ჩანტლაძეო, – სულაც არ გახლდათ ცნობილი და ამ დამამცირებელი „ცნობილის“ მიმართ იქვე გაამჟღავნებდა რეზო ჭეიშვილი უარყოფით დამოკიდებულებას, სხვებსაც მიიმხრობდა და წარწერა – სულ მალეო, ვერ იტყოდი, მაგრამ – შეცვლით შეიცვლებოდა. და დარჩებოდა მტვრიანი, თუმც სავსებით უპრიანი: აქ ცხოვრობდა პოეტიო. ყოველგვარი ზედმეტობის, ყოველგვარი ეპითეტის გარეშე.

პირველ და „ცნობილ“ დაფას საჯარო გახსნის პატივი ერგებოდა. მცირერიცხოვანი მიტინგი გაიმართებოდა ჭუჭყიან ტროტუარზე, მტვერში, ბუღში, ხვატში, ხმაურში. ადგილობრივ მცხოვრებთ თავყრილობა გააოცებდათ და არა დაფა. იტყოდნენ სიტყვებს ხმაურში, ერთი, საკუთარი ხმაც რომ არ ესმოდა, ვრცლად, თუმც უპერსპეტივოდა ილაპარაკებდა პოეტის უკვდავებაზე, იძაგძაგებდნენ შუქნიშანთან გაბოლილი ავტობუსები, აღარ იხრჭიალებდა არც უსახელურო და არც სახელურიანი ტრამვაი, რომელსაც დაფა-პოეტი მოსაწყენ თეთრ ბალადას მიუძღვნიდა, მაგრამ ხმაური კი იდგებოდა, კაი ხმაური!..

ჭეიშვილური სურათი იხატებოდა, ტრაგიკომიკურობით აღბეჭდილი, დეტალიზებისა და ნატურალიზების გამოისობით დროის უკუღმართ მაჯისცემასაც რომ აირეკლავდა, და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს „რასემონისა“ თუ

„გუია ა.-ს“ ფრაგმენტს ეცნობოდეთ, შემთხვევით გამორჩენილსა თუ უნებლიეთ გადახაზულს.

და დაე შეგვეტყო ისიც:

მომავლის იმედზე დარჩენილს შეწყვეტილი რომ ექნებოდა ლექსების წერა გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე. – მე პოეზია ამოსუნთქვით წელში გავტეხეო, – რომ აღენიშნა, რეზოს ვარაუდით: საკუთარ პოეზიაზე ეთქვა და ერთ-ერთი ბოლო ლექსი მართლა გაეტეხა, უფრო სწორად – გაეწყვიტა მრავალწერტილებით: იწყებოდა გენერლით, მთავრდებოდა პატარაიათი და წერტილებში იკარგებოდა კვლავ გენერალი, რომელიც საკუთარი ქალაქიდან გასახლებას „პირდებოდა“: ლირიკულ გმირსაც და ამ გმირის ალტერ ეგოსაც.

ერთ კერძო წერილში დაწერდა შოთა:

– ვეძებ მათში საკუთარი თავის ნასახს...

და მართლაც ეძებდა თუ საკუთარი თავის „ნასახს“ არა, რაღაც იმდაგვარს სხვაში. ეს ადრეც ექნებოდა შემჩნეული რეზოს და ეს ფრაზა, მოგვიანებით რომ ამოიკითხავდა სხვისი სამზეურიდან, სერიოზულად ჩააფიქრებდა.

რას ეძებდა და ვისში?

აგონდებოდა რეზოს ერთი ახალგაზრდა მხატვარი – ვინაობას არ გაგვიმხელდა – შოთა გენიოსს რომ უწოდებდა ღიმილით და ხშირად სავსებით სერიოზულადაც.

საკუთარი თავის ანარეკლს პოულობდა თუ არა მასში?

ამის თქმა გაუძნელდებოდა რეზოს, მაგრამ უმწიფარი ხელოვანის მასწავლებლობა რომ სურდა, ეს კი თვალნათლივი იქნებოდა ყველასათვის. ეიმედებოდა და ქებას ამიტომაც არ დაიშურებდა. იმ ყმაწვილთან სხვანაირი ჩანდა – ასეთ სერიოზულობას სხვების გვერდით არ იჩენდა.

ეს პასაჟი განსაკუთრებით საგულისხმო იმიტომაც არის, რომ:

თავდაპირველად რაღაც ამდაგვარი დამოკიდებულება – საკუთარი თავის აღმოჩენისა სხვაში – ექნებოდა თითქოს რეზო ჭეიშვილისადმიც, რაღაც მომენტში იწამებდა და... იმედიც გაუცრუვდებოდა. მისი გზაზე დაყენების ინტერესი გაუძნელდებოდა სულ მალე. კინოსტუდია დააშორებდა რეზოს შოთასაც და შოთას ანტურაჟსაც, თუმც შოთაც შეიცვლიდა თაობას და ახლა უფრო ახალგაზრდები იტრიალებდნენ მის ორბიტაზე – რეზოსა და რეზოსნაირებზე ურჩი და ძნელადაღსაზრდელები. უფრო ჭეიშვილური იქნებოდა: ძნელადაღსაზრდელი აღსაზრდელები, მექანიკურად „ახალგაზრდებს“ რომ გაიმეორებდა. მითუმეტეს, რომ: ისინი უკვე ერთმანეთს ასწავლიდნენ და ერთმანეთისაგან არას სწავლობდნენ. ამ ერთი ტევადი ფრაზით მოხაზავდა (ჟარგონულად რომ ითქვას: მოუხაზავდა კიდეც) იმ გუნდის ფსიქოლოგიურ პროფილს. და სწორედ ერთი იმათგანი, უფრო სწორად – ერთი იმათგარეძმათაგანი შეატყობინებდა შოთას ავადმყოფობის ამბავს.

– მძიმედაა, ჩვენ სულ იქა ვართ. ძველი, ახალი და უახლესი ძმაკაცები იქ ტრიალებენ.

წავიდოდა, როგორც ჩანს, უდროო დროს, შუადღით და გარეთავმდგმურთ ვეღარ გადაადგებოდა. ერთი პალატის მაღალ, მძიმე კარზე მიუთითებდნენ: იქ არისო. ოღონდ გააფრთხილებდნენ: არ შეხვიდეო. უჩვეულო სითეთრე და სიმშვიდე სუფევდა ირგვლივ და მიხვდებოდა: მართლაც არ შეიძლებოდა სითეთრეში შესვლა... და კიდეც გამოვიდოდა თვალებგაშტერებული და გადაფითრებული დედა, ფრთხილად, უხმოდ რომ ჩამოიხოკავდა ორივე ლოყას, შემოხედავდა, მაგრამ ეს ვერ მიხვდებოდა: იცნობდა თუ არა. და დაიდასტურებდა: გაუხარელი, უშვილძიროდ გადაგებული მოსწრება შვილი რომ უკვდებოდა.

დედას ღამენათევი პოეტი გამოჰყვებოდა წითელ, გრძელ კაბაზე მოცმული ნათხოვარი მოკლე ხალათით. კარს ნელა, საიმედოდ მიხურავდა, ოღონდ არა იმიტომ, რომ რეზოს დაინახავდა:

– წარმოგიდგენია? – შეჩერდებოდა, – შოთას მარტოობის დიდი კულტურა აღმოაჩნდა.

ვინაობა არც ამჯერადაა გამჟღავნებული, თუმც დიდი რამ მიხვედრა არ ესაჭიროება: ღამისთევა და წითელი კაბა – ერთიმეორისათვის სრულიად შეუფერებელი – და კიდევ ის თეატრალიზებული ფრაზა, რომელიც წინასწარვე

ექნებოდა მოფიქრებული და ხელსაყრელ დროს ელოდა მის წარმოსათქმელად, ძალდაუტანებლად წამოატივტივებს ჩვენს ცნობიერებაში იზა ორჯონიკიძის კოლორიტულ სახებას.

მარტოობის დიდი კულტურა აღმოაჩნდაო...

ამ აღმოჩენით დაბნეულს დატოვებდა რეზოს, შებრუნდებოდა და იმჯერზე კარი ღრიჭოდ დარჩებოდა.

„იმიტომ არა, რომ კარგაღმა დამიგულა...“

შოთა რას დაეღუპა და, რეზოს შეტყობით:

საკუთარი სხეულის უპატივცემულობას. სხვის ბინაში დაემალებოდა სიკვდილს, რომელსაც იმნაირად, ყოველ შემთხვევაში გახეთქილი ბრმა ნაწლავზე სათბურდადებულნი არასოდეს დამალვიან.

მეორე დილითვე დარეკავდნენ სამსახურში: გარდაიცვალაო.

– ვა! – იტყოდა ყურზე ყურმილმიდებული რეზო ჭეიშვილი; სიკვდილი მაინც მოულოდნელი აღმოჩნდებოდა მისთვისაც.

– მოკვდა შოთა, კაცო? – იკითხავდა რევაზ ინანიშვილი.

ფეხით წავიდოდნენ, გადაივლიდა ეს ორი რეზო „პლეხანოვს“ და მივიდოდნენ...

აღარავინ დაუხვდებოდათ მიცვალებულის მეტი.

იმათ, რომელნიც აქტიური ჭირისუფლები უნდა გამხდარიყვნენ იმ დილიდან, უკვე მოესწროთ გამოთხოვება ცხედართან. თვალების დახუჭვა, ფეხების გასწორება... ერთს – გულისწასვლის ინსცენირებაც. და არც ეს უნდა იყოს ძნელი მისახვედრი: იმ ღამენათევ წითელკაბიანს.

ხელმეორედ დაიწყებდნენ შეგროვებას დილაგადასულზე. თალხი დღე იდგებოდა. მოდიოდნენ, დგებოდნენ. და ცალ-ცალკე რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს ადრე, ერთად შეგროვდებოდნენ ამჟამად. და ერთმანეთი გაუკვირდებოდათ:

– ეს კაცი მე, ლიჩნად, შოთასთან სხვა დროს არ მინახავს!..

მაინც იდგებოდნენ.

გრძნობდა რეზო მანამდეც რაღაც ამდაგვარს, იგრძნობდა კიდევ უფრო მკვეთრად იმ წუთებში, მოგვიანებით კი ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვების ბრძმედში გამოატარებდა და ივარაუდებდა თუ განჭვრეტდა, რომ:

შოთა ჩანტლაძეს სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე განეცადა თავმოყვარეობის ნაწილობრივი დევალვაცია, მიხვდებოდა „მის ფერხთით“ აღარავინ „დაეცემოდა“ და... კიდეც მოეშვებოდა; სახელი შემოქმედებას აჯობებდა მისას! და ეს დააბნევდა; მოგონილ ამბიციას, შესაძლებლობათა გაზვიადებას, საკუთარი პერსონის სიდიადის მისტიფიკაციას ყოველდღიურობა, არსებობისათვის ზრუნვა შეჭამდა და...

ითხოვდა რეზო ჭეიშვილი იმის სულის ტალანებში ჩასახედად: წაგვეკითხა „სქოლიო“ – შოთა ჩანტლაძის საუკეთესო პროზა.

ითხოვდა განმეორებითაც.

ბოლომდე გულწრფელი გახლდათ თუ არა შოთა, მის უმცროს თანამოკალმეს გაუძნელდებოდა ამის გარკვევაც და ახსნაც, მაგრამ ამ მინიატურის მთავარ გმირს კი მოსწონდა სქოლიოც და სქოლიოში ყოფნაც, სადაც სუფევდა სიმყუდროვე და მარტოობა, და ყოველივე განმსჭვალულიყო არაჩვეულებრივობით.

ჩვეულებრივობის პერსპექტივას გაენადგურებინა იგი და... კიდეც ჩავიდოდა ქვევით, სულ ქვევით, სივიწროვესა და მარტოობაში.

– ახ, რა კარგია სქოლიო! ზევით სიბრძნე და სიმძიმე, ზევით შფოთი მრავალმნიშვნელოვანი. ხოლო სქოლიოში სითბო და სიმყუდროვე, როგორც სამარეში, და ოდნავი შიში, ვაითუ ჩამოინგრეს სქოლიოს ჭერი და თავზე დაგაწვეს ცოცხალი და შფოთიანი ამბები, რომელიც სქოლიოში მყოფს არაფრად მიგაჩნია.

და კიდევ ერთხელ ითხოვდა: წაგვეკითხა სქოლიო – ამჯერად წინწკლების შეუმოსავად დაწერდა ამ სიტყვას რეზო და... განა სულერთი არ იყო? გინდ წინწკლებით და გინდ უწინწკლებოდ...

პანაშვიდებზე ჭედვა იქნებოდა, ხალხით გადაივსებოდა ძველი სადარბაზო, კიბეწვრილის ხვეულები, სახლის შესასვლელ-გამოსასვლელები.

გვიანობამდე დარჩებოდნენ შოთას ხანმოკლე ეფემერის რამდენიმე თაობის პერსონაჟები

– ფილოსოფიური გამომეტყველებით იდგებოდნენ ისინი, რომელთაც მომავალი საქართველოს ისტორიაზე, ერის სულიერებაზე უნდა ეზრუნათ.

პროცესიის კავალკადა გაიჭიმებოდა ვაკეში უნივერსიტეტის კედლებთან. პოეტი გაჰყავდათ. კუბო მიცურავდა შორს, კვამლისფერ სივრცეში. მჩატედ წაიღებდნენ მძიმედ სატარებელს. და უახლოესთ ერთგვარი სინანულით, თუმც უკვე თამამად, შეეძლებოდათ ეთქვათ:

– შე კაი კაცო, ლექსების წერას რომ გადაგაჩვიეთ, მაშინ მოკვდი!

ბოლო მონაკვეთი ლიტერატურული პორტრეტისა და ფინალი ხომ მთლად ნოველისა იქნებოდა, ვრცელი კრიტიკულ-ანალიტიკური ექსპოზიცია რომ არა და ცოტა სხვაგვარი მდინარება – „რასემონისა“ და „გუია ა.-ს“ რიგში ჩადგებოდა ისიც, სათაურს ძებნა რომ არც დასჭირდებოდა: „ხანმოკლე ეფემერა“.

კი მაგრამ... ეფემერას რაღა ეპითეტი ესაჭიროება – ის ხომ ისედაც ხანმოკლეს ნიშნავს? მოჩვენების გადაელვებას.

მაშ რა გამოდის: ხანმოკლე ხანმოკლეობა?

ჯერ ხანმოკლეობა რაღაა და... ისიც კიდევ უფრო გახანმოკლებული!..

რაღა შეიძლება დარჩეს?

ეგაა სწორედ, რომ: აღარც არაფერი.

ის კი არა, სხვას ეგებ მეტიც მოენდომებინა და სახელწოდებად ეს ემჯობინებინა: „ხანმოკლე, ხანმოკლე ეფემერა“.

უკეთესიაო, შემოგვესმოდა დასტური სქოლიოდან, მანამდე სამარეს რომ უწოდებდნენ.

იკმარებდა ლიტერატურულ პორტრეტად, ხელს აიღებდა თითქმის გამზადებულ ნოველაზე და შოთა ჩანტლაძეს ერთხელ გაპერსონაჟების ამარა დატოვებდა.

თუმც პერსონაჟიც არის პერსონაჟიც.

„დალი“ და: გადიმიტრებული შოთას გარეშე?

მართალია გარეთა ფონს უფრო ქმნიდა, მაგრამ თავით ბოლომდე გამოსდევდა თხრობას და თუ რაიმე ჰქონდა სათქმელ-გასამხელი მკითხველისათვის რეზო ჭეიშვილს, დიმიტრის ათქმევინებდა.

– წამოდი, დიმიტრი, გაგაცნობ, – ეტყოდა კიმოთე-კიმი ელგუჯას, რომელიც იმ წუთას შინ წასვლას აპირებდა და გადაწყვეტილი ჰქონდა, აღარსად შეჩერებულიყო.

„ვინ არის ნეტა დიმიტრი?“ – უნდა გაეფიქრა ელგუჯას და ეს განაფიქრია, მკითხველის ცნობისწადილს რომ გააღვივებდა, მთლად უბრალო პერსონაჟი არ უნდა იყოსო.

ჩრდილში მარტოდმარტო იჯდებოდა ვიღაც გამხდარი კაცი, რომელიც ელგუჯას შორიდან ყმაწვილი უნდა ჰგონებოდა. ხნოვანებასა და სიდარბაისლეს უცნობს მართლაც ვერ მიაწერდით, მაგრამ სკოლის მოწაფესაც ვერ მიამსგავსებდით, თუმც ბიჭურად შეკრეჭილი თმა და იერი ადვილად შეგაცდენდათ, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი კარგა ხნის დამთავრებული ექნებოდა.

დიდხანს რომ უბერავდა დიმიტრი გადაყვითლებულ თითებს სულს, რას იშორებდა, ელგუჯას ვერაფრით ვერ უნდა გაეგო. მერე კი იმას მოულოდნელად უნდა ეკითხა:

– ეს კაცი ლექსებს წერს?

– რაზე ატყობ? – გაიცინებდა კიმოთე-კიმი.

დიმიტრის შარვალზე უნდა ჩამოესვა ხელი, გულდაგულ მოეშორებინა რაღაც ნამცეცები და კვლავ ელგუჯასაკენ აეხედა:

– არ ეტყობა, საწყალი... ნახე როგორ გაწითლდა, ეს რა იქნება, არავინ არ იცის. უკვდავებას მოიპოვებს, როგორც არაფერი!..

ელგუჯა აილეწებოდა. ხანდახან მართლაც წერდა ლექსებს და საიმედოდ ინახავდა. ლექსები მანდიკორში ექნებოდა გადამალული და... გულზე მოეშვებოდა, როცა მიხვდებოდა, რომ მისი პოეტობის ამბავს ნახევარი თბილისიც ვერ გაიგებდა.

ამ პასაჟში პირდაპირ გადავიდოდა ყოფითი რეალობიდან შოთას გაცნობის ეპიზოდი, ის უნებლიეთ წინასწარმეტყველურ სიტყვებს რომ წარმოთქვამდა: უკვდავებას მოიპოვებს, როგორც არაფერიო, – თუმც იმჟამად რეზო მხოლოდ ლექსებს წერდა და საიმედოდაც ექნებოდა გადამალული... და არამცთუ არ გამოაჩენდა, და-

ვიწყებითაც დაივიწყებდა, ოდესღაც პოეტობაზე თუ ოცნებობდა.

ეს სიტყვა ექნებოდათ აჩემებული დიმიტრისაც და მის პროტოტიპსაც, ეს მიმართვა: უკვდავო!.. – ირონიით გაჟღენთილიც და... რაღაცის მიმანიშნებელიც იმავდროულად, ან რაღა „რაღაცის“, გაგრძნობინებდა და ჩაგაგონებდა: აგერ ვარ უკვდავი და არაფერი შეგეშალოთო...

ლექსებს რომ არა ბეჭდავდა, ამითაც იდუმალების შარავანდში ეხვეოდა და მაღლდებოდა ერთხანს დამწყებ პოეტ-პროზაიკოსთა თვალში, მართლაც უჩვეულოდ რომ გამოიყურებოდა საერთო ფონზე ეს დაუბეჭდაობა... აჯერებდათ და ვერ აჯერებდათ, თავზე ახვევდათ და ვერ ახვევდათ, თუმც თავისთვის კი დაეგულებინა გენიოსობასა და უკვდავებაზე ოცნება თავშესაფრად და სულის მოსათქმელად, ვიდრე სამუდამო სითბოსა და სიმყუდროვეს ჰპოვებდა სქოლიოში.

– უკვდავო! – ეს მიმართვა გადასდევდა „დალის“ სიუჟეტის მდინარებასაც, უამსიტყვოდა დიმიტრი უკვე არსად რომ აღარ გამოანათებდა, რაკიღა: გინდ აღარც ეთქვა, მკითხველი ძალაუნებურად მიადევნებდა თვითონვე.

დიმიტრი იმით გამოირჩეოდა, რომ ბევრად უმცროსებთანაც ახერხებდა მეგობრობას.

როგორც ოსტატი შეგირდებს, ისე თანდათან ჰკარგავდა ძველ ამხანაგებს. ხანი რომ გადიოდა, მეგობრებს თავთავისი გზა უჩნდებოდათ, დიმიტრი კი კვლავ დიმიტრად უნდა დარჩენილიყო:

კატეგორიულად უარეყო თანამდებობა, საყოველთაოდ გავრცელებული აზრები და შეხედულებანი, კარიერა, ფუჭი სახელი და ფული, რომელიც არც არასოდეს აწუხებდა.

არაფრის დათმობას არ აპირებდა და თავიც ამით მოჰქონდა.

სინამდვილეში სიკეთით, კაიკაცობით უფრო ინადირებდა სხვების გულს, ვიდრე საკუთარი ფილოსოფიით.

მერე მის ოთახშიც უნდა მოხვედრილიყო ელგუჯა, თენგიზი რომ შესთავაზებდა, მუსიკის მოსასმენად დიმიტრისთან ასულიყვნენ. მასპინძელი არ აღმოჩნდებოდა უცხვირპირო და უკარება, თუმც, ერთი შეხედვით, შესაძლოა უარესიც გგონებოდა.

იქაურობა ფირფიტებითა და დახვეული ფირებით იქნებოდა გადავსებული. დიმიტრის უმდიდრესი მუსიკალური ჩანაწერები მოეპოვებოდა, მთელი ხელფასის ნახევარს ამ საქმეს რომ ახმარდა და არც ნანობდა. კლასიკური და ულტრათანამედროვე მუსიკით გატაცებულიყო და მხოლოდ რჩეული მუსიკოსები ახერხებდნენ ამ ოთახში მოხვედრას. ბევრი აღიარებული ავტორიტეტი, განსაკუთრებით ქართველი კომპოზიტორები და, აქვე შეიძლება თქმულიყო, მწერლებიც, დიმიტრის სიცილის გუნებაზე აყენებდა. ქართული ხალხური სიმღერების გარდა არაფერი მშობლიური არა სწამდა, ამ სიმღერებს კი თავს ევლებოდა, ახარისხებდა, ადარებდა ერთმანეთს, რაღაც ნიშნების კვალობაზე ყოფდა და ამრავლებდა. თვითონ კი ამ მხრივ ბედს დაეჩაგრა. სმენა ჰქონდა თუ არა, ძნელად დაადგენდი, მაგრამ სიმღერა აშკარად არ ეცოდინებოდა.

იმჟამად ფიხტეს ერთ-ერთ ნაკლებადცნობილ შრომას, რომელსაც მუსიკასთან არაფერი გააჩნდა საერთო, თარგმნიდა, კომენტარებს ურთავდა და ამ საქმიანობით იქნებოდა გატაცებული.

და ლაპარაკ-ლაპარაკში ესეც უნდა ეთქვა ელგუჯასათვის:

– რა ხართ ეს მანდიკორელები, უნდა დაგვიპყროთ ხომ? რა კარგები ხართ!.. შენ პირველი კაცი გახდები ხუთ წელიწადში, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა!

უნდა დაგვიპყროთ ხომ?

ამ ფრაზას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ოტია პაჭკორია და „დალის“ მხატვრულ-იდეური მრწამსის გახსნასაც აქედან შეეცდებოდა, დიმიტრის ერთ-ერთ საინტერესო პერსონაჟად რომ მოიხსენიებდა, ჩვეული ირონიითა და მიხვედრით რომ უნდა გაემჟღავნებინა რომანისტის ჩანაფიქრი.

ვინ იცის რამდენი ჭაბუკი ჩამოსულიყო მანდიკორიდან, აიადან, საკალანდარიოდან, საბალახოდან (რეზო ჭეიშვილის გმირებს ნოდარ წულეისკირისა და ვოვა სიხარულიძის პერსონაჟებსაც დაუსართავდა მეტი განზოგადებისათვის)... ქალაქი ჯერ გამოცანად მოსჩვენებოდა, შემკრთალი შეჩერებულიყო მის ბჭესთან. შემდეგ კი ჩამოყოლილი რიდი და მოკრძალება შეცვლოდა უნდობლობითა და ანგარიშგების სურვილით. ყოველ მათგანში მეტ-ნაკლებად იცოცხლებდა „დამპყრობლის“ ინსტინქტი და... სწორედ აქ უნდა გვეძია თავიდათავი მიზეზი.

ვინ იყო თბილის-ქალაქის დამპყრობელი?

და რეზო ჭეიშვილი თვითონვე რომ გამოჰყოფდა ამ პრობლემას, აგერ დიმიტრის უნდა ეთქვა ის ღრმააზროვანი სიტყვები:

– უნდა დაგვიპყროთ ხომ?

რაკიღა მას შეიძლება სცოდნოდა, რატომ იცვლებოდა მისი ქალაქის იერი, რისთვის ჩამოდიოდნენ ეს მოკრძალებული „დამპყრობლები“ და რა ედოთ გულში.

და გააგრძელებდა დიმიტრის სიტყვებს კრიტიკოსი და თავის მხრივაც ჩაუკვირდებოდა და ჩაუფიქრდებოდა: საიდან ჩნდებოდა სილამაზის ფლობის ეს დაუოკებელი ჟინი, რატომ ეძალებოდა მეშჩანური, არაპოეტური, უბირი იმ სამყაროს, რომელსაც „ტროლის სარკეში“ ხედავდნენ?!. რატომ იჭრებოდა ყოველდღიურობაში რაღაც გარდუვლად საბედისწერო და უკავშირდებოდა სწორედ მას, ვისაც იგივე დიმიტრი ირონიული ღიმილით უთვალთვალებდა და უწინასწარმეტყველებდა, რომ: ხუთი წლის შემდგომ პირველი კაცი გახდებოდა?!.

ასე უნდა გამოკვეთილიყო ბალზაკური პრობლემა ქართულ-თბილისურ სინამდვილეში და ელგუჯა ვაშაძეც – ნოდარ გერაძისა არ იყოს – ვოტრენული და რასტინიაკური ყაიდის პერსონაჟთა მწკრივში მოხვედრილიყო. ეს მინიშნება უნდა გაძლიერებულიყო „ადამიანური კომედიის“ შემოქმედის თითქოსდა სასხვათაშორისო, არადა ღრმააზროვანი ხსენებით, დაბალი ტანის, სხარტი ლექტორი საქმიანად რომ დადგებოდა კათედრაზე და არეულ-დარეულ აუდიტორიას მდუმარედ გადაავლებდა თვალს და, სიწყნარე რომ ჩამოდგებოდა, მაშინღა განაცხადებდა გარკვევით:

– დღეს ჩვენ გადავდივართ დიდი ფრანგი მწერლის ბალზაკის შემოქმედებაზე და წინასწარ შევთანხმდეთ, რომ ონორე დე ბალზაკი ნიჭიერი კაცი იყო.

და ის ფილოსოფიური ფორმულაც დიმიტრიმ უნდა წარმოთქვას, ამ რომანში ერთი-ორ ელემენტად რომ გაიბნეოდა, მაგრამ დადგებოდა დრო, როდესაც რეზო ჭეიშვილის ბელეტრისტული ძიებანი და მხატვრული სივრცე ერთიანად ამ მრწამსს დაეყრდნობოდა:

– ყველაფერი სისულელეა, ყველაფერი სულელური ხუმრობაა და მეტი არაფერი...

ესეც ის აბსურდული რეალობა, რომელი განზომილების სრულყოფილი და შთამბეჭდავი გამოხატვითაც ამხელა სულიერი მონაპოვარი უნდა დაეტოვებინა შთამომავლობისათვის რეზო ჭეიშვილს.

– შენი ანდაზები წავიკითხე ჟურნალში! – დაუძახებდა შერმადინი, – კი მაგრამ, რა გეანდაზება?..

– ჯერ ერთი, ანდაზები არ იყო ის...

– აბა რა იყო, სიბრძნე-სიცრუისა?

– მახვილგონივრული თქმები, – თვითონვე უნდა გასცინებოდა დიმიტრის.

ყოფით სინამდვილეში „ნიანგის“ ფურცლებზე დაბეჭდილი შოთა ჩანტლაძის ნაკვესები იგულისხმებოდა.

დიმიტრი ინტენსიურად ჩაუჯდებოდა მუშაობას, ღამეებს გაათენებდა და ფიხტეს, შელინგს, ბერკლის, იუმს, რატომღაც ბოგდანოვსა და ფროიდს, რომლისაც არაფერი სწამდა, ერთმანეთს შეუდარებდა, ერთი საერთო მარცვალი ექნებოდა ნაპოვნი. მართალია ბუნდოვან, მაგრამ – მისი ფიქრით – ლოგიკურ დასკვნამდე მისულიყო და ახლა ისღა დარჩენოდა, ყველაფრისათვის თავი მოეყარა და გაეანალიზებინა.

ამ ინტერესებითა და ფიქრებით მოცული დიმიტრისათვის ბაღში ასეთი სცენა უნდა მოეწყოთ, ვირზე შეესვათ და სქელი ქამრით მისთვის ფეხები გაეკრათ ვირის მუცლის ქვეშ. მერე ისე

მოხდებოდა, რომ ვირს წიხლს ჰკრავდნენ. ცხოველი დაფეთდებოდა და ტლინკებს აჰყრიდა. შეშინებული დიმიტრი სახედარს კისერზე შემოეხვეოდა. ბიჭები ვირს ეცემოდნენ, მაგრამ პირუტყვი მთლად გადაირეოდა. შეიქნებოდა სიცილ-ხარხარი... როდის-როდის ჩამოსვამდნენ დიმიტრის ვირიდან. სეირის მაყურებლები ახლა ჩუმჩუმად იცინებდნენ, დაგვიანებით მოსულნი კი ერთმანეთს დაუწყებდნენ გამოკითხვას: რა მოხდაო?.. რაკიღა ჰაერი კვლავაც მხიარულებით იქნებოდა დამუხტული.

დიმიტრი ასე სასტიკად არასოდეს გაბრაზებულიყო. ასეთი შეურაცხყოფაც არავის მიეყენებინა მისთვის. აღარც ეცოდინებოდა, რა ეღონა, თავი როგორ დაეჭირა ნასიამოვნები ხალხის წინაშე. წასვლაც არ ენდომებოდა, იჯდებოდა და თუთუნს გააბოლებდა, თითქოს უდარდელადაც იმზირებოდა, მაგრამ ვის რა ეცოდინებოდა, გულს რა დარდი ექნებოდა შემოწოლილი.

ყველაფერი ამაოებათა ამაოება გახლდათ; ადამიანის სიცოცხლეც მართლაც სულელურ ხუმრობას ჰგავდა და მეტს არაფერს.

ვირზე შესმას რომ ვერ მოინელებდა, ვერის ბაღში სიარულსაც მოერიდებოდა. საერთოდაც ძალიან მოტყდებოდა, ძველებურად აღარაფერი გაახალისებდა და ცოლის შერთვაზე დაიწყებდა ლაპარაკს. სწორედ იმ ამხედრების დღიდან უნდა დაწყებულიყო მისი ცხოვრების ახალი ეტაპი, ბუნებრივი შერჩევისა და გამრავლების უტყუარ იდეამდე რომ უნდა მიეყვანა.

დავით წერედიანის ჩანაწერების ციკლში „თემა და ვარიაციები“ რამდენიმე ვარიაცია მიეძღვნებოდა შოთა ჩანტლაძეს, რომლის ლექსის გენიალობაშიც ეჭვს თუ შეიტანდი, მოკლე და ამომწურავ პასუხად მიიღებდი:

– რა გესმის, შე ბითურო!

და გენიოსობისათვის ტანჯვასაც მიიღებდა, ჯალათები ხეზე რომ ჩამოკიდებდნენ, მაგრამ მაინც ვერ გატეხდნენ, ვერ ათქმევინებდნენ, არა ვარ გენიოსიო.

– გენიოსი ვარ, მე თქვენი...

ჩანაწერების ავტორს ძალაუნებურად რომ წამოუტივტივდებოდა ამ სურათის კვალობაზე ზვიადაურისეული: ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადაო...

რა უნდა ექნათ – ფრთხილად ჩამოხსნიდნენ. მართლა ჯალათები ხომ არა ყოფილან, ჩვეულებრივი ბიჭები იყვნენ, ეგაა ცოტა გადაამლაშებდნენ.

მაინც შეურაცხყოფად მიიღებდა. პარკისაკენ, სადაც ეს ამბავი მოხდებოდა, პირს აღარც იზამდა აღარასოდეს.

ეს ყოფითი ეპიზოდი შეიმოსებოდა იმ საბურველით, „დალის“ ავტორი როგორც გადაასხვაფერებდა, ხელიდან კი არაფრისდიდებით არ გაუშვებდა. რომ არც მომხდარიყო, რაღაც ამდაგვარს თვითონ შეთხზავდა უსათუოდ დიმიტრის მრწამსისა და მტკიცების დასტურად და თვალსაჩინოებისათვის, ამაოებათა ამაოებას რომ არაფერი ეშველებოდა, და ადამიანის სიცოცხლეც სხვა არა იყო რა, თუ არა სულელური ხუმრობა.

განა სხვას რას ირწმუნებოდა უილიამ შექსპირი თუნდაც?

ანდა თუნდ უილიამ ფოლკნერი?

სულაც არ გაახარებდა მათთან უნებლიე გადაძახილი რეზო ჭეიშვილს, რაკიღა შექსპირს ტოლსტოის გადასახედიდან უმზერდა, ფოლკნერს კი – თავისი გადასახედიდან, ტოლსტოისაზე ნაკლებად რომ სრულებითაც არ მიიჩნევდა ამ სამზერს. და ავტორიტეტად არც ერთს აღიარებდა და არც მეორეს.

კუბო კი გაცურდებოდა შორს, კვამლისფერ სივრცეში.

მჩატედ წაიღებდნენ მძიმედ სატარებელს – და ასე გაიყვანდნენ სცენიდან – უფრო ზუსტად: ლიტერატურის კულისებიდან – პოეტს, რომელიც მაინცდამაინც მაშინ უნდა გარდაცვლილიყო, ლექსებს წერას რომ გადაეჩვეოდა!..

...რა უცნაურად გადმომხობოდა მაინც ეს კვამლისფერი ზეცა ქარში აცურებულ სასახლეს...



შოთა ზოიძე

საინტერესო რუსთველოლოგიური ნაშრომი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტმა შარშან გამოსცა და უმალ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“. აღსანიშნავია, რომ ეს გამოცემა შემდგენლებმა მიუძღვნეს სტამბოლის ქართული სავანის მოამაგე მამა-შვილის პავლე და სიმონ ზაზაძეების ხსოვნას. პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (გრანტი №57/05) ფინანსური მხარდაჭერით. ეს გამოცემა ძალიან პოზიტიურად შეაფასეს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატიით აკადემიკოსებმა როინ მეტრეველმა და გურამ ლორთქიფანიძემ.

მრავალთა შორის ჩემი ჯეროვანი ყურადღება მიიქცია კრებულში გამოქვეყნებულმა საქართველოში აწ უკვე საკმაოდ ცნობილი ემიგრანტი პოეტის – გიორგი გამყრელიძის სტატიამ „შოთას „ვეფხისტყაოსანზე და მის მკვლევარებზე“ (წ.ს.ქ.ს. 2017:182). ჩემი ღრმა რწმენით, ეს სტატია მოემსახურება რუსთველოლოგიით დაინტერესებულ ფილოლოგ-მკვლევრებსა და სტუდენტ ახალგაზრდობას.

გიორგი გამყრელიძე დაიბადა 1903 წელს, ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში. 1923 წელს გერმანიის ქალაქ კიოტენში ეუფლებოდა განათლებას. 1937 წელს, როცა მისი ორი ბიძა დახვრიტეს, საქართველოში აღარ ჩამოესვლებოდა. ცოლად შეირთო გერმანელი ქალი და მიუნხენში დასახლდა. 1937 წელს ჩეხოსლოვაკიაშია, 1937 წლიდან აშშ-ია, მოიპოვა ხელოვნებათმცოდნის ხარისხი და მუშაობდა კონგრესის ბიბლიოთეკაში. 1975 წლიდან კვლავ გერმანიაშია და იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია ველდრიდჰოფის სასაფლაოზე. მე მის შესახებ გამოქვეყნებული მაქვს სტატია „გუგული და მისი ლექსები“ ანუ „დაკარგული პოეტი“ (ზოიძე, 2017:179).



ამჯერად ჩემი მიზანია, კომენტარებით წარვდგე მკითხველის წინაშე გიორგი გამყრელიძის ზემოთ ხსენებული სტატიის შესახებ, რომელიც ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევრებს. ეს სტატია პირველად დაიბეჭდა ნიო-იორკში, ჟურნალ „კრებულში“ 1957 წელს. მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში, საიდანაც გადმოიბეჭდა ზემოთ

ხსენებულ კრებულში. მკვლევრები ფიქრობენ, რომ გიორგი გამყრელიძე სტუმრობდა ქართულ სავანეს და სარგებლობდა მისი ბიბლიოთეკით.

სტატია იწყება შოპენჰაუერის ციტირებით: „როგორც ღამის პეპლებს სანთლის სხივი, ისე დიდი პიროვნებების სახელი იზიდავს თავის გარშემო სხვადასხვა ჯურის მკვლევართ და მწერლებს“. ცხადია, რუსთაველის დიდი სახელი ვერ იქნებოდა გამონაკლისი. პოემის ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნების შემდეგ მის მიმართ ინტერესი უცხოელთა შორისაც განუსაზღვრელია. მოვუსმინოთ სტატიის ავტორს: „ძველი დროიდან დღემდე, „მრავალთაგან – მრავალნი“ განიყოფიან რამდენიმე ჯგუფად. პირველნი არიან ისინი, რომელნიც შეეცადნენ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენას ან შეთხზვას. სხვანი კი, ისინი, რომელნიც ცდილობენ „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენას და ამგვარად, პოემის დედააზრისა და მსოფლხედვის გაგებას და პოემის დაწერის დროის „უტყუვრად“ დადგენას“ (წ.ს.ქ.ს. 2017:182). როგორც გითხარით, სტატია დაიბეჭდა 1937 წელს და დღეის გადასახედიდან ზოგი რამ მკითხველის თვალს შეიძლება მოძველებულად ეჩვენოს, მაგრამ ავტორი საკითხს ძალიან პროფესიულად მიუდგა. მკვლევარი განიხილავს და თავის კომენტარებს გვთავაზობს გასული საუკუნის 30-იან წლებში მოღვაწე ქართველი რუსთველოლოგების ნაშრომებზე. საბედნიეროდ, რუსთველოლოგია ჩვენი მეცნიერების ბუმბერაზებმა დააფუძნეს, რომელთა შორის იყვნენ ნიკო მარი, პავლე ინგოროყვა, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი წერეთელი, იუსტინე აბულაძე, სარგის ცაიშვილი, სარგის კაკაბაძე და სხვები.

გიორგი გამყრელიძე პავლე ინგოროყვას ზოგიერთი მოსაზრების შესახებ ჯერ კრიტიკულ კომენტარებს გვთავაზობს, შემდეგ დასძენს: „მიუხედავად ამ მცირე კრიტიკისა, თუ აზრთა სხვადასხვაობისა, ბატონ პ. ინგოროყვას მის დიდ ცოდნას და დამსახურებას ვერავინ წაართმევს. მის წიგნს – „რუსთაველიანას“ – აქვს სხვა დიდი ღირსებები. განსაკუთრებით დასახიჩრებული ტექსტების გასწორებაში და ზოგან მთლიანი სტროფების განდევნაში – სადაც აშკარად ჩანს ყალბისმქნელის ხელი. ასეთივე მკვლევარია მიხეილ წერეთელი, რომელმაც პოემის ტექსტი გაწმინდა ბევრი არარუსთაველური ჩანართებისაგან და მრავალი დამახინჯებული ადგილები დამაჯერებლად აღადგინა. მანვე წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ „ვ.ტ.-სნისა“ და „ისტორიათა და აზმათა“ (თამარის ისტორიის) ავტორი ერთი და იგივე პირია! იქნებ ამ მხრივ მკვლევარს მიმდევარნი გამოუჩნდნენ საქართველოშიაც, სადაც მეცნიერებს მეტ წყაროებზე მიუწვდებათ ხელი და თუ საბოლოოდ ბ. მიხ. წერეთელის მოსაზრება დამტკიცდება – ეს იქნება ქართველი ერისათვის მეტად სასიამოვნო, ხოლო ქართული კულტურის ისტორიისთვის დიდი შენამატი, რაც შეეხება მ. წერეთლის მიერ პოემის შესავლისა–მიძღვნისა და შაირობა-მიჯნურობის განხილვას და ამ შესავლიდან უდიდესი ნაწილის განდევნას, როგორც არარუსთველისას, მე პირადად ვერ შევგუებივარ, ჯერ კიდევ ისე ვარ შეჩვეული, როგორც მკითხველი, ამ ადგილს“ (წ.ს.ქ.ს. 2017:187).

როგორც ციტატიდან ჩანს, ავტორი გულისტკივილით საუბრობს პოემის ინტერპოლატორებზე. სტატიის დაწერიდან დიდი დრო გავიდა და პავლე ინგოროყვას მოსაზრებები და არა მარტო მისი, შემდგომ პოემის ტექსტის დამდგენმა კომისიამ გაითვალისწინა, მაგრამ, ჯერ კიდევ გაწმენდილი ტექსტის პოეტის ხელიდან გამოსულ ხელნაწერთან სრულ იდენტურობას ვერავინ დაიჩემებს. გიორგი გამყრელიძე იმასაც დასძენს, რომ განსხვავებები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში მარტო გადამწერებისა და ინტერპოლატორების მიზეზით არ უნდა იყოს, რადგან ამოდენა პოემის ცალკეული თავების ავტორისეული ვარიანტები არ უნდა გამოირიცხოს. რაც შეეხება მიხეილ წერეთლის ჰიპოთეზას „ვეფხისტყაოსანსა“ და „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ერთი და იგივეობას, მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარი სარგის კაკაბაძე უჭერდა მხარს, რუსთველოლოგების მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და ჰიპოთეზად დარჩა.

„დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ – წერს ს. კაკაბაძე, – შოთას ეკუთვნის თამარის

ეგრეთ წოდებული მეორე მატიანე, დაწერილი 1222 წლის ახლოს“ (კაკაბაძე,1966:110).

მკვლევარი კიდევ უფრო შორს მიდის: „ამგვარად, შოთა ცოცხალია სულ ცოტა 1222 წლის ახლოს, როდესაც მას დაუწერია თამარის მეორე მატიანე. შოთას მიერ ამ მატიანის დაწერა, ჩვენის აზრით, უფრო ზუსტად უნდა მიეკუთვნოს 1222-1223 წწ., რის შემდეგ ის მალე გარდაიცვალა“ (კაკაბაძე, 1966:115).

აღსანიშნავია, რომ თამარის მეორე მატიანის ავტორობის ჰიპოთეზა მიხეილ წერეთლამდე იყო წამოყენებული. თვით კათალიკოს ანტონ პირველიც (ერობაში თეიმურაზ ბაგრატიონი – 1720-1788) თამარის მეორე მატიანის ავტორად შოთა რუსთაველს ასახელებს და „გამომთქმელსა მეფის თამარის ცხოვრებისასას“ უწოდებს (კაკაბაძე, 1966:111). ამ საკითხს ყურადღება მიაქცია და შოთა რუსთაველის ავტორობა უარყო ალექსანდრე ცაგარელმა, რაც დადასტურდა XX საუკუნის გამოჩენილი რუსთველოლოგების კვლევებითაც.

გიორგი გამყრელიძე მიხეილ წერეთლის შემდეგ განიხილავს ვიქტორ ნოზაძის „დიდ ნარკვევს“, ასე უწოდებს იგი, „ვეფხისტყაოსნის ფერმეტყველება“, რომელშიც ავტორი გვთავაზობს არაერთ ახალ მოსაზრებას. იგი წერს: „ავტორს მთელი რიგი სიტყვებისა და გამოთქმების სწორად გაგებისა და გამოთქმულების სწორად გაგებისა და პირველყოფილი სახის აღდგენისათვის არა მცირედი ყურადღება მიუქცევია. დამაჯერებლად განმარტავს იგი, მაგალითად, თუ როგორც უნდა იქნას გაგებული „გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ლბილისა“. რას ნიშნავს სიტყვები „საშინელი“, „მოლი“ და სხვა. აქვს მცირე ნაკლიც: „გაჭიანურებულია და ხშირად განმეორებული იგივე მასალა, რაც წიგნს უკარგავს ალაგ-ალაგ კითხვის ხალისს და ხდის მონოტონურს. მეორე ნაკლი ისაა, რომ ავტორი ძლიერ აგრესიულია სხვა მკვლევართა მიმართ, რომელნიც მისი აზრით სცდებიან მთელ რიგ საკითხებში. შეცდომის პოვნა სხვის ნაშრომში არ გვაძლევს უფლებას უდიერად მოვიხსენიოთ შეცდომის ჩამდენი, არც იმის უფლება გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული მარტო ჩვენ მივითვისოთ. ეს სათაყვანებელი პოემა უყვარს ყველა მის მკვლევარს, ყველა მის მკითხველს და ამ სიყვარულს არავითარი კავშირი არ აქვს შეცდომის დაშვებასთან. შეცდომები მკვლევართ პოემის უსიყვარულობით არ მოსდით. მიუხედავად ამისა, ვ. ნოზაძის შრომა დასაფასებელია, მით უმეტეს ემიგრანტული ცხოვრების პირობებში“ (წ.ს.ქ.ს. 2017:188).

ნამდვილად მისასალმებელი და დასაფასებელია „ემიგრანტული ცხოვრების პირობებში“ შექმნილი ყოველი ნაშრომი და გამოკვლევა. გიორგი გამყრელიძე საუბრობს მკვლევრის ეთიკაზე და სავსებით სამართლიან კომენტარებს გვთავაზობს, რაც დაწერიდან ნახევარი საუკუნის შემდეგაც აქტუალურია, რადგან დღევანდელ საქართველოში პოლიმიკის კულტურა ნულის ტოლია. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველებას, ამ საკითხს ერთ-ერთი პირველი შეეხო ვიქტორ ნოზაძე და საინტერესო დასკვნები მოგვცა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი გამყრელიძე თავის ნაშრომში არაფერს ამბობს გიორგი ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველების“ ძირითად დასკვნებზე.

გიორგი გამყრელიძე საფუძვლიანად მსჯელობს ევროპის დიდი მწერლების შემოქმედებით თავისებურებებსა და გოეთეს „ფაუსტის“ ცალკეული ადგილების ვარიანტებზე, მოაქვს სათანადო მაგალითები და დასძენს: „ასე ფიქრობდა გოეტე და უთუოდ ასე ფიქრობდა რუსთაველიც. მით უფრო, რომ მან ასეული წლებით ადრე დასწერა თავისი პოემა და კრიტიკულ-გაუგებრობასაც მეტი ადგილი ექნებოდა და მტრებიც მეტი ეყოლებოდა. რუსთაველს კი უნდოდა და სწამდა, ისე როგორც გოეტეს, რომ მის პოემას უნდა დაეპყრო ქართველი ხალხის სული და გული, რომ მის ნაწერს უნდა „გაეძლო ჟამისათვის“. პოემაში ნამღერ გასაგებ სარაინდო ამბის გარდა, მის სიბრძნეს და მეცნიერებას, რომელიც მან შიგ ჩააქსოვა, უნდა ეპოვნა მომხრე და მიმდევარი ხალხში. რუსთაველს თავისი მისიის დიდი სიძნელეც მეტად კარგად ესმოდა და ვი-

ნაიდან მას ანგარიში უნდა გაეწია მაშინდელი მმართველობისათვის, გემოვნებისთვისაც და მოწინავე პირთა აზრისთვისაც. ამიტომ მან აუცილებლად ბევრჯერ შეასწორა, შესცვალა, დაუმატა ან შეამოკლა ზოგი ადგილი პოემაში, სანამ ის საბოლოო რედაქციას ჩამოაყალიბებდა...

ჩემი ეს მოსაზრება შეეხება განსაკუთრებით პოემის შესავალს და ზოგ სხვა სტროფებს ტექსტის სიღრმეში. მაგრამ ამ მოვლენამ არ უნდა აგვაღებინოს ხელი პოემის კრიტიკულად აღდგენის კვლევა-ძიებაზე“ (წ.ს.ქ.ს. 2017:190).

თავისი სტატიის დასასრულს გიორგი გამყრელიძე იმოწმებს გოეთეს საუბარს ეკერმანთან. „ფაუსტის ის ნაწილი მე მქონდა დაწერილი საფოსტო ქაღალდზე, ბევრი რამ შევცვალე, რადგან მეშინოდა რაიმე ისეთი არ დამეწერა, რაც არ იქნებოდა კარგი და ვერ გაუძლებდა ჟამს“ (წ.ს.ქ.ს. 2017:190). მსგავსი შემოქმედებითი პროცესი შოთა რუსთაველთანაც უცილობლად იქნებოდა. ამიტომაც არის, რომ მისი პოემა „ხელიხელ საგოგმანებია“ და ფრიადი დაიმსახურა ჟამის, ამ ულმობელი გამომცდელისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა

წ.ს.ქ.ს. – „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, 2017 წ.

ანთოლოგია – უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია, ქუთაისი, 2014 წ.

ნიკოლეიშვილი – ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქუთაისი, 2010.

ზოიძე – შოთა ზოიძე, „დაკარგული პოეტი“, ჟურნ. „განთიადი“, №1-2, 2017 წ. გვ.178-182.

კაკაბაძე – სარგის კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, გამომც. „განათლება“, 1966 წ.

ემიგრანტი მწერლის მოგონება

დაიბადა 1870 წლის 25 იანვარს, გორის მაზრის სოფელ საქაშეთში.

გარდაიცვალა 1960 წლის 14 მარტს ნიუ-იორკში.

ამ ორ ქორონიკონს შორის განფენილია გრიგოლ დიასამიძის მღელვარე ცხოვრება, რომელიც ზუსტად ცხრა ათეულ წელიწადს მოიცავს.

ვინ იყო გრიგოლ დიასამიძე?

გრიგოლ დიასამიძე იყო რევოლუციამდელი ქართული პრესის ბრწყინვალე წარმომადგენელი, გაზეთ „თემის“ რედაქტორი, მწერალი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პოლიტოლოგი, აკაკი წერეთლის მეგობარი. მისი მამა ნიკო (1846-1897) ასევე მრავალმხრივი მოღვაწე –მეცნიერი, პუბლიცისტი, გამომცემელი, თეატრის გულშემატკივარი გახლდათ, რომელსაც დიდმა აკაკიმ მის ხსოვნას ლექსი („ნიკო დიასამიძის სახსოვრად“) უძღვნა:

„შენც გიცნობდი, ფიცხი იყავ, თავგამწევი, მეტი ჩქარი, მაგრამ ძვირად შემხვედრია შენებრ წმინდა მეგობარი! ლხინში კარგი, ჭირში მარგი, პირის კაცი, უტყუარი, სიმართლის დროს საიდუმლოდ თვით მტრებისაც მეგობარი. საზოგადო ჩვენი საქმის თანამგრძნობი უებარი, ავის მტერი, სიტყვით, ქცევით, კარგის – გულით მეგობარი“ (აკაკი, 2017:232).

ნიკო დიასამიძე ერთ-ერთი კონფლიქტური სიტუაციის გამო, მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა. აკაკი ნიკოს სიკვდილის შემდეგ აგრძელებდა ნიკოს ოჯახთან მეგობრობას. ინტერნეტში განთავსებულ მასალაში მექანიკური შეცდომაა, თითქოს მომაკვდავ აკაკის ნიკო

ეჯდა სასთუმალთან. 1915 წელს ნიკო ცოცხალი აღარ იყო. აკაკის სასთუმალთან ნიკოს ვაჟი, „თემის“ რედაქტორი, გრიგოლი, იჯდა.

გრიგოლს იმ დროისათვის მაღალი განათლება ჰქონდა. სწავლობდა ბარონესა ტიზენ-ჰაუზენის პანსიონში, თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში, დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მაგრამ იგი ჟურნალისტ-ლიტერატორის გზას გაყვა.

გრიგოლ დიასამიძის სახელთან დაკავშირებულია საქართველოში „წითელი ჯვრის“ საზოგადოების დაფუძნება, იყო გორის მაზრის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობის წევრი, დააარსა საკრედიტო ამხანაგობები ჭრემბალოსა და საქაშეთში, მისი თაოსნობით გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფი, საავადმყოფო და ბიბლიოთეკა სოფელ ჭრემბალოში, თბილსში დააარსა შემნახველი სალარო და მებაღეობა-მევენახეობის ამხანაგობა „ალექსანდროული“. გრიგოლი იყო ორგანიზატორი 1912 წელს რაჭა-ლეჩხუმში აკაკი წერეთლის მოგზაურობისა, რომელიც ვასილი ამაშუკელმა კინოფირზე აღბეჭდა. განსაკუთრებულია მისი ღვაწლი ქართული პრესის წინაშე. 1811-1815 წლებში აკაკის დახმარებით დააარსა, გამოსცემდა და რედაქტორობდა ყოველკვირეულ გაზეთ „თემს“. რედაქტორობდა, აგრეთვე, რუსულენოვან გაზეთ „რესპუბლიკას“. 1920 წელს ა. ჯაყელთან ერთად გამოსცა ჟურნალი „Братство“.

1897 წელს გრიგოლმა ცოლად შეირთო სოფიო დიმიტრის ასული ხიმშიაშვილი, რომელიც რვა წლის შემდეგ, 1906 წელს, გარდაეცვალა. მასთან შეეძინა ერთი ქალიშვილი – ელენე. იგი გარდაიცვალა 1968 წელს და დაკრძალულია მამის გვერდით. ელენე ელიზბარ ვაჩნაძის მეუღლე იყო, რომელსაც დარჩა ერთი ქალიშვილი – ნინო ვაჩნაძე-კოვალსკი, რომელსაც თავის მხრივ ორი ქალიშვილი ჰყავს და ნიო-იორკში ცხოვრობენ.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გრიგოლ დიასამიძე ქალიშვილთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. ბათუმის გავლით პარიზში ჩავიდა, ხოლო შემდეგ ბერლინში ცხოვრობდა. 1952 წელს აშშ-ში გადავიდა და ნიუ-ორკში დასახლდა. აქაც გააგრძელა დაწყებული ლიტერატურული მოღვაწეობა, იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია ნოვოდივეევოს მართლმადიდებლური მონასტრის ეზოში. ბერლინშიც და ნიუ-იორკშიც თავი გამოიჩინა საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და ქართული საქმით. იყო ნიო-იორკის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე. თანამშრომლობდა ქართულ და უცხოურ გამოცემებთან. ქართული საქმის ერთგულებისათვის ბერლინის ქართველთა კოლონიაში იუბილეც კი გადაუხადეს.

გრიგოლ დიასამიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესო მასალები გამოაქვეყნეს პროფესორმა გურამ შარაძემ, მურად მთვარელიშვილმა. ბიოგრაფიული ცნობები განთავსებულია ინტერნეტში.

ჩემი მიზანია, მკითხველს ჩემი კომენტარებით წარვუდგინო გრიგოლ დიასამიძის ერთი საინტერესო მოგონება, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1957 წელს ნიუ-იორკში დაბეჭდილ „კრებულში“, რომელიც დაცულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში და გადმობეჭდა პროფ. შუშანა ფუტკარაძემ ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოცემულ კრებულ „გამონათლევში“ („გამონათლევი“, 2014:322). ეს მოგონება მრავალმხრივ საინტერესოა და ძალიან მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XIX-XX საუკუნეების მეოთხე და პირველი მეოთხედის გორისა და გორის რაიონის ცხოვრების შესახებ, აკაკისა და მისი ვაჟის ალექსის, პოეტის მეუღლის ნატალია ობოლენსკაიას, შემდგომ პატრიარქ კირიონ მეორის, ალექსანდრე ყაზბეგისა და მისი ბიძაშვილების დიმიტრი და ელისაბედ ყაზბეგის, ვანო მაჩაბლის, ნიკო სულხანიშვილის, მიშო ყიფიანის, სტეფანე ჭელაშვილის, ილია მაჭავარიანის, მიხეილ ერისთავის, ნინო დიასამიძის, ლუარსაბ ერისთავის, პეტრე უმიკაშვილის, გიორგი ერისთავის, დიმიტრი ჯანაშვილის, მოსე ჯანაშვილის, დიმიტრი ხახუტაშვილის, ნატო გაბუნიას, ლიზა ჩერქეზიშვილის, მათე და ლეო კერესელიძეების, ნიკო და თამარ ლომოურების,

დურმიშხან და გიორგი ჟურულების, ანტონ ფურცელაძისა და სხვათა შესახებ. მოგონებაში ფიგურირებს არაერთი უცხოელის გვარი, რომლებსაც რაიმე კავშირი ჰქონდათ გორთან.

მოგონებაში დიდი ადგილი ეთმობა გიორგი ერისთავის მოღვაწეობას. თავის მშობლიურ სოფელ ხიდისთავში, რომელიც გორს აკრავს, თავისი საცდელი ქართული წარმოდგენები გაუმართავს. აქვე პირველად დაიდგა პეტრე უმიკაშვილის პატარა პიესა „სამზადისი“, რომლის მოქმედნი პირნი დასადგმელად ამზადებენ გიორგი ერისთავის პიესას. რეპეტიციაზე ხმა გაისმა, ვორონცოვი მობრძანდებაო, რომელსაც ხვდება გიორგი ერისთავი და უხსნის, თუ როგორ ამზადებენ ახალ სპექტაკლს. ვორონცოვი გულისყურით უსმენს და წარმატებას უსურვებს. ასეთია პიესის შინაარსი. მოგონების ავტორის აზრით, ქართველი საზოგადოება არ არის უმადური და იცის იმ უცხოელი მოხელეების დაფასება, რომლებიც პატივისცემით ეპყრობიან ქართულ კულტურას.

მოგონების პირველი ნაწილი ეთმობა გორის, გორის რაიონისა და სოფლების ეთნოგრაფიულ სურათებს:

„გორი ცნობილი იყო მშვენიერი მიდამოებით, სოფელი ხიდისთავი განთქმულ იყო ყურძნით (ბუდეშურით) და ატმით, სოფელი ატენი – თეთრი ღვინით და ისტორიული დიდებული ტაძრით. გორს მნიშვნელობა დიდი ჰქონდა, სანამ რკინიგზას გაიყვანდნენ. ძველი გორი სადგური იყო საფოსტო გზისა, რომელიც აერთებდა თბილისს და იმერეთს. გაყვანილი იყო მშვენიერი გზატკეცილი, მტკიცედ აგებული ხიდებით მდინარეებზე – მტკვარზე, ფრონის წყალზე, ყვირილაზე და რიონზე. გზატკეცილი მიდიოდა ორპირამდე, საიდანაც გემებით უკავშირდებოდა ფოთს. შემდეგ შეწყდა ასეთი მოძრაობა, რაკი რკინიგზამ თავისი ჰქნა. სხვათა შორის, კავკასიაში და მთელ რუსეთშიც, იქ, სადაც გაჰყავდათ რკინიგზა, წინანდელ საფოსტო გზას სპობდნენ, საზღვარგარეთ კი პირიქით, საფოსტო გზების მშენებლობას განაგრძობენ, რადგან ესენი დამხმარე ძარღვებად მიაჩნიათ. როდესაც მატარებლის სვლის დრო შეამოკლეს თბილისსა და გორს შუა, გორის მნიშვნელობამ უფრო იკლო“ („გამონათლევი“, 2014:324). ეს ციტატა ბევრ საინტერესო ცნობასა თუ ინფორმაციას შეიცავს XIX საუკუნის მეოთხე მეოთხედის ქ. გორისა და გორის რაიონის შესახებ, რაც წაადგება საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს.

მოგონებაში ბევრი საინტერესო ალუზიაა წარმოდგენილი გორის ცხოვრებიდან. 1871 წელს ალექსანდრე მეორე საქართველოში ჩამოვიდა. იგი გორს ეწვია და იქაურმა აზნაურობამ შესანიშნავი შეხვედრა გაუმართა ამილახვრიანთ სახლში. მოგონებაში ვკითხულობთ: „აზნაურები გამწკრივებულნი იყვნენ. ხელმწიფე მიუახლოვდა მათ და გაჩერდა სწორედ სიფთა ერისთავის წინ, რომელსაც მშვენიერი სპილოს ძვლის ხანჯალი ეკიდა, ოქროს ვარაყით შემკობილი, ამოაძრო ქარქაშიდან და შეუტია სიფთას. მან უკან დაიხია. შეეშინდა. მეორე დღეს მისმა ნაცნობებმა დასცინეს და უთხრეს: – არ გრცხვენია, შეგვარცხვინეო, – თქვე დალოცვილებო, რა გასაკვირველია, შემეშინდა, მე რომ მოვეკალი, ციმბირში მას ვინ გაგზავნიდა“ („გამონათლევი“, 2014:329).

უთუოდ საინტერესო და უტყუარი წყაროა ალექსანდრე ყაზბეგისა და მისი ბიძაშვილების – და-ძმა ელისაბედისა (1844-1915) და ალექსანდრეს შორის აგორებული კონფლიქტური სიტუაციის შესახებ. გრიგოლ დიასამიძის მოგონება კიდევ ერთი სხვა მრავალთა შორის, უტყუარი საბუთია იმისა, რომ „მამის მკვლელის“, „ელგუჯას“ და სხვათა ავტორი ალექსანდრეა. დიმიტრის არაფერი აკავშირებს მწერლობასთან, გარდა მისი დის ელისაბედის უცნაური თუ უსაფუძვლო ახირებისა.

ცალკე საუბრის საგანია აკაკი წერეთლის ურთიერთობა გორთან. ამ დიდებულ ქალაქს პოეტმა შესანიშნავი სტრიქონები უძღვნა: „გორო, ქართლის შუაგულო, მეთაურო ქართლისაო“ (წერეთელი, 2012:232). მარტო ეს შთამბეჭდავი სტრიქონებიც კმარა, მაგრამ მოგონების ავტორი ბევრ საინტერესო ალუზიას აფიქსირებს,

საიდანაც კარგად მოჩანს აკაკის გულითადობა გორისა და გორელების მიმართ. ახლა ავტორს მოვუსმინოთ: „ხშირი სტუმარი იყო გორის ჩვენი დიდებული მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელიც ლექციებს კითხულობდა ლიტერატურულ თემებზე, მაგ. „ვეფხისტყაოსანზე". ჰმართავდა სალიტერატურო საღამოებს".

„აკაკის ყოველი მოსვლა გორში პირდაპირ ზეიმი იყო. უნდა გენახათ, რა ამბავში იყვნენ აკაკის მოყვარული უკვე ნახსენები ირაკლი რამიშვილი, მამაჩემი ნიკო და სხვები. ახლა, როცა მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, უნებლიედ მებადება კითხვა: რატომ ილია არ სწვევია გორს? უნდა ვთქვათ დაუფარავად, ამის მიზეზი ორი ჩვენი დიდებული მწერლის ბუნებისა და ხასიათის განსხვავება იყო. ილია უფრო მძიმე ხასიათის ბრძანდება, ადვილად ვერ დაიძვროდა თავის ბინიდან. ბინის მხრითაც კარგად იყო მოწყობილი. აკაკი უფრო მოძრავი იყო, ხალხში გამოსული, ბინაც შედარებით ნაკლებ მოწყობილი ჰქონდა სხვიტორში. გორში ჩამოსვლისას აკაკი ხშირად ეწვეოდა ხოლმე თავის მეგობრებს და მათ შორის ჩვენს ოჯახსაც. მეტადრე ჩვენ, ბავშვებს, ზეიმად მიგვაჩნდა მისი მოსვლა. აკაკისაც ძალიან უყვარდა თავისი მეგობრები, მეტადრე ბავშვები. ამაზე მე მექნება უფრო მეტი ბაასი, როდესაც გადავალ თბილისის ხანის ცხოვრების თხრობაზე" („გამონათლევი", 2014:330).

ამ მოგონებაში ხსენებული „თბილისის ხანის ცხოვრების" თხრობა აღარ ჩანს. აქ უფრო მეტად საუბარია აკაკის ვაჟის ალექსის შესახებ, ვიდრე აკაკიზე. მოგონებაში უარყოფილია გავრცელებული ჭორი აკაკისა და მისი მეუღლის ნატალია ობელნსკაიას გაყრის შესახებ. აკაკის ვაჟი, ალექსი, პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი იყო, მაგრამ იგი ძირითადად ხელოვნებისაკენ იყო მიდრეკილი, განსაკუთრებით ოპერის მოტრფიალე გახლდათ. მოგონებაში ხაზგასმულია ალექსის მეცენატობა, რომელსაც ბევრი წარჩინებული მომღერალი დაუყენებია ფეხზე. ეს კი დიდ სახსრებს მოითხოვდა, ამიტომ იგი, მისთვის ზარალიანი იყო, რაც კიდევ უფრო აუარესებდა აკაკის ისედაც მძიმე მდგომარეობას. ერთხელაც პრიმადონა ნადეჟდა ვანდერ-შრანდტი და ტენორი ანტე ბრონაჩიჩი მოუწვევია, რამაც ვალის მეტი არაფერი მისცა. ალექსის მეგობრებს შეუგროვებიათ ფული, სეზონის დახურვისათვის. გრიგოლი დასძენს, რომ ამ ამბავს აკაკი ძლიერ შეუწუხებია. აკაკიზე საუბარს იმით ამთავრებს, რომ ეს ყველაფერი მას მძაფრად ჰქონია განცდილი („გამონათლევი", 2014:331).

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ დიასამიძის არქივის ნაწილი ნიუ-იორკიდან გადმოტანილია პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის დარბაზში, ხოლო ნაწილი ინახება მისი შვილიშვილის ნინო ელიზბარის ასული ვაჩნაძის ოჯახში (ნიუ-იორკი). საჭიროა ქართული საზოგადოების დაინტერესება და არქივის საფუძვლიანი შესწავლა, რომლითაც ბევრ საინტერესო მასალას იპოვით. რად ღირს თუნდაც გრიგოლ რობაქიძის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სიმონ ჯანაშიას პირადი წერილები, რომლებიც გრიგოლის არქივშია დაცული.

გამოყენებული ლიტერატურა

„გამონათლევი" – სამეცნიერო და მხატვრულ-პუბლიცისტური წერილების კრებული, გამ. ბსუ, 2014 წ.

წერეთელი – აკაკი წერეთელი, ექვს ტომად, ტ. 1, თბ., 2012 წ.

აკაკი – აკაკი წერეთელი, ოცტომეული, ტ. 2 თბ. 2012 წ.

მთვარელიშვილი – მურად მთვარელიშვილი, ხაშურის რაიონი და ქართული მწერლობა, ხაშური, 2014 წ.

http:/www.nplg.gov.ge/emigrants/ka/

შარაძე – გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი II, თბილისი, მერანი, 1993 წ.

ქარდა ქარდული

„შებღალული ნაკრძალი“

ერთი განსაცვიფრებელი ეპიზოდია ოთარ ჩხეიძის ***„ნაკრძალში“***, ჰო, იმ ოთარ ჩხეიძისაში, რომელზეც თქვა ქალბატონმა ნაირა გელაშვილმა, ოცი წელი დამჭირდა, რომ წამეკითხა, თუ მივახლოებოდიო. ზუსტად არ მახსოვს და არცა აქვს მნიშვნელობა, ნაირა რისი მწერელია, შენ რომ გულში გქონდა და ვერ ამოგიხსნია, იმას თვითონ რომ არ მიხვდეს და არ გაფიქრებინოს, ჰო, ამას ვგულისხმობდიო. ჰოდა, იმ ნაკრძალშია ერთი საოცარი ეპიზოდი: ეტიტინება სოფიკო დაქალს, ჭკუას მოუხმე, სირცხვილია, აი, უიო; ის ვაჟბატინი ცოლის ფეხებთან დამხობილა და ევედრებოდა თურმე პატიებასო და რომ ჰგონია, იმოქმედა ლანაზე და ჭკუაში ჩააგდო, ეს ლანა ეკითხება, ეს როგორ, კიდევ ხდება ასეთებიო?! აბა, არაო? გაიოცებს სოფიკოც. მაშინო, თვალით მინდა დავინახოო, ჩემი თვალითო და დამანახეთ ერთი, როგორაა ცოლის ფეხებთან დავარდნაო. როგორ დაგანახოთო, შეახმება ღიმილი სოფიკოს, აი, ისევე, შუშანიკს რო აბამს ჯოჯიკის ცოლი და რო ვერ შეაბამს ისე, რა. ჰოდა, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს სოფიკოს წინაშე ვითომ ხუმრობით დაემხობა ჯოჯიკი, ჯოჯიკი კიარადა, გაიოზი, სოფიკოსივე ქმარი კი არა, თუმცა რო გეგონება თავიდან, ქმარი არა, უბრალოდ სამეგობროდანვე ერთერთი – გაიოზი... ვითომ ხუმრობით და ვითომ ხუბრობით მიადებს თავს მუხლებზე და სოფიკო აუჩეჩავს თმებს ვითომ ხურობით, ვითომ ქმარს და უყურებს ლანა, უყურებს ლანა ამ მისთვის დადგმულ პერფორმანსს. არა, ხუმრობით არა, რაღაცნაირი, მზერით. აი, ის მზერა ოთარ ჩეიძეს აქვს დიდებულად აღწერილი იმ რომანში „ნაკრძალი“ რომ ჰქვია. ეს ეპიზოდი კი რა? დიდებული მწერლის კალმის მონასმია, აი რომ გვეშინია, რომ ვთქვათ რომ დიდი მწერალია ოთარ ჩხეიძე, ამ დიდი მწერლის კალმის მონასმია. ჰო, ოცი წელიო ნაირა გელაშვილმა, უბრალო მკითხველებს კი რამდენი დაგვჭირდება მის წასაკითხად? ჰო, „ბორიაყი“, „კვერნაქი“, „თეთრი დათვი“, „ჩემი სოფლის ეტიუდები“, „ჩემი სავანე“, „ბერმუდის სამკუთხედი“, „2001 წელი“ და... ეს რაც მე წავიკითხე და რაც აწი მაქვს წასაკითხი, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, მეც მივედი იმ ზომამდე, რომ უკვე მსიამოვნებს კითხვის პროცესი... მიხარია, რომ ბევრი, ძალიან ბევრი მიხვდება იმ განწყობას, რაც ახლა ვახსენე. ოთარ ჩხეიძე – ჯერაც დაუნახავი მწვერვალი. როცა სხვა, ახლოს მყოფ მწვერვალების ფონზე უყურებ, ის მწვერვალი თუ უფრო შორსაა, უფრო პატარა ჩანს, შეიძლება, ამ მართლა პატარა მწვერვალებმა კიარადა, გორაკებმაც კი, საერთოდაც დაფარონ... მაგრამ ერთი კია, ხედვის კუთხეს გააჩნია, კუთხეს... ა. თქვენ კი გილოცავთ, მისალოცებო. მე კი დავუბრუნდი ისევ ნაკრძალს... ა, ეპიზოდების მეტი რაა იქ, ერთობლიობას რომ თავი გავანებოთ?

აბრიალებული პორტფელი, საოცარი სახეა, არა? ეს არაა ინგოროყვას პორტფელი, მისი მუ-

დამ თანმდევი, თითქოს, საქართველოს გასაღები ჰქონოდეს შიგნით, რაღაი თითქოს, ჰქონდა კიდევაც; აქ კი გაშარჟებული, აელვარებული პორტფელი ცრუგიორგის, იგივე ცრუმეცნიერ გიტოს ხელში, ეპოქის სიმბოლო ალბათ, გვიანი საბჭოთა ოკუპაციისდროინდელი ცრუინტელიგენციის სიმბოლო, თათქარიძესავით განზოგადოებული, ესეც მატიანე ქართლისაი, 60-იანი წლების მატიანე, ყველაზე უკეთ რო ასახავს ისტორიას, ისეთი; აი, ბოლო ოთხტომეული რომ გამოვიდა საქართველოს ისტოორიის, კარგ შეფუთვაში, ზოგი უყუთოდ, ზოგიც ყუთით, სასაჩუქრედ – აი, იმ მთელ ოთხტომეულზე უფრო ნაღდადა და პირუთვნელად რომ ასახავს მატიანესა, ისეთი.

ჰო, გიტოს პრიალა პორტფელი და სოფრომის გაცვეთილი ზურგჩანთა, მაგრამ არა ახალისა და ძველის დაპირისპირება, არა. დაპირისპირება – ყალბისა და ნაღდისა, რიოშისა და დამუშავებული ალმასისა, ნიშანი იმისა, რომ რაც ბრჭყვიალებს, ყველაფერი ოქრო არაა და რომ ზურგჩანთა, როგორც ერთგულებისა და ალალმართლობის ნიშანი, სიმბოლური სახე იმ ეპოქის ქართული საზოგადოებისა, უმრავლესობისა და პიროვნებისა, გნებავთ, დაპირისპირება ბრბოსი და ადამიანისა...

და ანდაზები, ანდაზები და ოთარ ჩხეიძის პროზა – გენიალურად ჩაწნული ანდაზები თხრობაში, გნებავთ ცნობიერების ნაკადის დიდებული ასახვა თუ გამოყენება, მწერლის მიერ ოღონდ უკვე ფოლკნერისა და ჯოისისა და პრუსტის და გნებავთ მანის მიერ „ლოტე ვაიმარში“-ს ერთ თავში, გოეთეს მონოლოგში გამოყენებული ხერხებით კი არა, რო გეგონება ამოუწურია თავისი მარაგი პროზაში ცნობიერების ნაკადსო... აგე, ოთარ ჩხეიძე, მწერალი ინდივიდუალური გზითა და ხერხითა თუ გასისხლხორცებული უნარით, მწერლური მასტერკლასი.

მერე კი იწყება ტრაგედია უგმიროდ: ბუნებრივია, არა ჰყავს ზნეობრივი გმირი ამ რომანს, თვინიერ ერთისა, ისიც რომ უკვე გარდაგებული ჰგონია ყველას, ყველა პერსონაჟი, თითქოსდა, უკეთურია, იმ ეპოქაში ასეც უნდა ყოფილიყო ალბათ? გვგონია, რომ ლანა, როგორც მსხვერპლი, ვითარცა შუშანიკი, მარგალიტი ზნეობისაი, მაგრამ გარდაისახება ჰეროდიად თუ სალომეად, სოფრომს უნდა ააღებინოს ხელი ჭეშმარიტებაზე, სიმართლის ძიებაზე; სოფრომს, იმედს იმ ეპოქის ზნეკეთილი გმირობისა. საფუძველი? მიზეზი? როგორ უნდა დაითანხმოს კერკეტი მეცნიერი? სიყვარული. არა, სიყვარული არა, იქ სიყვარული იყო თითქოს – თვალთ დაუბნელდა ჰეროდეს, ასულის სხეულის სიღრმემ თუ თრთოლვამ თუ ნარნარმა თუ როკვამ, აქ კი სოფრომს უნდა შეებრალოს ასული, მხოლოდ სიბრალულის გამო უნდა თქვას, სიბრალული მეტია ჭეშმარიტებაზეო, სამშობლოზე თუ არა, ჭეშმარიტებაზე მეტი ხომაა ადამიანიო? თან დიდებული ახსნა – თქვენ რა იცით, რა არის ქალისთვის ოცდაათს მიახლოება, მიახლოება ეულადო. გორგილაძე იტყოდა „სულერთია ოცდაათის მერეო“ მაგრამ იქ პოეზიაა და აქ – პროზა და პროზაულად უხსნის ლანა ღვაწლმოსილ მეცნიერს. რატომღაც პავლე ინგოროყვა დამიდგა თვალწინ, ვინ იცის, იქნება ოთარ ჩხეიძესაც. აგერ ამბობს როსტომი, ამ რომანისადმი მიძღვნილ ბრწყინვალე წერილებში პროტოტიპად თედო ჟორდანიაო, და – დასტური არც სჭირდება – იპოლიტე ვართაგავას რეალური ამბავია პლაგიატობის ხაზში; შვილია, ლიტერატორობას რომ თავი დავანებოთ და ეცოდინება უკეთ მამისა, ნინოც ამბობს, მშვენიერი მკვლევარი ქალბატონი, თედო ჟორდანიაან და რაღაი სხვა, მწერალი ამბობს თვითონ თავის „...სავანეში“, მაგრამ მე რა, მე მკითხველი ვარ და მაინც პავლე ინგოროყვა ამესალტება ხოლმე თვალწინა, დიდი პორტფელით.

ამ ადგილს რომ კითხულობ რომანში, უკვე შიშში ხარ გახვეული, ნუთუ ვერ იმარჯვებს რომანში მაინც ზნეობა, ნუთუ ვერ უნდა სძლიოს კეთილმა ბოროტსო?! აბა, რისი მწერლია ოთარი თუ ამ შიშში ვერ გაგხვევს?!

ვერ იხსნა საქართველოს, როგორც ნაკრძალის იდეა სოფრომმა, ვერც ლანა იხსნა, როგ-

ორც სიმბოლო ბრაკონიერის მიერ შებღალული ნაკრძალისა.

არ წამოკრიფა ხელთათმანები სოფრომმა, მერე რა, რომ კრივისაა და არა სადუელო, სახეში შემოლეწილი, მაინც ხელთათმანები, ადრე რომ ყოველთვის წამოკრეფდა – დარჩა იატაკზე.

მთლად ნათლისმცემელივით ვერა, მაგრამ შეეწირა სოფრომი, მაინც ბრძოლის ველზე შეეწირა... მაგრამ აკი კეთილმანო, სძლია კეთილმანო? აუცილებლად, მაგრამ მოგვიანებით, სოფრომისნაირების ბრძოლისა და გამო გახდა ბოლოს მაინც საქართველო არცთუ ისე ხელწამოსაკრავი ნაკრძალი. აკი აგვიხსნა მწერალმა:

„ყველაფერი რო პირდაპირაა, ოღონდ მისასვლელი აქვ ირიბი, დამრეცი, ხვეული, ჩახლართული...“

იმდროინდელი ცრუმეცნიერი გიტოთი მარადიული, მოუშლელი და დღესაც ყველგანფესვგადგმული სარეველა დაგვიხატა მწერალმა. ყველა ეპოქაში საცნაური:

„რამეთუ ესწრაფვოდა განათლებულთა წრესა, რამეთუ ეშოვნა ფული და აკლდა მეგობარნი განათლებულნი. ესენიცა ეგებებოდნენ ხელგაშლილნი, რამეთუ, თუმცა ერქვათ მეცნიერმუშაკები, ფული მაინც აკლდათ, ძალიან აკლდათ...“

კი არის გროტესკულად ასახვა იმ ჟამის რეალობისა, სახე იმ დროისა, როდესაც თითქმის არაფერს ნაღდს ფასი არ ედო, როცა ფასი მხოლოდ ფასს ედო; დღევანდელობის აშკარა სახეცაა, თუმცა მაინც უნდა ჩავეძიოთ აქა, ოდნავ უცვლია ფერი ეპოქასა და სახეებსაც: ახლა, თითქოსდა, საერთოდ არ სჭირდებათ ფულნაშოვნთ მეგობარნი, მითუმეტეს მეცნიერმუშაკი მეგობარნი, ახლა უკვე მხოლოდღა ფული ყოფნით... ამის მინიშნებაცაა ოთარ ჩხეიძის 1970 წელს დაწერილ ამ რომანში, ამის წინასწარჭვრეტაცაააა. აბა, რა მწერალი იქნებოდა მწერალი, ეს წინასწარჭვრეტა რომ არ ჰქონოდა? თუმცა გვყავს მწერლები ახლაც, არათუ წინასწარჭვრეტა, ჭვრეტა რომ არა აქვთ საერთოდ და მაინც სუ ტელევიზორებიდან გვიჭრიტინებენ და კონკურსის დაფნებიდან გვიჭრიტინებენ და ფესტივალებიდან გვიჭრიტინებენ და მთელ დუნიას მათი ჭვრეტითღა რომ უნდათ შეუქმნან შთაბეჭდილება ქართულ მწერლობაზე. მაგრამ ვერ იქნება ეგ საქმე აგრე. ყოველთვის გამოჩნდებიან სოფრომ ბროძელისნაირნი, ოთარ ჩხეიძემ დაგვიტოვა, იქ ხომ გარდაქარდა, რომანში, მაგრამ მარადიულ სახედ დაგვიტოვა.

და ბოლოს, ეპიზოდებს რა გამოლევს-მეთქი და ერთი კიდევ მინდა ვახსენო: უკვე აკადემიკოსობას მიღწეული ყოფილი მეგობარი, აკადემიკოსობას ვერასოდეს მიმღწევ სოფრომს რომ ებაასება, რომ უნდა მოისყიდოს, ხო მძიმე სიტყვაა, მაგრამ აგრე ითქმის, და აღწერილია მათი დიალოგი, მაგრამ ეგ არაფერი, დიდოსტატია დიალოგებშიც ოთარ ჩხეიძე, უფრო ის მოგხიბლავს აქ, რომ ვითარებაა აღწერილი საოცრად, თითქოს ორი ჯორკოს დუელია და არა ორი მეცნიერისა, წაიწევა წინ ერთი ჯორკო, მიეფიცხება ცეცხლს და მიჰყვება მას მეორე ჯორკოი, არა, ასტამიც გაიელვებს ალაგ-ალაგ, და ისევ შუშანიკი... ჰო, რა, გაუტეხელი შუშანიკი გაიელვებს, მაგრამ ეს გაუტეხლობა ყველამ ვიცით, რასაც მოითხოვს, საკუთარ მსხვერპლშეწირვას და ალბათ, სოფრომიც გრძნობს ამას, მის გაუტეხელ ღიმილში, ალბათ, სწორედ ეგ იკითხება...

ხან სკამს ეწირებოდა ზნეობა, ხანაც – ჯორკოს.

შესასმელია სასუმელი იგი.

ციცა ბარბაქაძე

სიყვარულის მეტაფორები: მონობა

შენს შემხედვარეს, ზეცას მადლი გადაჰფენია,
რომ არ მიყვარდე, აბა, მე სხვა რა დამრჩენია?!
სანამ ვარსებობ, შენი მონა უნდა ვიყო და
შენ გინდ მიხმე და გინდ ნუ მიხმობ, ნება შენია.

ჯალალ-ედ-დინ რუმი

ვერასდროს ვერც ერთი მეტაფორა ვერ აღწერს სიყვარულს. მეტაფორებს შეუძლიათ მხოლოდ სიყვარულის გარკვეული ასპექტების წარმოჩენა, რადგან უძლურია ენა ფორმაში (განმარტებაში) მოაქციოს ის, რაც თავისი არსით უფორმო და მოუხელთებელია. თუმცა ამ ენერგიას შეუძლია, მრავალი სახე მიიღოს, მრავალგვარად, განსხვავებული სიუჟეტებით გამოვლინდეს სიყვარულის ობიექტებს შორის.

სიყვარულის ერთი ასეთი ასპექტია ობიექტებს შორის „ბატონყმური“ მიმართება (რა თქმა უნდა, მეტაფორებზე საუბრისას ყველაფერი მეტაფორაა). ზოგ შემთხვევაში, ბატონი (ხელმწიფე) თავად სიყვარულია, მაგრამ რაკი სიყვარულის აღქმა მხოლოდ შეყვარებული წყვილებით და მათი ისტორიებით არის შესაძლებელი, ერთგვარად „გადანაწილდება“ ეს როლები. შეყვარებული წყვილიდან უმეტესად ერთი ემონება მეორეს. სიყვარულის „მონური“ სიუჟეტი, უმეტესად, ერთის მხრიდან მეორისადმი თავშეწირვაა, მიუხედავად ყველაფრისა და ნებისმიერ შემთხვევაში;

ასეთ თავშეწირვის შემთხვევაში, შეყვარებული ბედნიერია ყველაფრით... უბრალოდ იმით, რომ არსებობს მეორე ადამიანი, რომელსაც შეიძლება, ეტრფოდეს და არა აქვს მნიშვნელობა: ვინ არის, როგორია, უყვარს თუ არა მას საპასუხოდ და სხვა; ასეთ შეყვარებულს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „შეპყრობილს“ და „მოჯადოებულს“. სიყვარულის „ბატონად“, „ხელმწიფედ“, „მეფედ“ გამოცხადება აბსტრაქტულია, ასეთ „არარსებულს“ ადამიანი ვერ იღებს და როცა შეყვარებულია, ემონება არა აბსტრაქტულ, არამედ კონკრეტულ ადამიანს და საკუთარი სიყვარულის პროექციას ამ ადამიანში, იმ შემთხვევაშიც კი, როცა რჩეული სატრფო იდეალური სიყვარულისგან ძალიან შორს არის. თითქოს ერთს სჭირდება მეორე, როგორც მუზა და საპასუხო სიყვარულის შემთხვევაში, შესაძლოა, სულაც დაირღვეს ეს სიუჟეტი და დასრულდეს სიყვარულიც.

მუზა – როგორც მიუღწეველი, იდეალურისკენ, ღვთაებრივისკენ მუდმივ „სწრაფვაში“ ამყოფებს მიჯნურს და ეს არის მისი „მისია“- ტანჯვის გზით შემეცნება; ფსიქიკის ამგვარი სიუჟეტი დაირღვე-

ვა, თუ იქნება თანასწორი და საპასუხო სიყვარული. შეიძლება, სიყვარულის იერარქიაში ამგვარი სიყვარული ერთი ეტაპი იყოს მხოლოდ. ექიმები და ფსიქოთერაპევტები სულის ამგვარ მდგომარეობას აშლილობას და ნევროზის გამოვლინებას მიაწერენ, რადგან აკვიატებული მიჯაჭვულობა სიყვარულის ობიექტისადმი კარგს არაფერს უქადის მის ცხოვრებას.

მსოფლიო კულტურა – ლიტერატურა, მითები, ყოველდღიური ცხოვრება სავსეა ამგვარი მონური სიყვარულის სიუჟეტებით.

ნიმუშად შექსპირის ეს სონეტიც გამოდგება:

სონეტი 58
„მაღალმა ღმერთმა მე შენს მონად რადგან მაქცია,
დე, დამიფაროს, შევამოწმო შენი ცხოვრება,
მუდამ მორჩილად მოგიწონებ ყველა საქციელს,
მე რომ მონა ვარ, ეს ყოველთვის მემახსოვრება.
ნება მომეცი, ავიტანო ტანჯვა წყეული,
მე სიმარტოვე მომისაჯა, ალბათ, ბუნებამ,
დაგელოდები, მოთმინებას შენგან ჩვეული,
და არასოდეს არ გავბედავ შენს გამტყუნებას,
აღარასოდეს მომინდება შენი დაძრახვა,
ვისთანაც გინდა, იქ ატარე ჟამი, ნეტარი,
შენ უფლება გაქვს, აისრულო ყველა განზრახვა
და აპატიო თავს შენივე ნამოქმედარი.
ჩემი ხვედრია ეს ლოდინი ჯოჯოხეთური,
არ უნდა დამცდეს სამდურავი და საყვედური“.

სხვა სონეტში ამავე აზრს აგრძელებს შექსპირი:

„მონა ვარ შენი. მორჩილებაც მონური მმართებს,
მმართებს ლოდინი, რომ ვიხილო შენი სახება“.

რა თქმა უნდა, მეორე მხრივ, მწერალი სრულად აცნობიერებს ლირიკული პერსონაჟის ამ მდგომარეობას და ამიტომ წერს:

„თვალნი დამივსო სიყვარულით, ალბათ, გამჩენმა,
სიავე შენი მე სიკეთედ რომ მომაჩვენა...“

კნუტ ჰამსუნს აქვს ერთი პატარა მოთხრობა სათაურით: **„სიყვარულის მონები“**. კაფე „მაქსიმილიანეს“ მიმტანს თავდავიწყებით შეუყვარდება ერთი მამაკაცი, რომელიც კაფეს ყოველდღე სტუმრობს. ქალი ყურადღებას მიაქცევს, რადგან სხვებისგან განსხვავებით, ამ მამაკაცს მისთვის ქათინაური არასდროს უთქვამს. კაცი სხვაზეა შეყვარებული – მსახიობ ქალბატონზე, „ყვითელ კაბაში“. მიმტანი ქალისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, ეხმარება მამაკაცს ყველაფერში, რაშიც და რითაც შეუძლია: აძლევს ფულს „ყვითელი ქალბატონისთვის“, უწმენდს კაფეში დასვრილ ქურთუკს, ერთი სიტყვით, „თავს დასტრიალებს“. კაცი ეუბნება, რომ არ უყვარს და ამ ქალს ხშირად

მიმართავს სიტყვით: „მონა“ (გმადლობ, მონა), რომ ის (მამაკაცი), თავის მხრივ, „ყვითელი ქალბატონის მონაა“, მაგრამ ეს მიზეზი სულაც არ აფერხებს შეყვარებულ ქალს... ბოლოს მამაკაცი თავის „ყვითელ ქალბატონს“ გაეკიდება სხვა ქალაქში, გაუბედურებული შეყვარებული ქალი თავს კედელს ახლის და როცა, ერთ დღესაც, ის გაზეთში ამ კაცის გარდაცვალების ამბავს წაიკითხავს, თავს მის „ქვრივს“ უწოდებს...

არავინ იცის, სიყვარულის რა ფორმაა ეს და როდემდე შეიძლება, გაგრძელდეს, ფაქტია, რომ არსებობს და ტანჯვის სანაცვლოდ აძლევს ადამიანებს სიცოცხლის აზრს. სიყვარულის ეს სიუჟეტი აკაკი წერეთელს ასე ამღერებს:

„მშვენიერო, შენ გეტრფი,
შენი მონა, ერთგული,
შენთვის სულდგმულს შენგანვე
შენთვის მიძგერს ეს გული“.

„მონური“ სიყვარულის განსხვავებულ ფორმას ხატავს ალექსანდრე ჭავჭავაძე ლექსში: *„სიყვარულო, ძალსა შენსა“.* აქ მთავარი – „ხელმწიფე, თვითმპყრობელი“ თავად სიყვარულია, მისი უდიდებულესობა, სიყვარული, ხოლო მიჯნურები არიან „მონები“ (გულები), დამორჩილებულები ამ ღვთაებრივ ენერგიას, რომელშიც ყველა თანაბრდება: მეფე, მონა, ბრძენი, ხელი...

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?
ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოხრვას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეძრახვის, რომ შენ გამო ვარდს შეჰყეფდეს!

სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა,
სჯულსა შენსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა;
ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზა გაქვს, ჰგიებ საცა,
გულები გყავს ქვეშევრდომად, ამას მეც ვგრძნობ და თვით სხვაცა.

შენის უღლისგან გამოსვლა, ნეტა, უნდოდეს რადმე ვის?!
თუ შენ ხარ ვნების მიზეზი, ლხენაც შენგან არ გვეძლევის?
ნამდვილ კეთილ არს განცხრომა, იგი ნუმც-ოდეს გველევის,
მაშა ცუდია, თუ მასში სიბნელეც არსით ერევის.

„სიყვარულის ხელმწიფება“ „მონა-მორჩილების“ მართლაც განსხვავებული ფოკუსია, ეს არის „დანებება“, „მინდობა“ ღვთაებრივი ენერგიისადმი და არა კონკრეტული ობიექტის (ერთისა მეორის მიმართ) „მონობა“, რითაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოთ აღწერილი „სიყვარულის მონობისგან“, მაგრამ ეს თეორიული აღწერაა... სიყვარული კი თეორიულად და თეორიებში არ ვლინდება...

არსებობს, ერთი მხრივ, მონური სიყვარული და, მეორე მხრივ, სიყვარულის მონობა...

ეძიეთ განსხვავება...

როგორ გავხდეთ „თავისუფლების მწერლები“?

„როცა ლოს ანჯელესის ავჯანყებას ტელევიზორით ვუყურებდი, იურისტობას ვაპირებდი, მაგრამ მერე ვთქვი: ღმერთო, როცა პატარა ბავშვის სასამართლოზე დაცვა მიწევს, ეს ხომ უკვე წაგებული ომია. ჰოდა, გადავწყვიტე, მასწავლებელი გავმხდარიყავი, რადგან მთავარი ბრძოლა აქ, საკლასო ოთახებშია“.

კ/ფ „თავისუფლების მწერლები“

თანამედროვე სამყარო სავსეა არასასურველ შედეგებთან ბრძოლის სტრატეგიებით, ყველაფერს მხოლოდ მას შემდეგ ვაცნობიერებთ, „როცა ურემი გადაბრუნდება“, არადა, შეუძლია, ადამიანს დაფიქრდეს იმაზე, როგორ არ უნდა მოხდეს ის, რაც ხდება და არ მოსწონს. შედეგთან ბრძოლა ნამდვილად წაგებული ომია, რადგან ჩვენ ხელიდან გავუშვით უკვე ის შესაძლებლობა, რომელიც ამ შედეგს არ მოიტანდა.

ასე რომ, გადავინაცვლოთ კლასებსა და აუდიტორიებში.

ყველაფერი იწყება ბაღიდან, სკოლიდან, უნივერსიტეტიდან... ზოგადად, განათლებიდან. ასე თვლის ერინ გრიუველი, ინგლისური ენის მასწავლებელი კალიფორნიის ქალაქ ლონგ-ბიჩის საშუალო სკოლაში (ფილმიდან „თავისუფლების მწერლები“). ის არ ნებდება უიმედო რეალობას, სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც დროსა და რესურსს არ ხარჯავს ძნელად აღასაზრდელ და კრიმინალისაკენ მიდრეკილ მოზარდებზე, ასეთ ბავშვებს ბიბლიოთეკიდან წიგნებსაც კი არ ატანენ წასაკითხად.

მაგრამ ერინის გამოჩენა სკოლაში ცვლილებებს იწვევს. მისთვის არავის აუხსნია, როგორ უნდა შეერჩია მეთოდი, როგორ ესწავლებინა ბავშვებისთვის, უფრო პირიქით, აფრთხილებდნენ, რომ აზრი არ ჰქონდა ასეთ ბავშვებთან მუშაობას.

რა გახდა წარმატებისთვის საკმარისი? მასწავლებლის მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ცოდნის გზით, ლიტერატურის დახმარებით ბავშვებზე მოეხდინა ზეგავლენა, ესწავლებინა მათთვის ტოლერანტობა, რათა ისინი გამხდარიყვნენ შემწყნარებლები სხვადასხვა კლანის, რასის მიმართ. ეს თავიდან უტოპიური ჩანდა, მაგრამ ნელ-ნელა ერინი შეძლებს მათ დაინტერესებას, მოსწავლეებს გაუღვივებს ერთმანეთის მიმართ სიყვარულს და ყველაზე მთავარი: ის შეეცდება, დავალებები ისე შეარჩიოს, რომ ბავშვებმა თვითგამოხატვა მოახერხონ, რადგან მასწავლებელი გრძნობს, რომ ისინი დიდ ტკივილს, დარდს, უსამართლობას, შიშს ატარებენ პატარა გულებით... ეს კი აგრესიულს ხდის მათ. ამიტომ ერინი მათთვის ყიდულობს წიგნებს, ჟურნალებს... ურიგებს და ეუბნება: *„ყველას გვაქვს რაღაც ამბავი მოსაყოლი და ეს მნიშვნელოვანია... აუცილებლად უნდა გავუმხილოთ საკუთარ თავს მაინც, ამიტომ ყოველდღე დაწერთ რაღაცას ამ ჟურნალში. შეგიძლიათ, დაწეროთ, რაც გნებავთ, თქვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ... თუ გინდათ, დღიურის სახით, თუ გინდათ, ლექსებისა და სიმღერის სახით...“.* მასწავლებელი ამას აკეთებს რბილად, ძალდაუტანებლად... იმასაც კი ეუბნება, რომ თუ მათი სურვილი არ იქნება, არც წაიკითხავს... ასე მოიპოვებს

ერინი მოსწავლეების ნდობასა და სიყვარულს. ისინი იწყებენ წერას და ყვებიან თავის ამბებს – საშინელ ამბებს – სისხლით, სისასტიკით, მკვლელობებით, ციხით, შიშით სავსე ცხოვრებას და ჟურნალებს აწყობენ იმ თაროზე, რომლიდანაც მასწავლებელს შეეძლო, აეღო და წაეკითხა...

ერინი მას შემდეგ, რაც საკუთარ ცხოვრებაზე და ტკივილებზე ალაპარაკებს ბავშვებს, მერე კითხვასაც დააწყებინებს, თავად ყიდულობს და ურიგებს მათ „ანა ფრანკის დღიურს“, „თავისუფლების მწერლების“ ფონდსაც კი შექმნიან და სკოლაში მოიწვევენ ქალს, რომელმაც ანა ფრანკი შეიფარა, რომელიც მოსწავლეებს ეუბნება, რომ ისინი თავად არიან გმირები!

ერინმა მოსწავლეებს ჩაუნერგა უნიკალურობის გრძნობა... ბავშვები, რომლებიც ოჯახებისგან დავიწყებული და სკოლის ადმინისტრაციისგან მიტოვებულები იყვნენ, რწმენით ივსებიან... ერთმანეთსაც სიყვარულით დაუწყეს ყურება, გადალახეს კლანურობა, განსხვავებულობა... უფრო მეტად გაიხსნენ და სწორედ აქედან იწყებს ერინი, რომ დაარწმუნოს მოსწავლეები ცვლილებების შესაძლებლობასა და გარდუვალობაში. სხვა აზრს არც უშვებს: ***„შინაგანი ხმა, რომელიც გეუბნებათ, ამას ვერ შევძლებო, სამუდამოდ გაჩუმდება და ყველაფერი, რაც ხელს გიშლით ცვლილებაში, სამუდამოდ გაქრება. ის პიროვნება, რომელსაც აქამდე წარმოადგენდით, არსებობას შეწყვეტს. დაიბადება ახალი ადამიანი“.***

მასწავლებელი შეძლებს მათგან ახალი ადამიანების დაბადებას! ეს ნამდვილად საზეიმო მომენტია. როცა ამ ფილმს უყურებ, გრძნობ, რამდენი რამე შეუძლია რწმენას და ცოდნას ერთდროულად… მაგრამ რწმენა და ცოდნა მხოლოდ სიყვარულის გარემოცვაში იბადება და იძენს ძალას.

თანამედროვე მასწავლებელი სხვა გამოწვევების წინაშეა, მაგრამ მიზანი იგივეა! შესაძლოა, დღევანდელი სკოლის მოსწავლეს ჩვენს პირობებში კლანურობისა და რასიზმის პრობლემა არ აქვს, მაგრამ განსხვავებული აზრის მიუღებლობას ადამიანი იმავე სიძულვილამდე მიჰყავს, რომელიც იწვევს დაყოფას, დაპირისპირებას, გახლეჩას, ომს (მენტალურს, ფსიქოლოგიურს...).

მეთოდი, რომელსაც ერინი გაკვეთილებზე სრულიად ბუნებრივად მიმართავს – თითოეული ადამიანის უნიკალურობაში დარწმუნებაა! ყველას აქვს რაღაც, რითაც სხვისგან გამოირჩევა და ამით უფრო საინტერესო ხდება.

დღეს კიდევ უფრო მძაფრია გახლეჩა და დაპირისპირება განსხვავებული აზრის გამო. როდესაც პოეზიის ლექციაზე ერთ ლექსზე სტუდენტები სრულიად განსხვავებულ აზრს გამოთქვამდნენ, ჯერ ერთმანეთს ეპაექრებოდნენ და მერე მე მიყურებდნენ მოსამართლესავით, რათა განმესაჯა: ვინ იყო მართალი, ვინ გამოთქვამდა სწორად ამა თუ იმ ლექსის აზრს! მე კი ვეუბნებოდი, რომ ყველა გამოთქმული აზრი სწორი იყო და ვუსაბუთებდი, რატომ! ამის შემდეგ ისინი უკვე სწორ პასუხს კი არ ეძებდნენ, არამედ იმაზე ფიქრობდნენ, მართლა რა შეგრძნებები, ემოციები, აზრები უჩნდებოდათ და თავისუფლად იწყებდნენ დისკუსიას, რადგან აუდიტორიაში მათ არავინ ეუბნებოდა, რომ ცდებოდნენ. ანდა, როგორ შეიძლება, შეცდე, თუკი გულწრფელი ხარ გამოხატვაში? რას ნიშნავს ამ დროს შეცდომა? ჩვენი სკოლა და განათლების სისტემა კი შეცდომა-სისწორეზე ორიენტირებული სისტემაა, დაყოფაზე, დახარისხებაზე, ადამიანების გადანომვრაზე: შენ პირველი ხარ, შენ საუკეთესო ხარ, ის – მეორეა, ვიღაც – მესამე... ვიღაც საერთოდ, მაჩანჩალაა... მასწავლებლები ასე არტყამენ იარლიყებს ბავშვებს და მათაც ზუსტად იციან, ამ იარლიყის შემდეგ, რაც არ უნდა გააკეთონ, მასწავლებელს მაინც ვერაფერს „დაანახებენ“. ცოდნა არ არის წახალისებული, არამედ მასწავლებელი სულ „გამოჭერაზეა“, რა არ იცი... თორემ რაც იცი და როგორც იცი, ეგ არავის აინტერესებს!

ამიტომ თუ მასწავლებლები შეცვლიან დამოკიდებულების რაკურსს, მოსწავლეებიც თავისთავად შეიცვლებიან: არა კონკურენცია, არა შეჯიბრი, არა გადასწრება, არა ჩასაფრება, არა დაძირვა,

არამედ თანამშრომლობა, უნიკალურობის განცდა, ერთიანობა, სიყვარული – უნდა გახდეს ცოდნის მიღების საფუძველი!

ასე იქცა საყვარელ და საინტერესო ადგილად ერინის 203-ე კლასი! როდესაც ჩემი სტუდენტები ამბობდნენ, რომ 414-ე აუდიტორია მათი საუკეთესო ადგილია, მე უკვე ვიცი, რომ ისინი იმ ცვლილებებს გულისხმობენ, რომელიც კონკრეტულ ლოკაციას მეტაფორულად დაუკავშირეს.

ნებისმიერი კლასი შეიძლება იქცეს იმ ადგილად, სადაც ბავშვებს უხარიათ მისვლა... ეს კი თქვენზეა, ძვირფასო მასწავლებლებო! ხშირად უთქვამთ ჩემთვისაც, რომ საიდან ვუყრი თავს ერთად ამდენ შემოქმედ ადამიანს, რაც სულაც არ შეესაბამება სიმართლეს... მე მათ არასდროს ვარჩევ და გარწმუნებთ, რომ თითოეული მათგანი ისედაც უნიკალური და შემოქმედებითია. უბრალოდ, ენდეთ... შეცვალეთ დამოკიდებულება და თქვენი კლასის თუ აუდიტორიის ნომერიც მეტაფორად იქცევა, სადაც მისვლა ყველას გაუხარდება. თითოეულ მოსწავლეს აქვს თავისი ამბავი და ახლა კი ჯერი თქვენზეა: შექმენით მათგან „თავისუფლების მწერლები“. დააწერინეთ ამბები და მერე ჰკითხეთ: რა ასწავლა მათ ამ ამბავმა...?

თინათინ
გიორგაძე

მაღალაპელაციური სარეკლამო სლოგანები

მიზანშეწონილია, სლოგანი იყოს მაქსიმალურად მარტივი და აღქმადი.

კარგი სარეკლამო ტექსტი უძლიერეს ეფექტს ახდენს მომხმარებელზე. აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთის ტეხასის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანის დარწმუნება ახალი საქონლის ღირსებებში სიტყვებით უფრო იოლია. ის მათ უფრო მოსწონთ და მზად არიან უფრო მეტი იყიდონ, ვიდრე იმ შემთხვევებში, როცა სიტყვიერ შეტყობინებას თან ახლავს სურათები. როგორც ჩანს, სიტყვიერი შეტყობინება, რომელიც სხვა არაფრით არ არის გამყარებული, ადამიანს უქმნის უფრო ძლიერ დადებით განწყობას საქონლის მიმართ. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ეს ეფექტი განპირობებულია აღქმის ფიზიოლოგიური თავისებურებებით. ყური უფრო სწრაფად რეაგირებს, ვიდრე თვალი. არაერთი დაკვირვება აჩვენებს, რომ ტვინი აღიქვამს წარმოთქმულ სიტყვას 140 მილიწამში, ხოლო ნაბეჭდი სიტყვის გაგებას სჭირდება 180 მილიწამი. ფსიქოლოგები ვარაუდობენ, რომ 40 მილიწამში განსხვავებას ტვინი ხარჯავს იმაზე, რომ მხედველობითი გამოსახულება გადაიყვანოს ბგერით ფორმაში, რათა აღიქვას იგი.

საინტერესოა კომუნიკაციის სქემა, რომელშიც სარეკლამო ტექსტები და კერძოდ, სლოგანები, კომუნიკანტებია და თავად წარმოადგენენ შეტყობინების კოდებს. უმბერტო ეკო შეტყობინების ორ სახეობას გამოყოფს:

- ✓ შეტყობინებას, როგორც მნიშვნელობის მქონე ფორმას, მიუხედავად იმისა, ადრესატი ახერხებს მის დეკოდირებას თუ არა;
- ✓ შეტყობინებას, როგორც მნიშვნელობის მქონე ფორმას, რომლის დეკოდირებასაც ადრესატი ახერხებს (უ. ეკო, 2004:544).

რის შეტყობინებას ესწრაფვის სარეკლამო ტექსტები/სლოგანები?

სანამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მიმოვიხილოთ კომუნიკაციის მოდელი: გერმანელი ლინგვისტის, კარლ ბიულერის მიხედვით, ნებისმიერ გამონათქვამში გამოიყოფა კონკრეტული ფუნქცია. საერთოდ კი ბიულერი სამ უმთავრეს ენობრივ ფუნქციას გამოყოფს:

1. ექსპრესიულს ანუ ემოციურს – ორიენტირებულია ინფორმაციის გამცემზე ანუ ადრესანტზე და გამოხატავს გარკვეულ გრძნობას, განცდას, დამოკიდებულებას. ექსპრესიული ფუნქციის მატარებელი სლოგანები ხშირად გვხვდება. მაგალითად: ზედაზენი – „აბა რა!“; „იკეას“ სარეკლამო სლოგანი: „ოჰ, ეს ძველი სასაცილო ჩვევები!“; სააგენტო „Cheil“-ის მიერ გადაღებული რეკლამა უკრაინული „სამსუნგისთვის“ სლოგანით: „აი, ამხელა ტელევიზორი!“

2. აპელაციურს ანუ კონატიურს: ძირითადად დირექტიული შეტყობინებათა რიგი, რომელიც ორიენტირებულია ადრესატზე და მისი ფუნქციაა, გავლენა მოახდინოს ადრესატის/მომხმარებლის ქცევაზე. მაგალითად: სკუპი – „აირჩიე ნაყინი და იპოვე სათამაშო"; „სამსუნგ გალაქსის" სარეკლამო სლოგანი: „იყავით ერთად მაშინაც, თუ არ შეგიძლიათ!"; „ეიფლის" საახალწლო ვიდეორგოლი სლოგანით: „გააზიარე საჩუქრები!"; ნაომი ქემპბელი „ბარბერის" რეკლამაში: „დახუჭე თვალები და იფიქრე შობაზე!"

3. რეპრეზენტატიულს ანუ რეფერენციულს: თემაზე/საგანზე ორიენტირებული შეტყობინებაა, ფუნქცია ინფორმაციის გადაცემა-გაზიარებაა, სინამდვილის აღნიშვნაა. რეპრეზენტატიული ანუ რეფერენტული სლოგანია, მაგალითად: საქართველოს ბანკი – „მთელი საქართველოს ბანკი"; მოწევის საწინააღმდეგო კომპანია „Truth"-ის სარეკლამო კამპანია სლოგანით: „სიმართლე ნარკოტიკების შესახებ".

იაკობსონმა განავრცო ბიულერის სქემა და ბიულერისეულ კლასიფიკაციას კიდევ სამი კომპონენტი შემატა:

4. პოეტური ფუნქცია: „მხოლოდ გარე საკომუნიკაციო სისტემის ფარგლებში აღიქმება. ამ ფუნქციის მატარებელია ყველა გარითმული რეპლიკა" (ლ. ცაგარელი, 2012:16). მაგალითად: სამოქალაქო რეესტრის ცნობილი სლოგანები: „სიკვდილით თუ დაბადებით, ბოლოს რეესტრს ჩავბარდებით"; „ისე, როგორც ზღვას პორტი, კაცს სჭირდება პასპორტი!"; „ჩვენ ვუცხადებთ პირად ნდობას მას, ვინც გვაძლევს პირადობას!"; „ოჯახს უნდა მოწყობა, ქორწინებას – მოწმობა!"

5. ფატიკური: კონცენტრირებულია არხზე, რომელიც კომუნიკაციის საშუალებას იძლევა. „ამ ფუნქციის მქონე რეპლიკები გამოხატავენ მოქმედ პირთა კომუნიკაციურ მზაობას, მათ უნარს, დაამყარონ კავშირი პარტნიორთან (მაგალითად, მიმართვა, პასუხი სხვის რეპლიკაზე, თვითმიზნური ლაპარაკი)" (ცაგარელი, 2012:16). მაგალითად: მაკდონალდსის ერთწუთიანი ვიდეორგოლი სახელწოდებით „მომდევნო დღე" („The Day After") – „რა გჭირდებათ ახალი წლის მომდევნო დღეს?"; დეველოპერული კომპანიის „Unix Development" საახალწლო ვიდეორგოლის სლოგანი: „არავის უნდა ახალ წელს უსაჩუქროდ დარჩენა"; როგორ უნდა მოვიქცეთ, ერთფეროვანი და მოსაწყენი დღეები რომ გავიხალისოთ? ავეჯის მწარმოებელი კომპანია „IKEA" მოგვიგებს ამ კითხვაზე შემდეგი სლოგანით: „ყურადღება ყველაფერს ალამაზებს"; TBC დაზღვევის საახალწლო ვიდეორგოლი სლოგანით „თოვლი და შეცდომები მოსულა!"

6. მეტაენობრივი: კონცენტრირებულია ენაზე, „ძალიან იშვიათად შეინიშნება. იგი აშკარავდება, როდესაც მოქმედი პირები ენის შესახებ მსჯელობენ, ერთმანეთის მეზობლად სხვადასხვა ენობრივ კოდს იყენებენ ან სიტყვებით თამაშობენ" (ლ. ცაგარელი, 2012:17). მეტაენობრივი ფუნქციის გამომხატველი სარეკლამო სლოგანები არ გვხვდება დასახელებული ფუნქციის ბუნებიდან გამომდინარე.

ვერბალური კომუნიკაციის ფუნქციათა თეორიაში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა აპელაციური, იგივე კონატიური ფუნქცია სლოგანების კონტექსტში, რადგანაც ამგვარი სლოგანები პირდაპირ მიემართება მსმენელს, ადრესატს და გამოყენების თვალსაზრისით ხშირია როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან სარეკლამო ტექსტებში და პირობითად შეგვიძლია, ორ ჯგუფად წარმოვიდგინოთ:

- ✓ მაღალაპელაციური სლოგანები;
- ✓ დაბალაპელაციური სლოგანები.

განმასხვავებელი კრიტერიუმი ადრესატზე ზემოქმედების ძალაა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ანტინიკოტინური კამპანია ვიდეოსლოგანით: „ჩააქრე და გამომყევი!"; ბარამბო – „გაყევი სიყვარულს!"; ამერიკან ექსპრესი –

„იყავი ცნობისმოყვარე!“; ყურსასმენების მწარმოებლის AIAIAI-ს სლოგანი – „შეცვალე შენი ქალაქის ხმა!“; გალფი – „შეამცირე საწვავის ხარჯი!“; ავტომობილების მწარმოებელი „მინი“ – „არ შემზღუდო!“; სათვალეების მწარმოებელი ,,ოკულუს გოუ“ – „გაახილე თვალები და აღმოაჩინე სამყარო!“; წითელი ჯვრის სოციალური კამპანია – „სანამ იყიდი, დაათვალიერე 360 გრადუსით!“; წითელი ჯვრის სოციალური კამპანია – „გიყვარდეს ის, რაც გიყვარს!“; „მეისის“ რეკლამა საზაფხულო კოლექციისა – „გადადი მზიან მხარეს!“; „სამსუნგის“ მორიგი გამოწვევა – „განაახლე სმარტფონი!“; „მინის“ სარეკლამო სლოგანი – „მოძებნე უმოკლესი გზა!“; ბადვაიდერის გზავნილი დედათა დღესთან დაკავშირებით – „უსმინე დედას!“; „ფორდის“ რეკლამა მხედველობადაქვეითებული მომხმარებლებისათვის – „იგრძენი, რისი დანახვაც გინდა!.. – დასახელებული მაგალითები მხოლოდ მცირე ნაწილია მაღალაპელაციური სლოგანებისა, რომლებიც მიზნად ისახავს ფოკუსირებული აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას, რეკლამირებული პროდუქტისადმი ინტერესის აღძვრას, მისი დაუფლების სურვილის გაჩენასა და სურვილის რეალიზებისაკენ ბიძგის მიცემას ანუ მაღალაპელაციური სლოგანები ექსპრესიულიცაა, თუმცა უმთავრესი მისი პრაგმატული როლია, აიძულოს მომხმარებელი, ფოკუსირდეს სწორედ იმაზე, რაც რეკლამის შემკვეთს სურს.

გამოყენებული ლიტერატურა:

უ. ეკო, 2004 – У. Эко, Отсутствующая структура, Введение в семиологию, Symposium, 2004.

რ. იაკობსონი, 1985 – Якобсон Р. О. Избранные работы. М., 1985.

ა. კიბრიკი, 2005 – Кибрик А. Е. Функционализм в лингвистике. Лингвистическая типология (Web version), 2005.

ლ. ცაგარელი, დრამის თეორია, თბილისი, 2012.

ᲙᲝᲠᲝᲑᲘ 1

2019